

K 296
3

ძველი საქართველო

საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო
საზოგადოების კრებული

ტ. მ. მ. ი. IV

მ. თაყაიშვილის რედაქტორული

გამომცემი 1914—1915

ДРЕВНЯЯ ГРУЗИЯ

Сборникъ Грузинскаго Общества Исторіи и Этнографіи

ТОМЪ IV

Подъ редакціею Е. ТАКАИШВИЛИ

L'ANCIENNE GEORGIE

Mémoires de la Société géorgienne d'histoire et d'ethnographie

TOME IV

Sous la rédaction de M. E. Takatchvili

TIFLIS 1914—1915

ელექტრო-მბეჭდავი სპირიდონ ლო-საბერიძისა, მოსკოვის ქ. № 5. || Электро-печатня Спиридона Ло-саберидзе, Моск. ул., № 5.

ქველი საქართველო

საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო
საზოგადოების კრებული

ტომი IV

თ. თაყაიშვილის რედაქტორებით

ტფილისი 1914—1915

ДРЕВНЯЯ ГРУЗИЯ

Сборникъ Грузинскаго Общества Истории и Этнографіи

ТОМЪ IV

Подъ редакціею Е. ТАКАЙШВИЛИ

საქართველოს
ისტორიისა და ეთნოგრაფიის
საზოგადოების კრებული

L'ANCIENNE GEORGIE

Mémoires de la Société géorgienne d'histoire et d'ethnographie

TOME IV

Sous la rédaction de M. E. Takatchvili

TIFLIS 1914—1915

ელექტრო-მბეჭდავი სპირიდონ ლო-
საბერიძისა, მოსკოვის ქ. № 5.

Электро-печатня Спиридона Ло-
саберидзе, Моск. ул., № 5.

K 296
3



«საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო სა-
ზოგადოების» დამფუძნებელ წევრის, პირველ ხაზინა-
დრის, მუზეუმ-ბიბლიოთეკის გამკის და დაუვიწუარის
მოამბის,

ალექსანდრე ივანეს ძის

საკრედიტოვილის

ხსოვნას

უძღვნის ამ გამოცემას მადლიერი «საზოგადოების»

ს ა ბ ჯ ო.

შინაარსი გეოთხე ტომისა

განყოფილება პირველი

ნეკროლოგი ალექსანდრე ივანეს ძის სარაჯიშვილისა სურათებითურთ 1— 6

განყოფილება მეორე

რეზერვატი და გამოკვლევანი

1. ა. სარაჯიშვილი: 1) არტანუჯის ვარიანტი „ვეფხისტყაოსნისა“ (1—30); 2) მისივე: ერთი გლეხკაცის ოჯახის ბედი მეთვრამეტე საუკუნეში (31—53); 3) მისივე: ვეფხისტყაოსნის ყალბი ადგილები (54—58) . 1— 58
2. ს. გორგაძე: ქართული სადასიტყვაობა 59— 94

განყოფილება მესამე

სანიტორიო მასალა

- ე. თაყაიშვილი: დავთარი ქუთათისის საყდრის გამოსავალი ბეგრისა, შედგენილი 1578 წელს. 1— 72

განყოფილება მეოთხე

ე თ ნ რ ზ რ ა ზ ი ა

- I. ზღაპრები (შეკრებილი სევესტი გაჩეჩილაძის მიერ სოფ. წევაში ზემო იმერეთს):
 - 16*) კუდიანი დედაბერი და პატარა ბიჭი 1— 4
 17. უშილო ვაჭარი და ეშმაკი. 4— 7

*) ზღაპრები 1—15, მის მიერვე იქვე შეკრებილი, დაიბეჭდა „ძველი საქართველოს“ I-ელ ტომში.

VI

18. პატარა ეშმაკი და ბერები	7— 12
19. ყაჩაღის სინანული	12— 16
20. დიაკონი	16— 20
21. თორმეტთავიანი დევი	21— 26
22. სამი ძმა	26— 33
23. ვაჭრის ქალი	33— 42

II. ზღაპრები (გურიაში შეკრებილი კ. კალანდაძის მიერ):

24. ნადირობის სწავლა ბობშობიდან უნდა	43— 47
25. ვაჭარი	47— 54
26. აღმასის თვალი	54— 60

III. ზღაპრები (სოფ. ვაქირში შეკრებილი ვაქირელი ქალის მიერ):

27. სასწაულმოკმედი პერანგი	61— 69
28. სოვდაგარი	69— 75
29. ოქროსთმინი ვაჟი	76— 82
30. მზე-ქალა და მზე-ვარდა	82— 89
31. გაფუფქული მღვდელი	89— 99
32. ვაჟად ქცეული ქალი	99—109
33. ეშმაკი და ღმერთი	109—112

განყოფილება მეხუთე

„საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების“ კრებათა ოქმები 1913 წლისა, წლიური ანგარიში, სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვა, სარევიზიო კომისიის აქტი

Предисловіе.

Четвертый томъ „Древней Грузіи“ содержитъ въ себѣ пять отдѣловъ.

Въ первомъ отдѣлѣ помѣшенъ некрологъ Александра Ивановича Сараджева (1851 — 1914) съ портретами. Покойный былъ сынъ оберъ-офицера; родился въ Тифлисѣ. Образование получилъ въ Тифлисской первой гимназіи. Потомъ побывалъ на различныхъ факультетахъ въ университетахъ: Петроградскомъ, Казанскомъ и Кіевскомъ. Докончилъ образование за границею, въ Женевскомъ университетѣ, на факультетѣ социальныхъ наукъ.

Служилъ сначала въ управленіи Намѣстника Кавказскаго, потомъ въ Дагестанѣ по военно-народному управленію, затѣмъ былъ правителемъ канцеляріи Елисаветпольскаго губернатора, а впослѣдствіи совѣтникомъ губернскаго правленія въ Елисаветполѣ.

Общественная и литературная дѣятельность его была довольно разнообразна.

Въ 1878—1879 г.г. онъ принималъ дѣятельное участіе въ изданіи грузинской газеты „Дрозба“ и былъ однимъ изъ ревностныхъ ея сотрудниковъ, помѣщая въ ней критическія статьи. Въ то же время онъ состоялъ членомъ правленія Грузинскаго общества грамотности. Въ 1884 г. вмѣстѣ съ Ильею Чавчавадзе и Петромъ Умикашвили онъ издалъ классическое произведеніе „Висраміани“.

Съ 1901 по 1905 г. онъ былъ то редакторомъ, то издателемъ главной грузинской газеты „Иверія“. Статьи его появлялись и во многихъ другихъ грузинскихъ изданіяхъ. Самымъ цѣннымъ трудомъ покойнаго является изслѣдованіе о подложныхъ мѣстахъ въ знаменитой поэмѣ Руставели „Вепхисъ-ткао-

сани“, которое печаталось въ журналѣ „Моамбэ“ и конецъ котораго помѣщенъ въ семь изданій.

Въ 1907 году открылось „Грузинское Общество исторіи и этнографіи“. Александръ Ивановичъ былъ однимъ изъ основателей этого общества и первымъ его казначеемъ, а также хранителемъ музея и библіотеки. Отдавшись всецѣло этому новому культурному дѣлу, онъ неутомимо работалъ до конца своей жизни, и его энергіи и усердію мы обязаны преуспѣніемъ Грузинскаго музея. Въ лицѣ Александра Ивановича наше молодое общество потеряло незамѣнимаго сочлена.

Во второмъ отдѣлѣ помѣщены рефераты, читанные на общихъ собраніяхъ Общества. Изъ нихъ статья покойнаго А. И. Сараджева: „*Артануджскій вариантъ рукописи Венхисъ-ткаосани*“ (1—30), имѣетъ цѣлью доказать, что сообщеніе переписчика Петра Ларадзе отъ 1 января 1827 года, будто онъ списалъ текстъ съ древнѣйшаго варианта, найденнаго Георгіемъ Игнатьевичемъ Тумановымъ въ районѣ Артануджа, Батумской области, не соответствуетъ дѣйствительности. Легенда объ Артануджскомъ спискѣ, по мнѣнію референта, сочинена Петромъ Ларадзе. На самомъ дѣлѣ текстъ этого мнимаго Артануджскаго варианта списанъ съ печатнаго изданія царя Вахтанга VI-го 1712 г. со вставками стиховъ, сочиненныхъ Георгіемъ Тумановымъ.

Другая статья А. Сараджева: „*Судьба семьи одного крестьянина*“ (31—53), рисуетъ на основаніи подлинныхъ документовъ, какъ мѣстные феодалы Тархановы домогались завладѣть однимъ зажиточнымъ дымомъ крестьянина, пожертвованнаго Эртацмидской церкви въ 1684 г. Парсаданомъ Цицишвили, но долго не имѣли успѣха и только въ концѣ XVIII вѣка разными ухищреніями завладѣли имъ.

Третья статья А. Сараджева: „*Подложныя мѣста въ поэмѣ Венхисъ-ткаосани*“ (54—58), заключаетъ въ себѣ конецъ того главнаго труда автора, который онъ печаталъ въ журналѣ „Моамбэ“ за 1895—1901 г.г.

Четвертая статья С. Горгадзе: „*Грузинская простая рѣчь*“ (59—94), выясняетъ законы расположенія частей предложенія въ грузинской прозѣ. Указавъ, что сказуемое въ грузинской рѣчи обыкновенно стоитъ въ концѣ предложенія, авторъ доказываетъ, что остальные части предложенія располагаются передъ сказуемымъ по степени ихъ логическаго значенія и важ-

ности, т. е. тѣ части предложенія, которыя имѣютъ болѣе важное значеніе въ данномъ предложеніи, стоятъ ближе къ сказуемому, а тѣ, которыя имѣютъ второстепенное значеніе, располагаются дальше отъ сказуемаго. Статья даетъ интересныя наблюденія въ малоразработанной области грузинскаго синтаксиса.

Въ третьемъ отдѣлѣ Е. Такайшвили помѣстилъ цѣнный матеріалъ для соціальной и экономической жизни Грузіи XVI-го вѣка подъ заглавіемъ: „*Опись (даваръ) повинностей въ пользу Кутаисской церкви, составленная въ 1578 г.*“ (1—72). Это цѣлая книга, написанная церковнымъ письмомъ, въ которой перечисляются имена крестьянъ съ указаніемъ, что каждый изъ нихъ долженъ платить въ пользу церкви и какую повинность исполнять. Рукопись мѣстами немного дефектна. Въ сохранившейся части можно сосчитать 518 дымовъ крестьянъ, не считая тѣхъ, которые были внесены въ опись послѣ 1578 года.

Четвертый отдѣлъ занятъ народною словесностью. Въ этомъ отдѣлѣ помѣщены сказки, записанныя Севастіемъ Гачечиладзе въ Имеретіи, К. Каландадзе въ Гуріи и одною вакирскою дамою въ селеніи Вакири, въ Сигнахскомъ уѣздѣ, въ Кахетіи. Даю перечень сказокъ:

1. Старуха-вѣдьма и мальчикъ (1—4).
2. Бездѣтный торговецъ и чертъ (4—7).
3. Чертенокъ и монахи (7—12).
4. Раскаяніе разбойника (12—16).
5. Дьяконъ (псаломщикъ) (16—20).
6. Двѣнадцатиголовое чудовище (лэви) (21—26).
7. Три брата (26—33).
8. Купеческая дочь (33—42).
9. Охотѣ слѣдуетъ учиться съ дѣтства (43—47).
10. Торговецъ (47—54).
11. Алмазъ (54—60).
12. Чудодѣйственная рубашка (61—69).
13. Купецъ (69—75).
14. Мальчикъ съ золотыми волосами (76—82).
15. Солнце-дѣвушка и солнце-роза (82—89).
16. Ошпаренный священникъ (89—99).
17. Дѣвушка, превратившаяся въ мальчика (99—109).
18. Дьяволъ и Богъ (109—112).

Въ пятомъ отдѣлѣ помѣщены протоколы общихъ собраній и отчеты за 1913 г. (1—32).

Е. Такайшвили.

Préface.

Le quatrième volume de la «Géorgie ancienne» contient cinq sections.

Dans la première est placée la nécrologie d'Alexandre Saradjeff (1851—1914) avec plusieurs portraits du défunt. Alexandre Saradjeff, fils d'un officier, naquit à Tiflis. Il reçut la première éducation au premier gymnase de garçons. Ensuite il suivit les cours de plusieurs facultés dans les universités de Petrograd, de Kazan et de Kief. Il finit son instruction à l'étranger, dans l'université de Genève, à la faculté des sciences sociales. Il entra d'abord au service du Lieutenant du Caucase, ensuite au Daguestan, à l'administration militaire publique, plus tard à Elisabétopol en qualité de chef de cabinet du gouverneur et de conseiller du bureau départemental.

Son activité publique et littéraire fut très abondante.

En 1878—1879 il prit part à l'édition du journal géorgien „Droéba“ et fut l'un de ses collaborateurs les plus zélés, en y imprimant ses articles.

En même temps, il fut membre de l'administration de la société géorgienne pour la propagation de l'instruction. En 1884 il publia l'oeuvre classique „Visramiani“ avec Elie Tchavtchavadzé et Pierre Oumikachvili. De 1901 jusqu' à 1905 il fut tantôt rédacteur en chef, tantôt éditeur du journal géorgien „Ivéria“. Ses articles paraissaient dans plusieurs autres éditions géorgiennes.

Le plus précieux travail du défunt est la recherche des passages inexacts, qui se trouvent dans le célèbre poème de Roustaveli: „Vepkhis-tkaossani“, qui paraissait dans le journal „Moambé“ et dont la dernière partie est placée dans cette édition.

En 1907 fut organisée la société géorgienne d'histoire et d'ethnographie. Alexandre Saradjeff fut l'un des fondateurs de cette société, son premier trésorier, ainsi que conservateur du musée et de la bibliothèque. S'étant donné entièrement à cette oeuvre civi-

lisatrice, il travailla sans relâche jusqu' à la fin de sa vie. C'est à son énergie et à son zèle que nous devons la prospérité du musée géorgien. Dans la personne d'Alexandre Saradjeff notre jeune société a perdu un membre qui ne peut être remplacé.

Dans la deuxième section sont placées les conférences, lues dans les réunions générales de la société dont l'une, intitulée: „La variante d'Artanoudj du manuscrit de Vepkhis-tkaossani“ et qui est due à la plume d'Alexandre Saradjeff (p. 1—30), a pour but de prouver l'inexactitude de la communication du copiste Pierre Laradzé, datée du 1-er janvier 1827. Ce copiste avait transcrit le texte de la plus ancienne variante, trouvée par Georges Toumanoff dans le domaine d'Artanoudj du gouvernement de Batoum. La légende de la variante d'Artanoudj, selon l'opinion du conférencier, a été inventée par Pierre Laradzé. En effet, le texte de cette fausse variante d'Artanoudj a été copié de l'édition imprimée du roi Vakhtang VI et datée de 1712, avec l'intercalation de poésies, composées par Georges Toumanoff.

Le deuxième article d'A. Saradjeff: „Le destin de la famille d'un paysan“ (p. 31—53) représente, selon les documents originaux, de quelle manière les féodaux du pays Tarkbnichvili prétendaient à la possession d'un riche domaine appartenant à un paysan, consacré à l'église d'Ertatzminda en 1684 par Parsadane Tzitzichvili, mais pendant longtemps ils n'eurent pas de succès, et ce ne fut qu' à la fin du XVIII-ème siècle qu' ils le possédèrent, grâce à toutes sortes de ruses.

Le troisième article d'A. Saradjeff: „Les passages inexacts du poème Vepkhis-tkaossani“ (p. 54—58) contient la dernière partie du même important travail de l'auteur, qui fut imprimé dans le journal „Moambé“ en 1895—1901.

Le quatrième article de S. Gorgadzé: „Le langage géorgien usuel“ (p. 59—94) explique les lois de la disposition des parties de la proposition dans la prose géorgienne. Après avoir démontré que dans la langue géorgienne le verbe se place à la fin de la phrase, l'auteur prouve que les autres parties de la proposition se placent devant le verbe selon leur valeur et leur importance logique, c'est-à-dire, que les parties, qui ont une valeur plus importante dans la proposition, se placent plus près du verbe, et celles, qui ont une importance secondaire, sont placées plus loin. L'article donne des remarques intéressantes dans le domaine peu exploré encore de la syntaxe géorgienne.

Dans la troisième section E. Takaïchvili a placé des matériaux sur la vie sociale et économique de la Géorgie au XVI^e siècle, intitulés: „Inventaire des contributions au profit de l'église de Koutais, écrit en 1578“ (p. 1—72). C'est un livre entier, écrit d'une écriture ecclésiastique, où sont énumérés les noms des paysans avec l'indication de ce que chacun devait payer au profit de l'église et quelle charge il devait remplir. Le manuscrit est un peu détérioré. Dans la partie intacte on peut compter 518 feux de paysans, sans compter ceux, qui furent inscrits dans l'inventaire après 1578.

La quatrième section est occupée par la littérature populaire. Dans cette section sont placés des contes, recueillis par Sébastien Gatchétchiladzé en Imérétie, par K. Kalandadzé en Gourie et par une dame du village de Vakiri. Je donne la liste des contes:

1) La vieille sorcière et le garçon (p. 1—4). 2) Le marchand sans enfant et le diable (4—7). 3) Le diabolotin et les religieux (7—12). 4) Le repentir du brigand (12—16). 5) Le diacre (16—20). 6) Le monstre à douze têtes — „dèvi“ (21—26). 7) Trois frères (26—33). 8) La fille du marchand (33—42). 9) Il faut apprendre à chasser dès l'enfance (43—47). 10) Le marchand (47—54). 11) Le diamant (54—60). 12) La chemise miraculeuse (61—69). 13) Le marchand (69—75). 14) Le garçon aux cheveux d'or (76—82). 15) Le soleil—jeune fille, le soleil—rose (82—89). 16) Le prêtre ébouillanté (89—99). 17) La fille transformée en garçon (99—109). 18) Dieu et le diable (109—112).

Dans la cinquième section sont placés les comptes-rendus des réunions générales de la société et ceux de l'année 1913 (p. 1—32).

E. Takaïchvili.

ბანყოფილება პირველი

ნეკროლოგი

† ალექსანდრე ივანეს ძე სარაჯიშვილი

(1851—1914)

შარშან ზატუსულს, ივნისის 1-ელს, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას ძნელად ასანაზღაურებელი ზარალი მოუვიდა. უღმბობელმა სიკვდილმა ხელიდან გამოსტაცა საუკეთესო მუშაკი, ალ. ივ. სარაჯიშვილი.

განსვენებული ობეროფიცრის შვილი იყო. დაიბადა 1851 წელს, ქალაქს ტფილისში. წლინახევრისას მამა გადაეცვალა და დედის ანაბარა დარჩა (დედა ალექსანდრესი გერმანელი ქალია. ეხლაც ცოცხალია), მაგრამ მანაც უმამობა არ უგრძობია; დაობლებულს ოჯახს ხელი წაშველა ბიძამ, ვასილ გრიგოლის ძემ სარაჯიშვილმა, რომელმაც, როგორც ალექსანდრეს დედამ გადმოგვცა, დიდი ამაგი დასდო ალექსანდრეს სწავლა-აღზრდაზე.

როცა ბავშვი ჰატარა წამოიზარდა, რუსული სწავლა დააწეობინეს. ალექსანდრე ცოცხალი და გონიერი ბავშვი იყო, მალე შეისწავლა რუსული წერა-კითხვა და ბიძამ რუსული საუმაწვილო ჟურნალები გამოუწერა. ბავშვი ისე გაფარჯიშდა წერა-კითხვაში თურმე, რომ ჰატარ-ჰატარა სახუმარო მოთხრობებისა და კომედიების წერაც კი დაიწყო. მალე ვასილ გრიგოლის ძემ ფრანგული ენის მასწავლებელი მიუჩინა თავის ძმისწულსა და ჰატარა ალექსანდრემ ფრანგულადაც დაიწყო დაჰარაკი.

შინ უკვე საკმარისად მომზადებული ბავშვი ახლა ტფილისის ჰირველ გიმნაზიაში მიაბარეს. ეს გიმნაზია ალექსანდრემ 17 წლისამ გაათავა (1868 წ.) და ჰეტროგრაფის უნივერსიტეტში იურიდიულ ნაწილის საადმინისტრაციო განყოფილებაზე შევიდა, მაგრამ აქ დიდხანს არ დარჩენილა: 1869 წელს სტუდენტებმა ურჩილობა მოახდინეს და უნივერსიტეტის ადმინისტრაციას მოსთხოვეს სტუ-

დენტებისათვის სასაღილოს გახსნა და სტიპენდიების განწილების უფლების გადმოცემა სტუდენტების ხელში. ამ ურილობაში ალექსანდრე იღებდა მონაწილეობას. როგორც ალექსანდრეს ერთი დოკუმენტიდანაა სჩანს, ურილობის მონაწილენი დაიბარეს უნივერსიტეტის სამჯაგროში და მოსთხოვეს ხელმოწერილი პირთა მიცდათ, რომ სხვა დროს აღარ მიიღებდნენ ურილობაში მონაწილეობას. ალექსანდრემ ცივი უარი უთხრა ამ პირობის მიცემაზე და სამჯაგროს განუცხადა, შემდეგშიც მივიღებ მონაწილეობას ურილობაში. უნივერსიტეტის სამჯაგროს გადაწვევით, რომელიც უნივერსიტეტის საბჭომაც დაამტკიცა, აღ. სარაჯიშვილი სხვა სტუდენტებთან ერთად გამოირჩეს და პეტროგრადის უნივერსიტეტში ხელმოკრედ შესულა აღუკრძალეს. 1870 წლის თებერვლის 25-ს უმაღლესის ბრძანების ნებართვით, ალექსანდრე უზანის უნივერსიტეტში შევიდა საფიზიკოსმათემატიკო ფაკულტეტის ბუნებისმეტყველობის განყოფილებაზე, მაგრამ დიდხანს არც აქ დარჩენილა. 1870 წელსვე ალექსანდრემ ავადმყოფობის გამო უზანის უნივერსიტეტს თავი დაანება. 1871 წ. კიევის უნივერსიტეტში შევიდა იურიდიულ ფაკულტეტზე. მაღე ალექსანდრე ამ უმაღლეს სასწავლებლიდანაც გამოვიდა. უცხოეთში ვერა სძლებდა, დარდობდა და სამშობლოსაკენ მოიბრძოდა. დახლოებით 1873 წელს აღ. სარაჯიშვილმა კიდევ სცადა ბედი და ახლა ქენევიში გაემგზავრა. ერთხანად აქედანაც აპირობდა თურმე წამოსვლას, გული კიდევ ეურჩებოდა, არ უღებოდა უცხო ქვეყანაში, მაგრამ დედისა და ბიძის ხატრმა თავი შეაკაუბინა და, როგორც იყო, სამი წელიწადი დაჭყო ქენევის უნივერსიტეტში სიტყვიერების ფაკულტეტზე (Faculté des Lettres). აქ ალექსანდრე გულხელდაკრეფილი არ ყოფილა. ქენეველ სტუდენტთა ცხოვრებაში დიდს მონაწილეობას იღებდა. კითხულობდა ფრანგულად მოხსენებებს მშობლიურს ლიტერატურაზე და ჩვენის საუკეთესო მწერლების საუკეთესო ნაწარმოებთა ნიმუშებს უცხო ერის შვილთ აცნობებდა. 1876 წლის მარტის 14-ს ალექსანდრემ სოციალურ მეცნიერებათა დიპლომატიის დიპლომი მიიღო ქენევის უნივერსიტეტში და სამშობლოსკენ გამოსწია.

შინ დაბრუნებული ალექსანდრე ძალიან კრიტიკობდა სახელმწიფო სამსახურს, მაგრამ მაინც არ ასცდა. ცხოვრებაში აიძულა. პირველად



ალ. ივ. სარაჯიშვილი ბოლო ხანებში

თავისი ნამდვილი სამსახური იმიერ კასპიის მხარის წითელის ჯვრის რაზმში დაიწყო. მანამდე 1872 წლიდან მთავარმართებლის მთავარის გამგეობის სამსახურში ითვლებოდა. წითელი ჯვრის რაზმში თავის მოვალეობას აღექვანდრე სინიღისიერად და ალაღად ასრულებდა, რის გამოც მთავრობის დიდი მადლობაც დაიმსახურა.

1885 წელს აღ. სარაჯიშვილი დაღესტნის ოლქში გაწვესეს. ამ მხარეში 1887 წლამდე სახალხო სამმართველოს თავმჯდომარის მოვალეობას ასრულებდა. 1888 წელს აღექვანდრემ (დაღესტნის ოლქშივე უოფნის დროს) ცოლი შეირთო. 1894 წელს განჯის გუბერნიაში გადაიყვანეს და ჯერ საგუბერნიო კანცელარიის გამგედ დანიშნეს, მერე 1896 წლიდან საგუბერნიო მმართველობის წევრად. 1901 წელს სამსახურიდან გამოვიდა და ტფილისში გადმოსახლდა. ამავე ხანს სოხუმის ქალაქის თავად აირჩიეს, მაგრამ ადმინისტრაციამ არ დაამტკიცა.

აღ. ივ. სარაჯიშვილი არ კმაყოფილდებოდა მარტო თავისი პირადი, კერძო ცხოვრებით და მხურვალე მონაწილეობას იღებდა ქართულ საზოგადო საქმეებში. განსვენებული ფეხდა-ფეხ მისდევდა თანამედროვე საუკეთესო მამულიშვილებს და თავისი წვლილი შეჰქონდა სამშობლო ქვეყნის განების საღაროში. 1879 წ. დაარსდა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება და სხვებთან ერთად ამ საზოგადოების გამგეობის წევრად აღ. ივ. სარაჯიშვილიც იქმნა არჩეული. 1878 წლის დამლეუს და 1879 წლის განმავლობაში გაზეთს დროებაში თავის კრიტიკულ წერილებს ათავსებდა. დროება მშინ სერგი მესხის რედაქტორობით გამოდიოდა. 1884 წ. ილ. ჭავჭავაძესთან და პ. უმიკაშვილთან ერთად განსვენებულმა მე-XII საუკუნის წათარგმნი ნაწარმოები «ვისრამიანი» დაბეჭდა ვარაინტების ჩვენებით და შიგ წინასიტყვაობაც ჩაურთო. 1895 წლიდან თავის უმთავრესი შრომის, «ვეფხისტყაოსნის უაღბი ადგილების», გამოქვეყნება დაიწყო და დრო გამოშვებით ჟურნალ «მთაბეში» ჰბეჭდავდა. უკანასკნელი წერილი ამ შრომისა 1901 წლის ჟურნალ «მთაბის» მე-V ნომერში მათავსა. 1901 წლის დამლევიდან დაწეებული 1902 წლის ივლისამდე აღექვანდრე გაზეთს «იკრიას» რედაქტორობდა. ამ დროს ილია ჭავჭავაძე ჯერ კიდევ გამო-

მცემლად ითვლებოდა. შემდეგ განსვენებული 1903 წლის ივლისში-
დე «ივერიის» რედაქტორიც იყო და გამომცემელიც. 1903 წლის ივ-
ლისიდან დაწყებული კი 1905 წლის 12 მარტამდე მარტო გაყე-
თის გამომცემლად ითვლებოდა.

აღექსანდრე სხვა ჰერიოდულ გამომცემებშიაც ათავსებდა თავის
ნაშრომებს (იუმორისტულ ხასიათის წერილებს, ნათარგმნს მოთხრო-
ბებს და სხვ.). სხვათა შორის, თანამშრომლობდა ფასკუნჯში და სს-
ემაწვილო ჟურნალ ჭეჭილში. თავის სიცოცხლის უკანასკნელ წელს
კი ჟურნალ კლდეში ჰბეჭდაცა ხან ფრანგულიდან ნათარგმნს მო-
თხრობებს და ხან თავის ჰატარ.ჰატარა მარლიანის იუმორისტულ
არაკებს და ნამცვრევებს ცნობილ აესკოდონიმ „რომ ბაბა“ თი.

განსვენებულმა, როგორც საქართველოს წარსულის დიდებულის
ნაშთების მოყვარემ, მხურვალე მონაწილეობა მიიღო «საქართველოს
საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების» დაარსებაში. დამთუ-
ძნებელ კრებაზე ხაზინადრად იქმნა არჩეული და შემდეგ კიდევ, რო-
ცა საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მუ-
ზეუმ-წიგნთსაცავს სპირაკველი ჩაეყარა, მუზეუმ-წიგნთსაცავის გამ-
გედ. 1907 წლიდან მოყოლებული, ე. ი. სსენებულის საზოგადო-
ების დაარსების დღიდან, თავის უკანასკნელ დღეებამდე ხელი არ შე-
უჩერებია, დაულაღავად იღვწოდა: იკვლევდა ძველ ხელნაწერებს, კი-
თხულობდა რეფერატებს საზოგადოების წევრთა კრებებზე და მერე
წაკითხულს საზოგადოებისვე გამომცემში — ძველ საქართველოში“,
ათავსებდა (განსვენებულის ერთი რეფერატი 1914 წლის ჟურნალ
«კლდეშიც» დაიბეჭდა).

განსვენებული საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო
საზოგადოების ერთი დედაბოძთაგანი იყო. როგორც ხაზინადარი გულ-
მოდგინედ აწარმოებდა შემოსავალს და გასავალს და ძირითადად თანხას
ქმნიდა საზოგადოების დამოუკიდებელ არსებობისთვის. საზოგადოე-
ბის თავმჯდომარეს საზოგადოების ყოველ საქმეში მხარდამხარ მის-
დევდა და ქართულ მუზეუმს ამდიდრებდა და ამშვენებდა; რო-
გორც ჰინაშო შვილს ისე შეჰხარადა, სათუთად ეპყრობოდა. ყოვე-
ლი მუზეუმში შემოსული ნივთი აღტაცებას ჰკვირვებდა განსვენებულს.
სახე უდიდოდა და უბრწეინაგდა, როცა მუზეუმს რამე ემატებოდა;



ალ. ივ. სარაჯიშვილი შუა ხანში



ალ. ივ. სარაჯიშვილი უნეველი
სტუდენტი

თავის საქმიანობით სხვასაც ჰხიბლავდა, ამხნეებდა, ახადისებდა და საქმის სიუფარულს უნერგავდა გულში.

ძნელად თუ ვინმე შეხვდებოდა სადმე ამისთანა ადამიანს. ჩუმი გმირი იყო, უხეცარო. ჩუმი იწირებოდა მსხვერპლად. საქმეს საქმისათვის აკეთებდა და არა სახელისათვის. ეჭვარებოდა მეფიროლა უქნარა ხალხი და მათი არაფერი სწამდა რა. ცდილობდა რაც შეიძლება მეტი საქმე გაეკეთებინა და ნაკლები ელაშარაყნა. მახლობლები ვხუდავდით ამას და შევხაროდით, იმედი გვექვოდა. მაგრამ ჩვენს სიხარულს უწყალო ბედმა ბოლო მოუღო: დიდი მოღვაწე და მოამაგე დაგვარკეთ.

აღექსანდრეს დასაფლავება სადად, უბრალოდ იყო მოწყობილი. განსვენებულს მიცვალებულის დიდის ამბით დამარხვა არ მოსწონდა. მე რომ მოგვედო, უთქვამს ხშირად მახლობლებისათვის აღექსანდრეს, რაცა კი ღამარაკი ჩამოვარდნილა ვისიმე დასაფლავებაზე, ნურც გვირგვინებს დამაღებთ, ნურც სიტყვები იქნება ჩემს საფლავზე, თუ მაინცა და მაინც არ მოიშლით, თითო ბღუჯა უვადო დამაყარეთო. ასეც მოხდა. აღექსანდრეს ანდერძი არავის გაუტყვია. განსვენებულის კუბოს მარტო უვადოები ამკობდა. საფლავის პირსაც თავისი მწუნარება უვლამ ღუმლით გამოხატა. სიჩუმე მხოლოდ საქართველოს საისტორიო და საეინოგრაფიო საზოგადოების თავმჯდომარემ დაარღვია. მწუნარებით აღსავსემ, ვერ მოითმინა, ხმა ამოიღო და სიტყვა სთქვა, სიტყვა, რომელიც ნამდვილი უცრემლო მწარე მოთქმა იყო, გულდიან ამონაგონისი მოთქმა შეკობარ-ამხანაგის დამკარგველ ადამიანისა.

— ძმაო აღექსანდრე! — მიმართა ცხედარს ბ-ნმა თავმჯდომარემ. — სიჩუმე გიუფარდა და სიჩუმე სუფევს შენს დასაფლავებაზე. წუნარი იყავი და წუნარად მიდიხარ სამარეში. შენ მიერ ნამატევი „საქართველოს საისტორიო და საეინოგრაფიო საზოგადოება“ უკანასკნელად გეთხოვება ეს ჩვენი გამოთხოვება ვერ დაარღვევს იმ მუდრობას, რომელიც აქ ახლა შენს გარშემო სუფევს. შენს სიტყვებში შენი ღვაწლი არავის დაუფასებია, ესლა მაინც ნება გექონდეს ორიოდ სიტყვით, სულ მოკლედ, ადვინმნით ვინ დაგვარკეთ, ვის ვეთხოვებით. შენის სიკვდილით ქართველ საზოგადოებას მოაკლდა უდიდესი გულშემატყვიარი, თავის წვდილის შემტანელი საზოგადო და საეროვნო საქმეში, მოაკლდა მტკიცე ხსიანთის მქონე ადამიანი, სპეტაკი ზნეობის ჰატრანი, ჩუმი, მაგრამ მეღვარი მუშაკი

საზოგადო საქმისა. კერძოდ ჩვენს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას მოაკლდა ბურჯი, რომელზედაც დამუარებული იყო ამ საზოგადოების წარმატება. აწ შენ აღარავის შეაწუხებ საწევრო ფუნდის მოთხოვნით, აღარავის შეხვდები მუზეუმში თავის ლიბოიერი დიმილით, აღარავის უჩვენებ თავისებურის ალერსით შენ მიერ ხელმოწერად დაკიდულს სურათებს, აღარავის აუხსნი შენ მიერ დალაგებულის ნივთების მნიშვნელობას. აღარ გვეყვანარ აღმინი, რომელიც თავს დასტრიალებდი ამ ჩვენს ნორჩს საზოგადოებას, რომელიც დღე და დამ ამ საზოგადოების კეთილდღეობაზე ზრუნავდი, ამ საზოგადოებაზე ფიქრობდი და მისი წარმატება გაგახდა თავის მრწამსად, თავის მისწრაფებად, თავის იდეალად. მერმე რა დროს გვიმუხთლა ბეღმა? რა დროს მოგვაშორა შენი თავი? სწორედ იმ დროს, როდესაც მუზეუმში დღით-დღე ზრდაშია, როდესაც მუზეუმის შენობის საკითხი კისერზე გვაწევს, როდესაც დავით სარაჯიშვილის ანდერძის საქმე არ დაგვიმთავრებია და როდესაც უველანზე უფრო გვესაჭიროებოდა შენისთანა გამოცდილი, შენისთანა პრაქტიკის მქონე, მუყაითი და უნგარო მუშაკი. მაგრამ „ბედი უბედო ჩვენზედა, ხომ, არ ახალა, ძველას!“ შენ მით განიჩიედი სხვებისაგან, რომ სახელისათვის არ შრომობდი, შემ მხოლოდ მოვალეობა გამოუშავებდა, შენ უოველთვის თვით საქმე გქონდა მიზნად და არა პატივმოყვარეობა, შენგან არავის სმენია ქართული „მე“, შენ შენს პირადობას უოველთვის მალავდი, შენ კარგად შეგნებული გქონდა, რომ იქ, სადაც უველა ბელადობს და ჯარის კაცი არ არის, საქმე არ გაკეთდება. სიძლიერე ჩვეულებრივს საერთო გულწრფელს მუშაობაშია. დიად, სახელს არ ეძებდი, მაგრამ სახელი კი მოიხვეჭე და შენი სახელი და ხსოვნა უკვლავი იქნება, სინამდის არსებობს შენ მიერ სულჩადგმული ქართული მუზეუმი. მშვიდობით ჩემო გულითადა ამხანაგო, პატიოსანო აღმინო, კაცურო კაცო, მხნეო მუშაკო და ღირსეულო მამულიშვილო! მშვიდობით!

დამთავრა ბ-ნმა თავმჯდომარემ სიტუვა და მახლობელი გულდათუთქული მიშორდნენ მწარე სინამდვილეს, — სამარეს, რომელმაც მიიბარა ფსლადულებული და დაუფიქარი აღმინის გვამი.

ირ. სონლულაშვილი.



ალ. ივ. სარაჯიშვილი
გიმნაზიელი

განყოფილება მეორე

რეფერატები და გამოკვლევანი

I

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების ბიბლიოთეკაში ინახება ხუთი ხელთნაწერი „ვეფხისტყაოსანი“¹⁾, ეგრეთ წოდებულის არტანუჯის ვარიანტისა, დაწერილი მეცხრამეტე საუკუნის ოციანს, ოცდაათიანს და ორმოციან წლებში.

ამ ხუთს წიგნში დედნად უხდა ჩათვალეს უადრესად დაწერილი (1827 წ. № 4732) ცნობილის მელექისის ჰეტრე ლარაძისაგან, რომელიც თავის ნაშრომის ბოლოს გვაუწყებს საიდან წარმოსდგა თვით არტანუჯის ვარიანტი: „თუმცა, ამბობს ლარაძე, იუწუნეს წიგნი ვეფხისტყაოსნობით კობილნი, საქართველოს შინა ბეჭდილნი და კელწერილნიცა, გარნა ფრიად განრუჴნილნი და არად სკამარნი. ამისთვის მისცემოდა გულს მოდგინება თავადს სტატკის სოფეტნიკს და კავალერს თუმანოვს გიორგი ეგნატის ძეს, და მოიპოვა უძველესი ნაწერი ვეფხისტყაოსანი კერძოთა არტანუჯისათა, და ესე მე ჰეტრე უარიბმან ლარაძემან მრავლითა შრომითა და ღწაწლის დადებითა მუნთ გარდმოგწერე. იანვრის ა-სა დღესა ჩუგ-სა წელსა“.

ესრედ, ჰეტრე ლარაძის მოწმობით, უოფილა თურმე უძველესი ნაწერი „ვეფხისტყაოსანი“ არტანუჯში ნაპოვნი, და ლარაძის ხელთნაწერი მისი პირია. სამწუხაროდ, თვით დედანი, „კერძოთა არტანუჯისათა“ ნაპოვნი, აქამდის არსად ამოჩნდა, თუმცა გიორგი თუმანიშვილის სახლში ასეთი განძი არ უნდა დაკარგულიყო. გიორგი თუმანიშვილი სცხოვრებდა მე-XVIII საუკუნის დამლევეს და მე-XIX-ის დასაწყისში, იყო შვილი ცნობილის ორთავე მეფის მდივნის ეგნატისა და, როგორც თუმანიანთ გვარს შეეფერება, იყო კაცი სწავლის მოყვარული, წიგნისათვის მოცდილი და მელექსე, რსტის გუშებისა და

*) წაკითხულია ასაქ. საისტ. და საეთნ. საზოგადოების ჩვეულებრივს საზოგადო კრებაზე 1914 წელს, მარტის 27-ს.

1) №№ 4732, 1586, 2686, 2781 და 305.

მუსტაფადების მთქმელი. სამსახურში სწინა ადგილი ეჭირა, საბა-
ჟოს მართველობა ჰქონდა მიბარებული და მთავრობისაგან მიჩნეული
იყო¹⁾.

საკანებელია, თუ არტანუჯის ვარიანტის დედანი არ იპოვება,
ჰეტრე ლარაძის და გიორგი თუმანიშვილისთანა კაცების მოწიბობა ს-
კმარისს თავდებად უნდა ჩათვლილიყო, რომ სტატკის სოვეტნივის
თუმანიშვილის მიერ მოპოვება ვეუხის ტუასნის უძველესის ნაწიკისა,
კერძოთა არტანუჯისთა უტყუარი ფაქტია. მაგრამ ამ დედნის ჰირი,
ლარაძის გადმოღებული, ისეთის საეჭვო ღიჩსებისსა, რომ მისს მკი-
თხველს გუღს ეჭვი შეუვა თვით დედნის სიძველეზე და არსებობა-
ზედაც.

ჩვენი საზოგადოების ჰტივცემულმა თავმჯდომარემ, რომელ-
მაც აღწერა²⁾ ზემოხსენებული ხუთი ხელთნაწერი, ეჭვის თვალით
შეხედა ეგრეთ წოდებულს არტანუჯის ვარიანტს: „Объ *артамудж-
скомъ спискѣ*, ამბობს ბ. ექვთიმე თაყაიშვილი, если онъ на самомъ
дѣлѣ существовалъ и былъ древнѣй, по копїи Ларадзе трудно
судить. Съ древнимъ текстомъ не вяжется употребленїе формы
мѣфа, вмѣсто мѣфу, впервые наблюдаемое у царевича Вахушта,
равно какъ пропускъ союза да передъ четвертымъ стихомъ ка-
ждой строфы и примѣненїе ѱ, которое ведетъ начало съ като-
ликоса Антонїа I. Однако можно полагать, что эти и подобныя
мнѣнїя были внесены въ древнѣй текстъ Петромъ Ларадзе, что
можно подтвердить и другими текстами, списанными тѣмъ же
лицомъ съ древнихъ рукописей. Такїя измѣненїя и такую орео-
графїю примѣняли всѣ лучшіе переписчики XVIII и XIX вѣковъ,
какъ, напримѣръ, извѣстный книжникъ и каллиграфъ Давидъ
Ректоръ. Можно думать, что Ларадзе не измѣнялъ порядка и
количества строфъ древняго списка. Дѣйствительно, за арта-
муджскимъ спискомъ или, лучше, за копїей Петра Ларадзе, мо-

¹⁾ მთავარმართებელი პ. ციციანოვი ასე იხსენიებს ეგნატი და გი-
ორგი თუმანიშვილებს ხელმწიფის წინაშე: Преданы всегда были серд-
цемъ и душою Россїи; а послѣднїй таможеннымъ директоромъ
и вездѣ усердїе оказываегъ. Акты Арх. ком. II т. стр. 178.

²⁾ Е. Такайшвили, Описанїе рукописей О-ва распространенїя
грамотности ср. груз. населенїя, т. II, стр. 580.

жно признать то достоинство. что послѣдняя не вноситъ въ текстъ тѣхъ вставокъ и продолженій, которыя наблюдаются во всѣхъ рукописяхъ XVII вѣка. Но и въ этомъ отношеніи значеніе ея не выше значенія изданія царя Вахтанга VI 1712 г.“

ერთი „მუშტრის თვალის“ გადავლებაც კმაროდა, რომ გამოჩინდიყო არტანუჯის ვარიანტის საეჭვო ღირსება, და უეჭველად მისს ფუჭობაზედაც დარწმუნდებოდა ჩვენი გამოცდილი მკვლევარი, ვარიანტის ტექსტი რომ გაუნხრია.

მაგრამ ახლა არტანუჯის ვარიანტის ღირსების დაფსება გადავიღა. რადგანაც ხელში ჩაგვიფარდა მისი დედანი. კნენა ანა ალექსანდრეს ასულმა ამილახვრის ქვრივმა შემოსწორა ჩვენს ბიბლიოთეკას ერთი ხელთნაწერი „გუფხის-ტუაოსანი“, რომელსაც გუწოდოთ ამის გამო „ამილახვრისეული“, და რომელიც არის დედანი ან, უკეთ რომ ვთქვათ, სამზარეულო (ლაბორატორია) არტანუჯის ვარიანტისა.

ამილახვრისეული ხელთნაწერი არის ჩვეულებრივი in folio, ზომით 43,5 × 31,5 სანტიმეტრისა, შავის ტყავით გადაკრული, დაწერილი თეთრს ქაღალდზედ, რომელსაც უზის წყლიანი ნიშანი თარიღისა 1819, წიგნი შეიცავს 489 გვერდსა და მისი სარჩევი 7 გვერდს. ეს არის ჰირო ვახტანგ მეფის გამოცემულის „გუფხის-ტუაოსნის“, რაიცა სწინს ჰოემის ტექსტიდან (იგივე 1589 ხანა) და ვახტანგის „თარგმანიდან“, რომელიც დაერთვის ჰოემს. წიგნი გადაწერილია დავით რექტორის ხელით, მისის შვენიერის მრგვალის მხედრულით, რასაც ცხად ჰყოფს მისივე მინაწერი ჰოემის ბოლოს: „დიდება ღმრთისა, სრულ-მოთქმულსა უოფლისა კეთილისასა! სრულ იქმნა ძალითა ღმრთისათა გუფხის ტუაოსანი. აღუქსწერე მე კეთილ-შობილმან ალექსის ძემან რექტორმან დავითმან მისის ბრწეინჭალების სტატუსკის სოვეტნიკის და კავალერის ეგნატის ძის თავადის გიორგის თუმანოვისათჳს. თთჭესა ფებერჭარსა რიცხჳსა კა, წელსა ჩუბტ, ჳჳს ფია“.

ამ მინაწერს მისდევს გიორგი თუმანოვის ხელით მინაწერი: „კნიაზ გიორგი თუმანოვმა აჩუქა კნენა ბარბარე ქობულაოვისას წელსა ჩუბტ, დეკემბრის ით“.

ორმოდის წლის შემდეგ თვით კნენა ბარბარე ქობულაოვისა მო-

წიბოს ამ ჩუქებას თავისი მინაწერით, რომელიც ჩართულია ჰოემის პირველი თავის ბოლოს. აი ეს შესანიშნავი მინაწერიც, რომელიც მოულოდნელს შუქს ჰფენს არტანუჯის ვარიანტს:

„ღმერთმან სასუფეველი მისცეს კნიაზ გიორგი ეგნატეს ძეს თუმანოვს. ეს ვეფხის ტყაოსანი დააწერინა დავით რეკტორს, რომელიც პირველი მწერალი იყო ქართულისა. მაგრამ ზოგიერთი სიტყვები წამხდარი იყო ძველის მწერლებისაგან, თითონ გა[ა]კეთა და გამოცვალა ძალიან ჩინებულათ, ასე რომ უთუოდ რუსთაველისაგანაც ასე იქნებოდა. და ამისი პირი სხვა დააწერინა თავისთვის და ეს მე მანუქა. რაც ცარიელი ქაღალდებია დარჩენილი, ამაში დახატვა უნდოდა, მაგრამ ვეღარ შეასრულა. წელს 1867, ივლისის სამსა. ბარბარე ქობულაძისა“.

ეს გიორგი თუმანიშვილის „გაკეთებული და გამოცვლილი ვეფხის-ტყაოსანი“ ჰეტრე ლარაძის ხელთნაწერს რომ შეგადართ, ისეთი სრული მსგავსება აღმოჩნდება, — გარდა წვრილმანის და უმნიშვნელო განსხვავებისა, — რომ აუცილებლად უნდა დავსკვნათ, რომ ჰეტრე ლარაძის ხელთნაწერი პირია ამილახვრისეულის „ვეფხის-ტყაოსნისა, ეკების სწორედ ის „სხვა პირი“, რომელიც, ბარბარე ქობულაძის მოწმობით, თუმანიშვილმა „თავისთვის დააწერინა“. მაშასადამე, სხვა საბუთიც რომ არა გვექნდეს, სიმართლით შეკვიძლიან ვამტკიცოთ, რომ ის წარჩინებული „უძველესი ნაწერი ვეფხის-ტყაოსანი, კერძოთა არტანუჯისათა ნაპოვნი“ არის მხოლოდ ან გიორგი თუმანიშვილის ან და, — რაც უფრო დასაჯერებელია, — ჰეტრე ლარაძის მოგონილი ლექსი.

ჩვენ არავითარი საბაბი არა გვაქვს, რაიმე ეჭვი შევიტანოთ ბარბარე ქობულაძის მოწმობაზე, რომელიც წრთელის და უბრევილო გულთ ნატრულბის თუმანიშვილის ცხონებას იმისთვის, რომ ჰოემის ტექსტი „თითონ გააკეთა და გამოცვალა ძალიან ჩინებულად, ასე რომ უთუოდ რუსთაველისაგანაც ასე იქნებოდა“. მაშასადამე არც თუმანიშვილს უთქვამს მისთვის რაიმე არტანუჯის ვარიანტზე და არც თვით ბარბარე ქობულაძისა გაუგონია, თუმცა წიგნის ჩუქების შემდეგ (1828 წ.) მის მინაწერამდე (1867 წ.) განვლო ოცდა ცხრა-მეტემა წელი. უეჭველია თითონ გიორგი თუმანიშვილიც აღნიშნულა

თავის გასწორებულს ,,ვეფხისტყაოსნში“ ისეთს დიდსა, შესანიშნავს და არაჩვეულებრივს მოვლენას, როგორც არის ჰოემის ,,უძველესის ხელნაწერის“ ჰოვნა, რომლის წყალობითაც გარეუნილი და არად სახმარი ტექსტი ჰოემისა გასწორდა. თუმანიშვილი კი ერთი სიტყვითაც არ იხსენიებს ასეთს ამბავს. მაგრამ მაინც ვთქვათ, ვითამც გ. თუმანიშვილმა რაიმე განზრახვით მოატყუა ბარბარე ქობულაშვილისა, მიითვისა თავის სასიქადულოდ სხვისი შრომა, და გაბრევიებული მანდილოსანი ჩვენც გვატუებს bona fide. ამიტომ დავიჯეროთ, ვითამც ამილახვრისეული ,,ვეფხისტყაოსანი“ თვით თუმანიშვილის ,,გაკეთებული და გამოცვლილი“ კი არ არის, არამედ, როგორც ამბობს ლარაძე, ,,გარეუნილი და არად საკმარი“ ტექსტისა ჰოემისა, შევსებული და გასწორებული ,,კერძოთა არტანუჯისათა ნაჰოვნის, უძველეს ნაწერის“ მიხედვით, და გამოფიკვლიოთ ვარიანტის დირსება თავით თვისით.

II

ამილახვრისეულს ხელთნაწერში იშვიათად ნახავთ ისეთს ხანას, სადაც თუმანიშვილს არ შეეცვალას ზოგან ასო, ზოგან სიტყვა, ზოგან ნახევარი ლექსი და ზოგან მთელი ლექსი. მაგრამ ყველაზე შესანიშნავი ცვლილება, რომელიც მოუხდენია თუმანიშვილს ჰოემის ტექსტში, ეს ჩვიდმეტეტი ახალი ხანაა სხვა და სხვა ადგილას ჩამატებული. ჩვენც პირველად ამ ხანების განხილვას შევუდგეთ.

1

ეს ხანები სწორედ იმ ადგილს არიან ჩართულნი, სადაც ვახტანგ მეფის გამოცემულს ჰომეში ცხადად სჩანს მოთხრობის ნახტომი და სადაც უეჭველია ერთი რომელიმე ხანა გამოშვებული იყო. აი პირველი ნიმუში ასეთის ჩამატებისა, რომელიც შეეხება ტარიელის პირველად გამოჩენის ამბავს, როცა როსტეფან მეფემ და ავთანდილმა ,,ნახეს უცხო მოემე ვინმე“... .., ნახეს და ნახვა მოუნდათ

უცხოს სანახვისა“, —სე თავდება მე-85 (39) ხანა¹⁾, და ამას მოსდევს შემდეგი მე-86 (39) ხანა, რომელიც იწყება: „მოვიდა მონა საუბრად მის ემისა გუდმდულარისად“. ბევრს ჰგონია, რომ ამ ორს ხანას შუა აკლია მეფის ბძანება ვეფხის-ტყაოსნის მოსაყვანად. ხარვეზი მეტადრე თვალსჩინა თუ მე-86 იწყება: „მოვიდა მონა საუბრად“ და არა „წავიდა“. თუმანიშვილს ეს ნაკლი ასეთის ხანით ამოუყვია:

როსტევეან ჰსჭურეტლა მას ყმასა, გლახ დილად განჰკკრებული
უბრძანა მონას მიდიო, ვინ არს მზებრ განათლებული
მოვიდეს ვნახოთ შევიტებოთ, რად არს ყე დაჰმუნვებული
რა უმძიმს რა ჰსჭირს გვაცნობის, ჰსწამს თუ ზე დასთა კრებული:

მე არ გამოუდგები ამ ხანის უოფელ-მხრავის სიღუბნის გარჩევას. ასეთი ფრანა: „შევიტებოთ, რად არს ყე დაჰმუნვებული“, — გვიჩვენებს, რომ ავტორი ლოგიკას არ დასდევს. უადგილო აღაგას ჩასმული „გლახ“ და „ყე“ გვიმტკიცებს, რომ მისი დამწერი ხეივანი შედექსეც არა უოფილა. ერთობ მისი ტლანქი ენა არამც თუ რუსთაველის ენას ვერ დაედრება, — ხანუჩასი და სხვა ყაღბისმქნელების ენაზედაც უარესია. აი ამისი საბუთი: სწორედ იმ ადგილს, სადაც თუმანიშვილმა ზემოყვანილი ხანა ჩაუმატა, ჰოემის მეჩვიდმეტე საუკუნის ვარიანტებში ვპოვებთ შემდეგს ლექსებს:

მეფემან ბრძანა ვინ არის. უცხო პირად და ტანადო:
უბრძანა ერთსა მონასა. წადი ფიცხლად და ჯანადო:
გიბრძანებ უთხარ ვერ გიცნობ. ჩემთა ლაშქართა თანადო:
და ვინცა ხარ მოდი წინაშე. შენ ჩემგან მონაყვანადო:

თუმცა ამ ხანასაც ცხადად ატყვია სიუაღბე, მაგრამ იმ თუმანიშვილის შეთხზულს ხანას მაინც სჯობია შინაარსითაც და სტილითაც.

ამ ხანების შეთარღებამ ერთი საკითხი უნდა მოგვგვაროს: ჰქონდა ხელთ თუ არა თუმანიშვილს მეჩვიდმეტე საუკუნის ვარიანტები „ვეფხის-ტყაოსნისა“, როცა ჰოემის ტექსტს ასწორებდა ვითამც არტანუჯის ხელთნაწერის მიხედვით? ჩემის აზრით, ექნებოდა, ჯერ

¹⁾ ხანების აღსარიცხავად ვხმარობ წ.-კ. საზოგადოების გამოცემის რიცხვებს და ფრჩხილებში ვახტანგ მეფის გამოცემისას; ხოლო ტექსტის ორთოგრაფიას ამილახერიძის ხელთნაწერისას.

იმიტომ რომ ისეთს შწიგნობარს და შირობის მოტრფიადეს, რომ გორიც გიორგი თუმანიშვილი იყო, ძნელი დასაჯერებელია, რომ არ გაეგო, არ ენახა და არ წაეკითხა მეჩვიდმეტე საუკუნის ერთ-ერთი ვარიანტი, ე. ი. არა სცოდნოდა ნანუხა ციციშვილის ნაწარმოები.

მერე, შესანიშნავია, რომ თუმანიშვილის ჩამატებანი,—ერთს გარდა,—სწორედ იქ არიან ჩართულნი, საცა ნანუხამ, ან სხვა ელბის მქნელმა, შემოიტანა თავისი ნათხზავი ხანა. ნანუხა და თუმანიშვილი ერთსა და იმავე ხარკებსებს ავსებენ. ამიტომ შესაძლებელია, რომ თვით „არტანუჯის ხელთნაწერი“ იღუა იშვა ვახტანგ მეფის ტექსტისა და მეჩვიდმეტე საუკუნის ვარიანტების შედარებისაგან.

დასასრულ, ერთი ნივთიერი საბუთიც იმისი, რომ თუმანიშვილს უნდა სცოდნოდა მეჩვიდმეტე საუკუნის ვარიანტები, ეს არის იმავე გიორგი თუმანიშვილის სახლიდან გამოსული ხელთნაწერი „ვეფხისტყაოსანი“, რომელიც თუმანიშვილის შემკვიდრებმა შემოსწიკეს ჩვენის საზოგადოების ბიბლიოთეკას (№ 403). ეს ხელთნაწერი სრული ზირია ვახტანგ მეფის დაბეჭდილის „ვეფხისტყაოსნისა“ და ბელაში დაფით რექტორის ხელთ მინაწერი აქვს: „მანოელ ჩარკვიანის მიერ აღწერილი სტამბის ვეფხისტყაოსნიდან გადმოწერილი უმეტე ნაკლად. ჩაკითხული და გამართულია ივლისს ით. წელსა ჩუიბ (1818). დაფით რექტორი“. მაშასადამე ეს ხელთნაწერი ხუთის წლით უფროსია ამილახვრისეულს „ვეფხისტყაოსანზედ“, რომელიც თუმანიშვილმა, ბარბარე ქობულაძის თქმით, „ძალიან ჩინებულათ გააკეთა და გამოცვალა“. ჰო და იმ დაფით რექტორის „ჩაკითხულსა და გამართულს“ ხელთნაწერს მიმატებული აქვს არშეიებზედ მეჩვიდმეტე საუკუნის ვარიანტებიდან ის ხანები, რომელიც ვახტანგ მეფის გამომცემულ ტექსტს აკლავს.

ეს საბუთები და სხვაც, რომელთაც ქვემოთ ვნახავთ, გვიმოტყობებს, რომ თუმანიშვილს ხელთა ჰქონდა მეჩვიდმეტე საუკუნის რომელიმე ვარიანტი ჰოემისა.

2

თინათინისაგან გაგზავნილი ვეფხისტყაოსნის საძებრად აფთხადილ ესაუბრება შერმადინს და უცხადებს თინათინის სიყვარულს. ეს

ეპიზოდი ვახტანგ მეფის გამოცემულს „ვეფხისტყაოსანში“ ასეა ნაამბობი (ხანა რნ და რნა):

150. უბიძანა აპა შერბადინ: ამაღ მე შენგან მრცხენიან:.
ჩემნი საქმენი ყოველნი: გცოდნია გაგივლენიან:.
მაგრა არ იცი აქამდის: რანიცა ცრემლნი მდენიან:.
მე ვისგან მქონდეს პატიუნი: აწ მასვე მოულხენიან:.

151. მიბრძანა მიცან ამბავი: მის ყმისა დაკარგულისა:.
მოხვიდე სრულ ვაქმნა მაშინლა: შენი წადილი გულისა:.
ქმარი არ მინდა უშენო: მამხედების ხისა რგულისა:.
მამცა წამალი გულისა: აქამდის დადაგულისა:.

ამ ორს ხანას შუა ნახტომი თვალსაჩინოა. მეჩვიდმეტე საუკუნის ხელთნაწერებში ეს ნაკლი შევსებულია შემდეგის ხანით:

მოუკლავარ თინათინის. სურვილსა და სიყვარულსა:
ცხელნი ცრემლნი ასოლებდის. ნარგიზთაგან ვარდსა ზრულსა:
ვერ ვაჩენდი აქანამდის. ჰირსა ჩემგან დაფარულსა:
აწ მიბრძანა საიმედო. ამაღ მხედავ მხიარულსა:

ეს ხანა, რადაც მიზეზით გამოშვებული ვახტანგ მეფის გამოცემაში, პირველად შემოიტანა ნაბეჭდს ჰოემაში ბრძოლს 1841 წ. გამოცემაში, და მას აქეთ არ გამოკლებია ჰოემის ტექსტსა, როგორც ნამდვილი რუსთველისეული ხანა. ამასვე ხანას ვპოვებთ 1818 წლის ხელთნაწერში მიწერილს დავით რექტორის ხელით, მაშასადამე თუმანიშვილსაც უთუოდ უნდა სცოდნოდა ეს ხანა, მაგრამ მის „გაკეთებულსა და გამოცვლილს“ ხელთნაწერში ამის ნაცვლად აი რასა ვხედავთ:

შენცა იცი თინათინის, სხივი მზესა უაღრესობს:
გული ჩემი ვააბედე, იგი ჩემზედ ტალობს კვესობს:
აწ გიცხადებ დაფარულსა, გაპტე რაცა უმჯობესობს:
მონათათვის ბრძანებულის, აღსრულება რჯულად წესობს:

ჰეტრე ღარაძის მოწმობას თუ დაუგჯერეთ, ზემოყვანილი ხანა („მოუკლავარ თინათინის სურვილსა და სიყვარულსა“) „ფრიად განრეუნილად და არად საკმარად“ უნდა ჩაითვალოს და თუმანიშვილის შეთხზული „ტალობს-კვესობს“ ნამდვილს და უძველესს „ვეფხისტყაოსანად“, კერძოთა არტანუჯისათა ნაპოვნად. ქობულაძის კნენის

ბარბარესაც ჰგონია, რომ თუმანიშვილს „ძალიან ჩინებულათ“ გამო-
უცვლია, „, ასე რომ რუსთაველისგანაც ასე იქნებოდა“, — ასე ესმო-
დათ ჩვენს ჰმანებსა და ბებიებს რუსთაველის ჰოეზია და ენა.

3

„გეფხის-ტუაოსნში“ ერთი უცნაური ნაკლია: ტარიელმა ხატა-
ეთის მეფეს ხარკი მოსთხოვა, და უარი რომ მოუგოდა, ომი გამო-
უცხდა, ვეება ჯარი შეჰყარა, ადღეში გამართა და ხატათზედ გაი-
ლაშქრა. უველა ეს ამბავი მოხდა ნესტან-დარეჯანის ჩატონებით, რო-
მელიც არა მეფობს, კარჩაკეტილი კოშკში ზის და სახელმწიფო სს-
ქმეებში არ ერევა; თურსადან მეფე კი ამასობაში არცა სჩანს და არც
ურეგია, თითქო ხარკის ადება, ომის გამოცხადება და ლაშქრობა სს-
მეფო საქმე არ არისო.

ეს მოთხრობის ნაკლი არ მახსოვს, რომ რომელსამე კომენტა-
ტორს აეხსნას, და არცერთს ჰოემის ვარიანტში არ შემხვედრია, რომ
ვისმე ეცადნა ამ ნაკლის შევსება... გარდა გიორგი თუმანიშვილისა.
ამან ძალიან ადვილად და მოსწრებულად დაიხსნა უხერხულ მდგომარე-
ობიდან მეფეცა და ტარიელიც.

მოგეხსენებათ ამ ეპიზოდის სთავე (ხ.ხ. ტჲე—ტჲა). ჰირ-
ველ გამოჩნურების ავადმეოფობას მოჩროპილი ტარიელ თავის სწო-
რებით ნადიმად იჯდა, „, ჰატოჲთა და ჰირთა მალვად“, როცა მო-
ლაკემ ჩემად მოახსენა უცნობი ქალის მოსვლა. ეს ქალი ასმათ იყო,
რომელმაც მართვა ამირბარს ნესტან-დარეჯანის წიგნი. ამ წიგნით
ნესტან-დარეჯან უცხადებდა ტარიელს სიეგარულსა და აწვევდა ხატა-
ეთზედ გალაშქრებას. ტარიელმა მისწერა ჰასუხი, ასმათს მისცა და—
(ხ. ტჲა, 372)

ქალი ადგა წამოვიდა: მე ლახვართა გულსა მრიდეს:.

ლხინმან ბნელი განმინათლა: დამშრტეს რომე ცუცხლი მწვიდეს:.

შეველ დავჯე ნადიმადვე: ჩემნი სწორნი სადა სმიდეს:.

მხიარულმან საბოძვარი: გავეც ზამი გაადიდეს:.

ასე თავდება მიჯნურების ჰირველი მიწერ-მოწერა და მას შემ-
დეგ იწეება ამბავი ომის გამოცხადებისა: „გავგზავნე კაცი ხატათს
და წიგნი ჩემ მაგიერი“. (ხ. ტჲბ).

რუსის მთავრობის ნამსახურევი და უფროს-უმცროსობას შეჩვეული თუმინიშვილი, რასაკურველია მიხვდებოდა, რომ ხატაეთზე გალაშქრება ამირბარისგან მეფის ნებადურთველად მეტად უცნაური ამბავი იყო, და შეავსო კიდევ ეს ნაკლი მოთხრობისა, მით რომ მისა ზემოყვანილს (ტზა) ხანას შემდეგი:

რა პურობა გადვხადე, დარბაზს მიველ მხიარული
მეფემ ტკბილად შემომცინა, დიდი აქუნდა სიყუარული
ნება ვჰსთხოვე ხატაეთზედ, რაზმით მეწყო სიარული
ჰბრძანა შეილო აგრე ჰჯობსო, შენანაო საქმე მტრული:

ასე ადვილად გადაწვეტილსა თურმე ხატაეთზედ გალაშქრებას! ნაღხენი და შეზარხოშებული ამირბარი მივა მეფესთან და დასტურის სთხოვეს, მინდა ხატაეთზედ რაზმით წავიდეო. მეფეც, — რადგან ამირბარის დიდი სიყვარული ჰქონდა, — ნებას აძლევს: ჰო, შეილო, კარგს იზამ, თუ მტრულს საქმეს შეანანებო. გამოდის, რომ ხატაეთზე გალაშქრება მეფისა და ამირბარის შამაშვილობამა და ხათრმა გადასწვეტიეს, და ეგ რომ არა უოფილიყო, ხატაელებს ხაკვი გადაუხდელი შერჩებოდათ.

4

ვასტანგ მეფის დაბეჭდილს ,,ვეფხისტყაოსანში“ ტარიელ უამბობს ავთანდილს ზვარჯიშის შვილის მოსვლას (ფმე და ფმე):

536. მოედანს დაედვი კარები: წითლისა ატლასებისა:.
მოვიდა სიძე გარდახდა: დღე გვანდა არ აღსვსებისა:.
შეიქნა გასვლა შიგნითა: ჯარია მუნ ხასებისა:.
და დაიწყეს დგომა ლაშქარმან: თემ თემად დას დასებისა:.
538. ცხენისაგან არ გარდავჰხე: წაველ ფიცხლად დავმორჩილდი:.
ქალი დამხვდა ნატირები: ვჰკითხე ცრემლსა რასა მილდი:.
მითხრა შენი შესწრობილი: ტირილსამცა ვით ავსცილდი:.
და გაუწვევტლად ვით გამართლო: რაგვარამცა გავაქილდი:.

ცხადია, ამ ხანებს შუა რაღაც აკლია. მეჩვიდმეტე საუკუნის სელთნაწერებში, — და მე-14 საუკუნის გამოცემებშიაც, — ვხვდებით ამ გამოშვებულს ხანას:

537. მე დავშვერ ვითა წესია საურავ გარდაკლილისა
შინა წამოველ მაშურალსა ქნა მამდომოდა ძილისა
მოვიდა მონა მამართვა წიგნი ასმათის ტკბილისა
და აღრე მოდიო გიბრძანებს მგზავსი ალვისა ზრდილისა.

ეს ხანა აკრეთვე ჩაწერილია დავით რექტორის ხელით 1818
წლის ხელთნაწერში, მაგრამ თუმანიშვილს არც ეს მოსწონებია და
თავის გასწორებულს ხელთნაწერში ამის მაგიერ შემოაქვს შემდეგი:

მე შინა წაველ მმრავლობდეს, სეველისა რახმთა ურვანი
მას ვიგონებდი რომლისა, გულსა მიწყვილიდა სურვანი
ასმათის მონა წიგნით მხვდა, ზე აჩნდა ოფლში ცურვანი
მალედ მოდიო გიბრძანებს, ვისი გაქვს სულეობა წყურვანი.

ამ ორს ხანას შუა სტილის მხრივ თუმცა დიდი განსხვავებაა,
მაგრამ საერთო გეგმასევე არიან აკებულნი, და ეს კვლავ მოწმობს,
რომ თუმანიშვილს ხელთა ჰქონდა მეჩვიდმეტე საუკუნის ვარსიანტი,
მაგრამ განზრახ ასწორებდა ტექსტს თავის გემოვნებაზედ.

5

ტარიელ გადასცემს ავთანდილს რაც ასმათმა უამბო ნესტან-
დარეჯანის დაკარგვაზე და მერე მოუთხრობს თავის წასვლას სატრ-
ფოს საძებრად (ხ. ფოე—ფოზ):

567. მე უთხარ დაო რად მოგკლა: ანუ რა შენი ბრალია:.
რამცა ვჰქენ ნაცულად თვით რომე: მისი ჩემზედა ვალია:.
აწ თავსა მისად საძებრად: მივსცემ სად კლდე და წყალია:.
და სრულად გავქუთვდი შემექნა: გული მართ ვითა სალია:.

568. მეტმან ზარმან გამაშმაგა: მამივიდა ცხრო და თრთოლა:.
გულსა უთხარ ნუ მოკუდები: არას გარგებს ცუდი წოლა:.
გიჯობს გაჭრა ძებნად მისად: გავარდნა და ველთა რბოლა:.
და აჰა ჟამი ვისცა გინდა: ჩემი თანა წამოყოლა:.

570. ნავსა შევეჯე ზღვასა შეველ: ზღვასა შიგან გავალაგდი:.
არსით ნავი მამავალი: უნახავად არ დავაგდი:.
მოველოდი არა მესმა: შმაგი უფრო გავეშმაგდი:.
და რომე სრულად მამიძულა: ღმერთსა თურმე ასრე ვძაგდი:.

ასეა ნაამბობი ეს კპიზოდი ვახტანგ მეფის დაბეჭდილს „გეფ-
ხის-ტუაოსნში“. დიდი დაკვირვება არ არის საჭირო, რომ კაცი მი-

ხედეს, რომ აქაც მოთხრობაში რაღაც ნახტომია, სახელობრ მეორესა და მესამე ხანებს შუა. მართლაც, ამ გამოკვებულ ხანას გზობებთ მეჩვიდმეტე საუკუნის ხელთნაწერებში თავის ალაგს:

569. შეველ ფიცხლავ შევეკაზმე ცხენსა შევეჯე შეკაზმული
ას სამოცი კარგი მოყმე ჩემსა თანა ხან დაზმული
გამომყვეს და წამოვედით კართა გარე დარაზმული
ზღვის პირს მიველ ნავი დამხუდა მენავემან მნახა ზმული.

როგორც სხვა გამოშვებული ხანები, ეს ხანაც დავით რექტორს თავის ხელით ჩაუწერია 1818 წლის ხელთნაწერში და მაშასადამე საგონებელია, თუმანიშვილისაგან უცნობი არ დარჩებოდა, მაგრამ არც ეს ხანა იპრიანა თუმანიშვილმა და თავის გასწორებულს „ვეფხისტყაოსნში“ შეიტანა თავისებური:

შევიტურვე ჩემთან ჩემნი, მოემზადნენ ასნი ზრდილნი.
ყმანი ჩემნი გულ სანდონი, საყვარელნი ვითა შეილნი.
არ მომშორდნენ უჩემოსა, არ უნდოდათ არცა ძილნი.
თან გამომყვნენ ველნი განვლეთ, ზღვად მივედით დაკმუნვილნი.

როგორც ეტეობა გ. თუმანიშვილი ძალიან ცდილა თავისიანობა გამოეჩინა, მაგრამ შინაარსით მისი ხანა იგივეა, რაც ზემოყვანილი ხანა, მეჩვიდმეტე საუკუნის ხელთნაწერიდან ამოღებული, მხოლოდ უშნოდ და მღაბიოდ გამოთქმული.

6

მეექვსე ახალი ხანა, რომელიც მოიტანა ეგრეთ წოდებულმა არტანუჯის ვარიანტმა, შეეხება იმ ეპიზოდს, სადაც ტარიელ არაბეთს მისული შეეერება როსტევან შეფეს. ვახტანგ მეფის გამოცემაში ეს ეპიზოდი ასეა დაბეჭდილი (ჩიფ და ჩიფდ):

1489. მუნ დადგა ლომი ავთანდილ: დაიდგა მცირე კარავი:.
ნესტან დარეჯან მუნვე დგას: იგია მჭვრეტთა მზარავი:.
მისთა წამწამთა ნიავი: ქრის ვითა ქარი არ ავი:.
და წავიდა მეფე ინდოთა: მისრული მიუპარავი:.

1491. ტარიელცა თაყუანი სცა: მივა კოცნად სასალამოდ:.
მეფე ყელსა აკოცებდა: მართ ბაგისა დასაამოდ:.
გაკვირვებით ეუბნებდის: არის მისგან სათამამოდ:.
და შენ მზე ხარო შენი გაყრა: არის დლისა შესალამოდ:.

ამ ხანებს შუა გამოკლებული ხანა იზოვება მეჩვიდმეტე საუკუნის ხელთნაწერებში, მაგრამ მეცხრამეტე საუკუნეში დაბეჭდილ ,,გეფხის ტყაოსანში“ ეს ხანა ჩნდება პირველად გ. ქართველიშვილის გამოცემაში. არ ჩაუწერია ეს ხანა აგრეთვე დავით რექტორს 1818 წ. ხელთნაწერ ,,გეფხის-ტყაოსანში“, და ამიტომ შესაძლებელია თუმანიშვილს არა სტოდნოდა მისი არსებობა. რაკი თვალ წინ არაფერი ნიმუში არ ედო, თავის ნიჭის ამარად დარჩენილი თუმანიშვილი თითონა სთხზავს ხანას რომ შეავსოს ნაკლი ზემოყვანილს ორს ხანას შუა, ასე:

მუნით როსტან მოეგება, არ ჰყოფს ზრდილობის კლებასა.
 ცხენით გარდახდნენ იქმოდნენ, შეყრისა მოსწრაფებასა.
 არაბთა მეფე სალამსა, ჰკადრებს ტარიელს ქებასა.
 შეტრფობით უმზერს მიეცა, როსტენ მუნ დიდსა შვებასა.

ვნახოთ ახლა როგორ გვიამბობს იმავე შეურის ამბავს რუსთაველი:

1490. ფრიდონ წაჰყვა ვალანამცა გაეღეს ველი დიდსა ხანსა
 სცნა მეფემა ტარიელ ა მარტო მოვა მოხრის ტანსა
 გარდაკდა და თაყვანი სცა მას უკადრსა ლომებრ ჯანსა
 და სდებს პატრისა ინდოთ მიფე მართ მამისა შესაგვანსა.

კარგია, რომ აღმოჩნდა ნამდვილი რუსთაველის ტექსტი, რომელმაც ასე თვალსაჩინოდ გააბათილა უაღბი ხანა, თორემ რამდენი კრიტიკოსი მიიჩნევდა თუმანიშვილის ნაჯღაბნს ნამდვილ რუსთაველისეულად, იმიტომ რომ „ობიექტიური საბუთი“ სიუალებისა ხელთ არა გვაქვსო.

ასეთია ის ექვსი ხანა თითო-თითოდ ჰოემის ტექსტში ჩასმული მოთხრობის ნახტომების შესავსებლად. ამას გარდა ეგრეთ წოდებულს არტანუჯის ვარიანტში არის ჩართული თერთმეტი ხანა, სადაც ნაამბობია ტარიელის მისვლა ინდოეთს.

III

როსტევან მეფის ნასტუმრევი ტარიელ ეთხოვება მასპინძელს და მოახსენებს: „მტერთა აქუ ჩემი სამეფო, ვიცი მუნ შიგან მძლავრად“ (ხ. ჩონ. 1537). ,,წავიდე, ავი არ მიუფს მე აქა დაყოფ-

ნებაჲს“ (ხ. ჩიფნ. 1538). როსტეჲანმა ინდოთ მეუეს მისის სამე-
ფოს დასაბრუნებლად მისცა თავისი სპასჲეტი ავთანდილ და ოთხმო-
ცი ათასი მკომარი (ხ. ჩიფნ. 1543): „თქვენთა მტერთა და ორ-
გულთა დაჰტურეწდით, დაცასჭრიდითაო“ (ხ. ჩიფნ. 1539),—გულს
უღებს არაბთა მეუე.—„გაემართეს და წავიდეს დია სპითა და ბარ-
გითა ტარიელ, ფრიდონ და ავთან თავითა მეტად კარგითა“ (ხ. ჩიფნ. 1553).

ისეთის ამბითა და მზადებით წამოსულნი სამნი გმირნი ოთხ-
მოცი ათასის ლაშქრითა ერთს რასმე ომს უნდა შემთხვეოდნენ, ან,—
სულ ცოტა რომ ვთქვათ,—სადმე გაქცეული მტერი მანც უნდა
ენახათ... მაგრამ ამისთანას არაფერს გვიამბობს ვანტანგ მეუის და-
ბეჭდილი „ვეფხისტყაოსანი“, არამედ უეცრად გვაუწყებს: „ტა-
რიელს და ცოლსა მისსა მიხვდა მათი საწადელი, შვიდი ტახტი სა-
ხელმწიფოთ საშეგებელი, გუგუდელიო“ (ხ. ჩიფნ. 1555). და, იქ
სადაც ხმლის ტრიალსა და სისხლის ღვრას მოველოდით, ვიღაც მე-
ტიჩარა უღბის მქნელი გვიამბობს, ვითამც გზაში იმ სამს გმირს
ვიღაც „მოკეებინან; მტერობა ვერაჲნი დაიქადესაო“; მინდორში
უდილადოს სადილს მიერთმეგდნენო და ისეთი მდიდრული სადილები
ჰქონდათო, რომ, დოს კი არა, ღვინოს სვამდნენო.

ჰოჲმა ისე თავდება, რომ ფარსადან მეუისა და მისის ცოლის
ხსენებაც არ არის. არ ვიცით ცოცხალნი იუვნენ ტარიელის და ნეს-
ტან-დარეჲანის მოსვლის დროს, თუ არა; ან ვის ხელში იყო ის
„შვიდი ტახტი სახელმწიფო“, სანამ ტარიელს მიხვდებოდა.

მოგესხენებათ, რომ ეს ნაკლი მხოლოდ ვანტანგ მეუის გამო-
ცემაშია, მერხიდმეტე საუკუნის ხელთნაწერებში ეს ნაკლი შეესებუ-
ლია ნანუნა ციციშვილის შეთხზულის გაგრძელებით. ჰოჲმის დასას-
რუელს ცხადად ეტეობა დაკოწიწება და უხერხული შეხამება, უცხო
ხელის მიწაწერი.

ნანუნა გვიამბობს, ვითამც, ტარიელ თავის მეგობრებით ინდო-
ეთის საზღვრებთან რომ მივიდა, დიდი ქარავანი დახვდა. ვაჭრებმა
ვითამც ვერ იცნეს ტარიელ და მისი ცოლი და უამბობენ მათს და-
კარგვას და ფარსადანის სიკვდილს. გაიგებენ თუ არა ფარსადანის სი-
კვდილს, ნესტან-დარეჲან და ტარიელ ისეთს მოთქმასა და ტირილს

მტკუეებთან, რომ ავთანდილს და ფრიდონსაც აატირებენ. მერე შეიტყობენ, რომ დედოფალი ცოცხალია, მაგრამ დიდს გაჭირებაშიაო. ხატაეთის მეფე რამაზ შემოსულა ინდოეთს, „დაუჭერია გარეთ ციხენი“ და მისდგომია ქადაქს, მაგრამ ჯერ „ობრძვის ინდოთა ლაშქარი, თუშც იმედ გადაშწუღარიაო“.

ტარიელ და მისნი მოძმენი გაემართებიან მაშინვე ხატაულებთან საომრად. მაგრამ მხდალი რამაზ მეფე მიეგებება ტარიელს, ფეხთ ჩაუვარდება და შენდობას სთხოვს. ტარიელიც აპატიებს, ხატაულებს ხელს არ ახლებს და არა სწუვეტს. ესრედ გამარჯვებული ტარიელ თავის ცოლით და მეგობრებით მივა ქადაქს. გამოეგებებიან დედოფალი, დიდებულნი და ინდოელნი, კვლავ ახსენებენ მეფე ფარსადანს და ტარიელ და მისი ცოლი ერთს კიდევ მოიტირებენ. მაგრამ დედოფალი მალე გულს დაუმშვიდებს. დედოფალი ბძანებს გლავის გახსნას და შეიქნება სიხარული და ღვინი. დედოფალი დასვამს ტახტზე თავისს სიძეს და ქალსა, და მაშინდა „ტარიელსა და ცოლსა მისსა მიხვდება მათი საწადელი, შვიდი ტახტი სახელმწიფო საშვებელი, გაუცდელი“.

ასეთია ნანუჩა ციციშვილის მოგონილი ამბავი ტარიელის მისვლისა ინდოეთს, და ეს ფუჭი ამბავი ნანუჩამ გასჭიმა სამოცდაცხრასანამი.

გიორგი თუმანიშვილი რაკი ასწორებდა ვახტანგ მეფის გამოცემულს „გეოგნის-ტეოლოგში“ წერილმან ნაკლს, უპკველია შეამჩნევდა ამ დიდს ნახტომს მოთხრობისას და თავისებურად შეავსებდა. მართლაც, მისს გასწორებულს ჰოემის ტექსტში იმავე ადგილიდან, საცა ტარიელ და მისნი მეგობარნი მინდორში „ღვინოსა სვემდეს, არ დოს“, ვიდრე „ტარიელსა და ცოლსა მისსა მიხვდა მათი საწადელი“, ე. ი. ჩოქაზ და ჩოქაზ (1554 და 1555) ხანებს შუა, ვპოვებთ ჩართულს თერთმეტს ახალს ხანას, ცალკე თახახზე დაწერილს და წიგნში ჩაერულს. აი ეს ხანები:

1. მუნით გაგზავნეს ძინდოეთს, კაცნი ჰამბავთა მცნველად შეპსთვალეს მოვალს ტარიელ, მოჰყავსცა თვისი მზეველად ვის ვერა ჰგავსო სარო და, ვერცა კინამო მრხეველად წინ მოგვეგებეთ იყვენით, დღისით და ღამით მთეველად

2. ოდეს ძინდოთ იგი მეფე, შვილთა თვსთა მწუხარებით
საწუთოსა გასალმოდა, სოფლის ბრუნვის ჩვეულებით
სრულ ძინდონი ათერამეტ თვე, იყვნენ გლოვით ვალალებით
არსით უჩნდათ სანუგეშო, დედოფალსა ჰუმობდენ კრებით
3. რა მისულიყო ძინდოეთს, ჰამბავი ტარიელისა
შექმნოდათ სიხარულითა, დენა ცრემლისა ცხელისა
დედოფალს ჰკადრეს მოგვეცა, შორად განდევნა ბნელისა
მოგვებდა ღთნ წყალობით, ჟამი გვებდა სანატრელისა
4. შეკრბა სიმრავლე სპათა და, თავადთა დიდებულებთა
ისწრაფეს გახზდენ ტაიქთა, ტურფადრე დაკაზმულებთა
უსწრობდეს ერთი მეორეს, მიეცნენ სიხარულებთა
გაისმა სრულად ძინდოელთ, მიეცა შვება გულებთა
5. დედოფალმან პალატისა, დიდებულნი ხასნი სრულად
მათ მეფეთა დასახედრად, მიაგება მხიარულად
საკურტლენი უთვალავნი, წინა უძღვნა დატვირთულად
უბრძანა თუ ნურას ზოგავთ, რადგან ვარდნი არ არს ზრულად
6. გასცა ძინდოეთს ბრძანება, ახდად შავისა სრულისა
შემოსვა ძოწეულისა, და ხარქაშისა მკულისა
გვეღირსა ზეთა წყალობით, პოვნა ჩვენ დაკარგულისა
განსდევნეთ ჰმუნვა ყოველთა, დღე გვაქვს აწ სიხარულისა
7. მოვიდეს სრულნი ძინდონი, ტარიელს ესალმოდინ
ფერბთა და კელთა ჰკოცნიდეს, ცრემლითა ესურვოდინ
ნესტან დარეჯანს ვით ვარდსა, ბულბულებრ გარე ტრფოდინ
იგ¹) დიდებითა დიდითა, მათ მეფეთ წინ უძღოდინ
8. მივიდნენ ქალაქს შეიქმნა, ხშირად საკრავთა ტკბილობა
მოქალაქეთა შეექმნათ, ქვე სტავრათ დაფენილობა
აყრიდენ ზედა თვალ გოჭარს, არ ვის აქუს მოწყენილობა
სრასა შევიდნენ დედოფალს, თვალთად ჰსჩანს ცრემლის ნილობა
9. მაშინ ყოველთა მეფისათვს, აატირეს გული ჩვილი
მოსთქვეს გმირი სიუხვისა, ვა მოგვშორდა ნილოს ქმნილი
ტარიელცა ცრემლსა აფქვევს, მისგან იყო ტკბილად ზრდილი
დავჰკარგეო მზისა ჰსწორი, მომდგომია ბნელი ჩრდილი
10. დედოფალი გარდებვია, მათ ორთავე თვსსა შვილთა
აკოცებს და ეუბნების, გულ სადებთა სიტყუა ტკბილთა
ვა გიმუხთლათ საწუთრომან, თქვენ ედემის აღვა ზრდილთა
ნურლა ჰსწუხ ხართ აწ დასხედით, მეფობისა²) ტახტ ადგილთა

1) დედანშია: იგი. 2) დედანშია: მეფეობისა.

11. მიუძღვა და ტახტსა დასხნა, ერთობილნი ულოცვიდეს
დედოფალსა სხვასა ტახტსა, შემკობილსა ცალკე სმიდეს
ავთანდილს და ფრილონს მრავლად, უსასყიდლოს ძღვენსა ძღვნიდეს
შეჰქმნეს სმა და სიხარულით, მათ შვებანი განადიდეს

ნანუჩა ციციშვილის ჩართულ მოთხრობას რომ შევადაროთ, ეს
„არტანუჯის ვარაანტი“ უფრო უგვიანო და უტკუნურია. იქ მტერი
მანინა სჩანს, თუმცა მეტის მეტად შშიშარა, აქ კი მტრობისა და
ომის ხსენებაც არ არის: თუმანიშვილს დაავიწულა ტარიელის სი-
ტევა, — „მტერთა აქვთ ჩემი სამეფო, ვიცი მუნ შიგან მძაფრულად“
(ხ. 1537), — დაავიწულა, რომ ტარიელს მის მტრების „დასაფრე-
წად და დასკრულად“ როსტეგან მეფემ გაუფლავა თავისი სპასხეტი
ავთანდილ დიდის ჯარითა და შერეა ჯარითა (ხ. 1543):

კაცი ოთხმოცი ათასი, ყველაი დაკაზმულია;
კაცსა და ცხენსა ემოსა აბჯარი ხვარაზმულია;
არაბთა მეფე მათითა გაყრითა ნაღველ-ქმულია.

კ
|
3

ვევლას ეს დაავიწულა თუმანიშვილს და ისე გვიამბობს ტარიე-
ლის მისვლას ინდოეთს, თითქმის იქ სრული მშვიდობა იყო, არცერთს
ხორციელს მტრობა არ გამოუჩინია, და ის ვეება ლაშქარი საომრად
კი არ წამოსულა, მხოლოდ საპატიო ამალად წამოჰყოლია ტარიელსაო.

თვით მოთხრობა თუმანიშვილისა უმინაარსია. მისს თერთმეტს
ხანაში, საცა უნდა გამოსახულიყო, — ტარიელის ომი თუ არა, — მისი
მისვლა ინდოეთს ზემოთა და დიდებით, ვხედავთ მხოლოდ რაღაც
ხალხის ფაცაფურს და დედოფლის ფუსფუსობას. — დიდად არა ღირ-
და ასეთის უშინო ამბის მოტანა „კერძოთა არტანუჯისათა“... მაგ-
რამ არც ეგრე შორს წასულა საჭირო, რომ ამ ხანების სადაობა შე-
ვიტუოთ: მოვიხსენიოთ ერთი ამის მსგავსი შემთხვევა ჰემეში, სა-
ხელდობრ, ტარიელის მისვლა არაბეთს და როსტეგან მეფის გამო-
გებება. ამ ამბავს ერთმა ვიღაც უაღბის-მქნელმა მიუმატა თავისე-
ბური ხანა:

1484. ტაბლაკსა ჰერეს და გაისმა სიცილი თქართქარებისა,
ლაშქარნი რბოდეს მიდამო, ქმნა სწადლათ მათკენ რებისა.
დაიწყეს მოხხმა ცხენებთა, მოღება უნაგრებისა;
შესხდა სიმრავლე მოყმისა მკლავ-ფიცხელ, გულ-მაგრებისა.

ცხადია ვისა ჭბაძავდა თუმანიშვილი. იმ უაღბის-მქნელსავეთ ეპო-ტინება წყრილმანსა და უმნიშვნელო ფაქტებს და იმასაც იმეორებს კიდევ: „ისწრაფდეს, გასხდენ ტაიჭთა“ და „უსწრობდეს ერთი მე-ოჯეს“; „მიეცნენ სიხარულებთა“ და „მიეცა შვება გულებთა“. იმ უცნობს უაღბის-მქნელსა და თუმანიშვილს სტილის კარდა კრამატი-კაც ერთი აქვსთ. ერთმა თუ სთქვა: „ცხენებთა“, თუმანიშვილი გვაუარის: „დიდებულებთა, დაკაზმულებთა, სიხარულებთა და შვება გულებთა“.

შესანიშნავია, რომ ეს თერთმეტი ხანა თუმცა ძალიან მოსწო-ნებია კენიან ბარბარე ქობულაყისას, მაგრამ სრულებით არა სცოდნია მათი „არტანუჯობა“. ჰირიქით თუმანიშვილის მოკეთე მანდილო-სანი გულუბრუვილოდ ამხელს მათს ნამდვილს სადაობას. ამ თერთმე-ტი ხანის თავსა და ბოლოში იხ აწერს: „ეს თერთმეტი ლექსი გი-ოჯგი თუმანოვის ნათქვამია და ძალიან მზგავსი ამ ვეფხის ტყაოს-ნისა და ვინც გადაწეროს ეს ვეფხის ტყაოსანი გიოჯგი თუმანოვის შრომა ნუ დაიკარგება ისე დაიწეროს ვისიც თქმულია და ძალიან მუ-ნასიბს ალაგსაც არის დაწერილი რომ სულ არა იყო რა იმ საგანზედ“.

IV

ზემოყვანილს ჩვიდმეტს ხანას რომ საერთო თვისებანი გავუ-შინჯოთ, ვნახავთ რომ მათ დამწერს სრულებით აკლია პოეტური ნი-ჭი და მხატვრობითი გემოვნება. ჩვიდმეტ ხანაში, სამოცდაარვა ლექ-სში ერთი ისეთი ვერ შეთხზა, რომელიც მოგვაგონებდეს რუსთავე-ლის კალამს. მისმა ღარიბმა ფანტაზიამ ვერ შექმნა ერთი მარტივი სურათი, რომელიც მკითხველს მოსწონებოდა. მღაბიო, ბანაღური აზრები ჰრანჭია, ჰრეტენციოზურს ფორმაში გახვეული,—ამას იქით მისი შემოქმედება ვერ წასულა. „სწამს თუ ზე დასთა კრებული“, „გული ჩემი ვაბედე, იგი ჩემზედ ტალობს, კვესობს“, „ზე აწნდა ოფელში ცურვანი“, „არ ჰყოფს ზრდილობის კლებას“, „შეიქნა ხშირად საკრავთა ტკბილობა“, „შეიქნათ ქვე სტავრათ დაფენილო-ბა“ და სხვ.—ასეთია თუმანიშვილის სტილი, რომელიც გვიმოტკი-ვებს, რომ ეს შელექსე, როგორც ზეგითა ვთქვი, რუსთაველს კი არა,

ნანუხა ციციშვილსა და სხვა მე-XVII საუკუნის მწერლებსა ჰბაძავს. შესაძლებელია, რომ თუმანიშვილმა არც კი იცოდა, რომ იმ საუკუნის მწერლებმა შერევენეს ქართული ენა სპარსულის სინტაქსით და მათის წახედვით ამკობს თავის ლექსებს უშნო პერსიანობებით.

ენის სიღრუხტის გარდა, ზოგი თუმანიშვილის ჩამატებული ხანა თავისის შინაარსით უგუნურიც არის. ზეგითა გნახეთ, როგორა და რა გარემოებაში სთხოვა ტარიელმა ფარსადან მეფეს ნება ხატაკოთხედ გაეღაშქრნა. ახლა ამ უკანასკნელ ეპიზოდში, სადაც ინდოეთის დედოფალი, — ნესტან-დარეჯანის დედა და ტარიელის სიდედარი, — თავის ქალისა და სიძის დასახვედრად ემზადება, თუმანიშვილი გვიამბობს:

დედოფალმან პალატისა დიდებულნი ხანნი სრულად
მათ მეფეთა დასახვედრად მიაგება მხირულად;
საჭურჭლენი უთვალაენი წინა უძღვნა დატვირთულად,
უბრძანა თუ ნურას ზოგავთ, რადგან ვარდნი არ არს ზრულად.

ტარიელ მეფე თავის სამეფოში შემოდის და მისი სიდედრი უთვალავს საჭურჭლეს უძღვნის, თითქო ტარიელ გამარჯვებული მტერი არისო, რომელსაც თავი უნდა შეაგედროს და გული მოუგოს. ან რას უძღვნის? განა ეკ საჭურჭლე და მთელი სახელმწიფოც ტარიელისა არ არის?

ასეთია ის ტექსტის შევსება, რომელიც შესძინა ჩვენს ჰომესს, ჰეტრე ლარაძის სიტყვით, უძველესმა ხელთნაწერმა, კერძოთა არტანუჯისათა მოპოვნილმა.

V

თუმცა გ. თუმანიშვილის ჩამატებული ხანების ანალიზი საკმარისია საბუთად, რომ ისინი რუსთაველის დაწერილნი არ არიან, მაგრამ მაინც საჭიროდ მიმაჩნია წარმოგიდგინოთ ნივთიერი საბუთიც. ლარაძის მიერ მოგონილ ლეგენდის გასამტყუნებლად, ვითამც გ. თუმანიშვილს არტანუჯიდან მოეტანოს რაღაც უძველესი ნაწერი „ვეფხისტყაოსანი“ და აქედან შეესწორებინოს ჰომესის ტექსტი.

პირველი საბუთი ამისი არის განსხვავება ჰ. ლარაძისა და ამილახვრისეულს, ესე იგი გ. თუმანიშვილის ხელთ გასწორებულს,

ხელთნაწერებს შუა. ეს განსხვავება, — თუმცა წერილმანი, — ფრიად მრავალია, ზერეჯედ თვალის გადავლებით ოთხმოცამდე განსხვავება შევამჩნიე. თუ ვ. ლარაძის ხელთნაწერი არტანუჯის ხელთნაწერიდან უოთხილეოთ გადმწერილი, რასაკურთხელოს ასო-ასოდ ემსგავსებოდა ამილახვისეულს ხელთნაწერს. მაშასადამე თუ ეს ორი ხელთნაწერი ერთმანეთში განიჩხვია, ეს განსხვავება აიხსნება ორის მიზეზით: ან თითონ ვ. ლარაძეს შეუცვლია გადაწერის დროს გ. თუმანიშვილის გასწორებული ტექსტი; ან უოთიდა ამ ორს ხელთ-ნაწერს შუა მესამე, ეგების დაკარგული, ისიც გ. თუმანიშვილის ხელახლად გასწორებული, რომელიც ვ. ლარაძის ხელთნაწერს დენად დაედო.

მეორე მიზეზი, ჩემის აზრით, უფრო დასჯერებულია, იმიტომ რომ ამილახვისეულს ხელთნაწერში გ. თუმანიშვილი თავისვე შეტანილს ცვლილებასა და გასწორებას თითონვე მეორედ და მესამედ სცვლის და ასწორებს. ასეთი გადაკეთება სჩანს მეტადრე გ. თუმანიშვილის ჩამატებულს ხანებში.

პირველი ჩამატებული ხანა დაწერილია, კვ გვერდის ქვეით, გ. თუმანიშვილის ხელით სუფთად და შეუცვლელად.

მეორე ხანა (გვ. ლე) დაწერილია სხვისი ხელით შეუსწორებლად, მაგრამ ამოფხეკილს ადგილზე ცხადია წინად დაწერილი ხანა სრულად ან ბევრად გადაკეთებული უოთიდა.

მესამე ხანა (გვ. ყბ) მიწერილია კიდევ სხვისი ხელით, — მგონია ღვით რეკტორის, — სუფთად და შეუსწორებლად.

მეოთხე ხანა (გვ. რლბ) დაწერილია კიდევ სხვა (მესამე) ხელით. გვერდის ძირს უოთიდა დაწერილი ხანა, რომელიც მერე დანით ამოფხეკიათ. შემდეგ ამის ქვეით ჩაუწერიათ ხანა, რომელიც წაშლიათ შეღწით. ბოლოს ეს წაშლილი ხანა სუფთად გადაუწერიათ ამოფხეკილის ადგილის ზევით.

შესანიშნავია აგრეთვე მეხუთე ხანა (გვ. რმ). გვერდის ძირ დაწერილი უოთიდა ხანა, რომელიც მერე ისეა წაშლილი რაღაც გრუხილებით, რომ ორიოდე ასო ძლივსღა გაიჩხვია. მერე ამ წაშლილს ზევით უოთიდა დაწერილი ხანა, რომელიც ამოფხეკიათ და ამოფხეკილს ალაგზედ დაუწერიათ ხელახლად ხანა იმავე ხელით, რომლითაც მეორე ხანა დაწერილი (გვ. ლე). შემდეგ ამ სუფთად გადაწე-

ჩიღს ხანაში გაუსწორებიათ ორი ჰირველი ლექსი, წითელის მეღნით, ესრე (იხ. გვ. რმ):

იყო ჰირველად:

შევიტურვე ჩემთანავე ასნი ყმანი თანა ზრდილნი
ერთგულნი და გულ სანდონი საყვარელნი ვითა შვილნი

მერე კი ეს ორი ლექსი ასე შეიცვალა:

შევიტურვე ჩემთან ჩემნი მოემზადნენ ასნი ზრდილნი
ყმანი ჩემნი გულსანდონი საყვარელნი ვითა შვილნი.

ბოლოს, მეექვსე ხანა (გვ. ტპთ) მიწერილია თვით გ. თუმანიშვილის ხელით სუფთად, მაგრამ უკანასკნელი ლექსი მისივე ხელით გასწორებულია ესრე:

იყო: „შეტრფობით უმზერს სახესა მიეცა განცვიფრებასა“

შეიცვალა: „შეტრფობით უმზერს მიეცა როსტენ მუნ დიდსა შევბასა“.

შესაძლებელია განა ასეთი შეცვლა, გადაკეთება და გადასწორება რამდენჯერმე ტექსტისა, თუ კი ეს ტექსტი გადმოტანილია სხვა ხელთნაწერიდან ნაკლის შესავსებლად! მწიგნობარმა, მელექსემ, „ვეფხისტყაოსნის“ მოტრფიალემ იზოვოს არტანუჯში ჰოემის უძველესი ხელთნაწერი, შეათარღოს ახლანდელი ნაბეჭდი და ხელთნაწერი „ვეფხისტყაოსნები“ და აღმოაჩინოს ამთი „ფრიალ განრეუფნილობა და არად-საკმარობა“, — როგორ გაუძღოს გუფმა, რომ იმ უძველესის ხელთნაწერის მიხედვით არ შესწოროს თავისი საკუთარი ხელთნაწერი და ასე არ აღადგინოს თავისთვის და საშვილის-შვილად ძვირფასი ტექსტი ჰოემის? ეგ შემთხვევა მწიგნობრისთვის რომელს დღესასწაულს და რომელს ბედნიერს დღეს დაედრება?!... რა კრძალვითა და მოწიწებით, რა სიფრთხილითა და გულს-მოდგინებით უნდა გადმოეტანა დედნიდან თავის წიგნში ასო-ასოდ ყველა ცვლილება და დამატება.

აქ კი რას ვხედავთ? ერთხელ გადმოწერილ ცვლილებას ან დამატებას გ. თუმანიშვილი რამდენჯერმე ასწორებს, ხან მეღნით შლის, ხან დანით ფხეკს, რომ ხელახლად გადააკეთოს. ცხადია, რომ გ. თუმანიშვილს რომელიმე დედნიდან კი არ გადმოჰქონდა თავის ხელთნაწერში ახალი ვარიანტები და დამატებანი, არამედ თითონა სთხზავდა და ასწორებდა თავის გუნებაზედ. მისი ნაწერი გუფწრთეული ტექსტის აღდგენა კი არ არის, არამედ უხეირო უაღბის-მქნელის თი-

თხნა, რომელსაც იმდენი გამოცდილება და მხეწრება არა აქვს, რომ ჩადენილი რიოშის მამხილებელი კვალი წაშლდეს.

VI

ჩვიდმეტი ჩამატებული ხანის გარდა თუმანიშვიდმა შემოიტანა ტექსტში, როგორც ზევით მოგახსენეთ, მრავალი წვრილი ცვლილება. სიმრავლის გამო მოვიყვან მხოლოდ რამდენსამე რჩეულს მაგალითს: რუსთაველის ლექსს (ხ. ლზ):

37. ვარდი თუ ვახმეს ვგრეცა გემართებს რაზომცა ჯერობა
მისივე მეტობს ყოველსა სული და ტურფა ფერობა.

თუმანიშვიდი ასე ასწორებს:

ვარდი თუ დაქნეს ვგრეცა აქვს მასზედ ბულბულს მღერობა
მისივე მეტობს ყვავილთა სუნი და ტურფა ფერობა.

რუსთაველი (ხ. მთ):

49. უხვი ახსნილსა დააბამს იგი თვით ების ვინ ების.

თუმანიშვიდი:

უხვსა თვით იგი ორგული ერთგულად შეეძინების.

რუსთაველი (ხ. რნა):

152. ქმარი არ მინდა უშენო მამხედების ხისა რგულისა
მამცა წამალი გულისა აქამდის დადაგულისა.

თუმანიშვიდი:

ქმარი არ მინდა შენს კიდე, აჰა თქმა დაფარულისა
ამით მცა გულსა ღზინება აქამდის დადაგულისა.

რუსთაველი (ხ. რნყ):

156. აქათ სამ წელ დამიცადე, ხვაშიადი შემინახე
მე ნუთუმცა შემოვბრუნდი ალვა ჩემი არ დაქნა ხე
არ მოვბრუნდე მამიგლოვე მიტირე და მივაგლახე.

თუმანიშვიდი:

სპათა ჩემთა ეთავადე სახელმწიფო შეინახე
თუ ღირს ვიქმნე შემოვბრუნდე მხიარულმან ვლავლა განახე
აქა სამ წელ არ მოვიდე მიტირე და მივაგლახე.

რუსთაველი (ხ. სლზ):

236. თუ არ მამკლავ არ მოკვდები მთელი ვარ და მოუკლავი
რად რა გითხრა სადამდისცა ვიყო კირთა უნახავი.

თუმანიშვილს ამ ლექსის აზრი ვერ გაუგია და ასე შეუცვლია:

თუ არ მამკლავ თვითცა მხედავ მრთელი ვარ და მოუკლავი
რა ვით გითხრა რაგვარადცა ვარ გლახ ჭირთა მე მნახავი.

რუსთაველი (ხ. სნს):

254. სულთქმა სულთქმისა ბევრისა მაშა თუ არ ერთხელისა.

თუმანიშვილი:

მაქვს სულთქმა ბევრის ბევრები ზღვის ქვიშებრ არ ერთხელისა.

რუსთაველის ლექსს, ჩემთვის გაუგებარს (ხ. ქყზ):

689. ცუდი არის სიყვარული ქვევით კოცნა მზისა წვერვა,—

თუმანიშვილი ასე ასწორებს:

ცუდი არის მზისა სურვით შუქთა მისთა შორით მხერვა.

რუსთაველი (ხ. შკვ):

916. ვარდთა ნახვა გაგაკრთობდეს მართ ვითამცა ძალი ჰყეფსა.

თუმანიშვილი:

ვარდთა ხილვა მოგალხენდეს ველთ მიდამო სანახეფსა.

რუსთაველი (ხ. ჩრჟვ):

1184. გამკლავებასა მექადდა არ მოყვარულად მტერულად

აწ ისრე მკვდარსა ვიგონებ იშ თავი ვიხსენ მე სრულად;

თუმანიშვილი:

გამკლავებასა მექადდა არ მოყვრებრ მხეცი მგელურად

აწ ისე მკუდარსა ვიგონებ ვიშ სიკვდილს დამხსენ ქველურად.

რუსთაველი (ხ. ჩსაზ):

1264. მაგრა სპანი უთჳალავნი მცვენ და მათი სიალფურე;

თუმანიშვილი:

მაგრა სპანი უთჳალავნი მპტუნ ცნობა მათ შვეაშტარე.

ასეთივეა მრავალი სხვა წვრილმანი ცვლილება, რომელიც შემოიტანა გ. თუმანიშვილმა ჰაემის ტექსტში. არაფერი რუსთაველისეული მის გამოცვლილ ადგილებს არ აჩნევია, პირ-იქით—მხატვრობითი და ორიგინალური რუსთაველის სტილი ტლანქსა და უფერულს ფრაზებად გადაიქცა. გ. თუმანიშვილის შემოტანილი ცვლილება ჰაემის ტექსტის ადღკენად და გასწორებად კი არ უნდა ჩაითვალოს, რაკორც ჰ. ლარაქე გვარწმუნებს, არამედ ჰაემის შერევნად და გათადლითებად.

- ზნხ. მისვე ხმისა სიტკბოსაგან წყლით ქვანიცა გამოხსნიან.
 წყალით თევზნიც გამოხსნიან.
 ჩრტ. რა ფატმანისას შევიდა ლომი მზე მოყმე წყლიანი.
 ლომი ჯაფარ წყლიანი.
 ჩსა. სიტყვა მჭევრო და წყლიანო, ტურფაო, ლამაზ ენაო.
 სიტყვა მჭევრად წყლიანო

ასე სტეფლის გ. თუმანიშვილი რუსთაველის ლექსებს და გადა-
 ჭარბებულის ზრდილობიანობის გულისათვის არ ინდობს არც ლექსთა-
 წეობას და არც გრამატიკას.

გარდა ამ საცოდავ „წელის“ და „წელიანის“, რომელსაც
 ასე გადაჭკიდებია გ. თუმანიშვილი, იმან სხვაგანაც შესცვალა ისეთი
 ადგილები, რომლის წაკითხვამ ვაი თუ გააწითლეს ზოგი მორცხვი
 და იტყვიან მანდილოსანიო. ამ მორცხვობის მსხვერპლად უოულის
 პირველად შეიქმნა რუსთაველის ცნობილი ლექსი „მომეც მიჯნურთა
 სურვილი“, რომელიც გ. თუმანიშვილმა თავისის ხელით შეასწორა:
 „მომეც დათმობა სურვილთა“... ეს ცვლილება ზ. ლარაძის ხელთ-
 ნაწერში შეიცვალა ასე: „მომეც შეტრთობა კეთილთა“.—ორივე
 ცვლილება სრული გაუგებრობაა რუსთაველის გენიოსობისა და მისის
 ჰუმანობის ძირითადის იდეისა.

შემდეგი ცვლილებაც იმავე ხასიათისაა. გეხსომებათ შვენიერი
 სურათი ავთანდილის პირველად მისვლისა ტარიელის ქვაბსა. ასმათს
 ჭკონია ტარიელ მოვიდაო, მაგრამ რა ხახ უცნობი მოუმე (ხ. სკთ
 და სლ)—

227. ვერ იცნა, სახე არ ჰგვანდა მისი მის ყმისა სახესა;
 ფიცხლა გაიქცა, მიჰმართა ზახილით კლდესა და ხესა.
 ყმა გარდაიჭრა, დააბა, ვითა კაკაბი მახესა;
 ხმას სცემდა კლდენი ქალისა ზახილსა მუნ ერთ-სახესა.
228. მას ყმასა თავი არ მისცა, პერეტადცა ებილწებოდა,
 ვითა კაკაბი არწივისა ქვეშე, მიდამო ჰკრთებოდა,
 ტარიელს ვისმე უზახდა მწედ, თუცა არ ემწებოდა.
 ავთანდილ მუხლთა უყრიდა, თითითა ეხვეწებოდა.

აი ნამდვილი რუსთაველისეული სტილი, მარტივი, ნათელი,
 მკვეთრი და მკვრივი, რომლის წყალობით ჰოეტის დახატული სტენა
 საყვავა მოძრავობითა და სიცხოვლით. ასეთია სიტურფე და ორიგო-

ნაღობს რუსთაველის სტილისა და არა ის უაღბო ხანები, რომელნიც მოუხეშავის მეტაფორებით გონების თვალს გვიბრძანებენ და მჯამებით ეურებს გვიტყდენ.

კაცი ბარბაროსი უნდა იყოს და მხატრობითს გემოვნებას მოკლებული, რომ ზემოყვანილს რუსთაველისეულს მარგალიტს ხელი შეახოს. მაგრამ იჭვინუელმა გ. თუმანიშვილმა აქაც მონახა უხამსობა და ასე შესცვალა 228 ხანის ორი ლექსი:

მას ყმასა ერი დებოდა, ჭერეტადცა ეზარებოდა,
ვითა კაკაბი არწივის მჭვრეტი, მიდამო ჰკრთებოდა.

ვერ უძღებს გ. თუმანიშვილის უერი ისეთს უხამს სიტყვებს, როგორც „საშობელი“ და „მივაჭირვე“-ა. ტარიელ უამბობს ავთანდილს ნესტან-დარეჯანის დაბადების გამო მხიარულებას და დასძენს (ხ. ტკ):

314. საშობელი გაიყარა, ზრდა დაგვიწყეს მე და ქალსა.

გ. თუმანიშვილი ასწორებს რუსთაველის უზრდელობას: საშობელი კი არა, — „საშეებელი გაიყარა“ და სხვ.

სხვაგან ფატმან უამბობს ავთანდილს, რომ ნესტან-დარეჯანს ვერას გზით ვერ ვათქმევინე თავისი ამბავით (ხ. ჩრდ):

1118. რა მივაჭირვე კითხვითა, მეტისა საუბართა, და სხვ.

რასაკურველია, გ. თუმანიშვილმა ვერ დასთმო ასეთი უხამსი ლექსი და თავისებურად გაასწორა:

რა შევაწუხე კითხვთა, მეტისა საუბართა.

ავთანდილისა და თინათინის ქორწილი რომ გადაწყდა (ხ. ჩფდზ):

1524. ტარიელს უთხრა ქებითა იმედისა გათავება,

ქალსა ეტყვის: შემოყრიხართ აღარა გწავს ცეცხლთა დება.

ქმარი შენი ძმაა ჩემი, მწადს აგრევე თქვენი დება,

ორგულთა და შემცილეთა შენთა მე ვქნა გაფლიდება.

გ. თუმანიშვილი ამ ხანას ასე ასწორებს:

ტარიელ ჰკადრა თინათინს მუნ ხოტბისა დიადობა

მოახსენა შემოყრიხართ აღარა გწუავსთ ცეცხლთ მრავალდობა

ქმარი შენი ძმა არს ჩემი მწადს აგრევე თქმსნი დობა

შემცილდეთა თქვენთა ზედა მოსვრად მე ვჰყო ნავარდობა.

არა მგონია ამ ხანის ცვლილებას სხვა რამე მიზეზი მოეპოვებოდეს, გარდა იმისა, რომ გ. თუმანიშვილს არ მოსწონებია რუსთაველის ფრაზა „მწადს ატრევე თქვენი დება“, რომელსაც ტარუნელს გუნებაში სხვა მნიშვნელობა აქვს. და რადგანაც „დება“ ზრდილობის გულისათვის „დობად“ გადაკეთდა, დანარჩენი სამი რიტმაც აუცილებლად უნდა შეცვლილიყო.

ეს გადაჭარბებული მორცხვობა და შიში ორდესულის სიტყვისა უტყუარი ნიშნია, რომ გ. თუმანიშვილი ზოემის ტექსტს არტანუჯის ხელთნაწერის მიხედვით კი არ ასწორებდა, არამედ თავის დროის გამოგნებაზედ სცვლიდა, როცა უბრალო სიტყვებს „დება“, „მიჭირვება“, „სამობელი“ და „თავი არ მისცა“ გარდა პირვანდელის აზრისა, სხვა უხამსი მნიშვნელობაც მიემატა. გ. თუმანიშვილის და მის შემდეგ ბარბარე ქობულაოვის თანამედროვენი ძალიან ერიდებოდნენ, როგორც ზევით მოვიხსენიე, ასეთს ორდესულ სიტყვებს და ეს პრანჭიანობა ლაპარაკში დიდს ზრდილობად ითვლებოდა. ამიტომაც მოსწონებია ბარბარე ქობულაოვისას კნიაზ გ. თუმანოვის „გაკეთებული და გამოცვლილი“ ვეფხის-ტუაოსანი და სჯერა, რომ „უთუოდ რუსთაველისაგანაც ასე იქნებოდა“.

გ. თუმანიშვილის მიერ მოხდენილს ცვლილებას ზოემის ტექსტში უნდა მიუმატოთ კიდევ ერთი უცნაური ცვლილება, რომლის მიზეზი მე ვერ გამოვიგნე. მთელს „ვეფხის-ტუაოსანში“ მხოლოდ ორგან არის ნახსენები მრცვიქული: პირველად ერთს უკლებს ხანში და მეორედ ნამდვილს რუსთაველისეულში, და ეს ორი ლექსია მხოლოდ აშკარა ნიშანი ავტორის ქრისტიანობისა. აი ეს ლექსები (ხ. ხ. ღჰა და ჩღე):

772. წაგიკითხავს სიყვარულსა მოციქულნი რაგვარ სწერენ.

1023. მართლად იტყვის მოციქული შიში შეიქს სიყვარულსა.

გ. თუმანიშვილი ამ ლექსებს ასე ასწორებს:

წაგიკითხავს სიყვარულსა ძველნი ბრძენნი ვითა ჰსწერენ.

მართლად უთქვამს სიბრძნით სრულსა შიში შეიქს სიყვარულსა.

ერთად ერთი შესაწინარებელი საბუთი მრცვიქულის სახელის განდევნისა ის თუ იქნება, რომ გ. თუმანიშვილს უხამსად მიუჩნევია მო-

ციქულის ხსენება სამიჯნურო ჰოემაში. სხვათრივ ეს უცნაური შერ-
უნა ტექსტისა მე ვერ ამიხსნია.

VIII

დასასრულ, ორიოდ სიტყვა გ. თუმანიშვილის გრამატიკაზედ:

მე არ გამოვუდგები უ და უწ, რომელიც შემოტანილია ამი-
ლახვრისეულს ხელთნაწერში თვით დამწერის დავით რექტორისგან,
თუმცა გ. თუმანიშვილიც ხმარობს ამ ასრებს, როგორცა სჩანს მისს
გასწორებულს ადგილებში. ეს ჩვეულებრივი ორთოგრაფიისა ქართველი
მწერლებისა ანტონი კათალიკოზის დროიდან ვიდრე მე-XIX საუ-
კუნის ნახევრამდე. ამ დროსვე ეკუთვნის მდებარებითის სქესის შე-
მოღება. როგორც ამილახვრისეულს ხელთნაწერიდან სჩანს, მდებარე-
ბითი სქესის ხმარება დავით რექტორს კი არა, გ. თუმანიშვილს შე-
მოუტანია. ტექსტში ცხადად სჩანს მისის ხელით გასწორებული
ლექსები:

ლვ. ჩემი მზე (ძე) დავსრუთ კელმწიფად ვისგან მზე საწუნელია.

მგ. თინათინ ჩემი კელმწიფად დავსკ მე მისმან მოზობელმან.

მპ. დღეს შენ ხარ მეფა არაბეთს ჩუბნგან კელმწიფად კობილი.

მდებარებითის სქესის შემოღება გ. თუმანიშვილმა იქამდის მი-
იუვანა, რომ რუსთაველს უსწორებს ლექსს (ხ. აიბ):

ნოჰ. იგა ვნახე დარეჯილი გაღანამცა დამიძიმდა.

ეს იგა, რასაკურველია, რუსულს Ога-ს უნდა უდრიდეს.

შესანიშნავია აგრეთვე გ. თუმანიშვილის მართლწერაში უადგი-
ლო ხმარება ასოს ჰ-სი. ამ ასოს გ. თუმანიშვილი უმატებს არა მარ-
ტო ზმნის მესამე პირის აღსანიშნავად, როგორც მაგალითად: „ჰსჯობს“,
„ჰსცეს“, „ჰსწუნობდა“, „გაჰსცა“, „ჰობრანა“ და სხვ., არამედ
პირველი და მეორე პირის ზმნაშიაც: „ჰგჭერტ“, „დაჰსჯ“,
„ჰგკითხავთ“, „ჰობრანებთ“, „მჰგვანდა“, „მჰსწადს“ და სხვა.
უმატებს ამ ჰ-ს ზედშესრულს სახელებსაც: „ჰრგული“, „ჰმჰო-
ბი“, „მჰსგავსი“, „ჰსწავლებული“ და სხვა. უმატებს არსებითს
სახელებსაც, მაგალითად: „ჰმუწნება“, „გჰსება“, „ჰსწავლა“,
„ჰსმა“, „ჰსპასპეტი“, „ჰობრანებანი“, „ჰობრინი“ და სხვა.

საიდგან წარმოსდგა ასეთი ახირებული ორთოგრაფია მე ვერ მიმხვდარვარ და ამ საკითხის გამოკვლევა ჩვენი გრამატიკოსებისათვის მიმინდვია.

IX

ჩემი დასკვნა ამილახვრისეულის ხელთნაწერის განხილვის შემდეგ ცხადია და აუცილებელი. ხსენებულის ხელთნაწერის გარჩევა გვიშტკიცებს, რომ ეგრეთ წოდებული არტანუჯის ვარიანტი „გეფხის-ტყაოსნისა“ არის გ. თუმანიშვილის ნაწარმოები. ეს ვარიანტი არც შინააჩნით, არც სტილით და არც მართლწერით არ მოგვაგახებს რუსთაველის ენასა და ჰოეზიას. პირიქით ზედ აჩნევია უტყუარი ნიშნები თავის დროისა. მისი მართლწერა და მდებარეობის სქესის ხმაურება, ანტონ კათალიკოზის შემოღებული, მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში განათლებულ ქართველობას დიდს სწავლულობად ქქონდა მიჩნეული. სტილი ვარიანტისა ცრუ-კლასიკური, გაბერილი, ფუჭი, ჰერსიანიზმებით სასუე, ჰბაძავს მეჩვიდმეტე საუკუნის სტილს, ეგრეთ წოდებულის აღორძინების ხანისას, როცა მეტადრე შეირყვნა რუსთაველის ჰოემა.

არსებითად არტანუჯის ვარიანტმა არაფერი შესძინა ჰოემის შინაარსს: ვერც ერთი ნაკლი გონიერულად ვერ შეავსო და ვერც ერთს ბუნდოვანს ადგილს ვერ მოჰფინა სინათლე; სამაგიეროდ ბევრი ღამაზი სიტყვის მოქცევა და ჰოეტური სახე დამახინჯა. ამ დამახინჯებაში, სხვათა შორის, ცხადად სჩანს, რომ ავტორს უნდოდა მოეშორებინა ტექსტისთვის ვითამც უხამსი ადგილები და მოეკვარებინა ჰოემა ad usum matronarum — ბანოვანთა სახმარად, რაცა სრულეობით არა ჰგავს რუსთაველის წერის მანერას.

რაც შეეხება ვარიანტის არტანუჯობას, მე არა მჯერა, როგორც ზეგითაც მოგახსენეთ, რომ ეს ლეგენდა გ. თუმანიშვილის მოგონილი იუოს.— შეუძლებელია კაცმა იმოდენის გულსმოდგინებით მოიხოვოს „უძველესი ნაწერი ვეფხის ტყაოსანი კერძოთა არტანუჯისათა“ და ეს საკვირველი და ძვირი შემთხვევა ერთის სიტყვითაც არ მოეხსენებინოს. ძნელი დასაჯერებელიც არის, რომ საზოგადოებაში

გამოჩენილს და პატივცემულ კაცს, როგორც იყო თავის დროს გ. თუმანიშვილი, ასეთი აშკარა ტყუილი მოეგონოს.

ამიტომ უფრო საგონებელია არტანუჯის ხელთნაწერის ლექსი და პ. ლარაძის შეთხზული იუოს. „არტანუჯის კერძი“ ეს ხომ სამცხეა, რუსთაველის სამშობლო, პ. ლარაძის დროს ისეთივე მიუვალი ქვეყანა, როგორც ჩვენს დროს თიბეთია. ამის გამო მკითხველს უნდა ჰგონებოდეს, რომ იქ ნაპოვნი უძველესი ნაწერი „გეგუხის-ტყაოსანი“ ძალიან უხვლოვდება თავის სათავეს, ეკების თვით რუსთაველის ხელითაც ნაწერი იუოსო. და ეს რაღაც უნახავი ხელთნაწერი იმოსება საკვირველების, თითქმის სასწაულის ელფერით, რომელმაც ჭიზნოზსავით უნდა იმოქმედოს მკითხველის გონებაზე და დაჯეროს უკრიტიკოდ ვითამც გ. თუმანიშვილის შერეული ტექსტი ჰომოს ანის ნამდვილი რუსთაველისეული.

მაგრამ ვისი მოგონილიც უნდა იუოს არტანუჯის ხელთნაწერის ლექსი, ან რა განზრახვითაც იუოს შეთხზული, სულ ერთია. ჩვენთვის უმთავრესი ის არის, რომ თვით მეცხრამეტე საუკუნეში შესაძლებელი იყო „გეგუხის-ტყაოსანის“ ტექსტის შერევა და შიგულობი ხანების ჩამატება.

† ალ. სარაჯიშვილი.

1684 წელს ფანსკერტელს ციციშვილს ბოქაულთუნუცეს ბატონს ფარსადანს ავად გაუხდა თანამეცხედრე მისი ბატონიშვილი დარეჯან, კახთ ბატონის ერეკლე ჰირველის ანუ ნაზარალი ხანის და. შეწუხებული ბატონი ფარსადან მივიდა ერთაწმინდას სალოცავად და ღვთივ გვირგვინოსანის წმინდის ესტატის მეოხებითა და შეწევნით ბატონიშვილი დარეჯან კარგად შეიქმნა. ამის მიზეზით ბატონმა ფარსადან შესწირა წმ. ესტატეს თავისი უმა ხანანაშვილი საბია, მისი შვილები და ძმისწული ესტატა, უმამულოდ, და წელიწადში სამი ლიტრა ზეთი, ან იმისი ფასი თუ არ იშოვებოდა.

ეს შემოწირულობა თავის წესით იყო დაწერილი, ბოქაულთუნუცესის ფარსადანის ბეჭედ-დასმული, მისის მეუღლის ბატონიშვილის დარეჯანის ხელმოწერილი და შემდეგ, მეფის ერეკლე მეორის დროს, მათის შვილის-შვილის-შვილის სარდალ-ქაჯაქის მოურავის დავით ციციშვილის დამტკიცებული.

ფარსადან ციციშვილის მოცემული სიკელი უცილობელი საბუთი იყო ხანანაშვილების სოციალურის და ეკონომიურის ვინაობისა. ეს ქაღალდი ამტკიცებდა, რომ ხანანაშვილი თავისის ჩამომავლობით იყო წმ. ესტატის უმა, მართებდა მხოლოდ ეკლესიის სამსახური და მიწის გადასახადი არა ედო რა, რადგან უმამულოდ იყო შეწირული.

ხანანაშვილები მესაკუთრე გლეხები იყვნენ და რაც მიწები ეჭირათ, სულ ნასუიდობით ჰქონდათ შექენილი. ციციანთის უმობის დროსა და წმ. ესტატის უმობის დროსაც ხანანაანი უიდულობდნენ მიწებს. როგორც სჩანს ერთის უთარიდო სიიდან, რომელიც მე-X, III საუკუნის შუა წლებში იქნებოდა შედგენილი, ხანანაშვილებს თრმცდაათს დღიურზე მეტი მიწა ჰქონებიათ, წისქვილსა და ვენახებს გარდა. დიაღამც, ამოდენის მამულის ჰატრონი გლეხის ოჯახი, რომელსაც წმ. ესტატის მეტი სხვა ბატონი არა ჰქვანდა, შეძლებულად ჩა-

*) წაკითხულია ჩვეულებრივს საზოგადო კრებაზე 1913 წ., 3 იანვარს.

ითვლებოდა. მათი სიმიდირე იმდენად იყო გათქმული, რომ ხალხში ამბობდნენ, ვითამც ხახნანთ სახლში ოქროს აკვანი ედგათ და იმ ოქროს აკვანში ზრდიდნენ თავიანთ შვილებსაო.

მაგრამ ხახნანთ კეთილდღეობა დიდხანს არ გაგრძელებულა. ერთს შავ დღეს მე-XVIII საუკუნის შუა წლებში ლეკები დაეცნენ ხახნაშვილებს, მოუკლეს მამა, სახლით და კარით აიკლეს, და ამ აკლესში წიგნებიც დაეკარგათ. ამას იქით უკელმა დატრიალდა ხახნანთ ბედი.

გაძარცვულს და დასუსტებულს ოჯახს წიგნების დაკარგვით ძირი გამოეთხარა, ჯერ იმიტომ რომ ხელთ აღარა ჰქონდათ ნასყიდობის წიგნები და მკვიდრი მამული სადავო გაუხდათ. ახლა თავიანთ მამულების შესანახად უნდა ისეთი საბუთები ემოფათ, რომელსაც ნასყიდობის წიგნის ძალა ჰქონოდა. ერთს ამისთანას საბუთს წარმოგვიდგენს ზემოხსენებული სია ხახნანთ მამულებისა, შემოწმებული ათისა თუ თერთმეტის კაცის თვით. რასაკურგელია, ასეთის საბუთის შედგენას ბევრი ვაივაგლახი და ხარჯი დასჭირდებოდა.

მაგრამ ამაზედ უარესი კიდევ ის იყო, რომ იმ დაკარგულ წიგნებთან ფარსადან ციციშვილის შემოწირულობის სიკეციც დაიკარგა, მაშასადამე აღარ იყო საბუთი ხახნაშვილების ვინაობისა, და მათი სოციალური ვითარება სათუო გახდა. სადა იყო საბუთი, რომ ხახნაშვილი წმ. ესტატის უმა, და არა ვისიმე, რომელიმე ხელი დაადო?

ხახნანთ ოჯახი მეტად მსუქანი ლუკმა იყო, რომ ვისმე მებატონეს სადერდელი არ აშლოდა და არ ესელთა. ასეთი მიმჩემებული ხახნაშვილებს ორი გამოუჩნდა: ერთაწმიდის დეკანოზი და ადგილობრივი მებატონე თარხნიშვილი.

W

ძნელად მოხდება, როცა მოურავი უმას ბატონისათვის გადასახადს ახდევინებს, რომ თავისთვისაც ერთი რომელიმე წილი არ შეინარჩუნოს; და რაც უფრო კეთილის გულისა ან დაუდეკარია ბატონი, მით უფრო დიდია მოურავის წილი. რაღა თქმა უნდა, რომ წმ. ესტატისთანა უწეინარის და უტყვის ბატონის მოურავი-დეკანოზიც ეცდებოდა თავის ბატონის უმის ხახნაშვილის დაღასა და კულუხში თავისი წილი დაედო და ეს წილი თანდათან გაედიდებინა. ამ საშუალებით რამოდენისამე ხნის განმავლობაში წმ. ესტატის უმა მისის

დეკანოზის უმობს შეეჩვეოდა და რადგანაც ვინაობის საბუთი და-
კარგული ჰქონდა, დეკანოზი მის ბატონობას დაიხმებდა.

რომ წმ. ესტატის დეკანოზს ასეთი განზრახვა ჰქონდა, ცხა-
დად სჩანს მისის წყალობის წიგნიდან, რომელიც აქ სიტყვა-სიტყვით
მომუყვს:

„ქ. ესე წყალობის წიგნი მოკრეც მე წმინდის ეგსტათის დეკა-
ნოზმა სვიმონ შენ, ჩვენს ერთგულს უმას ხახანაშვილს, ასე რომე
ქველათ მამაჰანისკანაც დალა და კულუხი ამოკვეთილი გქონდათ, ახ-
ლა რა თათრობა იყო დალაც გერთმეოდა და კულუხიცა. მოხველ და
შემოგვეხვეწე. ავდექ და შენი ცოდო ვეღარ დავიდეგ, სულ გაჰატი-
ვე. არას გზით შენი არც დალა მინდოდეს, არც კულუხი, ღთის
თავდებობით ასე წყალობა გვიქნია. ვინც ეს მოგიშალოს, ან მე ან
თარხნიანთა, შეორეთ მოსვლას ჩემს წმინდას ეგსტათისაც ჰასუ-
ხი მისცეს, ჩემს მამა-ჰანათაცა. ვინც მოგიშალოს, იგიმც შეიშლება
თავისის სახიდამა; მასმც ედება ცეცხლი გეზისა, შიშთვილი იუდა-
სი, დანთქმა დათან და (ა)ბირონისა; ნუმცა იხსნების სული მისი
ჯოჯოხეთის ცეცხლისკან, ვინც ეს წყალობა მოგიშალოს. არიან ამი-
სნი მოწმენი: მახარე ელისაბედაშვილი კანდელაკი, ზაზა ჯორაშვილი,
ბერუა ერთგულაშვილი მოურავი. მე დეკანოზს სვიმონს დამიწერია
და უბუდიცა მაქვს. დაიწერა ენკენისთვეს ოცდაცხრას გასულს, ქვს
უდა (1773 წ.). წმინდის ეგსტათის უმობის გულისათვის მიგვიცა
ეს სითარხნე“ □ □.

ამ ვითამც და წყალობის წიგნს ამტკიცებენ თავიანთის ხელით
და ბეჭდით თარხნიშვილები:

„ქ. მე თარხანი და თოფნიბაში გიორგი ამის მოწამე ვარ. ვამ-
ტკიცებ ამ წიგნს“ □.

„ქ. მე თარხნიშვილი ზაზა უორიასულ ბაში ამის მოწამე ვარ,
და ვამტკიცებ ამ წიგნს“ □.

„ქ. ჩვენ თარხნიშვილი იოვანე ამ წყალობის წიგნს ვამტკი-
ცებთ“ □.

„ქ. მე თარხნიშვილი მამუკა ამისი მოწამე ვარ“ □.

თოთხმეტის წლის შემდეგ ეს წიგნი დაუმტკიცებია თვით მე-
ფესაც:

„ქ. ჩვენ შევექმნეთ ქართლისა და კახეთისა და სხვათა ირაკლი მეორე ამ წიგნს ვამტკიცებთ. აღიწერა ნოემბერს კვ, ქვს უოქ“ (1787) □.

ეს წყალობის წიგნი არ გვიხატავს არც საქმის ნამდვილს ვითარებასა და არც დეკანოზსა და ხანანაშვილს შორის ნამდვილს ურთიერთობას. წიგნის თავში სვიმონ დეკანოზი ხანანაშვილს თავის ერთგულს უმას ეძახის, ბოლოს კი დასძენს: „წმინდის ევსტათის უმობის გულისთვის მიგჭიციან სითარხნეო“. — მაშ ვისი უმა იუო ხანანაშვილი: წმ. ესტატისა, თუ მისის დეკანოზისა?

მერე დეკანოზი ამბობს: „ბჟელათ მამაჰანისაგან დალა და კულუხი ამოკვეთილი გქონდათ, ახლა რა თათრობა იუო დალაც გერთმეოდა და კულუხიცო“. — რასაკურგელია, ნამდვილი მიზეუნი ამოკვეთილის დალისა და კულუხის ხელახლად გამორთმევისა დეკანოზის ძალმომრეობა და დაჩეუება იქნებოდა და არა თათრობა.

დასასრულ, დეკანოზი გვარწმუნებს ვითამც ხანანაშვილის ხეწნა შეიწინარა და რაც ემართა სულ ახატია. რად ახატია: უსამართლოდ ერთმეოდა ხანანაშვილს დალა და კულუხი, თუ შეძლება არა ჰქონდა და დეკანოზმა შეიბრალა და ამოუკვეთა? თუ უსამართლოდ ერთმეოდა, მაშ ხანანაშვილი არცა უოფილა დეკანოზის უმა. და თუ სიმართლით მართებდა, რად ახატებდა დეკანოზი, როცა ხანანაშვილი იმაზედ უფრო შეძლებული იუო? და რომ ხანანაშვილი დეკანოზზედ უფრო შეძლებული იუო, ეს სჩანს ერთის ნასუილობის წიგნიდან.

სვიმონ დეკანოზის მიცემულ წყალობის წიგნის შემდეგ ხუთი თვეც არ გასულა (10 თებერვალს 1773 წ.), რომ იგივე მწყალობელი დეკანოზი ნასუილობის წიგნს აძლევს იმავე მთხოვნელს ხანანაშვილს: ერთი ჩემი ნასუილი ნავენახობი და ერთიც შენს ნაფუძვრებს შუა მუხის მიწა „შენ მოგვიდუო და ავიდუო ფასი სრული და უკლებელიო“. დეკანოზს თუ კი ისე უჭირდა, რომ თავის მამულს ჰყიდდა, თდონდაც არ ახატებდა ხანანაშვილს ვალსა.

ეს მოსაზრება ნებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ წმ. ესტატის დეკანოზის წყალობის წიგნი ხანანაშვილისთვის მიცემული, ნამდვილი რქმი კი არა, მხოლოდ იურიდიული ფიქცია იუო. როგორც დაკარგულის ნასუილობის წიგნების ნაცვლად ხანანაშვილებმა შეადგინეს

თავიანთის მამულებს სია და სახატო კაცებს ფიცით შეამოწმებინეს და ამგვარად აღადგინეს საკუთრების საბუთი, ისე წმ. ესტატის დეკანოზის მიტეპულს წყალობის წიგნით ხასხანაშვილები ლამობდნენ დამტკიცებინათ თავიანთი უმობა წმ. ესტატისა, რომელიც სათუო შეიქმნა მას აქეთ, რაც ფარსადან ციციშვილის შეწირულობის წიგნი დაჰკარგოდათ.

წმ. ესტატის დეკანოზის მიტეპული წყალობის წიგნი შეიცავს ერთს საბუთს ხასხანაშვილებისათვის ფრიად საჭიროს, რომ ხასხანაშვილი წმ. ესტატის უმა და ამას ამტკიცებენ, დეკანოზს კარდა, თვით თარხნიშვილებიც. საგანებელია, რომ ეს წყალობის წიგნი ხასხანაშვილს უსასუიდელოდ არ ერკებოდა. და დეკანოზი რომ გაჭირებაში არა უოფილიყო და ხასხანაშვილს რომ ეს დრო არ დაეხელებინა, ეტების არც კი ედირსებოდა დეკანოზის წყალობას. ამ წყალობის სასუიდელოდ დეკანოზს მიერთებოდა კაი ძღვენი, და არც წყალობის წიგნის დამამტკიცებელი ოთხი თარხნიშვილი დარჩებოდნენ უძღვნოდ.

მაგრამ ამაო იყო ხასხანაშვილების ცდა, სვიმონ დეკანოზის წყალობის წიგნით ვერც თარხნიშვილი მოიშორეს თავიდან, ვერც თვით დეკანოზი, რომელნიც მაინც ჩემულობდნენ ხასხანაშვილების ბატონობას.

ამასობაში მოხელა დმერთმა ხასხანაშვილებს და ძღვივს, ოთხის წლის ძებნის შემდეგ, 1777 წლის შემოდგომას, იზოვეს თავიანთი დაკარგული საბუთი, ფარსადან ციციშვილის შეწირულობის წიგნი. მაშინვე ეს წიგნი არზასთან მიაერთვეს ერეკლე მეფეს და იჩიულეს: მამუკა თარხნიშვილი გვიმსახურებსო. და მეფესაც ოქმი უბოძებია თარხნიშვილზე: ეს ხასხანაშვილი წმიდის ესტატის შეწირული უოფილა, ამას დაეხსენო.

შემდეგ 1778 წ. თებერვლის 16, ივანე ხასხანაშვილის ქვრივი და ობოლი უჩივის წმ. ესტატის დეკანოზს და კვლავა სთხოვს ერეკლე მეფეს: „ერთის ოქმის წყალობა გვიუავით, თარხნიანთ და დეკანოზს ჩვენთან კელი არა ჰქონდეს. რაც ძველად გვდებია, ხატს ვემსახურეთ“. ამ არზასაც ერეკლე მეფემ დასდო თავისი განჩენი: „ქ. ჰატოასანო მღვდელი, წმინდის ესტატის დეკანოზო სვიმონ, ამ არზის ჰატრონი ამ არზით ასე ჩივის და თავისი შეწირულობის წიგნიც გვაჩვენა, ციციშვილს როგორც შეუწირავს. შენ ამასთან სა-

ბატონუმო კელი არ გაქვს. რაც იმ შეწირულობის წიგნში ეკლესიის სამსახური უწერია, იმას ეკლესიას უნდა მსახურებდეს, და სხვა რიგად შენ ამასთან საბატონუმოდ კელი არა გაქვს. და თუ ერთი ჭეშმარიტი სიტყვა რამ გქონდეს, ჩვენ მოგვასხენე“.

რასაკურთხელოს, არც მამუკა თარხნიშვილს და არც სვიმონ დეკანოზს მეფისთვის არცერთი „ჭეშმარიტი სიტყვა“ არ მოუხსენებიათ, მაგრამ თავისას მაინც არ იშლიდნენ და ხასხანაშვილებს ხან ერთი და ხან მეორე აწუხებდნენ. იმავე 1778 წელს ენკენისთვეში ზურაბ თარხნიშვილმა, მამუკას ძმამ, შიო ხასხანაშვილს ღირსი მოუკლა და შეჭამა. გამწარებული შიო მივიდა დეკანოზს სვიმონთან და მოახსენა: „როგორი ბატონი ხარ, რომ არაფერს მიშეუელიო. თარხნიშვილმა ზურაბმა ღირსი მომიკლა და შეჭამა“. იწეინა დეკანოზმა ასეთი უკადრისი სიტყვა, გამოუდგა უკან შიოს და დიდი ალაგი სდია. ესეც არ იკმარა დეკანოზმა და ხასხანაშვილს ცილი მოუგონა: ჩემზედ სატყუარი ამოიღეო, ან სისხლი მომეცი, ან თავი ნასუილობით მომეციო.

უამბობს ამ ამბავს შიო ხასხანაშვილი თავის არხაში ერეკლე მეფეს და ეხვეწება: „ჩემო კელმწიფეო, მოწმები მუავს, რომ დეკანოზი სატყუარის ამოღებას ტუეილად მიგონებს. სამართალი მაღირსეთ, ღთი გაგიმარჯვებს“. და გამწვრალი მეფე, რომელიც სვიმონ კარგართელს პირველად „პატრიარქის მღვდელს, წმიდის ესტატის დეკანოზს“ ეძახდა, ახლა მოკლედ მოუჭრის: „ქ. დეკანოზო სვიმონ, ამ არხის პატრონი ამ არხით რომ ასე ჩივის, სამღვდელის კაცი სავან ამ გვარი შინთლები დიად უმონასიბო არის. ამას დაეხსენ, ნუ აწუხებ“.

ამ მეფის მკაცრმა ბძანებამ გასჭრა, თუ სხვა რამე მიზეზი იყო, წმ. ესტატის დეკანოზებმა მას აქეთ ხასხანაშვილებზე ხელი აიღეს და ანამც თუ აღარ აწუხებდნენ, პირიქით, შემდეგში ზოგჯერ გამოუსარჩლებოდნენ კიდევცა.

როგორც იყო ხასხანაშვილებმა მოიშორეს თავიდან წმ. ესტატის დეკანოზი, მაგრამ იმის ნაცვლად სხვა უარესი და ახირებული მტერი დაადგათ თავს—მამუკა თარხნიშვილი, რომელიც ოცი წელიწადი დაუღალავად სდევნიდა ხასხანაშვილებს, რომ ეუმია.

შვიდი წელიწადი გასულიყო, რაც მამუკა თარხნიშვილმა, თავის ძმებთან ერთად, დამტკიცა სვიმონ დეკანოზის წყალობის წიგნი, შემოწმა რომ ხასანაშვილი წმ. ესტატის უმა იყო, და ამით უარყოფითადად ბატონობა ხასანაშვილზე; მერმე თვით მეფემაც უბძანა, მაგას დაესვენო, წმ. ესტატის შეწირული უმა უოთილათ; მაგრამ მამუკა და მისი ძმა ზურაბ თავისას მანინც არ იშლიდნენ.

თუმცა ჩვენს ქალაქებში საბუთი არ შენახულა, მაგრამ საგონებელია, რომ ხასანაშვილებს ბევრჯერ უნდა შეეწუხებინათ მეფე სამართლის თხოვნით, რადგანაც 1780 წელს ერეკლე მეფე უბრძანებდა დივანბეგებს გაარჩიონ ხასანაშვილისა და თარხნიშვილის დაფა.

მამუკას სრულიად დივანბეგების განჩინება:

„ქ. თარხნიშვილი მამუკა უჩიოდა ხასანაშვილს თვედორეს და მისს ძმას შიოსს: „კარგართლის სვიმონ დეკანოზის უმა იუაუთო და ის დეკანოზი ჩემი ბართში გამოყოფილი უმა იყო“. ხასანაშვილები უბასუბდნენ: „ჩვენ ციციშვილის ფარსადანისგან შეწირული წმიდის მრავალ მოღვაწის ევსტათის ეკლესიის უმანი ვართო. დეკანოზი გვიმსახურებდა არათუ ბატონობით, ეკლესიის დეკანოზობით, თორემ ჩვენთან სხვა საქმე არა ჰქონდა რა“. წიგნი გვაჩვენა, ასე ეწერა: შემოგწირეთ ხასანაშვილი სპაია, მისი შვილები, მიხი ძმისწული ესტატე. ქვს. ტობ (1684). მეორე წიგნი ჰქონდა ამავე ხასანაშვილებს სვიმონ დეკანოზისგან მიცემული: ჩვენს ერთგულს უმას ხასანაშვილს თვედორეს და შიოსს. ძველად მამაპატარაც ამოკვეთილი გქონდათ დალა-კულუხი, ავდეგ და შენი ცოდვა ვეღარ დავიდეგ, სულ გაპატივეგო. და ბოლოს ეწერა: წმიდის ევსტათის უმობის გულისთვის მოგვიცია ეს სითარხნეო. ქვს. უა (1773). ჩვენ საქართველოს მსაჯულთ შეკრებილებამ ეს განჩინება მივეცით: თარხნიშვილი მამუკა და ზურაბ რომ ამბობენ, ეგ ციციშვილის წიგნი შენი არ არისო, სხვისა ვისიმე არისო, და შენის გვარის სახელი ჩაგიწერინებიაო, მართალია. ხასანაშვილი სადაც სწევია, იმ ადგილს ის წიგნი დახეული იყო, დაუკრებიათ და მოუცხოვლებიათ, და ღთნ უწყის ისივე სახელი მოუცხოვლებიათ, თუ სხვა დაუწერიათ, და დეკანოზის მიცემული წიგნი ხომ ასე აცხადებს, თავს სწევია: „ჩვენს უმას ხასანაშვილს“, და ბოლოს სწევია: „ეს სითარხნე წმი-

დის ევსტათის უმობის გულისათვის მომიციაო“, — ხანაშვილს თვე-დორქს და შიოს ფიცი დავადევით: წადგნენ ორნი ძმანი და ერთი კაცი ერთაწმიდელი თან მოიყვლიონ, და ამ სამთ ასე შეჭყეცონ, რომ ეს ციციშვილის წიგნი სწორედ ჩვენის გვარისათვის არის დაწერილი და მოცემული, და რაც ამაში სწერიან ჩვენნი მამა, ბიძანი და შაჰანი იუენენ და სწორედ ხანაშვილობით წერებულებენ, და ჩვენნი მამა-შაჰანი წმიდის ევსტათის შეწირულნი უმანი უოფილიეუნენ. აგრევე კიდევ ელისაბედის შვილი მღვდელი იესე ფიცით ხომ ვერ დაიფიცავს და ასე თქვას: ჩემმა სულმა, რომ ხანაშვილები და ამათი მამა-შაჰანი წმიდის ევსტათის უმანი არიანო. ეს რომ ასე აღასრულონ, მამუკას და მისს ძმას ზურაბს კელი აღარა ექნებათ რა. და თუ ვერ აღასრულეს, დეკანოზის უმანი უოფილან და მამუკას და ზურაბს დარჩებიან. — ბუჭყიაშვილო ნინავ, ეს ასე აღასრულე! რადესაც ეს ფიცი გარდაწელება და კელესიას დარჩება, მერმე რაც ამ ხანაშვილებს ნასუიდი მამულები აქვსთ, რომ ან წიგნი აცხადებს და ან მოწამე მოწმობს, ის ხანაშვილებს დარჩებათ. და რაც სათარხნო მამულები უჭირავსთ, რომ არ ეუიდოსთ, ის მამუკას და ზურაბს უნდა დაუგდონ. — თებერვლის კვ. ქვს. უახს“ (1780 წ.).

ამ განხილებიდან ჩანს, რომ დივანბეგები ძალიან ფთხილად მოქცეულან და, რადგან ხანაშვილის წარდგენილი საბუთები სრულიად მოუღვეარი არ იყო, ხანაშვილებს ფიცი დაუდევს. მაგრამ ამ ფიცის ასრულება არც ისეთი ადვილი საქმე იყო. მამუკა თარხნიშვილმა სხვა და სხვა მიზეზები მოუდო ხანაშვილებს და დიდხანს აცოდვოლა, ასე რომ დაფიცება და საქმის გადაწყვეტა ძლივს ოთხის თვის შემდეგ მოხდა. აი როგორ გადასწვიტეს დივანბეგებმა საქმე:

„ქ. ეს განხილება რომ მივეცით, მისულებენ საფიცრად. მამუკას და ზურაბს აღარ დაეფიცებიანთ, ორთავ კელი მოეწერათ: „აღარ დავაფიცეთო, ხანაშვილი წმიდას ევსტათის დარჩაო, მე მამუკას კელი არა მაქვსო. მე ზურაბამაც კელი ავიდოო“. აგრევე ბუჭყიაშვილს, ამათს იასაულს იოანეს მოეწერა, წმიდას ევსტათის დარჩაო. აგრევე ქართველისშვილს, აგრევე კლიმიანშვილს ოტიას, აგრევე წმიდის ევსტათის დეკანოზის შვილს დავითს, აგრევე ატიკაშვილს, აგრევე იასე ქეშელაშვილს. ჩვენ მსაჯულთ ამათი კელით წე-

რელი რომ ვნახეთ და თვითან მამუკასი, ეს განჩინება მივეცით, რომ ამ ხანაშიღელს თევდორესა და შიოსთან კელი აღარა აქვსთ მამუკას და ზურაბს, და დარჩა წმიდის ევსტათის ეკლესიას. და მამულებისა როგორც დაგვიწერია, ისე აღსრულდეს. თიბათვის იზ. ქვს უაღ“ (1780).

თითქო მამუე შტეიცე, გადაჭრილი და ხელ-შეუვალი განჩენი არ იქნებაო; თითქო მას აქეთ, რაც თარხნიანთ საჯაროდ აღიარეს, ხანაშიღელები წმ. ესტატის უმები არიან და ჩვენ მკათთან ხელი არა გვაქვსო, ხანაშიღელებს სული უნდა მოეთქვას და შაღავათი მოსცემოდათ. მაგრამ მამუკას სიტუვა და ხელწერილი .ტუიული გამოდგა, ხანაშიღელების მიჩემება იმან გულიდან მანც არ გადაიგდო და უწინდებურად იკლებდა უღონო გლეხის ოჯახს.

დივანბეგის განჩინების ოთხის წლის შემდეგ, 1784 წლის დამლევს, იგივე თევდორე ხანაშიღელი უჩივის თარხნიშიღელს ერეკლე მეფესთან: ამ ორს წელიწადშიო „მამუკამ წამართვა ამნებული სახლკარი, საში ქვევრი წამართვა, საში შინაღთუნი და ორი აბაზიც ახლა წამართვა, ნასუილი მამული წამართვა“. მეფეც კვლავ უბძანებს თარხნიშიღელს ხელი აღდოს ხანაშიღელზე, მაგრამ ამაოდ.

ორი წლის შემდეგ (1786 წ.) თევდორე ხანაშიღელი კიდევ ჩივის. „ათი წელიწადიაო, მთახსენებს მეფეს, თავს გაწუნთ და ვჩივით: თარხნიშიღელებს უჩივით. ჩვენი სამართალი თქვენგან, თქვენის შვილის გიორგისაგან და მსაჯულთაგან გასამართლებულია, განჩენი გელთ გვიტირავს, მაგრამ ერთხელ ასეთი იასაული არ გვებოძა, რომ იმათი კერძი კაცი არ უოთილიყო და ეს საქმე გაერეგებინა. ახლა ეს არის ჩვენი ვედრება: ერთი ისეთი იასაული გვიბოძეთ, რომ იმ მხრის კაცი არ იუოს, იმ ეკლესიისათვისაც იზრუნოს და ტეშმარტების მიმხედველიც იუოს, და ამ განჩენში ბრძანებული აღსრულდეს“.

აღბათ ძნელი იყო ისეთის იასაულის შოვნა, რომელსაც ხანაშიღელი ითხოვდა, რადგან მეფე უბძანებს ეშიკაღასაშის ორბელიანს თამაზს მივიღეს და, როგორც მისგან დამტეიცებულს განჩენებში ეწეროს, ისრე აღსრულდოს.

თარხნიანთ ქაღალდებში, საუბედუროდ, არ იხრება არავითარი კვალი იმისი, თუ როგორ აუსრულებია თამაზს ორბელიანს მეფის

ბძანება. მხოლოდ შემდეგის საბუთებიდან სჩანს, რომ ეპიკადასბაშის განკარგულებას დიდხნის ძალი არა ჰქონია, ხანხანაშვილი, იმდენის ოქმისა, განაჩნის და იასულების შემდეგ, მანც გულდაჯერებული არ არის, რომ მის თავს და ქონებას ხელს არავინ ახლებს. ამიტომაც თვედორე ხანხანაშვილი სთხოვს ერეკლე მეფეს: „მდივანბეგების განაჩენი დაგვიმტკიცეთო და ისეთს კაცს მიმბარეთ, ძალი და უსამართლო არავინ მიუოს და ჩემი მამულიც შეიმაგროსო“.

მეფემ, რასაკურვლია, შეიწუნარა ხანხანაშვილის თხოვნა და ზემოყვანილი 1780 წლის დივანბეგების განჩინება ასე დაუმტკიცა: „ქ. ჩვენ, სრულიად საქართველოს მეფემან ირაკლი მეორემან, თვითან მამუკა თარხნისშვილისა და იმისის ძმის ზურაბისა და სხვათ მოწმებისა და იასულისკან კელით ნაწერი ვნახეთ, და ჩვენც ასრე დავამტკიცეთ, როგორც მსაჯულთ დაუწერიათ და დაუბეჭდავთ. ივნისის კ. ქვს უკე (1787 წ.) მამუკას ნაწერი და იმისის ძმისა და მოწმებისა ვნახე და ჩვენც დავბეჭდეთ. ის წიგნიც თვედორეს მიეცა, იმას ქონდეს“.

დივანბეგების განჩინება მეფეს გარდა ღარეჯან დედოფალმა და გიორგი ბატონიშვილმაც დაამტკიცეს და ბეჭედი დასვეს, ალბათ მეტის სიმტკიცისათვის.

ხანხანაშვილის მეორე თხოვნაც მამულის შესახებ შეიწუნარა ერეკლე მეფემ, რაცა სჩანს მისის ოქმიდან: „ქ. ჩვენ მაგიერათ თარხან მინბაშს გიორგის ასე უამბეთ: მერე წმინდის ესტატის ემას ხანხანაშვილს ამ არზით ასე რომ მოუხსენებია, ეს შენ გეპარებოდეს, თვალურე მიუგდე, რომ ამას უსამართლო არავინ რა უუოს, ან მამული არავინ წაართვას, ან ეს არავინ რაზე გასაჯოს. იმ წმინდის კაკაღესიის სამსახური როგორც აძეს, ისე მსახუროს, სხვა ნურავინ რაზე გარჯის. თუ სიტუვა ვისმე აქვს, ჩვენ მოკვასენოს. ივლისის ი. ქვს უკე (10, VII, 1787). ქ. რაც ამის მამული ეჭიროს ვისმე, ისიც გამოურთვი და მოეც. როგორც მსაჯულთ განაჩენი ჰქონდეს ჩვენგან დამტკიცებულე და სარწმუნო მოწმები უცხადებდეს. ზეითაც დაგვიწერია, თუ სიტუვა აქვს ვისმე, სამართალში მოკვიდეს. მაგრამ თუ ტუულიათ ილაჰარაკებს ვინმე, იცოდეს დიდათ გარდახლება, ალბათ“.

ვინ არის ეს მინბაში გიორგი თარხნიშვილი, რომელსაც შეეფე აბარებდა ხასანაშვილს, რომ მამუკა თარხნიშვილს უსამართლო არა ეუო რა? ეგების ეს გიორგი მინბაში იგივე გიორგი თოფიბაში იყო, რომელმაც ამ თოფიბეტის წლის წინ მამუკასთან და სხვა თარხნიშვილებთან ერთად შეამოწმა და დაამტკიცა წმ. ესტატის დეკანოზის სვიმონის წუალობის წიგნი ხასანაშვილისათვის მოცემული. ვინც უნდა იუოს, არსიდან სჩანს, რომ ეს გიორგი თარხნიშვილი მამუკა თარხნიშვილის კერძი კაცი არ უოფილიყო და სხვა იასულებზე უკეთ აესრულებინოს მეუვის ბძანება. მართლა და, ნსუეკარი წელიწადიც არ გასულა, რაც ერეკლე მეფემ გიორგი მინბაშს მიაბარა ხასანაშვილი, რომ ეს გლუხი კვლავა ჩივის მეუესთან, მამუკა თარხნიშვილმა ნასუიდი ვენახი წამართვაო. ახლა კი პირთამდე მთიყარა ფიალა მთმინებისა და გამწერადმა მეფემ თავის შვილს გიორგის მიაწერინა მამუკა თარხნიშვილთან წიგნი საესე სამდურავითა.

ჩ. ბატონისშვილის გიორგის სიკეთით სხსოვარო თარხნიშვილო მამუკაე! შერე მისის უმადლესობის ბძანებით სამართალში ილახარაკეთ შენ და ამ ხასანაშვილმა, და ორჯელ გამტეუნდი, რომ არცა რა ამ ხასანაშვილთან და არცა რა ამის ვენახსა და ნაუიდ მამუელთან სჰქმე არა გაქვს რა. რომ ამ ხასანაშვილს განჩენი კელთ უჭირავს და ეკ თავისი ნასუიდი ვენახი და მამული არ დაგინებებია და კიდეე ჩვენთან ჩივლებ და არ ანებებ, — რას ემართლები? ეგ კაცები რომ დაიფიცეფდნენ, თავისი ვენახი და მამული უნდა დაგენებებინა და როგორც განჩენი აცხადებს, იმას უნდა დასჯერდე და ამ ხასანაშვილებს ეგ თავისი ნასუიდი ვენახი და მამული უკლებრივ მისცე, თორემ მისის უმადლესობის ბძანების წინააღმდეგეც იქნები და სამართლისაც. და შენს თავადიშვილობას რომელიც არ ეკადრება, ისე ავადაც მოგეპურობით, თუ კიდე ეს ხასანაშვილები ჩივლენ. — აბაზაძე უთრუთ, ეს ახლავ ასე აღასრულე. — იანვარს ვ, ქქს უოვ (1788 წ.). — და კელი უნდა ამართო იმ ვენახს და მამულს და ამ ხასანაშვილს უნდა მიაბარო“ გიორგი.

ამ წიგნიდანა სჩანს, რომ მამუკა თარხნიშვილს ორჯელა ჰქონია დავა ხასანაშვილებთან: ერთხელ ბატონ-უმობაზედ და მეორედ მამულზედ, და ორსავე დავაში თარხნიშვილი გამტეუნებულა. ბატონ-უმო-

ბის თაობაზე მოსამართლეების განჩინება შენახულა და ზევით მოგასვენო; მამულის თაობაზე განაჩენი კი თარხნიანთ ქაღალდებში, სამწუხაროდ, არ იპოვება. რაც უნდა იუოს, ბატონიშვილის წიგნიდან ცხადდ სჩანს, რომ ეს მეორე განჩინებაც ხანაშვილის სასარგებლო უოთილა და მამუკას აშკარად დაურღვევია, რისთვისაც ემდურის ახლა გიორგი ბატონიშვილი.

მაგრამ მეუის ძის წიგნმაც ისევე ვერ იმოქმედა, როგორც სხვა მრავალმა ოქმმა. მამუკა თარხნიშვილს არც „მისის უმაღლესობის“ ბძანებისა და სამართლის წინააღმდეგობისა შეშინებია და არც ბატონიშვილის მუქარისა, ვითამც შენის თავადიშვილობის უკადრისად მოგუპურობით. ამ მკაცრი ბძანების შემდეგ ოთხმა თვემ ძლივს განვლო და თვედორე ხანაშვილი ხელახლა ჩივის მეუესთან: „მამუკამ და იმისმა ძმამ ზურაბმა ამდენი ოქმი და განაჩენი არ შეიწუნარეს და არათერი გვეშეკლათ“, და სთხოვს, „ერთი მოწყალება და სამართალი რამ დაგვმართეთ“.

და დაუდალავი და სულგრძელი ერეკლე მეუე ამ არზას აწერს თავის განაჩენს: „ქ. ჩვენთ დის წყალობავ, შეილო ბატონო გიორგი ამ არზის ჰატრონი ასრე რომ ჩივის, ამთ საქმეს შენთანც სომ გაუგლია, და ჩვენც ამთონი ხანია რომ გვაწუხებს. ჩვენგან ოქმები და განაჩენი აქვს, მაგრამ მაშინაც ამთ საქმეს დასასრული არა მიეტათ რა. ახლა, თუ ჩვენი მამა-შვილობა გინდა, ის ამისი მოადიც მიუყანინე, რაც განაჩენი და წიგნები აქვს ისიც მიატანინე; მდივანბეგებიცა და თარხანი მინაში გიორგიც შენთან დაისწარ; ამთი საქმე კარგად გაჩხრიკე, წიგნებიც გაუსინჯე და ასრე კარდუწივიტე, რომ სლამარკო აღარა დარჩესთ რა და ველარც ილაჰაკონ.— ივინისის გ, ქვს უოვ“ (3, VI, 1788).

მეუის ბძანებისებრ გიორგი ბატონიშვილმა მსაჯულების თანდასწრებით გააჩნია ხანაშვილის და მამუკა თარხნიშვილის დავა მამულის თაობაზე და 27 ნოემბერს იმავე 1788 წ. დაადგინა განჩინება, რომელიც სრულად მომუავს:

„ქ. მისს უმაღლესობას მეუეს მათის ძის გიორგისათვის საქართველოს მსაჯულთ შეკრებულების თანდასწრებით თარხნიშვილის მამუკასი და ხანაშვილის სამართალი ებძანებინათ. მისის უმაღლე-

სობის ბრძანებისაებრ, საქართველოს მსაჯულთ თანდასწრებით მამუ-
კასა და ხახანაშვილის სარჩელი განვიხილეთ. თუმცა ამის უწინარეს
მრავალჯერ ქმნილიყო ამათი სამართალი და ერთმანეთში მრავალი
ოქმი და განჩენი იყო, მაგრამ ვერ დაეპყრა ჰირი აღუშლელად სა-
ქმესა. უმობაზედ რომ დაობდენ, იმისი სამართალი კი გადაწვეტი-
ლი იყო მდივანბეგებისაგან, რომ ხახანაშვილი წმინდის ევსტათისა-
თვის დაეხებებინათ მდივანბეგებს, და აღარც მამუკა ელაპარაკებოდა
უმობაზედ.

„მაგრამ ეს ხახანაშვილი ვენახს ედავებოდა მამუკას, რომ ნა-
სუიღს ვენახზე დიდმა ზაზამ ჭადიას ნაჭერი მამული გამიცვალაო და
ახლა ამან კი წამართვაო ნასუიღს მამულზედ მოცვლილი ვენახიო.
ჩვენ რომ მამუკას ამისი ზასუხი ვკითხეთ, მამუკამ თქვა: „აჲ აქე-
სო ნასუიდიო და არც ნასუიღობის წიგნი აქესო, ნაწყლობევიად სჭე-
რიაო. და რადგან უმობიდამ წამივიდაო, მამულს თან აღარ გავატა-
ნო“. ხახანაშვილმა დიდის ზაზას მიცემული წიგნი წარმოაყენა, რომ-
ელშიაღ რომ ასე ეწერა: „ესე წიგნი მოგეც მე, მოურავის შვილ-
მა ზაზამ, შვილმან ჩემმან ბაადურ და მამავალმან სახლისა ჩემისამა-
ნო, შენ, ხახანაშვილს თეგდორეს, შვილსა შენსა ივანეს და ბერუას,
ძმისწულსა შენსა დემეტრეს, დათას, ასე რომ მე მოვინდომეო ზვარ-
თან შენი მკვიდრი ნასუიდი ბაგა და გამოგართვიო. ამის სანაცვლოდ
ჩემის მკვიდრის უმის ამოწვეტილის ჭადიას ვენახი, თავისის სა-
მართლიანის სამზღვრით, ჭადით, საბოსტნით, სახლით, კარმიდა-
მითი, მარნით, შესავლით, გასავლით და წისქვილით მოგვიციაო.
გქონდეს და გიბედნიეროს ღთნ რომ როგორც ნასუიდი ბაგა გქონ-
დაო, ისე ეს ჭადიას მამული შენთვის მოგვიციაო. ვინც ეს მოგი-
შალოს, ღთნ იმისი სახე მოშალოსო, მასამც რისხამსო ღთი და
უოველი მისნი წმინდანო. არის ამისი მოწამენიო ცაღქალამნიძე
სალხუცესი ესე, გურამიშვილი ჰაპუა, ნაზარაშვილი ბეჟანა, მჭედ-
ლისშვილი მახარე, და მე, ავალიშვილს ბაზიერთხუცის შვილს, და-
მიწერია და მოწამეცა ვარო. დაწერილი იყო გიორგობისთვეს გასულს
ქვს უთ (1741 წ.). და ზაზას ბეჭედიც ზედ იჭდა.

„ჩვენ რომ ეს წიგნი ვნახეთ, დიდი ეჭვი დაიდვა ჩვენს გო-
ნებაში ამით მორედ(?), რომ იმ თარიღიდან აქამდე არიან წელნი ორ-

მოცდა შვიდი, რომ ეს გაცვლილი ვენახი ამ ხანაში იქნა სჭერია. თუმცა გაცვლას უკან ხანაში იქნა თევდორე მეორეს წელს მამკვლას, მაგრამ ზაზას რვა წელიწადი კიდე უცვლელია და მაშინც არ მოუშლია და არც აქამომდე მოუშლია ვისმე და სულ სჭერია. თუმცა ტარიელ ჯორაშვილმა იმწიმა ფიცით, რომ ნასუიდს მამულზედ გაცვლილია და თითონ ზაზაც უწერს ასე რომ: მე მოვინდომეო ზვართან შენი მკვიდრი ნასუიდი ბაგა და გამოკართვიო და სანაცვლოდ მოკვებ ჭაღის ამოწვევტილის ვენახი და მამულიო, და მდივანბეგებისა ფიცი განუწესებინათ, რომ ხანაში იქნა ერთის მოწმით უნდა შეეფიცნა, რომ ნასუიდი ქონიუო და მამუკა ამ სამართალს სჯეროდა, — მაგრამ ახლა რომ უწვლილია დესად გამოიჩინოკა, მდივანბეგებისავე თანხმობითა, ასე უმჯობესად ვრაცხთ: თუმცა ზაზას წიგნსა და ორმოცდაშვიდს წელს ნაჭერს მამულს ფიცი აღარ ეჭირებოდა, მაგრამ მოსამართლეთ ეჭვის განწმენდისათვის ეს გვარ უმჯობესი ვრაცხეთ ფიცი, რომ ხანაში იქნა, ორნივ ძმანი თევდორე და შიო, წადგნენ და ზაზას წიგნი კელთ დიჭირონ და ფუცონ და თქვან, რომ ეს წიგნი რასაც ამბობს, — ვენახს თუ სხვას მამულს, — ჭეშმარიტი იუოს და კიდევ ნასუიდს ბაგაზე ქონდეს მოცვლილიო. თუ ასე ფუცეს, ეს სადაო ვენახი და სხვა მამული, რასაც ზაზას წიგნი უცხადებს, ხანაში იქნა სრულებით დარჩება. მაგრამ მამუკას რომ სახლის კაცებისაგან ეს ხანაში იქნა ამ მამულით ფარდში მისცემია, ისევე უნდა სახლის კაცებმა ამ ვენახის ტოლი ვენახი და მამული მამუკას მისცენ. აწ დავასრულებთ აზრსა მსაჯულობითსა წინა მღებარესა ამას ზედა ვენახსა და მამულსა. ჩვენმა გონებამ ასე სჯა და ნება მათის უმადლესობისა სრულებდინ. იასულო აბაზაძე უთრუთ, ეს ახლავ ასე უნდა აღასრულო. აღიწერა ნოემბრის კზ, ქვს უოვ“ (1788 წ.)

ზემოყვანილი განჩინება უთრუთ აბაზაძეს აუსრულებია, რაიცა სჩანს მისის წარწერიდან იმავე განჩინებულად:

„ქ. მისის სიმაღლის მეფის ძის გიორგის ბძანებით მე, აბაზაძე უთრუთ, ამ ბძანების იასული ვიუავ, და თარხნისშვილმა მამუკამ ველარ დააფიცა და მამულზედ ხელი აიღო, და ხანაში იქნა თევდორეს დარჩა ეს ვენახი და მამული, და ხელი აუმართე იმ ვენახ-

ზედ და მივაბარე. იანურის იბ, ქვეს უოზ (1789 წ.). ამისი დამსწრენი არიან თარხნისშვილი ტეტია, დეკანოზი ჰეტრე, ჯორაშვილი ზაზა, დეკანოზის დისწული გაბრიელ, დანდურისშვილი ტერტერა. — ესენი იქ დაგვესწრენ. ის ვენახი ხახანაშვილს დარჩა“.

ამ განჩინების სათუთველი გაცვლილობის წიგნია, რომელიც მიუცნია ზაზა თარხნისშვილს ხახანაშვილებისათვის 1741 წელს გიორგობისთვეს. შესანიშნავია, რომ ამ გაცვლილობის ასლი თარხნისთ ქალაქებში არ იპოვება, მაგრამ სამაგიეროდ შენახულა ერთი უცნაური საბუთი იმავე 1741 წლისა, ხოლო ენკენისთვის 5-ისა, შემდეგის შინაარსისა:

„ქ. სახელითა... და სხვ. ესე მტკიცე და უცვალებელი გაცვლილობის წიგნი და სიგელი დაგიწერეთ და მოგეცით ჩვენ თარხნისშვილმა დავით, ჟერთელ და იოვანემა და ზაზამა და სახლისა ჩვენისა მამავალთა, თქვენ, ჩვენს ბიძაშვილს ბადურის შვილს ზაზასა და შვილსა თქვენსა ბადურსა და სახლისა თქვენისა მამავალთა უფელთა, ასე რომე თქვენის უმის ხახანაშვილის ბაგა მოვიდომე და გაგიცვალე ჩემის მკვიდრის უმის ვეფხიაშვილის ნიკოლისა და ზურაბის და გიორგის მამული, თავისის სახლითა და კართა, მარნითა და თავისის მიწითა და წყლითა, თავისის სამართლიანის საქმითა, სასაფლართი და მისის გზითა, მთითა და ბარითა და უოგლის მისის სამძღვრითა“... და სხვ.

ეს მეორე გაცვლილობის წიგნი პირველს რომ შევათარდოთ, გამოვა ვითამც 1741 წ. ენკენისთვეს 5-სა ზაზა თარხნისშვილმა მისცა დავით, ჟერთელ და სხვა თარხნისშვილებს თავისი უმის ხახანაშვილის ბაგა და გამთართვა მათ მათის უმის ვეფხიაშვილის მამული. ამის შემდეგ, იმავე 1741 წ. გიორგობისთვეს გასულს, იმავე ზაზა თარხნისშვილმა გამთართვა ხახანაშვილს მისი „მკვიდრი ნასყიდი ბაგა“ და მისცა თავისი ამწვეუტელის უმის ჭადიას მამული. — ცხადია, რომ ზაზა თარხნისშვილი ვერ გასცვლიდა ენკენისთვეში იმ მამულს, რომელიც მხოლოდ გიორგობისთვის გასულს შეიძინა, და მამასადამე, ამ ორს გაცვლილობის წიგნში ერთი რომელიმე სტყუის. ამას გარდა, მეორე გაცვლილობის წიგნში მოხსენებულია, ვითამც 1741 წ. ხახანაშვილი ზაზა თარხნისშვილის უმა უოფილიყოს. აქამ-

დის წმ. ევსტატის დეკანოზი ჩემულობდა, ხასანაშვილი ჩემი უმა-
 არისო, და თითონ მამუკა თარხნიშვილი ამტკიცებდა 1780 წელში
 მდივანბეგების წინ, ხასანაშვილები კარგარეთლის სვიმონ დეკანოზის
 უმები იუვენერო და ის დეკანოზი ჩემი ბარათში გამოყოფილი უმა-
 იორო, ახლა კი ხასანაშვილი ზაზა თარხნიშვილის უმაღ გამომდგარა.

თუ მამუკა თარხნიშვილს ასეთი საბუთი ხელთა ჰქონდა ხასანა-
 შვილის უმობისა და მისის გენახის გაცვლილობისა, საკითხავია, რა-
 ტომ არ წარუდგინა მოსამართლეებს არც 1780 წელს, როცა ხას-
 ნაშვილის უმობს ეძებდა, და არც ახლა, 1788 წელს, როცა ხას-
 ნაშვილს გენახს ედაგებოდა, და როცა ამ საბუთით შეეძლო გაებათი-
 ლებინა ხასანაშვილის წამოყენებული გაცვლილობის წიგნი?

ჩემის აზრით, მამუკა თარხნიშვილმა იმიტომ არ გამოაჩინა სა-
 სამართლოში ის მეორე გაცვლილობის წიგნი, რომ კარგად იცოდა
 მისი სიუალებე. ეს აზრი დასაჯერებელია, რადგანაც, როგორცა ვნა-
 ხეთ და კიდევ ვნახავთ, მამუკას არ ეძნელებოდა ტუუილის თქმა.

რაც უნდა იყოს, მდივანბეგებმა სადაო მამული ხასანაშვილს მი-
 უსაჯეს, რადგანაც მამუკა თარხნიშვილმა არ დააფიცა ხასანაშვილი.
 საქმე თითქო საბოლოოდ გადაწყდაო. ასე ესმოდათ გიორგი ბატო-
 ნიშვილსა და მსაჯულებს, და ასე უნდოდა მეფესაც, რომელმაც დაამ-
 ტკიცა მათი განჩინება შემდეგის ოქმით:

„ქ. ჩვენ, მეფე საქართველოსი ირაკლი მეორე, ამ განჩინს
 ვამტკიცებთ. ამის იქით ამათი სხვა სამართალი აღარ იქნება. რო-
 გორც ამ განჩინში სწერია, ისე უნდა გადასწყედეს. და რადგანც მა-
 შინ არ დაუფიცებია, ახლა ფიცს ვეღარ მოუდებს. და მამუკას თა-
 ვისმა სახლის კაცებმა ამ ხასანაშვილის ბადალი მამულიც უნდა მის-
 ცენ. ამას იქით ნულარ ილაზარაკებენ. კათავის ი, ქვს უპ (1792 წ.).

მაგრამ ვერც გიორგი ბატონიშვილის და მდივანბეგების გან-
 ჩინებამ და ვერც ერეკლე მეფის ბძახებამ ვერ დაამტკიცეს ხასანაშვი-
 ლების უმობა წმ. ევსტატისა და ვერ შეიმკარეს მისი მამული. მა-
 მუკა თარხნიშვილი მაინც არა სცხრებოდა და ეძებდა მიზეზს ჩაეგლო
 ხელში ხასანაშვილები.

მეფის უკანასკნელის ოქმის შემდეგ ორი წელიწადი არ გასუ-
 ლა, რომ თვედროე ხასანაშვილი კიდევ ჩივის მეფესთან: „ციცინთ-

გან ექვსი თაობის შეწირული გახლავარ. მამუკა თარხნიშვილს ერთი უბრალო წიგნი გაუკეთებია და ჩემს მამულთ ჩემს თავს უმობილამ ართომს (ართმეუს წმ. ესტატეს?). თქვენს დროში რამ წმინდას ესტატეს უმა წაერთოს, ვიღას დროში უნდა იშოვნოს? ახლა მამუკა რამ ელისაბეთაშვილს მოწმობს, მამა ხომ მკვლარია, შვილები ცოცხალი. აქ დაიბრკეტ, თქვენს სამართალში გვაღაპარაკეთ. თუ ელისაბეთაშვილმა გამამტყუნოს, რომ წმინდის ესტატის უმა არ ვიყო, მე რე სიტყვა აღარ შექნება. თუ ამას არ ინებებთ, იმ ელისაბეთაშვილმა წმინდას ესტატეზე შეამთუიცოს, რომ მე იმისი უმა არ ვიყო, და მე რე კი მამუკამ უმათ დამიჭიროს. ღთი გაგიმარჯვებს. ერთი ოქმი გვიბოძეთ, ის ელისაბეთაშვილი ან აქ გაიხლოსთ ან იქაუ დაითიცოს. ღთი გაგიმარჯვებს. მარტის ე, ქვს უბბ (1794 წ.).

გასაოცარია ასეთი თხოვნა და ჩვენს დროში ძნელი დასაჯერებელი. ოცდაერთი წელიწადი სცდილობდნენ ხანანაშვილები დამტკიცებინათ თავიანთი უმობა წმ. ესტატისა და შეუმარჯებინათ თავიანთი მამული, და ამის გულისათვის ვინ იცის რამდენი ჭირი და ვაივაგლახი გამოიარეს. ახლა კი თავიანთი თავი და ავლა-დიდება ერთის ელისაბეთაშვილის ფიცზე მიაგდეს: თუ ამ ელისაბეთაშვილმა დაითიცა ხანანაშვილი წმ. ესტატის უმა არ არისო, ამოდ ჩაივლის ხანანაშვილების ბრძოლა ოცდა ერთის წლის განმავლობაში და სრული მათი ოჯახი და ქონება მამუკა თარხნიშვილს დარჩება. ასეთი გაბედული ბედის ცდა ხანანაშვილისაგან მხოლოდ იმით და ახსნება, რომ იმ დროს მტკიცედ სწამდათ ფიცი.

ხანანაშვილის თხოვნაზე არა ნაკლებ საოცარია ერეკლე მეფის განაჩენი მისს არზაზე დაწერილა: „ქ. ჩვენი ბძანება არის, დაგით თარხნიშვილო: ამ არზის ჰატრონი რომ ასე ჩივის, ელისაბეთაშვილები, რომელნიც მამუკა თარხნიშვილს მოწმობენ, ჩვენს სამართალში მოიყვანე. მარტის იბ, ქვს უბბ (1794 წ.). აღბათ“ ერეკლე.

რამდენჯერმე გამოძიებული და გადაწყვეტილი დავა, მეფისაგან დამტკიცებული სსამართლოს განჩინებანი, მრავალი მეფის ბძანება ამ საქმის თაობაზე და ამ ორი წლის წინ მეფის გადაწყვეტილი სიტყვა, — „ამას იქით ამათი სხვა სამართალი აღარ იქნებაო“, და „ამას იქით ნუღარ ილაპარაკებენო“, — ყველა ესენი მეუემ თითქო დაივი-

←

წუთ და ოცდა ერთის წლის საქმის წარმოება ერთი ელისაბეთაშვილის ფინანს ღირსი უნდა გააუქმოს. მერე რის გულისათვის? მძლავრობა მადევეს თხოვნით კი არა, — დახარული გლეხის თხოვნით, რომელმაც, თავისი გაუგებრობით, მრავალჯერის მოკლებული საქმე ღირსისათვის განხადოს. ასეთი წესი, სჯობია ვთქვა უწესობა, სამართლის წარმოებისა, სრულებით წარმოუდგენელია ჩვენს დროში და ცხადად გვიმხელს ძველის საქართველოს მართებლობის სუსტს მხარეს.

თარხნინათ ქადაგებებში არაფერი ცნობა არ დარჩენილა იმის შესახებ, დაფიქრეს თუ არა ელისაბეთაშვილი ხანანაშვილის თხოვნისაზე, მაგრამ ამ უკანასკნელის არჩის შემდეგ ხანანაშვილის ბედი უკუღმა დატრიალდა. მას აქეთ ერთი წელიწადიც არ გასულა, რომ მაშუკა და ზურაბ თარხნისშვილებმა მიჰქვიდეს თავიანთ სახლიკაცებს სოფლმონ მეითარს და მისს ძმებს თავიანთი უმა ხანანაშვილი მისის მამულით.

ხო ხანანაშვილის ნასუილობის წიგნი:

„ქ. ნებითა და შეწევნითა ღთისათა, ესე ნასუილობის წიგნი მოკვეთთ ჩვენ, თარხნისშვილმა მაშუკამ, შვილმან ჩვენმან ზაზამ, რევაზ, გლახამ და მეღებტიმ, თქვენ, ჩვენს ბიძაშვილს სოფლმონ მეითარს, ძმას თქვენსა დავითს, დიმიტრის, ლუარსაბს, ბესარიონს და შვილსა თქვენსა ზაზას და მომავალთა სახლისა თქვენისათა, ასე რომე დაგვეჭირა და მოკვიდეთ ხანანაშვილი თევდორე და შიო. ეს ხანანაშვილები სვიმონ დეკანოზის უმანი იუვენენ, და მე და ამათში მრავალმა დავამ გაიარა და უმობაზედ თავი არ დამიდგა და წმინდის ეგსტათის უმობა იჩემა. ორჯულ და სამჯერ სამართალში ვილაპარაკეთ და ამისი განაჩენებიც კელთ მიჭირავს, რომ ჩემი უმა არის და ჩემის სახლის კაცების მოწმობით მე დამჩნა და ჩემი უმა არის. ახლა თქვენთვის მამიუიღნია თავისის მამულითა, ნასუილითა და უსუილითა, მითითა, წყლითა და წინაქვილითა, დღეს რისაც მქონებულე არის უფლითურთ თქვენთვის მოკვიდნია. ამისი მოცილე და მოდავე არავინ არის. ვინც ამს თქვენ წამოკედაოსთ, პირისა და ზასუნის გამცემი მე ვიყო. რამც კაცმან ამს შლად კელყოს, ისიმც შეიშლება თავისის სახისაგან; მასაძე ედების ცეცხლი კეზისა, შიშთვილი იუდასი, დათან და აბირთნისაი(sic!); ნურათიმც სინანულით ნუ იხსნება

სული მისი ჯოჯოხეთისაგან. არის ამისი მოწამე თავად ღთი და უფუელნი მისნი წმინდანი, კაცთაგან — თარხნიშვილი ბეცია, წმინდის ევსტათის დეკანოზი ზეტრე და მე, მაღუმწის ღთის მშობლის დეკანოზს მომდრეკილადეს გიორგის ამ მამუკას სიტყუით და უბუელით დამიწერია და მოწამეც ვარ ამისი. დაიწერა იანგრის იე, ქვს უზგ (1795 წ.) — მამუკა“ (ხელხართული). არშიახე: ,,ქ. მე თარხნიშვილი იოვანე ამ სიგელის მოწამე ვარ“ □. ,,ქ. მე, წმინდის ევსტათის დეკანოზი ზეტრე, ამ სიგელის მოწამე ვარ ღთის წინაშე. ზეტრე“ (ხელხართული)*).

ამავე ნასყიდობის წიგნის მეორე გვერდზე ზურაბ თარხნიშვილიც აძლეეს სიგელს თავისს სახლიკაცს სოლომონ მეითარს, მეც ჩემი წილი ხახანაშვილისა შენტვის მომიუდნიაო (იანგრის 15, 1798 წ.). კიდევ ერთის წლის შემდეგ (1799 წ.) იგივე ზურაბ აძლეეს სოლომონ მეითარის ძმას დავითს: ,,...ხახანაშვილი მოცილდეთ, მამუკას ჩემს ძმას სრული ფასი მაშინვე მიეცით და მე ცოტა რამ მეჭირა. ახლა სრულად გამოგართვი და აღარა დარჩა რა ჩემი თქვენზეო“. ესრედ სამის საბუთით დამტკიცებულა, რომ მამუკა და ზურაბ თარხნიშვილებმა მიჰყიდეეს სოლომონ და დავით თარხნიშვილებს თავიანთი უმა ხახანაშვილი მისის მამულით და ორთავემ აიღეს სრული ფასი.

ამ ფაქტის შესამოწმებლად ჩვენ ხელთა გვაქვს კიდევ ერთი საბუთი, შემოხსენებულის დავით თარხნიშვილის მოსაგონებელი წიგნი, ანუ შემორანდუმი, რომელშიაც დავითს ჩამოთვლილი აქვს ეგულა მისი დვაწლი და ჭირხახულება უმა და მამულის გასამრავლებლად 1781 წლიდან დაწეებული ვიდრე 1825-მდე. ამ შემორანდუმში ვხვდებით ერთს მუხლს: ,,ვიუიდე ნახევარი ხახანაშვილის მამული ზურაბ

*) ამ სიგელის ქორონიკონი უზგ (1795 წ.) საეპოვა, ეგების ნაწვალებიც იყო: ვ თითქო გად გადაუყეთებიათო. ეს იმიტომაც არის დასაჯერებელი, რომ სიგელის ქალაღში გამოსკვირს რიცხვი 1797,— მისი გაკეთების წელიწადი. რასაკურველია სიგელი ვერ დაიწერებოდა ორის წლის წინედ ვიდრე მისი ქალაღი გაკეთდებოდა. ამიტომ პირვანდელი ქორონიკონი სიგელისა, უეპველია, უპვ (1798 წ.) იქნებოდა.

თარხნიშვილისაგან. არ ვიცი, რვა თუმანი შეუსრულე თუ ხუთი, სწორედ არ მახსოვს“.

ასე და ამგვარად წაართვა მამუკა თარხნიშვილმა წმ. ესტატის უმა და ბოლო მთელი ხანაშვილების თავისუფლებას, რადგან იმ დროს ეკლესიის უმობა, ბატონის უმობასთან შედარებით, თავისუფლებად ჩაითვლებოდა.

როგორ მოხდა, რომ იმდენის განაჩენებით და მეფის ოქმებით დამტკიცებულმა წმ. ესტატის უმობამ ვერ დაიფარა ხანაშვილი მამუკა თარხნიშვილის დაჩემებისაგან? — რასაკურთხელოა ეს უბედურება ხანაშვილს ელისაბეთაშვილის ფიცისაგან არ დამართვია, რადგანაც ელისაბეთაშვილს რომ ხანაშვილის წინააღმდეგ დაეთუცნა და მამუკას მაგ ფიცით ხანაშვილის თავი გაეტანა, უკუგელოა მაგ საბუთს მამუკა თავის ნასუილობის წიგნში მოიხსენიებდა. მაგრამ მამუკა სულ სხვას ამბობს: „თრჯულ და სამჯერ სამართალში ვილაშარაკეთ და ამისი განაჩენები კელთ მიჭირავს, რომ ჩემი უმა არის და ჩემის სახლის კაცების მოწმობით მე დამჩნა და ჩემი უმა არის“.

მაშასადამე მამუკას დავა ელისაბეთაშვილის ფიცით კი არა, — თავისი სახლიკაცების მოწმობით მოუგია. ამას გარდა მამუკას განაჩენებიც ჭქონია, რომ ხანაშვილი მისი უმა არის. მაგრამ სად არის ის განაჩენები?

ჩვენს წინაპრებს წესად ჭქონდათ, უმას ან მამულს რომ გაჰყიდნენ, გამეიდველი მუიდველს გადასცემდა ვეელა ნაწერს საბუთს, რომელიც ნასუიდს შეეხებოდა და უწინდელის პატრონისაგან მიღებული ჭქონდა. ასე რომ უკანასკნელის მუიდველის ხელში მოგროვდებოდა ხოლმე რამდენისამე თაობისა და რამდენისამე საუკუნის სიკელები და ოქმები რომელისამე ერთის უმისა ან მამულის შესახებ. ამ შემთხვევაშიაც ასე მოხდა. — ხანაშვილის გაუიდვის თანავე მამუკამ გადასცა სოლომონ და დავით თარხნიშვილებს თვრამეტე ნაწერი საბუთი, 1613 წლიდან მოკიდებული 1794 წლამდე, რომელიც ინახებოდა ამათს სახლში და ჩვენამდე მოაწია. და განა საკურთხელო არ არის, რომ ამ თვრამეტე საბუთში ერთიც არ არის, რომელიც მამუკას სომართლეს მოწმობდეს? რისგან არის, რომ რაც მამუკას გასამტყუნელო საბუთია — ის შენახულა, და რაც მისი სასარკებლოა — არსდა

სჩანს? უეჭველია, თარხნიანთ სსსრკებელ საბუთი რომ უოფილიყო, დარჩებოდა კიდევ, რადგან მისს შენახვას მოითხოვდა ხასანაშვილების გამუდმულის და შეიდგულის ინტერესი.

ეს მოსაზრება და ის აშკარა სინტრუე ნასუიდობის წიგნში მოხსენებული, ვითამც მამუკა თარხნიშვილს ორჯულ და სამჯერ დავა მოკვოს, გვიმტკიცებს, რომ მამუკას ხასანაშვილები სიმართლით კობრა, მძღაფრობით გაუტანია.

მაგრამ არც იყო მამუკა თარხნიშვილისათვის სსჭირთ სიმართლე. იმ დროს, როცა სსჭართველთ სსხელმწიფოთ სიკვდილად მიიწურა, ძალადობა ერთად-ერთი დონე იყო, თუ კაცს უნდოდა თავისი გაეტანა. ზემოხსენებულს განჩენებში ვნახეთ, რა მოკლე ფეხი ჰქონდა მამუკა თარხნიშვილის ტუეილებს: თავის დავის დასამტკიცებლად ერთი საბუთიც ვერ წამოუეეებია, გარდა ლიტონი სიტუვისა; და რაკი სსჭმე ფიციზე მივარდებოდა, მაშინვე უკუდებოდა და მოდავეს არ დააფიცებდა, და ერთხელ თავისივე ხელწერილით შეამოწმა კიდევ, ხასანაშვილი წმ. ესტატის ემა არისო.

ასეთი გაუბედავი და გაუტანელი სამართალში, მამუკა დაულაღავი და შეუძოვარი იყო დევნასა და ძალადობაში. ოცის წლის ბრძოლის შემდეგ ამ მძღაფრობის ველარ გაუძლო ხასანაშვილმა და ამან მოყოლო ბოლო მისს თავისუფლებას. თარხნიშვილებმა იუმეს ხასანაშვილები და მათი სსკუთარი მამულიც დაიმკვიდრეს.

მაგრამ დიდხანს არ შერგებიან თარხნიანთ ხასანაშვილების უმობა. როგორც მიამბო მათის შეიდგულის შეილის-შეილმა, ვასილ თარხნიშვილმა, ერთ უამიანობის დროს (ახლათ 1820-იან წ.) შავმა ჭირმა თითქმის ამოსწევიტა ხასანანთ ოჯახი, და ვინც გადაჩრა, კაიხიზნა კახეთს და იქ დარჩა სამუდამოდ. მაგრამ, ისეთი ძლიერია ქართველის გულში „სამშობლთს“ სიუვარული, რომ იმ გადახვეწნილს ხასანაშვილებს აქამდის ახსოვთ თავიანთი ძველი ბუდე და დრო-გამოშეებით მოდიან ხოლმე თავიანთ ჰატრონის წმ. ესტატის სალოცავად და თავიანთ მამულის სანახავად, სდაც დგას ახლა თარხნიანთ სახლები და გაშენებულა მათი ზვარი.

ხასანანთ ოჯახის თავგადასავალი, გარდა მისის დრამატულის ინტერესისა, შესანიშნავია როგორც ისტორიული ფაქტი. ეს ერთი

გლეხკაცის გვარის ისტორია თავლწინ გვიყენებს ჩვენს საზოგადო-
ებრივს წყობილებას მეთვრამეტე საუკუნეში.

აქა სჩანს, უფლის პირველად, მეფის უფლებების დაკნინება. სულ
უბრალო საქმეები პირთვნებისა და ქონების შესახები, რომელიც ახლას
მომრიგებელ მოსამართლის ან პოლიციის ბოქაულის სახელას ეკუ-
თვნის, მეფემდე უნდა მიწეუფიყო და მეფისაგან უნდა გადამწეადარი-
ყო. ვინც სამართალს ეძებდა, მეფისათვის უნდა ეთხოვა. თუ მეფეს
არ ებძანებინა, მოსამართლენიც საქმეს არ გაარჩევდნენ და მათს გა-
ნაჩენს, თუ მეფე არ დაამტკიცებდა, ძალას არ ექნებოდა.

მართალია, უბრალო გლეხიც ადვილად მიაწევდა მეფის კარამ-
დე და მეფეც გულსმოდგინებით უსმენდა სჩინვარს და დაუყოვნებლივ
გასტემა მისს სასურველს ბძანებას; მართალია, სამეფო სასამართ-
ლას კარიც არ იყო გლეხისთვის დახმული და მსაჯულნი მიუდგო-
მელად სჭრიდნენ სამართალს, მაგრამ საფალალო ის იყო, რომ სა-
სამართლას განაჩენისა და მეფის ბძანების ასრულება შეუძლებელი
განდა. ოცი წელიწადი დადალებს გლეხი ხანანაშვილი მეფის წინაშე:
„ერთი ისეთი იასუელი გვიბოძე, რომ თავადის მხრის კაცი არ იყო-
სო“; მეფესაც ეგ გულით უნდა, მაგრამ ვერ იქნა, ვერ უმოვა მა-
გისტანას კაცი. უჩინო და უცნობი ვინმე თავადი, მამუკა თარხნიშვი-
ლი, არათრად აგლებს მრავალს მეფის ბძანებასა და სასამართლას
განაჩენს, ოცი წელიწადი სისტემატურად ეურჩება მეფეს, არ ეში-
ნინან არცარა მისის მუქარისა და სასჯელისა, და ბოლოს წართვა
ეკლესიას ემა, თავისის საკუთარის მამულით.

თუ ასეთს მცირე თავადს, როგორიც იყო მაშინ თარხნიშვი-
ლი, მეფე ვერ მოერია, რა ძალას დაატანდა მისი ბძანება გალადე-
ბულს დიდებულებს—ერისთავსა, ამილახვარსა, ორბელიანს!

შესანიშნავია ხანანანთ თავგადასავალში კიდევ ერთი გარემოე-
ბა,—ისა, რომ მათს დავაში ერთხელაც არ ჩარეულა და თავის უმას
არ გამოსარჩლებია ეკლესია. ხანანანთ გვარის ბრძოლას თავისუფლე-
ბისათვის ასს წელიწადზედ მეტი გავრძელდა და იმ ოცს ნაწერ სა-
ბუთში, რომელიმეგაც გამოიხატა მათი ბრძოლა, ერთხელაც არ არის
ნახსენები, რომ ხანანაშვილებს როდესმე მიემართნათ კათალიკოზის-
თვის და ეთხოვათ მისი შველა და მფარველობა, თუმცა წმ. ესტა-

ტის ეკლესია, რომელსაც ეკუთვნოდნენ ხასხასელები, „კათალიკოსს ეპურა ტახტად თვისად“¹⁾. ცხადია, ეკლესიის უმის შენახვაში კათალიკოსი იმდენად უღონო იყო, რომ ხასხასელებს ფიქრადაც არ მოსვლიათ, მისთვის შეეკლა ეთხოვათ. ან რა შეეძლო კათალიკოსს ბატონების წინააღმდეგ, თუ კი მისი სულიერი ღაშქარი, სამღვდელოება, თავადიშვილის „ბარათში გამოყოფილი უმა იყო?“.

მეუესა და ეკლესიას გარდა არსაით ჰქონდა ხასხასელებს შეგება, და ამიტომაც აუცილებელი იყო მათი დამარცხება. ჩვენთვის ეს დამარცხება სიმეტოშია მაშინდელის მეუობისა და ეკლესიის დაცემასა და დაუძლეულებისა. მეფრამეტე საუკუნის მიწურულებში, სანამ რუსეთის მთავრობა საქართველოს დაიპყრობდა, თავადებმა ხელთ იგდეს ქვეყანა: ხალხი იუმეს და მიწა-წყალი მამულად გაიხადეს. დაემხო ფაქტიურად მეუისა და ეკლესიის უფლება და დაირღვა სახელმწიფო ორგანიზაცია, დარჩა მხოლოდ ბატონ-უმობა, რომელმაც უგულვალური შთანთქა.

ამას იქით გასაკვირალი არ უნდა იყოს, თუ მეცხრამეტე საუკუნის დამდეგს ჩვენმა გლეხობამ ისე ადვილად დასთმო მეუობის მოსვობა და ავტოკეფალიის გაუქმება.

† ალ. სარაჯიშვილი.

1) „ღეღღარაჭიული აღწერა საქართველოჲსა“, ბროსეს გამოცემა, გვ. 198.

XCV

რუსთაველის გმირებმა თავიანთს ბედნიერებას მიაღწიეს და «ვეფხისტყაოსნიც» გათავდა (გვ. 357): ხ. 1589.

თვით ჰოტი გვიცხადებს, „გასრულდა მათი ამბავი“, და დასამოწმებლად ხელს აწერს: „ვწერ ვინმე მესხი მეფექსე მე რუსთავისა დაბისა“. არა მგონია, ამაზე სრული დასასრული შეიძლება იქნას. მაგრამ ავტორისაგან დასრულებულსა და ხელმოწერილს ტექსტს რაღაც „post-scriptum“-ი მოსდევს, — ვითამც რუსთაველს რაც წინ სათქმელი ჰქონდა დაავიწყდა და ახლა, რადგან მოაგონდა, მკითხველს ისე არ უნდა მოშორდეს, რომ დავიწყებულიც არ მოახსენოს. ასეთი სახე აქვს ოთხს ხანას, ჰოტის ბოლოს მიბმულს. გაუშინჯოთ ეს ოთხი ხანა თითო-თითოდ და ვნახოთ რა აქვთ რუსთაველისეული (გვ. 358): ხ.ხ. 1590, 1591, 1592 და 1593.

მე-1590 ხანის ჰირველი ლექსი ძნელი გასაგებია. დ. ჩუბინა-შვილის აზრით, „ქართველთა ღვთისა დავითის, — აქ დავით წინასწარმეტყველს ამბობს (ჰოტი), რადგანაც იმისაგან სწარმოებს ბაგრატიონთ გვარი; ვის შუე და სხ., — აქ შუედ თამარ მეფეს ამბობს;

*) ამ გამოკვლევის თავები I—XCIV დაბეჭდილი იყო ჟურნალ «მოამბე»-ში: 1895 წლისა № № 11 და 12; 1896 წლისა № № 3, 4—8; 1897 წლისა № № 2, 4, 5, 7, 9—11; 1898 წლისა № № 1, 2, 4, 5 და 11; 1899 წლისა 1 და 10; 1900 წლისა № № 3—5, 7, 8 და 10; 1901 წლისა № № 5 და 6. წინამდებარე მე-95-ე თავი, რომელიც აქ იბეჭდება, განსვენებულის ქალაქებში აღმოჩნდა, მაგრამ სამწუხაროდ არც ეს თავია დამთავრებული. რედაქტორი.

სარებლად—სატარებლად“. დავით წინასწარმეტყველებდაც რომ იუოს ნათქვამი და მზე თამარ-მეფე რომ იუოს, ასეთი განმარტება მაინც არა კმარა ლექსისათვის, აზრს მაინც ვერ გამოარკვევს. თეიმურაზ ბატონისშვილის კომენტარი უფრო ვრცელია, მაგრამ ვერც ისა შეუღლის ლექსს. ბატონისშვილი ბძახებს: „ქართველთა ღვთისა და ვითის, ვის მზე მსახურებს სარებლად.—ქართველთა ღმერთი, რომელიც რომ დავით წინასწარმეტყველისაგან არის მოსწავებული, ქრისტე უფალი, იგი არს. ვის მზე მსახურებს სარებლად—ამის მეფეს თამარისათვის იტყვის, რომელ მზის ეტლი, ესე იგი ურმის თვალი მზისა, რეგორათაც თავის მბრუნველობას მართავს შეუცვალელად და მოუშლელად, ღვთისა მიერ ბედნიერებაცა, თამარ მეფისა, მისებრ მოუშლელია (თამარ მეფის ქება ესრეთს სიმაღლეზედ აჭყავს ჰიოტიკოსსა), რომ იმისი ბედნიერების ეტლად მზეს დასახავს და იტყვის მზეს(?) მსახურებსა მას სარებლად, ესე იგი სატარებლად, სისიარულად, და ბედნიერება მისი მზეებსა მოქმედებასა და მბრუნვაობასა შინა კეთილსა არსო. და რეგორათაც მზე ატუობს ქვეყნისა და აღორძინებას აძლევსო, ეგრეთვე კეთილ-მოქმედი მეფე თამარ, თავის ერსა მარადის კეთილ-მოქმედებას და ბედნიერებას აძლევსო“.

ამდენ მეტაფიზიკისა და ასტროლოგიის მაგიერ კომენტატორს რომ ცოტაოდენი გრამატიკა მოეუვანა, დიდად ემჯობინებოდა. ფრაზის სიძნელე მეტაფორების გამოცნობაში კი არ არის, არამედ ფრაზის გრამატიკულს აგებულებაში. ფრაზის ჰირველს ნახევარში სიტყვებს—„ქართველთა ღვთისა და ვითის“—ის აზრი აქვსთ, ვითამც ქართველთა ღმერთი დავითი იყვეს, მაგრამ ვინ არის ეს დავით, ქართველთა ღმერთად დასახული: დავით წინასწარმეტყველი, დავით აღმაშენებელი, თამარ მეფის [მამის] ზაზა, თუ დავით სოსლანი—მისი ქმარი? რასაკურგელია, არც ჰირველი და არც მეორე, რადგანაც რუსთაველი მათი თანამედროე არ იუო და „მათდა სკამათებლად“ თავისს ჰოქმას ვერ დასწერდა. დარჩა დავით სოსლანი, ვისთვისაც იუო დაწერილი „გეფხის-ტყაოსანი“, რაცა, თუ გნებავთ, შესაძლებელია, მაგრამ ამის დასაჯერებლად ჯერ უნდა დამტკიცდეს, რომ ქართველნი დავით სოსლანს, თამარის ქმარს, აღმერთებდნენ. ჯერ-

ჯერობით კი ცხადია, რომ ლექსის პირველს ნახევარს— „ქართველთა ღვთისა დავითის“ — მეორე ნახევართან — „ვის მზე მისახურებს სარებლად“ — აწვითარი კავშირი არა აქვს და თვით ფრაზა უტყუნურია. ლექსში ან სიტყვების გამომცველი და ამის გამო აზრი დაბნეულა და დამახინჯდა, ან არა და — სიტყვები ქართულ გრამატიკის წინააღმდეგ არიან დაწეობილნი ფრაზაში. ამას გარდა არა სჩანს, რა დამოკიდებულება აქვს ამ ლექსს ხანის დანარჩენ ლექსებთან. თუ პირველი ლექსი თამარ მეფეს შეეხება, მისი ქებაა, მესამე და მეოთხე ლექსებიც თამარის საქებრად არის თქმული, მაშასადამე, მეორე ლექსი ჰერიოდის შუაში კი არ უნდა იჯდეს, არამედ ან წინ უნდა მიუძღოდეს, ან ბოლოს დაესკვნას. ასე რომ თვით პირველს ლექსს და მთელს ხანასაც სინტაქსი აკლია.

ხანის შემდეგს ლექსებში, მართალია, აღარ ვხედავთ ისეთს ახირებულს გამომცანას, რომელიც პირველს ლექსში ვნახეთ, მაგრამ ბოლოს და ბოლოს საქმე საეჭვო ხდება. მელექსე გვაცნობებს, რომ

„ვინ არის აღმოსავლეთით დასავლეთს ზართა მარებლად,
ორგულთა მათთა დამწველად, ერთგულთა დამამაგრებლად, —
ესე ამბავი გავლექსე მე მათად საკამათებლად“.

კაცი ადვილად მიხვდება, რომ ეს „ზართა მარებელი, ორგულთა დამწველი და ერთგულთა დამამაგრებელი“, რასაკურთხევია, თამარ მეფე იქნება, მაშასადამე მელექსე ამბობს: ეს „ვეფხისტყაოსანი“ თამარ მეფის საკამათებლად დაწერეთ. აზრი დიანხ ნათელი იქნებოდა, სიტყვა „საკამათებლად“ რომ საეჭვო არ ყოფილიყო. თეიმურაზ ბატონისშვილის თქმით, „კამათობა — ჰაქარობასა, სიტყვათა და თხზულებათა ზედა სჯასა და მეცნიერთა კაცოვან ბასსა და ცილობასა ნიშნავს, — რომ ერთმანერთს ეპექტებოდნენ: ესე თქმული ამის ნიშნავს, არა ესე ამასა“. ნამდვილ „კამათობის“ პირდაპირი მნიშვნელობა ასეთია, ხოლო დ. ჩუბინაშვილი გადაჭრით გვეუბნება: „საკამათებლად — შესატყვევად“, თუმცა დიდად საეჭვო კია, რომ ასეთი განმარტება მხოლოდ ამ შემთხვევისათვის არ იყოს მოგონილი.

რომელს განმარტებასაც უნდა მივუყუთ, ხანა ან უგუნური გა-
 მოვა, ან უგვანო. თუ „კამათობა“ ჰქვია, ნიშნავს, მაშინ რუს-
 თაველმა „ესე ამბავი“ გალექსა (მხოლოდ გალექსა და არა შეთხზა)
 იმ განზრახვით, რომ იგი თამარ მეფის საბასოდ და საცილობლად
 უოფილიყო. თამარ მეფეს უნდა ებასნა და მსჯელობა ჰქონოდა ვის-
 თანმე (მხლებელთა, ბრძენთა, მოშაირეთა, მწიგნობართა თანა) „გე-
 ფხის-ტყაოსანზე“, მისს შინაარსსა და ფორმასზე, დაეფასებინა მისი
 ღირსება, გამოეცნო მისი ღრმა აზრნი და იგავ-არაგნი. მაშასადამე
 რუსთაველის ჰოემა დაწერილია თამარ მეფის სასწავლებლად და სა-
 წვრთნელად. ვისაც აქამდის ტარიელის ამბავი სამიჯნურო რომანი
 ჰგონია, დიდად შემდარია, რადგან მე-1590 ხანა ცხადად გვიმოტყე-
 ცებს, რომ „გეფხის-ტყაოსანი“ დიდაკტიური ამბავია, ad usum
 Delphini გალექსული, და „ესე ამბავი“ თავით თვისით თამარ მე-
 ფისათვის საკამათო არ იქნებოდა, რუსთაველს რომ არ გაეღქსა.

თუ მე-1590 ხანა მართლაც, საინტერესოა თუ როგორ მოხ-
 და საქმე: თვით თამარ მეფემ უბრძანა რუსთაველს, ტარიელის ამ-
 ბავი გალექსე „ჩემად საკამათებლადო“, აუ უფლის-წულის სიურმის
 დროს მისმა გამზრდელმა შეუკვეთა ჰოეტს დაწერა ჰოემა ნორჩი
 ქალის გონებისა და გრძობის სავარჯიშოდ და საწრთვნელად? ან იქ-
 ნება არც თამარ მეფეს, არც მისს გამზრდელსა და არც მისს მხლე-
 ბელს ასეთი განზრახვა არა ჰქონია, არამედ თითონ რუსთაველმა მო-
 ახერხა: ავიღებ ამ ტარიელის ამბავს, გავლექსავ და ნახავთ თუ თა-
 მარ მეფის საკამათოდ არ გახდეს?!

ბოლოს და ბოლოს მე-1590 ხანის აზრი ის გამოდის, ვი-
 თამც რუსთაველმა თავისი ჰოემა დასწერა თამარ მეფის გასართობად,
 შესატყვევად, სათამაშოდ ან კიდევ იმისთვის, რომ თამარს საბასო
 და საცილობელი საგანი ჰქონოდა. ეს უოთავა თურმე მიზანი „გე-
 ფხის-ტყაოსანის“ დაწერისა. დავინსომოთ ჟერ-ჟერობით ეს სიტყვა
 და განვაგრძოთ ჩვენი გამოკვლევა.

მე-1591 ხანა იწყება უცნაურის ლექსით: „დავითის ქნარი ვითა ვთქვნე სიხალხე, სიხატეთანი!“ დიალამც დავითის (მეფესაღმუნის) ქნარის გაჩარხულობა და ხმა-მადლობა უებრო იქნებოდა, მაგრამ რა აქვსთ საერთო იმ ქნარსა და ამ უცნობთა ხელმწიფეთა აზბაჲს, რომელიც რუსთაველმა ჰპოვა და ლექსად გარდასთქვა? ლექსი ისე უაზროდ არის მიკერებული, რომ მისი ახლანდელი რედაქცია დიდად საუჭვოა, მით უმეტეს, რომ ფრაზაც გრამატიკულად წესიერად არ არის¹).

† ალ. სარაჯიშვილი.

¹) აქ წყდება ეს საყურადღებო გამოკვლევა. როგორც მკითხველი ჰხედავს, ეს უკანასკნელი წერილიც დაუმთავრებელია, თუმცა ავტორის აზრი ცხადია: მე-1591-ე ხანა მას ყალბ ხანად მიაჩნია. ამავე აზრისა იყო ავტორი პომის ბოლოსიტყვაობის ორი უკანასკნელი ხანის (1592 და 1593) შესახებაც, რაიც მას ხშირად გამოუთქვამს ჩვენთან კერძო ლაპარაკში. რედაქტორი.

შესავალი და მასალები

აზრებისა და გრძნობა-სურვილთა გამოსახატავად უოგელ კულტურულ ერს ორგვარი სიტუვიერი ფორმა მოუპოება: სადასიტიუვაობა ანუ პრეზა და წეობილსიტიუვაობა ანუ ლექსი.

ქართულ წეობილსიტიუვაობას ამ ოთხიოდე წლის წინად ცალკე გამოკვლევა ვუძღვენით². დღეს გვსურს ქართულ სადასიტიუვაობას შევხებით, სახელდობრ გამოფარკვიით: სიტუვათა წეობის რეგორი წესი არსებობს ახალს ქართულს ენაში? განგებ ხაზს ვუსვამთ «ახალს ქართულს ენაში», რადგან აზრად არა გვაქვს და ადგილიც ნებას არ გვაძლევს ამავე მხრით ძველი ქართული განვიხილოთ. ამასთანავე ვგულისხმობთ გაუღექსავს ენას—სადასიტიუვაობას, და არა გაღექსილს—წეობილსიტიუვაობას. ერთი სიტუვიით, ჩვენი მოხსენების ფარკვალი ახალი სალიტიერატურო ქართულია, ხოლო პირდაპირი საგანი—სიტუვათა დაჯაგების წესი ქართულ სადასიტიუვაობაში.

რამდენადაც ვიცით, ამ საგანს დღემდე არც ერთი შეკვლევა არ შეხებია, ამ საგანზე არავითარი ლიტერატურა არ მოიპოება. ამიტომ, დარწმუნებულად ვართ, ჩვენი მოხსენება, როგორც პირველი

¹ წინასწარ მოხსენებად წაკითხულ იყო «ქართულ კაზმულსიტუვიერების საზოგადოების» კრებაზე 1913 წელს, ივნისის 1-ელს; ხოლო მეორედ, თვალსაჩინოდ შევსებულ-შესწორებული, წაკითხულ იქმნა 1915 წლის 12 მარტს «საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების» ჩვეულებრივს კრებაზე; დღეს კი მცირეოდენის შევსება-შემოკლებით იბეჭდება.

² იხ. კრებულ «გრდემლში» ტომი I (1912 წ.) სტატია: «ქართული წეობილსიტუვაობა», რომელიც ცალკე წიგნადაც გამოიცა რამოდენიმე ცალი.

ცდა, უნაკლულო არ იქნება. მაგრამ, თუ იგი ქართული ენის მკვლევართან ამ საკითხისადმი ინტერესს აღუძრავს, ხოლო მწერლებს სახელმძღვანელო შენიშვნებს მიაწვდის,— ჩვენს თავს დამაუფილებულად ჩავთვლით. არ დავფარავთ, რომ წინამდებარე წერილის საბოლოო მიზანი პრაქტიკულია: გვსურს, თანამედროვე მწერალთ მივაცნოდეთ ქართული ენის ბუნების დაკვირვებაზე დამყარებული მოსასაზრებანი იმის შესახებ, თუ სიტყვათა წეობის როგორც წესს უნდა მისდევდნენ იგინი, როცა კალამს ხელსა ჰკიდებენ, ესე იგი როგორი უნდა იყოს მათი სამწერლო ენის კონსტრუქცია ანუ სიტყვათა წეობა წინადადებებში.

მაგრამ, სანამ მკითხველთ ჩვენს დასკვნას გავეზიარებდეთ, საჭიროდ მიგვაჩნია განუმარტოთ, რას გეძახით ახალ სალიტერატურულ ქართულ ენას და აკრძალვით წარმოვადგინოთ უფრო ტიპიური ნიმუშები იმ საენო მასალისა, რომელზედაც ჩვენი გამოკვლევა დამყარებულია.

«ახალ სალიტერატურულ ქართულს» იმ ცოცხალ სასუბრო ენას ვუწოდებთ, რომელიც პირველად მე-XII-ე საუკუნის საერო მწერლობაში შემოიჭრა საკმაოდ მძლავრ ტალღად¹, შემდეგ განხსლგების პერიოდის (XVII—XVIII საუკუნის) სამწერლო ნაშთებში დასტოვა თავისი ჩინო კვალი, ხოლო საბოლოოდ მე-XIX-ე საუკუნის მეორე ნახევრის მწერლობაში გაიმარჯვა. ამ ენას ქართველი ხალხი ღაზარაკობდა, როგორც სჩანს, მე-XII-ე საუკუნეში და უფრო ადრეც, ამავე ენას ღაზარაკობს იგი დღეს და თანამედროვე მწერლობაშიც ესევე ენა გვაქვს გაბატონებული. როგორც მოგეხსენებათ, ქართულ მწერლობაში ამ ენის გაბატონება წარსული საუკუნის 50-იან და 60-იან წლებში მოხდა: მისი მტკიცე საფუძველი გიორგი ერისთავის კომედიებში, ილია ჭავჭავაძის პროზაში და აკაკი წერეთლის ნაწერებში ჩაიყარა; ხოლო მის მძლავრად წარმატებას ხელი შეუწყო 60-იან წლებში გაზეთ «დროების» და 70-იან წლებში «ივერიის» დაარსე-

¹ იხ. ამის შესახებ ნიკ. მარის გამოკვლევა: „Древнегрузинские описи (XII в.)“ С.П.Б. 1902 г., თავი III: Слогъ описицевъ (გვ. 77 და შემდეგნი).

ბამ. რაც შეეხება მე-XIX-ე საუკუნის მეორე ნახევრის დანარჩენს მწერლებსა და ორგანოებს, მათ მხოლოდ ხელი შეუწევს ერთხელ დაწვებულ საქმეს და არსებითად მისთვის ახალი არა შეუმატებიათ რა. მაგრამ, როგორც მოგეხსენებათ, ზემოდასახელებული სამი მწერალი საქართველოს სამს მთავარ პრავინციას ეკუთვნოდა: ქართლსა, კახეთსა და იმერეთს; «დროებისა» და «ივერიის» დამფუძნებელ-თანამშრომელნიც უმეტესად იმავე პრავინციებიდან იყვნენ. ამიტომ სამართლიანად სჯიან ის მკვლევარნი, რომელნიც ამბობენ, რომ ახლან ქართულ სამწერლო ენას საფუძვლად ქართლ-კახურ-იმერული კილო უძვესო. მართლაც, თანამედროვე სალიტერატურო პროზის საფუძვლად, კლასიკურისა და განახლების პერიოდის სალიტერატურო ენასთან ერთად, იმ ცოცხალის სასაუბრო ენის ლექსიკა და ნორმები შეადგენს, რომელსაც ზემოდასახელებულის სამი პრავინციის მკვიდრი ქართველობა ღაპარაკობს. წარსული საუკუნის 80-იანი წლებიდან ამ სამს ძირითად კილოს გურული და მახურ-თუშური კილოებიც გვერდში ამოუდგა.

ახლის სალიტერატურო ქართულის ამ განმარტებიდან თავის-თავად ცხადდება, თუ რა მასალას უნდა მივმართოთ, უკეთუ გვსურს ჩვენ მიერ წამოყენებულ საკითხზე სწორი და სრული ჰასუნი მივიღოთ. ეს მასალა განლაგდეს: ა) თანამედროვე ცოცხალი სასაუბრო ქართული ენა მის ზემოაღნიშნულ კილოებში, ბ) ახალი სალიტერატურო ქართული მე-XIX-ე საუკუნის 50-იანი წლებიდან ჩვენს დრომდე, განსაკუთრებით მის საუკეთესო წარმომადგენლების ნაწერებში, და გ) მე-XII—XIX-ე საუკუნის¹ საერო პროზიდან ის ნაშთები, რომელთა საკონსტრუქციო ნორმები წინა ორ მუხლში აღნიშნულის საენო მასალის ნორმებს შეესაბამება.

პირველ მუხლში აღნიშნულის საენო მასალის შესახებ უნდა შევნიშნოთ, რომ ამ ვრცელი მასალიდან ჩვენ ამ ჟამად მხოლოდ მისი ერთი ნაწილის დაკვირვებას ვემყარებით: ეს განლაგდეს ქართლისა და იმერეთის კილოკავები, ე. ი. საქართველოს უდიდესისა და ცენტრა-

¹ ვგულისხმობთ მე-XIX-ე საუკუნის პირველ ნახევარს, რადგან მეორე ნახევარზე წინა მუხლშია ლაპარაკი.

ღურის ნაწილის ცოცხალი სსსუბრო ენა. რაღა თქმა უნდა, ამ ცოცხალ საენო მასალას აქ ვერ მოვიტანთ; ჩვენი დაგვირგების სისწორე ამ მასალის შესახებ შეითხველმა თვითონ უნდა შეამოწმოს, და უნდა შეამოწმოს არა მხოლოდ იმ რაიონში, რომელიც მოვიხსენიეთ, არამედ საქართველოს დანარჩენ კუთხეებშიაც, სადამდისაც ხელი მიუწვდება.

ხალხური სიტყვიერების ერთი ნაწილი ამჟამად უკვე დაბეჭდილია; და შეიძლებაოდ გვეფიქრნა, რომ ეს დაბეჭდილი მასალა ამ შემთხვევაში დიდ სამსახურს გაგვიწვდის. მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ასე არ არის: აღნიშნული მასალა ჩვენ მიერ არჩეული საკითხის გამოსაკვლევად სავსებით არ გამოდგება, რადგან დაბეჭდილი მასალის უდიდესი ნაწილი ლექსებია, ჩვენი გამოკვლევა კი სადასიტყვაობის გულისხმობს; ხოლო დღემდე გამოქვეყნებული ხალხური ზღაპრები ჩვენი მიზნისათვის მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნებოდა გამოსადეგი, უკეთეს ფონოგრაფიულად სისწორით იყოს ჩაწერილი; მაგრამ, რამდენადაც ვიცით, ეს ასე არაა და ამიტომ ჩვენ მიერ აღძრული კითხვის გამორკვევაში უმჯობესი იქნება დაბეჭდილ ზღაპრებს გვერდი ავუაროთ.

მაგრამ რჩება ხალხური სიტყვიერების ერთი დარგი, რომელსაც შეუძლია დანშარება გაგვიწიოს: ეს დარგია — ხალხური ანდაზები, რომელთა ფრიად დიდი ნაწილი უკვე შეკრებილი და გამოქვეყნებულია და რომელნიც, სიტყვათა წყობის მხრივ, ქართული ხალხური ჰროზის, სადასიტყვაობის, მტკიცედ ჩამოყალიბებულს და უცვლელს, თუ შეიძლება ასე ითქვას, შეეინულს საკონსტრუქციო ნიმუშებს იძლევიან. ანდაზები იმ სახით არის ჩაწერილი, როგორც ხალხი ამბობს, და ამიტომ ჩვენს გამოკვლევაში მათ საკმაო უურადდება აქვსთ მიქცეული.

აი მათგან უფრო ტიპური ნიმუშები:

1. აღამიანის პირის კანი ხახვის შუა გარსზე უფრო თხელია, და თუ ერთხელ გაიხა, კამბეჩის ტყავზე უფრო გასქელდება.

ამ მაგალითში სამი მარტივი წინადადებაა, და, როგორც მკითხველი შეამჩნევდა, თვითუფს მათგანში შემასმენელს წინადადების ბოლო ადგილი უჭირავს („თხელია“, „გაიხა“, „გასქელდება“). ამასვე ვხედავთ შემდეგს ნიმუშებშიაც:

2. „ადგილის კურდღელს ადგილის მწვეარი დაიქერსო.
3. ბარში რომ ჰკუა დაიკარგება, მთაში მოსძებნიანო.
4. დედაკაცს მანამ ქმარი ჰყავს, ამირანია, და როცა ქმარი მოუკვდება, ამირანთ ამირანიაო.
5. მადლარს მშვიერიც მადლარი ეგონაო.
6. მგლის შიშით ცხვარი ვის გაუწყვეტიაო.
7. პირში მაქებელი ეშმაკის მოციქულიაო.
8. უბედურ კაცს ქვა აღმართში დაწვეაო.
9. ღრუბლიანი დღე პატარძალს დილა ეგონაო.
10. ცუდად ჯდომას ცუდად შრომა სჯობიაო.
11. წინა კაცი უკანა კაცის ხილიაო.
12. ჰამა ქონებაზედ ჰკილიაო“ და მრავალნი სხვანი, რომელთა ამოწერა აქ საჭირო არ არის. შევნიშნავთ მხოლოდ, რომ თითქმის ყველა ანდაზა ზემოაღნიშნულს გეგმაზეა შედგენილი, ე. ი. ანდაზის თვითეულს წინადადებაში შემასმენელს ბოლო ადგილი უჭირავს¹.

ამავე მოგვინას ვამჩნევთ მე-XII-ე საუკუნის საერო პროზის საუკეთესო ნიმუშებში, რომელთაც სპარსულიდან ნათარგმნი «ვის-რამიანი» იძლევა. ამ ვრცელი რომანის უდიდესი ნაწილი ჩვენ მიერ აღნიშნულს საკანსტრუქციო წესზე დაწერილია. აი პირველი შესვენდრილი მაგალითები:

1. «რამინის ბედისაგან შაჰი მოაბად დარბაზნი შეაკაზმინა. რამინ უბმო; და სრულად დიდებულნი და აზნაურნი ყუალანი ერთობით სმად და სიხარულად დასხდეს»².

2. «რა კარგი წელიწადი და კეთილი მოვიდოდეს, გაზაფხულვე შეეტყუების, ვითა ვისის და რამინის საქმე თავსავე ზედა მომარჯუებით იქმნა. რა ვისმან სიყუარულით შეხედნა რამინს და საწუთროსა ზეინკალმან მისისა გულისაგან მტერობისა ჯანგი აღმოჰყოცა, თუცა ჰირი და გულისტიკვილი დიდად ენახა, სიყუარულსა შიგან ერთგან დიადიცა გა-

¹ მსურველთ მიუთითებთ თუნდ დავით ჩუბინაშვილის მიერ გამოცემულ ანდაზებზე (იხ. მისი «ქართული ქრისტომატიკა» ნაწილი მეორე, პეტერბურლი, 1863 წ., გვ. 166—180); აგრეთვე «საქართველოს საისტორიო და საეთნოგორაფიო საზოგადოების» მიერ გამოცემულს კრებულებზე «ძველი საქართველო» (ტ. I, გვ. 97—100; ტ. III, გვ. 276—307); და პ. უმიკაშვილის მიერ გამოცემულს «ქართულ ანდაზებზე» ტფლ. 1876 წ.

² «ვის-რამიანი», ტფილისი 1884, გვ. 105.

იხარნეს. მასვე კუირასა ერთგან შეიყარნეს, რომელ უნებელი არსად ქარი ეცა»¹.

3. «ზაფხულისა ეამი იყო: დღე ამო, მინდორნი, ველნი და წალკოტნი სამოთხესა გვანდეს; ხენი ნაყოფიანნი, წყალნი მდინარენი და მფრინველნი ზედა დამდროდეს...; ყოველი ქუეყანა ყუავილითა, სიტურფითა და სულნელობითა ავისილიყო. საწუთრო ახალ სძლისაებრ ნაზობდა»².

4. «რა რამინ ხანი დაჰყო გულსა თანა, მისებურად გაძდა; მოახლეობითა მისითა მოეწყინა, მისებური უხანობა მოუნდა. რა გაძდა და დაითრო, მათისა სიხარულისა ვარდიცა დასტკნა, მათისა სიყუარულისა ქარი დადგა... რა სიყვარულისა მათისა მშვილდი გატყდა, მიჯნურობისა მათისა ისარიცა დაილეწა, მათისა სიხარულისა შესამოსელსა აღმასიცა დაუძველდა, მათისა სიამოვნისა წყარო დაშრა» და სხვანი³.

სიტყვათა წეობის ამავე წესს მისდევენ განახლების პერიოდის საუკეთესო ქართველი პოეტებიც. აი რამოდენიმე მაგალითი სულხან ორბელიანის იტაგ-არაკებიდან:

1. «მეხილე და მწყემსი»:

«ბაღდადის ქალაქსა წესი იყო: რა მეხილესთან კაცი მივიდის, ორი ფული მისცის, რაც ენების, ეგოდენი ხურმა შესტამის. ერთი გარედ მყოფი მწყემსი მივიდა, განწესებული მისცა, დაჯდა და ნახევარ მარჩილისა ხურმა შესტამა. მეხილემ უთხრა: „ძმაო, ბევრს ნუ სტამ, გულს დაგწეავსო“. მწყემსმა უთხრა: „შენ ნუ იურვი! ვისაც გული დაეწვის, მე ვიციო“»⁴.

2. მისივე: «ქორი და იხვი»:

«ერთმან ქორმან ერთი იხვი შეიპყრა და ჰამა ენება. იხვი ეგრევე უვნებელი, ცოცხალი ეპყრა. ზეიღამ, მონადირისაგან შეშინებულმან, ერთმან კაკაბმან ჩამოუარა. ქორი წაეტანა: ამასაც დავიტერო. იგი იხვიც ჰანგიღამ დაეხრწია, წაუვიდა და ველარც კაკაბს მოეწია. ორივე დაეკარგა»⁵.

«ქილილა და დამანას» ქართულ თარგმანშიაც ამგვარივე კონსტრუქციას დაცული. აი ტიპური ნიმუში:

¹ «ვის-რამიანი», ტფილისი 1884, გვ. 113.

² იქვე, გვ. 233.

³ იქვე, გვ. 321.

⁴ «სიბრძნე-სიცრუვისა», ტფილისი 1903 წ., გვ. 66.

⁵ იქვე, გვ. 218.

ერთი მელი ერთს ტყეთა შინა იარებოდა, მძორთა პოენისათვის ყოვლგნით დაცანცალებდა. მუნ ერთი ხე იდგა, და მას ხეზედა ტაბლი ვისმე ჩამოეკიდა და დარჩომოდა. ესრე ეკიდა, რომე, რა ქარი მოვიდის, ხის შტო შეიძრის, ტაბლს მოხვდის და დიდი ხმა გამოვიდის. მის ხის ძირს ქათამი ნახა, რომე საყენთა კენკდა. მას პარვა დაუწყო, მონადირებას ცდილობდა. ანაზდად ტაბლის ხმა შემოესმა, მიხედა: ერთი დიდ-ტანიანი, მეტად მსუქნის მსგავსი და საზარელხშიანი ხეზედ ნახა. მეღმა სიხარბით აღარა გასინჯა რა და თქვა: „მისი ხორცი და ტყავი მისის ხმისოდენი იქმნებოა“; ქათამი იგი გაუშვა და პირი ხეს მიაპყრა. ქათამმა შეუტყო და გაექცა. მელი ათასის ხრიკით მას ხეზე გავიდა, ტაბლი გახია, ნახა: ცოტა ხისა და ხმელის ტყავის მეტი არა იყო რა! ქათმის მოშორებების ცეცხლი გულთა მოეგზნა და თქვა: ვაიმე, რომ ამ დიდ-ტანოვანისაგან უცოდინრად მოვტყუვედი და ჩემი უცოდველი ნადირი უნებლად გაუშვი და მისის შეენიერის სარგებელი ვერა ვნახეო!»¹.

გადავიდეთ ახლა თანამედროვე სალიტერატურო ქართულის დამფუძნებელთა ნაწერებზე. ვიწყეთ გიორგი ერისთავის კომედიებიდან².

¹ იხ. «ქილილა და დამანა», ტფილისი 1886 წ., გვ. 92.

² ჩვენი საკითხის გასაშუქებლად ფრიად საინტერესო მასალას იძლევა მე-XVIII-ე საუკუნის კერძო მიწერ-მოწერა, სახელდობრ დედოფალთა და ბატონიშვილთა წერილები ერთმანეთთან და კარისკაცებთან. ამ მიწერ-მოწერის დიდი ნაწილი დღეს უკვე დაბეჭდილია და აქსანიმუშოდ ზოგს მათგანს დავასახელებთ. იხილეთ, მაგალ., დარეჯან დედოფლის წერილი სტეფანე ყორღანაშვილისადმი 1795 წლის 11 ოქტომბრის თარიღით («საქართველოს სიძველენი» ტომი III, გვ. 245), ალექსანდრე ბატონიშვილისა დარეჯან დედოფლისადმი 1797 წლის თარიღით (იქვე, გვ. 225; შეად. გვერდები 226, 227—229), ალმასხან ბატონიშვილისა დარეჯან დედოფლისადმი იმავე წლის თარიღით (იქვე გვ. 229—230), გიორგი ბატონიშვილისა იოსებ ყორღანაშვილისადმი იმავე თარიღით (იქვე გვ. 304), იოსებ ქანანოვისა კნინა მარიამისადმი 1814 წლის თარიღით («საქ. სიძველენი» ტომი I, გვ. 477—78) და სხვანი.—ასეთსავე მასალას წარმოადგენს მე-XIX-ე საუკუნის პირველი ნახევრის ცნობილ მწერალთა და მოღვაწეთა კერძო ხასიათის მიწერ-მოწერა, რომლის ნიმუშად საკმაო იქნება დავასახელოთ ნიკოლოზ ბარათაშვილის წერილები მისის ძმის გრიგოლისადმი 1841 წლის თარიღით და მაიკოსადმი 1842 და 1845 წლის თარიღებით (იხ. ნ. ბარათაშვილის «ლექსები და წერილები», ტფილისი 1895 წ., გვ. 91—92; 98—100; 121—122).

1. აი რამოდენიმე ტიპური ნიმუში კომედიიდგან «გაყრა», რომელიც პირველად 1850 წელს იქმნა წარმოდგენილი და გამოცემული:

— რას იტყვი, ბარამ?.. ივანე გაყრას მიპირობს!

— ნუ მიბრძანებ, შეი პიიმე, ნუ მიბრძანებ, განსვენებულის მამის თქვენის საფლავის მზესა!..

— რა ვქნა, ძმაო, არა შვრება. რა გაეწყობა? ვერა მომიხერხებია რა! რუსული კარგათ იცის, რუსის დიდ კაცებთან დადის, მერე ჩემი რძალიც იმისკენ არის¹.

— ხვალ მედიატორები მოვლენ. ყველა მომიხერხებია: ჯერ ვეჯი უნდა გავიყოთ; ივანეს წილი არა აქვს; ორთა უნდა გავიყოთ; არაში მოსტყუედე! თუ რამაზმა ქალისა გითხრას რამე, შენ შენებურათ უთხარ: ჩემმა მაკრინემ იცისთქო!²

— მამა ნუ წაგიწყდება, თუ ჩემი მოყვრობა გინდა, აგება თქვენ უფროსებში რუსული მეძებარი მიშოვნო...³

2. კომედია «დავა»-ც ამგვარს ნიმუშებს იძლევა. აი რამოდენიმე მათგანი:

— მოდი, სოროზან, დაჯექი

— კარგათ გახლავარ, შენი პირიმე.

— კარგი, დაჯექი, თუ ღმერთი გწამს! საკვირველია: რაფიელ უნდა მოსულიყო, ერთი, ეს არზა მეჩვენებინა; არ ვიცი, რათ დაიგვიანა?

— რაღა არზა არის? სულში აკი მოვრჩით? ჩალიანი თქვენ დაგრჩათ⁴.

— ბატონო, დროგით ვილაც მოდის, ხარები უბია; მგონია პრავნიკი არის.

— არიქა, ბიჭო, კაბა, წაღები, სარტყელი! სოროზანი აბა, პრავნიკი მოდის, სადილათ რა გვაქვს?⁵

¹ იხ. „გიორგი დ. ერისთავის თხზულება“ მეორე გამოცემა, ტფილისი 1884 წ., გვ. 131.

² იქვე, გვ. 152, მაკრინეს სიტყვები.

³ იქვე, გვ. 168, პავლეს სიტყვები.

⁴ იქვე, გვ. 175—176.

⁵ იქვე, გვ. 183.

- ბიჭო, რა უყავ, ათი თუმანი რომ გაგატანე?
- მივეცი, ვისთანაც გამატანეთ.
- სტყუი, მამა ჩემი ნუ წამიწყდება, უთუოდ ქალაქში წააგე!¹

როგორც ვხედავთ, გიორგი ერისთავის გმირები იმ სიდა, ჩვეულებრივის კილოთი ღაზარაკობენ, რომელიც საქართველოს ეგვლებს კუთხეში გვესმის. სიტუვანა წეობა აქაც იგუთივანა, როგორც ზემოდ აღვნიშნეთ.

ამავე კილოთი ღაზარაკობს ილია ჭავჭავაძის მოთხრობის «გლახის ნახაზობის» (დაწერილია 1862 წელს) მთავარი გმირი გაბრიელიც. აი რამოდენიმე ადგილი:

«მე, სწორედ მოგახსენოთ, ჩემს ვინაობას არ გეტყვოდი, თუ ჩემი აღსასრული არ მოახლოებულეოდა...»

«მე კახელი არ გახლავარ!.. ჩემი მიწა-წყალი... აქედამ შორს არის; და ვაი რომ ჩემს სიცოცხლეში იმ მიწას ვეღარ ვინახულებ და იმ წყალს ვეღარ დავეწაფები.. შვიდის წლიდან მოკიდებული ოც წლამდინ ჩემის განთიადის დღენი ბატონის სახლში დამიღამებია...»

«ჩემი წყენა ბატონის სახლში არავის შეეძლო: დათიკოს რომ ვუყვარდი, ყველას იმისი რიდი ჰქონდა...»

«თოთხმეტის წლისა შევიქნით ბატონი და ყმა, როცა ქალაქში სასწავლებლად დათიკოს გაგზავნა დიდმა ბატონმა დააპირა. მეც, რასაკვირველია, თან უნდა გავყოლოდი»².

მაგრამ ასე ღაზარაკობენ არა მარტო გმირები ილია ჭავჭავაძისა, არამედ ხშირად თვითონ ავტორიც ამგვარადვე აწეობს სიტუვებს წინადადებაში. აი რამოდენიმე ფრაზა მისი მოთხრობიდან: «ათა-რასან ქვრივი» (დაწერილია 1887 წელს):

«იმ ვეებერთელა სოფელში, რომელსაც თუნდ „წაბლიანს“ დავარქმევ, ყველამ იცოდა, ვინ არის ოთარაანთ ქვრივი...»

«ნაცვალი, თუ ისაული,—რაც გინდ დიდი საქმე ჰქონოდათ,— ოთარაანთ ქვრივის ეზოში ვერ გაიწაწანებდნენ; და, თუ როგორმე გაპ-

¹ იქვე, გვ. 239.

² ილია ჭავჭავაძის თხზულებანი ტომი I, მიხ. გედევანიშვილის გამოცემა, ტფილისი 1914 წ., გვ. 266—268.

ბედავდნენ, ისეთს ალიაქოთს ასტეხდა, რომ ბედსა და თავს დააწყევ-
ვლინებდა...¹

«იმ დროს, როცა ჩვენს მოთხოვნას ვიწყებთ, ოთარაანთ ქვრივის
შვილი გიორგი ოცდაერთის წლის ბიჭი იყო. ერთი ჯმუხი და ძარღვი-
ანი ყმაწვილი კაცი დადგა» და სხვანი².

ასევე სწერს და აწობს სიტყვებს ილია ჭავჭავაძე თავის კერ-
ძო მიწერ-მოწერაშიც. საილიუსტრაციოდ საკმაო იქნება მოვიტანოთ
მისივე წერილი მოსე მოურავისადმი (1906 წ.):

«ნოსე, თექვსმეტი თუმანი იოსებას ხელით მივიღე.

თუ ვინიცობაა მანდ საგურამოში ჯარი მოვიდა, შენ თვითონ ჩა-
დი და ვინც უფროსია ჩემმაგიერ სთხოვე ხალხი არ დააწიოკონ, ჩვენ
თვითონ მოვრიგდებოქო. თუ მაინცა და მაინც თავისი არ დაიშალონ,
მაშინვე ფაეტონი გამომიგზავნე, მე თვითონ ამოვალ და მე თვითონა
ვთხოვ უფროსს მანდ არა იმოქმედონ-რა და ხალხი ტყუილ უბრალოდ
არ გააფუქონ». („თემი“).

ეს წერილი დიდად დამახსისათუბელია. როგორც ვხედავთ, იგი
უბრალო კაცისადმი (მოურავისადმი) მიმართულია და ფრიალ საპრო-
ზო, საუბრეუდღეო, საგანს შეეხება. ამიტომაც მისი კილო თავიდა-
გან ბოლომდე სადა და ბუნებრივია: სწორედ ისეთი, რომელსაც ყო-
ველი ქართველი შინ და მუდამ ხმარობს. როგორც მკითხველი შე-
ამჩნევდა, სიტყვათა წყობა ამ წერილშიც და ზემო მოყვანილ ნიმუ-
შებში ერთი და იგივეა: ზმნა (შემასმენელი) წინადადების ბოლოში.

გადავხედოთ ახლა აკაკი წერეთლის ნაწერებს და მოვიტა-
ნოთ უფრო ტიპიური მაგალიტები.

1. აკაკის «ბაში აჩუკი»-დგან:

ერთ დროს საწერეთლოში ბევრი გამოჩენილი აზნაური-შვილი იყო,
მაგრამ ბაქარა ბაქარაძეს-კი ვერავინ შეედრებოდა. მეფის ერთგულმა,
ბატონის მორჩილმა და ქვეყნის მოყვარულმა გვარიც კი დააწინაურა,
არა თუ თავისი სახლი. წერეთლის მოურაობამ მაინც სულ ფეხზე დაა-

¹ იქვე, გვ. 439.

² იქვე, გვ. 447.

ყენა. ერთად-ერთი სამწუხარო მისი ის იყო, რომ შვილი არა რჩებოდა. მაგრამ, როცა, მეზობლების რჩევით, ახალშობილს გლახა დაარქვა და ღვთის სახელობაზე გაუშვა, ისიც მართლა ჩიტივით წამოეზარდა...»¹

«... მრისხანებით აღტაცებული შაჰ აბაზი ცეცხლითა და მახვილით შემოეჭრა კახეთს და მუსრი გაავლო: ციხე-ქალაქები დააქცია, სოფლები ააოხრა, ტაძრები დაანგრია და შებღალა. ვინც კი მთაში ვერ გაასწრო და გაუხიზნავი დარჩა—დაიღუპა. სიბრალული აღარსად იყო და მდინარეებს სისხლის ღვარი ერთოდა. ამ უბედურობამ ლანგ-თემურის დროებსაც კი გადააჭარბა... მძვინვარე შაჰიმ, რაც გაწყვიტა—გაწყვიტა, და, რაც არა, ათასობით და ათიათასობით სპარსეთში გადასახლა...»²

2. მისივე «შენი შენა»:

«საბა ორბელიანის იგავ-არაკებში შიგა და შიგ ისეთი ამბევებიც ურევია, რომლებიც ევროპის შორეული ქვეყნების ზეპირსიტყვაობაშიაც კი არის. ზოგი იმ აზრის არის ჩვენში, რომ ის არაკები საბამ ევროპაში მოგზაურობის დროს მოაგროვდა და, რომ დაბრუნდა, გადმოაქართულა. შემცდარი აზრია: ჯერ ერთი ის, რომ მოგზაურობის დროს და მერე კიდევ იმ საუკუნეში ასე ხელათ, გაკვრით, ამგვარი რამეების შეგროვება მოუხერხებელია; და მეორე კიდევ ის, რომ მისი „სიბრძნე-სიცრუე“ საბამ ყმაწვილობაშივე შეაგროვდა და ევროპაში კი სიბერის დროს მოგზაურობდა...»³

3. მისივე «თამარ მეფე»:

«ძველთაგან დაწყებული, ჯერ არ ყოფილა დედამიწის ზურგზე მისთანა საისტორიო ერი, რომელსაც სხვადასხვაგვარ უბედურების მიზნად ქალი არ დაესახელებიოს. მაგალითად: ბერძნებმა, ტროადის ლაშქობით აშფოთებულებმა, დიდებულ ილიონის დარღვევისა და თანმოყოლებულის ატრიდანთ ოჯახის ყოველგვარ უბედურების მიზნად ელენე შეენიერი გამოსახეს. ერთ დროს, ოდესმე ზვიადი, უკადრისი და სხვათა ერთა მოძულე ებრაელები, რომელთაც თავისი ეროვნული ძლიერება სამსონ ძლიერში გამოხატეს, დასუსტებასა და დამარცხებას დალილას აბრალებდენ. ეგვიპტის ბოლომოდლებას და ბჭემალალ ფარაონთა დამხო-

¹ «ბაში აჩუკია», ქუთაისი, 1900 წ., გვ. 47.

² იქვე, გვ. 69.

³ იხ. „აკაკის თვითური კრებული“, 1898 წ. № 9, გვ. 29.

ბას კლეოპატრას მხურვალეობას აწერენ... რომ ყველა არ ჩამოვთვალათ, საკმაო იქნება აღვიაროთ, რომ თვით მთელმა კაცობრიობამ, შვერთებულათ, სამოთხის დაკარგვის მიზეზათ პირველი დედა, ევა, დაასახელა...¹

როგორც ვხედავთ, აკაკი წერეთელიც სიტყვათა წეობის იმავე წესს მისდევს, როგორც გიორგი ერისთავისა და ილიას ნაწერებში აღვნიშნეთ. ეს ბუნებრივი წეობა აკაკის ისე აქვს შეთვისებული, რომ ხშირად მის ლექსებშიაც კი გვხვდება. აი პირველმეხვედრიდი მაგალითები:

ა) ლექსიდან «ამაო ძებნა» (1860 წ.):

მაისის ღამე ბნელთვალისანი
აგერ განთიადს ესალამება,
და ვარსკვლავთ კრება უხვსხივიანი
გულდაწყვეტილი ნელ-ნელა ჰქრება...

მაგრამ რას ვხედავ! აჰა ჰაბუკი,
რომელიც შენ ყურს სულაც არ გიგდებს,
კენესის და ოხრავს, სტირს უბადრუკი
და წარსულს ღრობს ოცნებით ეძებს..

საზარელ, უნმო ამა პასუხით
საბრალოს გულში სისხლი სდუღდება,
და მდინარესვე მტირალისა ხმით
წარსულის ამბავს ის ევედრება!..²

ბ) ლექსიდან «ვარდის ხმა ჯედ» (1871 წ.):

მე ჩანგური მისთვის მინდა,
რომ სიმართლეს მსახურებდეს,
განამტკიცოს აზრი წმინდა,
გულს სიწმიდით ახურებდეს!..

¹ იხ. აკაკის „ჩემი ნაწერები“, ქუთ., 1913 წ., II, გვ. 35—36.

² „ჩემი ნაწერები“, წიგნი I, გვ. 73—74.

რომ დაჩაგრულს იმ სიმღერით
თვალთ ცრემლები ეშრობოდეს
და მჩაგვრელს კი გულში ძგერით
ისარივით ესობოდეს...¹

ბ) ლექსიდან «ს ი მ დ ე რ ა»:

ბულბული ვარდს მაშინ დაჰყვფს,
როცა ეშხით მთვრალია!
მერცხლის ტკბილი ჰიკჰიკიკა
გაზაფხულის ბრალია!

თუ მე გიმღერ, მშვენნიერო,
ეს სულ შენი ბრალია;
და ის სცდება, ვინც რომ ჩემზედ
ამ მღერისთვის მწყრალია...

მე რომ კიდევ გამაჩუმონ,
მითი შენ რა გაკლდება:
ჩემს ადგილზედ სხვა მღერალი,
ათასი სხვა გაჩნდება...

რომ დამიბან კიდევ ენა,
გულს ხომ მაინც ვიძგერებ!
ტურფავ, შენის გულისათვის
ქვეყანას დავიმტერებ.

ნათესავებს და მეგობრებს
შენთვის ყველას ვეყრები
უსასყიდლოდ გამსახურებ და
მძიმე ტვირთს ქვეშ ვიხრები...²

ასეთია აკაკი წერეთლის სიტყვათა წეობა ჰროზაში და ზოგ-
ჯერ ლექსებშიც.

უკანასკნელი გარემოება ფრიად საგულისხმოა: სჩანს, ზემო-
აღნიშნული ბუნებრივი საკონსტრუქციო წესი ძლიერი ეოფილას, თუ

¹ იქვე, გვ. 205—206.

² «ჩემი ნაწერები», წ. II, გვ. 101- -102.

იგი ევროპულად აღზრდილ მწერალ-მგოსანთა ლექსებშია¹ კი იჩენს თავს. ამიტომ სრულიად გასაკვირადი არაა, რომ ასეთი წეობა საკმაოდ ხშირად გვხვდება როგორც რუსთაველის უკვდავ პოემაში, ისე ხალხურ პოეზიაში.

აი პირველშეხვედრილი მაგალითები:

ა) «გ ე ფ ხ ი ს ტ უ ა ო ს ნ ი დ გ ა ნ»:

1

სთქვეს, თუ: „მეფე ცუდსა რასმე
გონებასა ჩავარდნილა,
თვარე აქა სამძიმარი
მათი ყოლე არა ქმნილა“.
ავთანდილ სთქვა: „სოგრატ, ვკითხვით,
გვითხრას, რაცა შეგვეცილა,
ვკადროთ რამე სალალობო,
რასათვისცა გაგვაწბილა“².

2

რა მეფემან მოისმინა,
გაცინებით შემოხედნა,
გაუკვირდა, ვით მკადრაო,
ან სიტყვანი ვით გაბედნა.
„კარგა ჰქმენო“, დაუმაძღლა,
ბრძანებანი უიმედნა:
„ჩემი ძრახვა სიძუნწისა,
სტყუის, ვინცა დაიყბედნა“³.

3

ყმა მეფისა ბრძანებასა
ლალი წყნარად მოისმენდა,

¹ ვამბობთ: „ლექსებშია“¹, რადგან, როგორც მოგეხსენებათ, ლექსის წერის დროს მგოსანი უმთავრესად ლექსის ზომასა (რიტმსა) და რითმის მოთხოვნილებას ემორჩილება, ეს კი ხშირად წინადადებათა ბუნებრივი კონსტრუქციის დარღვევას თხოულობს.

² „ვეფხისტყაოსანი“, ტფ. 1903 წლის გამოცემა, ხანა 58.

³ იქვე, ხანა 61.

თავმოდრეკით გაიღიმნა,
 გაცინება დაუშვენდა,
 თეთრთა კბილთა გამომკრთალსა
 შუქსა ველთა მოაფენდა.
 მეფე ჰკითხავს: „რას იცინი,
 ანუ ჩემგან რა შეგრცხვენდა?“¹

4

ავთანდილცა დამორჩილდა,
 საუბარი გარდასწყვიტეს,
 იცინოდეს, ყმაწვილობდეს,
 საყვარლად და კარგად ჰზმიდეს,
 ნაძლევიცა გააჩინეს,
 ამა პირსა დაასკვნიდეს:
 „ვინცა იყოს უარესი,
 თავშიშველი სამ დღე ვლიდეს“².

ბ) ხ ა ლ ხ უ რ ი ს ი ტ ე ვ ი ე რ ე ბ ი დ გ ა ნ :

1

მთის შვილო, მთაში გაზრდილო,
 ხმალს როდის მოგიშვიდება?
 ომში შეხვალ და გამოხვალ,
 გული არ შეგიშინდება;
 სისხლისა ნაგუბარზედა
 ფეხი არ მოგიცურდება;
 უკან დახევა არ იცი,
 გული რო შეგიხურდება!

2

ყველა ფრინველი ხეზე ზის,
 მწყერი მიწაზე გოგდება:
 ქალი რათ გინდა უცხო მხრის?
 დასნეულდება, მოკვდება!

¹ იქვე, ხანა 64.

² ხანა 69. შეად. ხანები 73, 74, 79, 81, 107, 110, 111, 117, 139, 142, 150, 155, 156, 159, 160, 167, 171, 172, 173, 177, 179, 181, 184, 188, 190, 191, 193, 195, 204, 206, 212, 222 და მრავალნი სხვანი.

3

დედა, ობლების დამყრელი,
 კაცის მკვლელს ეღარებოდა:
 უბეში უჯდა გველები,
 ძუძუებს ეტანებოდა!

4

იმერეთი დამივლია,
 ქართლი შემიჯერებია,
 არ მინახავს შენისთანა:
 ყელი მოგიღერებია,
 წამწამსა და წამწამ შუა
 ბალი გაგიშენებია,
 შიგ სურვილი ჩაგისახავს,
 ყველა გაგიშტერებია!

5

გოგომ ფიჩხი ჩააყარა,
 თონე ააპრიალაო;
 მოჩა საქმეს და დამღერა,
 ხმები ააწკრიალაო;
 რომ შევხედე, შემომხედა,
 რეტმა დამატრიალაო!

6

ქალავ, მაგ შენმა მერდინმა
 ჰაერში გაიფრიალა;
 სახე გამოჩნდა, თოლებმა
 ელვასებრ გაიკრიალა,
 ცხელმა ნიავმა დამქროლა,
 გზად შენკენ დამატრიალა,
 გულს ცეცხლი შემომამყარა
 და ჩალად ამბრიალა!

7

ნეტაი, ვარდათ მაქცია,
 შენს წინა გავიშლებოდე,
 პატარა ჩიტათ მაქცია,
 უბეში ჩაგიძვრებოდა,

შაქარყინულათ მაქცია,
ენაზე დაგანებოდე,
მას უკან მომკლა,—რა მგამა!—
შენს კეთილს მოვესწრებოდე!

8

ვერცხლიამც თასად მაქცია,
რო ღვინით აგვესებოდე,
დაფერილი მქნა წითლადა,
შამსმევედე, შაგერგებოდე,
ანა მქნა ვერცხლის სათითე,
რო ხელზე ჩაგეგებოდე,
ან შენის ნამგლის ყანა მქნა,
რო ფხაზე შაგეპრებოდე,
ანამც მქნა ვარდი, ყოილი,
ცხვირ-პირზე დაგეყრებოდე,
ან შენი ნანდაური მქნა,
გულს ჯავრად ჩაგეპრებოდე,
ანამც ძმა ვიყო მოწილე,
ცოცხალს არ გაგეყრებოდე!

აღარ განგაგრძობთ ამგვარ ნიმუშების ამოწერას: მათი რიცხვი ფართად დიდია¹; ჩვენი წინასწარი მოხსენებისათვის კი, გგონებთ, მოტანილი მასალაც საკმაო იქნება².

¹ ვისაც სურს ხალხურ პოეზიაში ამგვარი მაგალითები შეამოწმოს, ჩვენ შეგვიძლია სანიმუშოდ „საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებების“ მიერ გამოცემულს კრებულზე მივუთითოთ: «ძველი საქართველო», ტომი III, გვ. 1—276.

² ადგილი ნებას არ გვაძლევს, მე-XIX—XX-ე საუკუნის დანარჩენი მწერლების თხზულებათაგან შესაფერი მაგალითები ამოვსწეროთ. აქ დავასახელებთ მხოლოდ შემდეგს მწერლებს და ნიმუშებს: გ ი ო რ გ ი წ ე რ ე თ ლ ი ს «პირველი ნაბიჯი», ქუთაისი, 1903 წ., გვ. 208, მე-IV თავის დასაწყისი; ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე ყ ა ზ ბ ე გ ი ს «მოდვარი»-ს და-

II

ნ ა რ კ ე ე გ ი

როგორც ქართლსა და იმერეთში ცოცხალის სსსუბრო კილოების დაკვირვებამ, ისე წინა თავში აღნუსხულმა და მრავალმა მათმა მსგავსმა წერილსიტყვაობითმა მაგალითმა სრულის ურეველოობით გამოგვიჩვენა, რომ ახალ ქართულში წინადადების უუპირატესი ნაწილი, სახელდობრ შემასმენელი (პრედიკატი), ჩვეულებრივ წინადადების ბოლოში დაისმის ხოლმე.

„უუპირატეს ნაწილს“ — შემასმენელს ვუწოდებთ, რადგან, როგორც საზოგადოდ ცნობილია, სლაც შემასმენელი არ არის,

საწყისი (გამოცემა 1904 წ.), გვ. 474; ეკატერინე გაბაშვილის «გლეხკაცების ახრი სასოფლო სკოლაზე» (დაწერილია 1870 წ.) — დასაწყისი (იხ. მისი „თხზულებანი“, ტფილისი 1910 წ., გვ. 3), მისივე «თამარის ნუგეში» — დასაწყისი (იქვე, გვ. 341—342); ვაჟა-ფშაველას ზოგიერთი საპროზო ნაწერები, მაგალითად «სურათები» — დასაწყისი (იხ. „თხზულებანი“, ტფილისი 1899 წ., გვ. 460); შიო არაგვისპირელის «მოგონება» — დასაწყისი (იხ. მის თხზულებათა I წიგნი, ტფილისი 1900 წ., გვ. 20—21), მისივე «ჩემი თავგადასავალი» — დასაწყისი (წიგნი IV, ტფილისი 1912 წ., გვ. 202); ჯაჯუჯორჯიკიას ამას წინაღ გამოსული კრებული, მაგალითად შემდეგი ესკიზები: „მზის სიბრძნე“ (გვ. 49), „ქალის გული“ (გვ. 51), „მწყემსი“ (გვ. 64), „ვინ რა მითხრა“ (გვ. 112), „ნეაპოლელის ნამბობი“ (გვ. 252) და სხვანი.

ზოგიერთს ახალგაზრდა მგოსანს ლექსებშიაც კი ემარჯვება ჩვენ მიერ აღნიშნული კონსტრუქცია. მათ შორის, განსაკუთრებით, ალ. შანშიაშვილი იქცევის ყურადღებას. იხილეთ, მაგალითად, მისი „იასონ და რენო“ (კრებული „გრდემლი“, ტომი I, ტფილისი 1912 წ., გვ. 293, პირველი და მეორე ხანა; 297 გვერდი, სტრიქონები 8—30 და სხვანი).

ან სადაც მისი მკაფიოდ და ხელდადებით გულისხმობა არ შეიძლება, აქ არც არავითარი აზრია და, მაშასადამე, არც წინადადება შეიძლება იყოს: აქ არის მხოლოდ სიტყვები, დაუკავშირებელი ცნებები და არა აზრი — წინადადება. ხოლო, სადაც წინადადებაა, აქ უსათუოდ შემასმენელიც არის, ან მკაფიოდ და ნიშანდობლივ ნაგულისხმევია. ერთი სიტყვით, უშემასმენლად წინადადება არ არსებობს. სხვა ნაწილებზე კი ესევე არ ითქმის: თვით ქვემდებარე, რომელიც, ჩვეულებრივ, წინადადების მეორე მთავარ ნაწილად ითვლება და ურომლისოდაც ლოგიური მსჯელობა არ არსებობს, ზოგიერთ წინადადებაში სრულიად არა სჩანს და არც მკაფიოდ და ნიშანდობლივ ნაგულისხმევია: მაგალითად წინადადებებში: „წვიმს“, „თოვს“, „თენდება“; ამ პატარა წინადადებებში მხოლოდ ბუნდოვანად და გაურკვეველად ნაგულისხმევია ის, რადაც (ან ვინდაც), რაცა წვიმს, თოვს და სხვანი, მაგრამ სახელდობრ რა (ან ვინა) ის, რაც წვიმს, თოვს, თენდება, ეს არცა სჩანს და არც მკაფიოდ და ნიშანდობლივ საგულისხმებელია¹. ამგვარად, შეიძლება წინადადებაში ქვემდებარე არცა სჩანდეს და არც მკაფიოდ საგულისხმებელი იყოს, მაგრამ წინადადება მაინც იყოს; შემასმენელი კი თუ ნიშანდობლივ ნაგულისხმევი მაინც არაა, ისე არც წინადადება². სწორედ ამიტომ შემასმენელს წინადადების

¹ აქ აღნიშნულ პატარა წინადადებებში, რასაკვირველია, ლოგიური მსჯელობანი არის და, მაშასადამე, ლოლიკური სუბიექტი და პრედიკატიცაა (წვიმს = წვიმია არის; თოვს = თოვლი არის; თენდება = თენდება არის); მაგრამ ჩვენ აქ ლაპარაკი გვაქვს გრამატიკულ წინადადებაზე და ლოგიკურ მსჯელობაზე, რომელიც, როგორც უწყით, იგივე არაა, რაც წინადადება.

² ხშირათ ცოცხალ საუბარში წინადადებანი ისე მოკლდებიან, რომ შემასმენელი აღარა სჩანს, მაგრამ მკაფიოდ და ნიშანდობლივ საგულისხმებელი კია. მაგალ., ერთი პირი ეკითხება მეორეს:

ვინ დასწერა ვეფხის ტყაოსანი?

— რუსთაველმა.

აქ ორი წინადადებაა: პირველში ქვემდებარეც არის (ვინ) და შემასმენელიც (დასწერა); მეორეში კი მარტო ქვემდებარეა (რუსთაველმა),

უზირატესი ნაწილი ვუწოდეთ. მაგრამ არის კიდევ ერთი გარემოება, რომელიც გვაიძულებს, ქართულ წინადადებაში „უზირატესი“ სწორედ შემასმენელს დავარქვათ. ეს გარემოება განსაზღვრავს სიტყვათა მმართველობის წესი, რომლის ძალითაც ქართულ წინადადებაში არა მხოლოდ დამატებანი და გარემოებითი სიტყვები, თვით ქვემდებარეც შემასმენელს ემორჩილება, შემასმენელის მოთხოვნილებით დანისმის ამა თუ იმ ბრუნვაში. აი მაგალითები:

1. ერეკლე მტერს ამარცხებს;
2. ერეკლემ მტერი დაამარცხა;
3. ერეკლეს მტერი დაუმარცხებია;

ან კიდევ:

1. ლომი შამბნარში ცხოვრობს;
2. ლომმა შამბნარში იცხოვრა;
3. ლომს შამბნარში უცხოვრია.

გვგონებთ ცხადია, რომ პირველი რიგის მაგალითებში ქვემდებარე (ერეკლე, ლომი) სახელობითს ბრუნვაში იმიტომ ზის, რომ ამას შემასმენელის (ამარცხებს, ცხოვრობს) აწმყო დრო მოითხოვს; მეორე რიგის მაგალითებში ქვემდებარე (ერეკლემ, ლომმა) მოთხოვნილებით ბრუნვაში ზის, რადგან შემასმენელი (დაამარცხა, იცხოვრა)—ნამყო სრულში, ან უკეთ, აორისტშია; აგრედვე, მესამე რიგის მაგალითების ქვემდებარეს (ერეკლეს, ლომს) იმიტომ აქვს მიცემითი ბრუნვა, რომ შემასმენელი (დაუმარცხებია, უცხოვრია) წინარეწარსულშია დასმული.

ამგვარად, უოველ ეჭვს გარეშეა, რომ ქართულ წინადადებაში უზირატესობა შემასმენელს ეკუთვნის, იგია მთელი წინადადების უფა-

შემასმენელი კი არა სჩანს, მაგრამ აშკარად და ექვემიუტანელად ნაგულისხმევია (დასწერა); თუ ასე არ იყოს, მაშინ არც აზრი იქნებოდა. ამაში აღვიღად დავერწმუნდებით, თუ ცალკე (კითხვის გარეშე) ვიტყვით სიტყვას „რუსთაველმა“; რასაკვირველია, ეს ერთი სიტყვა (თუ მასთან რაიმე შემასმენელი არ ვიგულისხმეთ) აზრს ვერ გამოხატავს და, მაშასადამე, ვერც წინადადებას მოგვცემს.

ლი და განმგებელი, დანარჩენი ნაწილები (თვით ქვემდებარე) მისი გრძნული გვერთხის მოძრაობას ემორჩილებიან.

და, აი, ეს უზიარტესი ნაწილი, როგორც ზემოდ შევნიშნეთ, ახალ ქართულში ჩვეულებრივ წინადადების ბოლო დასრულების ხელმე.

ვამბობთ „ჩვეულებრივ“ და არა „უოველთვის“, რადგან ამ საზოგადო კანონს თავისი გამონაკლიც აქვს, რაზედაც ცოტა ქვემოდ გვექნება საუბარი. აქ კი ისევ ამ საზოგადო კანონს დავუბრუნდებით და გაწვევით სიტყვას განვაცხობთ.

როგორც მოგეხსენებათ, წინადადებაში, შემასმენელს გარდა, ჩვეულებრივ ქვემდებარეც არის ხელმე და ძლიერ ხშირად სხვა ნაწილებიც (დამატება, რომელიმე გარემოება და განსაზღვრება) გვხვდება. იკითხება: როცა შემასმენელი წინადადების ბოლოში დაისმის, დანარჩენი ნაწილები როგორს რიგს-და მისდევენ ხელმე?

დავევრება გვეუბნება, რომ ქართულ სადასიტივობაში წინადადების დანარჩენ ნაწილთა თანამიმდევრობაც განსაზღვრულ კანონს ემორჩილება, და ეს კანონია—ამა თუ იმ სიტყვის (ცნების) ლოგიკური უპირობოება.

მაგვამ, რომ ეს აზრი ნათელი იქნეს, საჭიროა მაგალითებს მივმართოთ.

ავიდოთ შემდეგი უბრალო აზრი:

„გუშინ ჩემმა მეგობარმა ტყეში ფეხი მოიტეხა“.

როგორც ვხედავთ, ამ წინადადებაში არის შემასმენელი (მოიტეხა), რომელსაც ბოლო ადგილი უჭირავს, ქვემდებარე (მეგობარმა) თავისი განსაზღვებითურთ (ჩემმა), დროისა და ადგილის გარემოებანი (ტყეში, ტყეში) და დამატება (ფეხი).

ვამჩნევთ იმასაც, რომ შემასმენელთან აქ ვეგლახე უფრო ახლოს დამატება (ფეხი) ზის:

„გუშინ ჩემმა მეგობარმა ტყეში ფეხი მოიტეხა“.

ახლა ვსცადოთ შემდეგი: ესევე წინადადება რამდენჯერმე ისე შევცვალოთ, რომ შემასმენელის წინ რიგ-რიგად დანარჩენი ნაწილები-

ბიჭ მოხვდნენ, და თან ვუცქირთოთ, მისი შინაარსი (წინადადების აზრით) როგორს ნიუანსებს შიიღებს. აი ეს ცუდილებანი:

1. ჩემმა მეგობარმა ტყეში ფეხი გ უ შ ი ნ მოიტეხა;
2. გუშინ ჩემმა მეგობარმა ფეხი ტ ყ ე შ ი ნ მოიტეხა;
3. გუშინ ტყეში ფეხი ჩემმა მეგობარმა მოიტეხა.

გვინებთ, განუმარტებლად ცხადი უნდა იყოს, რომ პირველგვარად შეცვლილს წინადადებაში ის აზრია გამოსატული, რომ ჩემმა მეგობარმა გ უ შ ი ნ მოიტეხა ფეხი და აზა დღეს, ან სხვა დროს; მასმადამე ლოგიური უპირატესობა აქ (შემასმენელს შემდგომ) დროის გარემოებას („გუშინ“) ეკუთვნის.

სწორედ ასევე, მეორე სახით შეცვლილ წინადადებაში ლოგიური უპირატესობა ადგილის გარემოებას („ტყეში“) ეძლევა, რადგან აქ ლოგიურად ხაზგასმულია ის აზრი, რომ ჩემმა მეგობარმა ფეხი ტყეში მოიტეხა და აზა შინ, ან სხვაგან სდამე.

ამგვარადვე, მესამე სახით შეცვლილი წინადადებაც ლოგიურად ხაზს იმ აზრს უსვამს, რომ ფეხი ჩემმა მეგობარმა (და აზა უბრალო ნაცნობმა, გინდ ნათესავმა) მოიტეხა, ე. ი. ლოგიური უპირატესობა აქ ქვემდებარეს აქვს დათმობილი.

რაც შეეხება ამ წინადადების პირველყოფილ ფორმას („გუშინ ჩემმა მეგობარმა ტყეში ფეხი მოიტეხა“), რომელიც ჩვენ სამგვარად შევცვალეთ, ცხადია იქ ლოგიური უპირატესობა დამატებას („ფეხი“) აქვს მინიჭებული, სახელდობრ ის აზრია ხაზგასმული, რომ ჩემმა მეგობარმა ფეხი მოიტეხა და აზა სხვა რაიმე ნაწილი.

ამგვარად, ნათელია ის აზრი, რომ, როცა წინადადებაში შემასმენელს ჩვეულებრივი ალაგი (=უკანასკნელი) უჭირავს, მაშინ ქვემდებარე, დამატება და გარემოებითი სიტყვები მის უახლოეს ადგილს ლოგიური უპირატესობის მიხედვით იჭერენ.

მაგრამ ზემოკანხილულ მაგალითებში მხოლოდ ორგვარი გარემოება (ადგილისა და დროსი) და ერთგვარი დამატება (პირდაპირი) წარმოდგენილი. ამიტომ საჭიროა აზაპირდაპირის დამატებისა და დანარჩენ გარემოებათა მაგალითებიც განვიხილოთ.

ავიდოთ ჯერ ასეთი მაგალითი:

„ბალკანეთმა ოსმალეთს ომი გამოუცხადა“.

ამ წინადადებაში ორგვარი დამატებაა: პირდაპირი („ომი“) და არაპირდაპირი („ოსმალეთს“). თუ ამ მაგალითს უცვლელად დავტოვებთ, მაშინ შემასმენელის წინ „ომი“ დარჩება და ლოგიური უპირატესობაც მას მიეკუთვნება, ე. ი. წინადადებაში ის აზრი იქნება ხაზგასმული, რომ „ბალკანეთმა ოსმალეთს ომი გამოუცხადა“ და არა სხვა რამე (მაგალ., უბრალო პრეტესტი). მაგრამ თუ მოვიხსურებთ ის აზრი გამოვსატყვათ, რომ ბალკანეთთან ომი ოსმალეთის სახელმწიფოს გამოეცხადა და არა სხვას ვისმე, მაშინ, უეჭველია, ლოგიური უპირატესობა „ოსმალეთზე“ გადავა და ჩვენი წინადადებაც შემდეგს წყობას მიიღებს:

„ბალკანეთმა ომი ოსმალეთს გამოუცხადა“, ე. ი. შემასმენელის წინ ახლა არაპირდაპირი დამატება („ოსმალეთს“) დაისმის.

ამგვარად, როცა წინადადებაში ორგვარი დამატებაა, შემასმენელის წინ ის დამატება დაისმის, რომელსაც ლოგიური უპირატესობა ეკუთვნის. ესევე ითქმის სხვადასხვა გვარის გარემოებითი სიტყვების შესახებაც. აი მაგალითები:

1. ჩვენი ქვეყანა ძლიერ ხშირად შინაური **განხეთქილების გამო** იჩაგრებოდა,
2. მაგრამ **ზოგჯერ** გარეშე მტრის **მოსაგვიკვლად** ერთდებოდა,
3. ბრძოლის ველზე **ერთსულოვანი** გადიოდა
4. და დაუპატიჟებელ სტუმრებს **გმირულად** უხვდებოდა.

ამ ოთხ მაგალითში ჩვენ მიერ ხაზგასმული სიტყვები—გარემოებითი სიტყვებია და, როგორც ვხედავთ, მათ შორის შემასმენელის ახლოს ის სიტყვა ზის, რომელსაც აზრით უპირატესობა ეკუთვნის.

ამგვარად, ქვემდებარისა, დამატებათა და გარემოებათა შესახებ ჩვენი დასკვნა ასეთია: როცა წინადადებაში შემასმენელს ჩვეულებრივი (=უკანასკნელი) ადგილი უჭირავს, მაშინ ქვემდებარე, დამატება და გარემოებითი სიტყვები მის უახლოეს ადგილს ლოგიური უპირ-

რატესობის მიხედვით იჭერენ, სახელდობრ: თუ ღოგოურად (აზრით) უპირატესობა ქვემდებარეს ეკუთვნის, მაშინ შემასმენელის წინ ქვემდებარე დაისმის, თუ დამატებას—დამატება, თუ გარემობას—გარემობა, და უკანასკნელთ შორის [როცა ერთსა და იმავე წინადადებაში სხვადასხვა გვარის დამატება და გარემობაა] იმ გვარის დამატება ან გარემობა, რომელსაც აზრთა მსვლელობა (წინადადების შინაარსი) ღოგოურს უპირატესობას აკუთვნებს¹.

გვრჩება განსახიფველი, ეგრედ წოდებული, განსაზღვრება და მიმატება, რომელნიც წინადადებაში ერთსა და იმავე როლს ასრულებენ: ნიშანდობლივ საზღვრავენ იმ სიტყვას, რომელსაც ეკუთვნიან. რადგან მათი სპეციალური დანიშნულება სწორედ ასეთია, ვგონებთ აზრობრუნადაც შეიძლება დაგვესკვნა, რომ მათ ადგილი იმ სიტყვის მახლობლად უნდა ეჭიროსთ, რომელსაც ეკუთვნიან. და მართლაც ასეა: განსაზღვრება და მიმატება ქართულ სადასიტყვაობაში იმ სიტყვის გვერდით (წინ ან უკან, უფრო ხშირად წინ) დაისმის, რომელსაც ეკუთვნის და განსაზღვრავს.

აი მაგალითები (განსაზღვრებისა):

1. ბ ა ლ დ ა დ ი ს ქ ა ლ ა ქ ს ა წ ე ს ი ი ყ ვ : რ ა მ ე ხ ი ლ ე ს თ ა ნ კ ა ც ი მ ი ე ი დ ი ს , ო რ ი ფ უ ლ ი მ ი ს ც ი ს , რ ა ც ე ნ ე ბ ი ს , ე გ ო ლ ე ნ ი ხ უ რ მ ა ს ქ ა მ ი ს .
2. ე რ თ მ ა ნ ქ ო რ მ ა ნ ე რ თ ი ი ხ ვ ი შ ე ი ჰ ყ რ ა დ ა ჭ ა მ ა ე ნ ე ბ ა .

¹ ხოლო, როცა გარემოებითი სიტყვა შემასმენელს კი არ ეკუთვნის, არამედ წინადადების რომელსამე სხვა ნაწილს (ქვემდებარეს, დამატებას ან განსაზღვრებას), მაშინ გარემოებითი სიტყვა იმ სიტყვის წინ დაისმის, რომელსაც ეკუთვნის. აი ორიოდ მაგალითი: 1) ს ი ზ მ ა რ შ ი ს ი ც ი ლ ი უ ბ ე დ უ რ ე ბ ი ს მ ო მ ა ს წ ა ვ ე ბ ე ლ ი ა ო ; 2) მ ე ფ ე მ ე რ ს მ თ ა შ ი გ ა ხ ი ზ ე ნ ა უ ბ რ ძ ა ნ ა ; 3) მ რ ა ვ ა ლ ი , ო დ ე ს ლ ა ც ძ ლ ი ე რ ი დ ა ბ ე დ ნ ი ე რ ი ე რ ი დ დ ე ს ა ნ ს რ უ ლ ი ა დ გ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ი ა , ა ნ უ კ ი დ უ რ ე ს უ ბ ე დ უ რ ე ბ ა ს გ ა ნ ი ც დ ი ს .

ესევე ითქმის დამატების შესახებაც, როცა იგი შემასმენელს კი არ ეკუთვნის, არამედ სხვა ნაწილებს (ქვემდებარეს, სხვა დამატებას ან გარემობას). აი ნიმუშები: 1) „კ ა მ ბ ე ჩ თ ა ნ მ ო ჭ ი დ ა ვ ე ხ ა რ ს რ ჭ ა რ შ ე რ ჩ ე ბ ა ო“; 2) „ე რ თ მ ა დ ე დ ა მ თ ა ვ ი ს შ ე ი ლ ს მ ტ რ ი ს გ ა ნ გ ა ქ ც ე ვ ა უ კ ი ე რ ი ნ ა დ ა ს ა ხ ლ შ ი ა ლ ა რ შ ე უ შ ვ ა“ და სხვანი.

3. ჩემი წყენა ბატონის სახლში არავის შეეძლო: დათიკოს რომ ვუყვარდი, ყველას იმისი რიდი ჰქოდა.

4. ქალმის თასმებს ვიხვევდი, როცა დედა ჩემი შინ შემოვიდა¹.

აი კიდევ მაგალითები (მიმატებისა):

1. თამარ მეფე და ხონთქარი მალაღმა ღმერთმა წაჰკიდა.

2. მეფე დავით აღმაშენებელმა საქართველო ააყვავა და გააძლიერა.

ვგონებთ, ეს მაგალითებიც საკმაო უნდა იყოს იმ აზრის ნათელსაყოფელად, რომელიც ზემოდ განსაზღვრებისა და მიმატების შესახებ წარმოვსოქვით. კერძოდ განსაზღვრების შესახებ ის უნდა დავამატოთ, რომ, როცა წინადადებაში ერთსა და იმავე სიტყვას რამდენიმე განსაზღვრება აქვს, მაშინ საზღვრულ სიტყვის წინ, უფრო ახლოს, ზედსართავიანი ან მიმღობითი, ნაცვალსახელოვანი ან რიცხვითი განსაზღვრება დაისმის და შემდეგ, ამთხე უფრო წინ (და, მაშასადამე, განსაზღვრული სიტყვისაგან უფრო მოშორებით) არსებითი განსაზღვრება ჯდება. აი მაგალითები:

1. დედის სათნო და სიყვარულით აღსავსე გულს ზოგჯერ სიკვდილიც კი უფრთხის.

2. ვახტანგის ძლიერმა, მალაღონიერმა და თავისუფლების სიყვარულით გამსჭვალულმა სულმა საქართველოს ეკლესიას დამოუკიდებლობა მოუპოვა.

3. ერთ დროს საწერეთლოში ბევრი გამოჩენილი აზნაურიშვილი იყო.

4. გუშინ ერთი ჩემი კარგი ნაცნობი მძიმედ დაუჭრიათ.

რაც შეეხება ჩართულ სიტყვებსა და მოწოდებებს, რომელნიც, როგორც ვიცით, წინადადების ნაწილს არ შეადგენენ, — დაკვირვება გვიჩვენებს, რომ იგინი ზოგჯერ წინადადების თავში დაისმიან, ზოგჯერაც — შუაში.

¹ შ. არაგვისპირელი, წ. I, გვ. 21.

აი მაგალითები (ჩართული სიტყვების):

1. რ ო გ ო რ ო ფ ი ქ რ ო ბ ე ნ, ქართველებს ერთ დროს შუა-მდინარეში უცხოვრიათ.

2. ერთხელ, თ უ რ მ ე, მზეს და მთვარეს დიდი ჩხუბი მოსვლიათ.

აი კიდევ მაგალითები (მოწოდების):

1. ქ ა ლ ო, მაგ შენმა მერდინმა ჰაერში გაიფრიალა!

2. და დ ე ქ, წ ყ ა ლ ო, და მოყვრისა შემონათვალი მიაძებე!

ამგვარად, ჩვენ განვიხილეთ ქართული წინადადების ვეგლა ნაწილი და ვნახეთ, რომ სიტყვათა წებობა ახალ ქართულში ლოგიური უპირატესობის პრინციპს ემორჩილება, ე. ი. რამდენადაც სიტყვა ლოგიურად უფრო მნიშვნელოვანია წინადადებაში, იმდენად უფრო ახლო სდგას შემსმენელთან და იმ სიტყვასთან, რომელსაც ეკუთვნის; თვითონ შემსმენელს კი, ჩვეულებრივ, წინადადების ბოლო ადგილი უჭირავს.

მაგრამ ამ ჩვეულებრივს წესს თავისი გამონაკლიც აქვს; და ესაა სწორედ ამ გამონაკლზე და მის ფაქტორებზე ვიწევთ საუბარს.

გამონაკლი, რომელზედაც მოგახსენებთ, იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენ მიერ აღნიშნული წესი დღევანდელ სალიტერატურო ქართულში უოველთვის არ სრულდება, უკეთ რომ ვსთქვათ, საკმაოდ ხშირად ირღვევა: ზოგჯერ შემსმენელი წინადადების პირველ ნაწილში გადმოდის, ქვემდებარე და სხვა სიტყვები—მეორე ნაწილში გადადიან, ლოგიურად უპირატესი სიტყვა ზოგჯერ წინადადების თავში ჯდება, ზოგჯერ შუაში და ზოგჯერ ბოლოში. ზოგიერთ თანამედროვე მწერალს ამ წესის დარღვევა თავისი სტილის ერთგვარ დამახასიათებელ თვისებად გაუხდია. ასეთია, მაგად., ჩვენს მწერლობაში კარგად ცნობილი და საკმაოდ ნაყოფიერი მწერალი ბ-ნი ვ. ბარნოვი. აი რაიოდე მაგალითი მისი ნაწერებიდან:

1. „ერთი საწყალი მელორე იყო თებერა, ობოლი ბიჭი, სხვის მოჯამაგირე, მაგრამ სოფლის გოგო-ბიჭებს ისე გვიხაროდა იმისი მოსვლა,

თითქო უფროსი ძმა ყოფილიყოს ჩვენი, მოსიყვარულე და კეთილის მყოფელი...“¹

2. „დიდი სახლები დიდის ქალაქისა ზვიადად გადაჰყურებდნენ მთელ არეს. ღრუბლებს ეთამაშებოდნენ მალაღნი, ბაბილონის გოდოლივით ცისთვის უნდოდათ მიებჯინათ თავი...“ და სხვ.²

ჩვენ მიერ აღნიშნული წესის დარღვევას ვხვდებით არა მხოლოდ მწერლობაში, არამედ ხალხისა და, განსაკუთრებით, ინტელიგენციის ცოცხალ სასუბრო ენაშიაც. უფრო ხშირად კი ეს წესი ლექსებში ირღვევა, — რაც ადვილ გასაკებია, რადგან, როგორც მოგახსენებთ, ლექსის წუობილსიტუეობა რიტმისა და რითმის მოთხოვნილებას ემორჩილება, რის გამოც გალექსილ წინადადებაში სიტუეები ისე იწუობიან, როგორც ლექსის საზომსა (რიტმსა) და რითმის უფრო მოუხდება. ამიტომაც გასაკვირადი არაა, რომ ლექსში სიტუეათა წუობის ბუნებრივი წესი ძლიერ ხშირად დარღვეულია, თუმცა, როგორც ზემოდ ვნახეთ, ზოგიერთი ნიჭიერი მკოსანი და ხალხი თავის საუკეთესო ლექსებში ამ წესს ძალდაუტანებლად ახორციელებენ.

ამგვარად, ჩვენ მიერ აღნიშნული წესის დარღვევის (=გამონაკლის) ერთ-ერთი ფაქტორი წუობილსიტუეობა ანუ ლექსია.

მეორე ფაქტორად ძველის ქართულის ნორმების გავლენა უნდა ჩაითვალოს³. ეს გავლენა უმთავრესად ძველი ქართული მწიგნობრო-

¹ „თებერას დანიშნული“, თავი I (იხ. „გრდემლი“, წიგნი I, ტფ. 1912 წ., გვ. 215).

² მისივე „ფარჩის ახალუბი“, თავი I („გრდემლი“, წიგნი II, ტფ. 1912 წ., გვ. 3).

³ „ძველ ქართულ ენას“ ჩვენ იმ ენას ვეძახით, რომლითაც დაწერილია ყველა, დღემდე შენახული, ქართული თხზულება (როგორც ორიგინალური, ისე ნათარგმნი) მეთორმეტე საუკუნემდე. ეს ენა ერთად-ერთი იყო ჩვენი მწერლობის ყველა დარგში აღნიშნულ საუკუნემდე. მე-XII-ე საუკუნედგან კი მისი ბატონობა შეირყა საერო კახმულსიტუეიერებაში, მაგრამ სრული ბატონობა შეერჩა მწერლობის დანარჩენს დარგებში თითქმის მე-XIX-ე საუკუნის მეორე ნახევრამდე; ამას შემდგომ კი მან სრუ-

ბის (V—XVIII ს.) საშუალებით ხდებოდა და ხდება: მე-19-ე საუკუნის ქართველ მწერალთა უმეტესობა, როგორც მოგვხსენებთ, ქართულ სალიტერატურო ენას უმთავრესად ძველი მწერლობის (V—XVIII ს.) საშუალებით ეცნობოდა, მისაბაძვ მაგალითად ძველი ქართული ლიტერატურა ჰქონდა, რადგან თანამედროვე ცოცხალი ხალხური ენით დაწერილი თხზულება არ მოეპოებოდა, ან ძლიერ მცირედ მოეპოებოდა¹. ძველი ქართული ენა კი—არა მარტო ლექსში

ლიად დაჰკარგა ბატონობა მწერლობის ყველა დარგში, გარდა საეკლესიო წიგნებისა, რომელნიც, როგორც მოგვხსენებთ, ძველი დედნებიდან უცვლელად იბეჭდებიან. აი რამოდენიმე ნიმუში ძველი ქართულია:

«დასაბამად ქმნა ღმერთმან ცა და ქუეყანა. ხოლო ქუეყანა იყო უხილავ და განუმხადებელ; ბნელი იყო ზედა უფსკრულთა; და სული ღმრთისა იქცეოდა ზედა წყალთა» (შექმნათა I, 1—2).

«პირველითგან იყო სიტყუა, და სიტყუა იგი იყო ღმრთისა თანა, და ღმერთი იყო სიტყუა იგი» (იოან. I, 1).

ესპ (იგულისხმება გრიგოლ ხანძთელი) იყო შვილი წარჩინებულთა დიდებულთა და მართლმორწმუნეთა მამა-დედათაჲ. და სახლსა შინა სამეუფოსა დიდისა ნერსს ერისთვისა აღზრდილ იყო კელითა კეთილად-მსახურისა დედოფლისა ნერსსს ცოლისაჲთა, რომელსაცა ეშვილა, რამეთუ იყო ძმის-წული მისია («ცხოვრ. გრიგოლ ხანძთელისა», ნიკ. მარჩის გამოცემა, გვ. ბ).

«პირველად ვახსენოთ ესე, რამეთუ სომეხთა და ქართუელთა, რანთა და მოვაკნელთა, ჰერთა და ლეკთა და მეგრელთა, ამათ თვისთა ერთი იყო მამა სახელით თარგამოს. და იყო ესე თარგამოს კაცი გმირი» («ქართლის ცხოვრება» მარიამის ვარიანტი, გვ. 1).

«ნამდვილ ქადაგთა მათ ჰეშმარიტებისათა სამღვდელთა მწყემსთა კმასაყოფელ არს საღმთოთა განგებულებისა საიდუმლოთა ქადაგებაჲ, რომელნიცა ბრძმედმან სულისა წმიდისამან გამოაკურვნა აღტყინებად სამღთოსა შურისა ცეცხლისა, რომლისა მიფენად მოვიდა ძე ღმრთისა» (ანტონ I-ელის «მზამეტყველება», გვ. 1).

¹ სახეში გვყავს უმთავრესად თანამედროვე სალიტერატურო ქართულის დამაარსებელნი და მათი უახლოესი თანამედროვენი, რომელთა ნაწერები, თავის მხრივ, მისაბაძვ ნიმუშად დაედო მომდევნო დროის მწერლობას.

(რომლის სახითაც უფრო ხშირად გვხვდება), არამედ სადასიტიკაობაშიაც ჩვეულებრივ იმ წესის საწინააღმდეგო საკონსტრუქციო წესის მისდევს, რომელიც თანამედროვე ქართულის დამახასიათებელს თვისებას წარმოადგენს: უკანასკნელი წესი ძველ მწერლობაში (V—XVIII ს.) უფრო იშვიათის გამოხატვის სახით გვხვდება. ამიტომ არ არის გასაკვირადი, რომ თვით თანამედროვე სალიტერატურო ქართულის დამფუძნებელთა ნაწერებშიაც კი ჩვენ მიერ აღნიშნული წესი დიდ რუევას განიცდის: ამ რუევას სხვა მიზეზებიც აქვს, რომლებზედაც ქვემოთ გვექნება საუბარი, მაგრამ, ცხადია, ერთ-ერთ მთავარ მიზეზად ძველის ქართულის ნორმების გავლენაც უნდა ჩაითვალოს¹.

ამ რუევას შესაძლო მთავარი მიზეზი იმდენად თვალსაჩინოა, რომ, ვგონებთ, დიდი ღვაწლად არ დაგვჭირდეს: ვგულისხმობთ უცხო ენათა გავლენას. ეს გავლენა სამგვარის გზით სწარმოებს: უცხოთა ლიტერატურისა, თვით ცხოვრებისა და სკოლის საშუალებით.

თანამედროვე სალიტერატურო ქართულზე უცხოეთის მწერლობის გავლენა უმთავრესად თარგმანების გზით ხდება; მე-19-ე საუკუნის მეორე ნახევრიდან მოკიდებული დღემდე ქართულად თარგმნა უმთავრესად ორი ენიდან სწარმოებს: ეს ენებია—რუსული და ფრანგული². ამ ენათა საკონსტრუქციო წესი კი არსებითად განსხვავდება იმ წესისაგან, რომელსაც ჩვეულებრივ ახალი ქართული მისდევს. ხო-

¹ შესაძლოა, ძველქართულის ნორმების გავლენა თანამედროვე სალიტერატურო ქართულზე მარტო ძველი ლიტერატურის საშუალებით არა ხდებოდეს: შესაძლოა ეს გავლენა იმ ცოცხალი კილოკავებიდანაც შემოდრიოდეს, რომელთაც თვით ხალხის საუბარში და ზეპირსიტყვაობაში მრავლად შერჩენიათ ძველი ნორმები. ამას როცა ვამბობთ, სახეში გვაქვს ყაზბეგისა და, განსაკუთრებით, ძმთა რაზიკაშვილთა ნაწერები.

² მართალია, მცირე რამ ინგლისურიდანაც ითარგმნა, მაგალითად, შექსპირის ტრაგედიები, მაგრამ ეს უკანასკნელნი იმავე დროს ლექსთაწყობითაც არიან გადმოთარგმნილი, რისგამოც მათს ენაში ბევრი რამ სალექსო ზომის მოთხოვნილებასაც უნდა მიწეროს.

ლო ცნობილია, რომ, რაგინდ კარგი მთარგმნელი იყოს, შეუძლებელია, აქა-იქ მანც დედნის გავლენას არ დაემორჩილოს, დედნის სასტილო ნორმები თარგმანშიაც არ შემოკუპაროს. აღარას ვიტყვით საშუალო ნიჭისა და სუსტი მომზადების მთარგმნელზე, რომელიც, ჩვეულებრივ, პირდაპირ უერმოჭრილი მონა ხდება იმ ენისა, რომელიდანც სთარგმნის.

თვით ცხოვრების გზით დღევანდელ ქართულ ენაზე უმთავრესად რუსული ენა მოქმედობს, განსაკუთრებით ქალაქებში და რკინის გზის მახლობელს დაბებში. ეს გავლენა ჯერ-ჯერობით, უმთავრესად, ქართული ენის ლექსიკაში გამოიხატა, მაგრამ ნელ-ნელა გრამატიკულ ნორმებზედაც გადმოდის.

მაგრამ რუსულ ენას დღეს ჩვენში უფრო ძლიერი იარაღი მოეპოება, სახელდობრ თანამედროვე სკოლა, განსაკუთრებით საშუალო და მაღალი სასწავლებლები, საიდანც გამოდის ჩვენი ინტელიგენცია, ჩვენი საზოგადო მოღვაწენი და მწერალ-პოეტები.

სრული ათი წელიწადია, რაც თბილისის საშუალო სასწავლებლებში ქართული ენის მასწავლებლად ვიმუშაუბი; ერთ იმათგანში ქართული ენა შედარებით უკეთეს პირობებშია ჩაყენებული: მოწათუთა უმრავლესობა სოფლელი ქართველობაა, მთავრობა ქართულად ლაპარაკს არ უკრძალავს და ქართულ ენას კვირაში 4—3 გაკვეთილი აქვს დათმობილი; დანარჩენებში კი ქართველობის რიცხვი ძლიერ მცირეა, ისიც უფრო მოქალაქეთა და, ეგრედ წოდებულ, „კულტურულ“ პუნქტებში მცხოვრებთა შვილებია, ქართულ ენას კვირაში ორი (იშვიათად სამი) გაკვეთილი აქვს მიცემული და მოწათუებიც ვაღიბებულნი არიან, ერთმანეთში რუსულად ილაპარაკებ. და, აი როგორი მოვლენა მაქვს შემჩნეული ამ სასწავლებლებში: პირველ სასწავლებელში, რამდენადაც მოწათუ უფრო ძირა კლასებშია, იმდენად მისი ენის კონსტრუქცია (როგორც წერაში, ისე ზეპირში) ჩვენ მიერ აღნიშნულ (მდაბიო, ხაფხურ) წესს უახლოვდება; სამაგიეროდ, რამდენადაც ზევით-ზევით იწევს, იმდენად მისი ენაც ამ წესს თანდათან შორდება და რუსული ენის კონსტრუქციასაც გადადის ან, უკეთეს შემთხვევაში, ქართულისა და რუსულის საკონსტრუქციო წეს-

თა რადც საშუალო, ნარევი ტიპის, წესს იჭერს. მეორე რიგის სასწავლებლებში კი ეს უკანასკნელი მოვლენა უკვე უმდაბლეს კლასებშიაც გვხვდება.

დარწმუნებული ვარ, ამგვარი მოვლენა ჩემს კოლეგებსაც შე-
მჩნეული ექნებათ, რადგან იგი შემთხვევითი არაა, არამედ საზო-
გადო მდგომარეობის ნათქვამი: საზოგადო მდგომარეობა კი ვეუფა
ჩვენებურ საშუალო სასწავლებელში თითქმის ერთი და იგივეა. აღ-
რას ვიტყვით უმადლეს სასწავლებლებზე, რომელნიც საშუალო სა-
სწავლებელთა შემკვიდრეობის განმტკიცებასა და გაგრძელებას წარმო-
ადგენენ. და, აი, ამ სასწავლებლებში მზადდებოდა და მზადდება ჩვე-
ნებური ჟურნალისტ-პუბლიცისტი, მოქართული მკვლევარ-მეცნიერი,
საზოგადო მოღვაწე, მასწავლებელი და მწერალ-მგოსანი მას შემდეგ,
რაც საქართველოში რუსული სკოლა არსებობს. ამიტომ ადვილი
აქსნსნელია ის მოვლენა, რომ, როგორც ჩვენი ინტელიგენციის სა-
საუბრო ქართულში, ისე მწერლობაში ჩვენ მიერ აღნიშნული წესი
ძლიერ ხშირად ირღვევა; ზოგიერთ ქართველ მკვლევარსა და მწე-
რალს ამ წესის არშესრულება ერთგვარ სისტემად უქცევია, სიტუა-
თა წუბაში არავითარს განსაზღვრულ პრინციპს არ მისდევს და ეს
გარემოება სასახლოდაც კი მიაჩნია, რადგან, მისის აზრით, ამგვა-
რი უპრინციპობა ქართული ენის ღირსების, მისი „მოქნილობის“
და თავისუფლების, გამომხატველია. მაგრამ ამათ წინააღმდეგ სხვა
რე გვეთქმის გარდა იმისა, რომ უპრინციპობის გაპრინციპება გარ-
დაშავალ ხანაში არა მარტო ჩვენისთანა ჰატარა და ნიადაგამო-
ცლილ ერს, არამედ ბევრად უფრო დიდსა და მტიტე ეროვნულ
ნიადაგზე მდგომ ერებსაც სჩვევიათ. ჩვენი ენა და ეროვნული ცხო-
ვრება კი, როგორც მოგეხსენებათ, დღეს სწორედ ამგვარს (გარდა-
შავალ) ხანაში იმყოფება; და ამიტომ, დარწმუნებული ვარ, ჩვენი
დასკვნანი ბევრისათვის სრულიად მოულოდნელი და ძნელი მისაღებო

განდება; მაგრამ, რაღა თქმა უნდა, ამით თვით დასკვნათა სიმართლეს არა დააკლდება რა.

ამგვარად, ჩვენ სამი მთავარი ფაქტორი განვიხილეთ, რომელთა გავლენითაც თანამედროვე ქართულში სიტყვათა წყობის ჩვეულებრივი წესი დიდ რყევას განიცდის: წყობილსიტყვაობა ანუ ლექსი, ძველ-ქართული საკონსტრუქციო ნორმები და უცხო ენათა გავლენა.

ამ სამი ფაქტორში, რასაკვირველია, უველას ერთნაირი მნიშვნელობა არ აქვს, განსაკუთრებით სადასიტყვაობაში, რომელიც ჩვენი მოხსენების პირდაპირ საგანს წარმოადგენს. მაგალითად: ლექსის რიტმისა და რითმის მოთხოვნილებას სადასიტყვაობაში სრულებით არ აქვს ადგილი¹; ძველქართულის საკონსტრუქციო ნორმების გავლენა, თუმცა სავსაოდ ძლიერია, მაგრამ დროებითია, როგორც უოველი წარმავალი, დრომოკმული მოვლენა; შედარებით უფრო ძლიერი და თანაც საშიშია უცხო ენათა გავლენა, რომელთანაც ქართული ენის ჩვეულებრივს საკონსტრუქციო კანონს კიდევ დიდხანს ბრძოლა მოუხდება, მაგრამ, უნდა ვიფიქროთ, საბოლოოდ მაინც ქართული ენის ძირითადი ტენდენცია გაიმარჯვებს.

მიუხედავად ამისა, ახალ ქართულ ენაში სრულებით მაინც არ მოიხიბობა ჩვეულებრივის წესის გამონაკლი, არამედ განსაზღვრულ შემთხვევებში ამ მთავარ კანონის გვერდით და პარალელურად მუდამ იარსებებს, როგორც იშვიათი, მაგრამ სრულიად კანონზომიერი მოვლენა. როცა ამას ვამბობთ, სახეში კიდევ შემდეგი ორი ფაქტორი გვაქვს, რომელთაგან ერთს საკიდევონოს დაგარქმევთ, მეორეს—ესთეტიურს.

¹ მიუხედავად ამისა, ამ ფაქტორის გავლენას ჩვენს პროზაიკებზე მაინც ვერ უარვყოფთ, რადგან მათ მისაბამავ მაგალითად მთელი ჩვენი კანონიერი სიტყვიერებითი ლიტერატურა ჰქონდათ და აქვთ და არა მარტო პროზა; ამ ლიტერატურის უუდიდესი ნაწილი კი ლექსადაა დაწერილი.

„საკილონა“ ფაქტორს იმ ფაქტორს ვეძახით, რომლის ძალითაც კითხვითსა და განცვიფრებითს წინადადებებში ზოგჯერ, ძლიერი აფექტის გავლენით, სიტუვათა წყობის ჩვეულებრივი წესი ირღვევა და შემასმენელი წინადადების ბოლოდგან წინადადების პირველ ნაწილში გადმოადის,—ასე, როგორც ქვემოთ ხაზგასმულ წინადადებებშია:

„— ა ქ ხ ო მ ა რ ა რ ი ს მ ა მ ა შ ე ნ ი ?“

— ა ი ი ქ ი თ ა ზ ი ს .

— ა ბ ა ა ქ დ ა უ ძ ა ხ ე . . .

— ვ ე რ უ ჟ უ რ ე ბ თ პ ე ტ რ ე ს ი . . ს თ ქ ვ ა თ ა ვ ი ს -თ ა ვ ა დ მ ლ ე დ ე ლ მ ა და ჩ ა ფ ი ქ რ დ ა . . .

— კ ა ც ო ა — უ ბ რ ძ ა ნ ა მ ლ ე დ ე ლ მ ა : — მ ა რ თ ა ლ ი ა , შ ე ნ შ ე ვ ი ლ ს შ ე ნ უ შ ლ ი ს წ ა ვ ლ ა ს ა ?

— მ არ თ ა ლ ი გ ა ხ ლ ა ვ თ . რ ა მ ა გ ი ს ს ა ქ მ ე ა ? ა რ ა შ ე ჯ დ ა მ წ ყ ე რ ი ხ ე -ს ა , ა რ ა ი ყ ო გ ვ ა რ ი მ ი ს ი , შ ე ნ ი კ ი რ ი მ ე ! — უ პ ა ს უ ხ ა პ ე ტ რ ე მ .

— რ ო გ ო რ თ უ ა რ ა ი ყ ო გ ვ ა რ ი მ ი ს ი ? . . . ¹

ა ი კ ი დ ე გ მ ა გ ა ლ ი თ ე ბ ი :

1. „ რ ო გ ო რ მ ო გ ე წ ო ნ ა ე ს ა მ ბ ა ვ ი ? ჰ კ ი თ ხ ა ა რ ჩ ი ლ მ ა და ს , რ ო ტ ა ო თ ა ხ შ ი შ ე ვ ი დ ნ ე ნ .“

— ა ხ ი რ ე ბ ე ლ ი გ უ ლ ი ჰ ქ ო ნ ი ა , უ პ ა ს უ ხ ა დ ა მ , თ ი თ ქ ო პ ი რ ვ ე ლ ხ ა ნ ს უ ჟ ე თ ე ს ი ვ ე რ ა მ ო ვ ე ო ნ ა - რ ა ო . . . ²

2. „ — ა გ რ ე ი ც ი ს მ ი ჯ ი ნ ე ბ უ ლ მ ა კ ი თ ხ ვ ა მ ი თ ა ვ - ბ რ უ ს ა ს ხ ა მ ს კ ა ც ს ი“

— მ ო რ ე ვ ი ს კ ე ნ გ ა დ ა ვ ი ხ ე დ ე და წ ყ ა ლ მ ა თ ვ ა ლ ი მ ო მ კ რ ა , — დ ა რ ც ხ ე ვ - ნ ი თ წ ა ი ლ ა პ ა რ ა კ ა მ ა რ ი ა მ მ ა . . . ³

¹ „გლახის ნამბობი“, გვ. 274 (გელევანიშვილის გამოცემა).

² „ოთარანთ ქერივი“, გვ. 471 (გელევანიშვილ. გამოც.).

³ „ბაში აჩუკი“, გვ. 4 (ქუთ. 1900 წ.).

როგორც ვხედავთ, კითხვითსა და განცვიფრებითს წინადადებებში ზოგჯერ ჩვეულებრივი წესი ირდევია¹ და შემასმენელი იმ სიტყვითურთ, რომელშიაც უმთავრესად კითხვა ან განცვიფრება მოთავსებულია, წინადადების პირველ ნაწილში გადადის, დანარჩენი სიტყვები წინადადების მეორე ნაწილში გადადის. ამას უნდა დაუმატოთ შემდეგი: კითხვითი წინადადების რიგს მისდევენ ის დამოკიდებული წინადადებანიც, რომელნიც უგემ კითხვას აღარ გამოხატავენ, მაგრამ კითხვითი წინადადების ჩამომავლობისანი კი არიან. აი მაგალითი:

„იმ ვეებერთელა სოფელში, რომელსაც თუნდ «წაბლიანს» დავარქმევ, ყველამ იცოდა, ვინ არის ოთარაანთ ქვრივი“.

ამ მაგალითში უკანასკნელი (ჩვენ მიერ ხაზგასმული) წინადადება კითხვითის ჩამომავლობისა და კონსტრუქციაც კითხვითი წინადადებისა აქვს.

განვიხილოთ ახლა გამონაკლის მეორე ფაქტორი, რომელსაც ზემოდ ესთეტიური ვუწოდეთ, აქ კი «მუსიკალურ-ესთეტიურს» დავარქმევთ, თუმცა ეს ტერმინები ნიშნდობლივ ვერ გამოხატავს იმას, რის თქმაცა გვსურს.

საკონსტრუქციო წესის გამონაკლის „ესთეტიურ-მუსიკალურ“ ფაქტორს ჩვენ ისეთს ფაქტორს ვეძახით, რომლის ძალითაც ქართული ენა, რათა სმენისა და გამოთქმის მომქანცველ-მომაბეზრებელი ერთგვარობა თავიდან აიცილოს, იძულებული ხდება, შიგა და შიგ, სიტყვათა წყობის ჩვეულებრივი წესი შესცვალოს და შემასმენელი

¹ ვამბობთ „ზოგჯერ“, რადგან ძალიან ხშირად კითხვითი და განცვიფრებითი წინადადებანიც იმავე წესით აწყობენ სიტყვებს, რომელიც თანამედროვე ქართულში ჩვეულებრივს წესს წარმოადგენს, ე. ი. შემასმენელს ბოლოში სმენ.

წინადადების ბოლოდგან თავში ან შუაში გადმოიტანოს,—ისე, როგორც ქვემოთაღნიშნულ მაგალითებშია:

„წრეში ვეფხვივით შემოვარდა ერთი ვიღაც ტანწვრილი, მალალი, მხარ-ბეჭიანი და თმაგაჩეჩილი ახალგაზდა, შეხედა მოპირდაპირეს და შეჩერდა. თათარმა ტორტმანი დაიწყო და ხელების შლა. უცებ გაექანა შურდულივით ახალგაზდა, შეუფარდა ფეხებში, გამოჰკრა ორივე ხელი, ჯირკვით გადააგორა ფალავანი და გამოიჭრა წრიდან“...

„ძალათი გამოათრიეს მეორეთ ახალგაზდა; ის გაჩერდა ერთ ადგილას და აღარ იძროდა.

— თათარო, სალამი რომ გაათავო, დამიძახე და მოვალოა—მიაცვირა ფალავანს. იმანაც, ბრაზ-მოსულმა, კამეჩივით მიაშურა ახალგაზდას, მაგრამ ის განზე გაუხტა და თათარმა ხელები ჰაერს მოუბოტინა. ... შეურჩია დრო, როგორც იქნა, ახალგაზდამ, მოავლო ხელი მკლავში, წამოიკიდა ზურგზე, გადილოკის რულით და უშვა ხელები: აბდუ-შაილი სიგრძისად გაიდლაშა გულ-აღმა დედამიწაზე... გამარჯვებულმა ცალი ფეხი დაჰკრა ფაშვზე და გავარდა წრიდან. ხალხმა კიყინა დასცა“.¹

ასე მოქმედობს ის გამონაკლის კანონი, რომელსაც «ესთეტიურ-მუსიკალურს» ვუძახით.

ჩვენ აღარ გამოვუდგებით სხვა მაგალითების მოტანას, რადგან, ვფიქრობთ, წინასწარი მოხსენებისათვის სიტუვა ისეც საკმაოდ გაგვიგრძელდა. ამიტომ აქ ვსწევეტ ამ საგანზე საუბარს და ერთხელ კიდევ საზოგადო დასკვნებს ვუბრუნდებით.

როგორც ვნახეთ, თანამედროვე ქართულის სადასიტიკეობის საკონსტრუქციო ძირითადი კანონი ასეთია: წინადადების უზიარტესი ნაწილი, სახელდობრ, შემასმენელი ჩვეულებრივ ბოლოში დაისმის, ხოლო მასზე დამოკიდებულნი დამატებანი, გარემოებითი სიტუვები

¹ „ბაში-აჩუკი“, გვ. 99—101.

და ქვემდებარე შემსმენელის უხლოეს ადგილს ლოგიური უპირატესობის მიხედვით იჭერენ. რაც შეეხება წინადადების დანარჩენ ნაწილებს, იგინი იმ სიტუაციის გვერდით (უფრო ხშირათ წინ, იშვიათათ უკან) დაისმიან, რომელთაც ეკუთვნიან და განმარტებენ.

ზემო დასახელებული ძირითადი კანონი დღევანდელ სალიტერატურო ქართულში ხუთის სხვადასხვაგვარი ფაქტორის გავლენით ფრიად საგრძნობელ რეჟევას განიცდის. ამ ფაქტორებიდან რომ სავსეში პირველი (წეობილსიტუაცია, ძველქართულის ნორმები და უცხო ენათა გავლენა) გამომრიცხვით¹, დაგვრჩება ორად-ორი ფაქტორი, რომელთა გავლენას, რამდენადაც სჩანს, ქართული სადასიტუაცია ვერასოდეს ვერ აიცილებს და არც სასურველია აიცილოს. ამ ფაქტორთაგან ერთი მსიხლლოგიურ-აფექტური ჩამომავლობის არის, მეორე — მუსიკალურ-ესთეტიურისა. ერთ მათგანს შეაქვს ჩვენს სადასიტუაციაში ლოგიური ნიშანდობლივობა და მსმენელთა გრძნობის შემდგომი სიცხოვლე, ხოლო მეორეს — სამეტყველო ენერჯიის გამაზომიერებელი და გრძნობის დამატებელი სხვადასხვაგვარობა. უამისოდ ქართული სადასიტუაცია მეტად მომქანცავი და მოსაწყენი იქნებოდა. მაგრამ აქაც ერთგვარი ზომიერების დაცვაა საჭირო: არ უნდა დავივიწყოთ, რომ ეს ორი ფაქტორი გამონაკლის ფაქტორებს შეადგენენ და მათი მიუოღა მხოლოდ გამონაკლის სახით შეიძლება; ამ გამონაკლის ჩვეულებრივ წესად გადაქცევა კი უფრო მეტად მავნებელი უკიდურესობა იქნებოდა, ვინემ უკიდურეს უოფლადობამდე მიყვანილი ძირითადი საკონსტრუქციო წესი თანამედროვე ქართულის სადასიტუაციაში!

ს. გორგაძე.

1915, IV, 2.

¹ იმ საფუძველთა ძალით, რომელნიც ზემოთ, თავის ალაგას, მოვიხსენიეთ.

განყოფილება მესამე

საისტორიო მასალები

დავთარი ქუთათისის საყდრის გამოსავალი ბეგრისა,
შედგენილი 1578 წელს.

ცნობა ხელთნაწერის შესახებ.

დავთარი ზემო აღნიშნული სათაურით წარმოკვიდგენს მთელს წიგნს, დაწერილს ნუსხა ხუცურის ხელით ქაღალდზე, ზომით არის 21×15 სანტიმეტრი. ესლა ეკუთვნის საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების წიგნთ-საცავს, № 626, და აღმჩნდა იმ ხელთნაწერებში, რომელნიც უოვლად სამღვდელთ ეპისკოპოსმა კირიონმა შემოსწირა ჩვენს საზოგადოებას. ასე რომ მოხვედრა ამ ხელთნაწერისა ეკუთვნის უოვლად სამღვდელთ ეპ. კირიონს, რომელმაც დიდი ამაგი დასდვა საეკლესიო მუზეუმის და ჩვენი საზოგადოების გამდიდრებას წიგნებით. ხელთნაწერი შეიცავს ესლა სულ 78 ფურცელს, მაგრამ წიგნი სრულათ არ არის დაცული. აკლია სულ ექვსი ფურცელი. პირველ რვეულს აკლია ოთხი ფურცელი, მეოთხეს და მერვეს თითო. უკანასკნელი რვეული შესდგება ოთხი ფურცლისაგან. აზრის მიხედვით ნაკლებუვანება გარდა პირველის რვეულისა არ შეიმჩნევა. თავში მერმე მიმატებულ ფურცელზე უოფილა მხედრული მინაწერი მერმენდელის ხელით, მაგრამ ეს ფურცელი მოხეულია და სჩანს სტრიქონების უკანასკნელი ასოები. ედა ხისა აქვს შავ ტყავ გადაკრული, რომელზედაც ჩაღრმავებით გამხატულია ეფავილები და შვაში გეომეტრიული ფიგურები. ედას სხვაში ტყავის საბმული აქვს, რომელნიც დაიბზოდენ ხის ბიკებზე. ბირკი ერთია მარტოთ დაცული.

ხელი, როგორც მოვიხსენეთ, ნუსხა ხუცურისა, მაგრამ სხვა-და-სხვაა. სულ სამი ხელი განირჩევა ერთ და იმავე დროისა, ესე იგი 1578 წლისა, როდესაც გადაწერილია ჩვენი ხელთნაწერი. თარიღი,

266 ქორთნიკანი, განმეორებულია მრავალ ადგილს ჩვენის დედნისა¹⁾. 266 ქორთნიკანი უდრის 1578 წელს. მერმენდელი დროის მინაწერებიც, ხუცური და მხედრული, სავსად მოიხვეჭა ჩვენს ხელთნაწერში. თავში და ზოგ სხვა ადგილს ხელთნაწერში თავსართი მსტერობაც („ზასტავები“) არის წითელის და შავის მეღნით დასტული, მდარე ხელთნისა. სათაური დაწერილია წითელის მეღნით. კინფარით. წითლურით ნაწერია აგრეთვე ყოველი ასომთავრული მუხლების დასაწყისისა. დანარჩენი ტექსტი ნაწერია შავის მეღნით.

ზემო თქმულიდან ცხადია, ჩვენ გვაქვს ეხლა ხელში თვით დედანი ქუთათისის საუდრის ბეგრის დავთრისა, შედგენილი 1578 წელს.

მერმენდელი ხუცური ხელით მინაწერი ჩვენ მოგვყავს ტექსტში წვრილის ასობით. ესენი ხელის მიხედვით მეთვრამეტე საუკუნეს უნდა ეკუთვნოდენ. უმეტესი ნაწილი მინაწერია ერთ და იმავე ხელით. ასეთებია მინაწერები დედნის ფურცლებისა: 9ა, 10ა, 11ა, 13ა, 18ა, 34ბ, 37ბ (სიტყვამდის ეს) 71ბ. სხვა ხუცურის ხელით არის დაწერილი მინაწერები ფურცლებისა: 45ბ, 62ბ.

მხედრული ხელით მინაწერები ყველა ეკუთვნის ქუთათელ მიტროპოლიტს დოსითეოსს წერეთელს, რომელიც ცხადობდა მეთვრამეტე საუკუნის დასასრულს და მეცხრამეტეს დასაწყისს. და ერთი (ფურც. 34 ბ) ეკუთვნის ქუთათელ მიტროპოლიტს მაქსიმეს. ეს მინაწერები ჩვენ ამ წიგნის ბოლოში მოგვყავს.

ყოველი მუხლი დედანში იწება წითელის მეღნით ნაწერის ასომთავრულით.

ჩვენ მუხლებს სათვალავი მივუმატეთ. მერმე მიმატებული მუხლები ხუცურის ხელისა ცადაკე მუხლებათ არ აღვნიშნეთ, არამედ წინა ნომრის ხისით. მხედრულის ხელით მიმატებულებს სათვალავი არ უზის და, როგორც მოვიხსენეთ, ბოლოს მოვაქციეთ ერთათ.

დედნის ფურცლების სათვალავი აშიებზეა ნაჩვენები, „ა“-ნი უჩვენებს პირველ გვერდს ფურცლისა, „ბ“-ნი მეორე გვერდს იმავე ფურცლისა.

¹⁾ იხილე გვერდები ხელთნაწერისა: 1, 28, 39, 51, 61.

ყოველი სოფლის სახელს არშიაზე უზის ბაწრულის მსგავსი ნიშანი წითელის და შავის მეზნით ნახატი, რომ მკითხველმა ადვილათ შეამჩნიოს სად იწეება სოფლის სახელი. ჩვენ ამ ნიშნების მაგერ მრგვალ ნიშანს ვუსვამთ.

ყოველი ახალი მუხლი დედნისა იწეება სიტყვით „მართებს“ და შემდეგ მოყვანილია სახელი და გვარი გლეხისა და ჩამოთვლილია რა ბეგარა მართებს. მაგრამ, რადგანაც ცვლილება მოსალოდნელი იყო, ზოგი მობეგრე აკლდებოდა, ზოგი ემატებოდა, ამიტომ მუხლებს შორის დატოვებულია ცარიელი ადგილები და ხშირათ ამ ადგილების თავში სწერია სიტყვა „მართებს“. ჩვენ, სადაც ამ სიტყვის შემდეგ ცარიელი ადგილია დატოვებული, ჩვენს გამოცემაში ხაზი დავუსვით ფრჩხილებში (—), აგრეთვე ხაზით ადგნიშნეთ გამოტოვებული სიტყვები დედნისა, სახელი ან გვარი მობეგრისა. თუ ერთი სიტყვაა გამოშვებული, ერთი ხაზით არის აღნიშნული, თუ ორი სიტყვა არის — ორი ხაზით არის ნაჩვენები. ასეთი მაგალითი რამოდენიმეა. ზოგჯერ დავთრის შემდგენს ვერ გაუხსენებია, ანუ არ იცის გვარი, ან სახელი მობეგრისა და ცარიელს ადგილს ტოვებს დედანში. ნიშნებს ვტოვებთ დედნისას და სადაც საკმარისი არ არის, ჩვენ ვუმატებთ მძიმეებს. ეს ნიშანი დედანში არ იხმარება. დედანში ნახმარია ხან ერთი, ხან ორი და ხან სამი წერტილი, ანუ ორი წერტილი და ხაზი (:). უკანასკნელი საზოგადოთ მუხლების ბოლოს.

1. ნებითა ღმთა ქრნიკისა ორას სამოცდა ექუსსა.
მართებს ქუთათის საყდრის უმას ქასილადქს მოძღუარსა ზურის
ჭამა და ცხენით სამსახური:-
2. მის ძმას მიქელასა ზურის ჭამა და ცხენით სამსახური:-
3. მართებს კიკორაძის ზარტახტსა ზურის ჭამა:-
4. მართებს გურგენაულს თაჩუაშვილსა ზურის ჭამა:-
5. მართებს მეტეცცვიასშვილისეულსა ზარტახტსა ზურის ჭამა
და სამსახური:-
6. მართებს გზობიასშვილს ავთანდილასა თეთრი ოცი და სამ- 18
სახური.
7. მართებს იობიძესა იობასა ზურის ჭამა და სამსახური:.
8. მართებს ნიკოლოზის შვილს იობიძესა ზურის ჭამა და სამ-
სახური:.
9. მართებს ნასხიდას იობიძის ზარტახტსა ზურის ჭამა და სამ-
სახური:.
10. მართებს უგრეხელასშვილსა ზურის ჭამა და სამსახური:-
11. მართებს მსხილასურსა ზარტახტსა ომიფორის სამსახური:.
12. მართებს კახაშვილსა ომიფორის სამსახური:- 20
13. მართებს გოგაწითელასშვილსა საყდრის სამსახური და კე-
ლასნობა:.
14. მართებს მეგრეელიძესა საყდრის ჭედა და კელასნობა:-
15. მართებს იანაჭანის ზარტახტსა სამსახური:-
16. მართებს ქუთათის უმას აფხაძეს გიორგის სანთლის ჩამო-
სნმა, ცხენის სამსახური, ზურის ჭეშევა:-
17. მართებს მეფარისშვილსა (მეფარისშვილსა) გიორგასა ზუ-
რის ჭამა და სამსახური:.
18. მართებს აფხაძეს ვაჟიბუდას ცხენის სამსახური, ზურის ჭამა:-

19. მართებს მადლაკედიქსა (მ'დლაკ'დიქსა) ნასხიდასა ჭურ-
ჭლის სამსახური:.

არის ჭომას რუას-პირს რომე დიდი ცაცხუ დგას საჯინიბო 28
მარკოზის უანის ქუჭ'მო და რიონს გამოდმა იონჯაჲ:.

არის ჭომას სამოდო მარტანტები და ადგილები:.

ჯიმასტაროს წყაროს აქათ დიდი მუხა რომე დგას ბატონის
აღუქსანდრეს და ბაკრატის კელიცა აზის და თარჯიცაჲ: იმ წყაროს
აქეთ საჯიმანშტარო არ არის, საქუთათლო არის.

20. ერთი მოსახლე თუთუბერიძე სადუკანოზო არის დ'ის მშობ-
ბლის საყდრის:¹)

○ 21. მართებს ახალსოფელს მახარბეჯასა რუხვადქსა ღჯნო კოკა
ოცდა ხუთი ცხრიანითა. თეთრი ხუთი. ქათამი სამი. საკლაფი ერთი
თორმეტის თეთრისა. კუჭ'რცხი ოცი. სხუაჲ თეთრი ერთი. საყდრი-
სა და სასახლის მუშაობაჲ. ზურის მუშაობ(ა)ჲ. ტირთუ. თუ დომი
მუშაოს, ორი ნაოთხალი დომი გამოიდოს, და თუ არ მუშაოს უანა,
რვა ნაოთხალი დომი გამოიდოს:.

ქუაბს აქეთ ბანოჯას საზღურამდის მუხის წყაროიანა ქუთათლის 30
არის სამოდო ქუთათისის საყდრამდინ:.

ბანოჯის საზღური კოდის წყაროს აქეთ სამანი რომე ასვია,
იმას აქეთ, ქუაბას აქეთ მუხის წყაროიანათ ქუთათისამდის ქუთათისისა
დ'თის მშობლის შეწირუღია:

22. მართებს ვაყიბედასა რუხვადქსა ღჯნო კოკა ოცდახუთი ცხრი-
ანითა. საკლაფი ერთი თორმეტის თეთრისა. ქათამი სამი. თეთრი
ხუთი. სხუაჲ თეთრი ერთი. კუჭ'რცხი ოცი. საყდრის და სასახლის
მუშაობ(ა)ჲ. ზურის მუშაობ(ა)ჲ.

თუ უანა მუშაოს, ორი ნაოთხალი დომი გამოიდოს. და თუ არ
მუშაოს, რვა ნაოთხალი დომი გამოიდოს:.

23. მართებს ტაიბუუას ქაშიბაძქსა ღჯნო კოკა ოცდახუთი. სა- 38
კლაფი ერთი თორმეტის თეთრისა. თეთრი ხუთი. სხუაჲ თე-
თრი ერთი. კუჭ'რცხი ოცი. ტირთუ. ქათამი სამი. საყდრისა და
სასახლის მუშაობ(ა)ჲ. ზურის მუშაობაჲ. თუ უანა მუშაოს, ორი ნა-

1) ეს მუხლი მქრალის მელნით, მაგრამ დედნის ხელით სწერია.

ნათხადი ღვთისმშობლის და თუ არ მუშავს, რვა ნათხადი გამოიღოს:-

ახალწოდების საზღვარი მღაშის დედას და ფინიკურის თავს აქეთ. ორიშვილის სოფლის საზღვრამდის. ახალ სოფლის საზღვარი ეს არის. ქუთათისისა და მშობლის შეწირული არის:-

24. მართებს გოგინას მკურნაობის საკლავი ერთი თორმეტის 4 თეთრისა. ღვთა კოკა ოცდახუთი ცხრიანიათა. თეთრი ხუთი. სხუე თეთრი ერთი. კუჭრცხი ოცი. საუდრისა და სასახლის მუშაობა. ზურის მუშაობა(ა)ე. ტირთუ. თუ უნა მუშავს, ორი ნათხადი ღვთისმშობლის და თუ არ მუშავს, რვა ნათხადი გამოიღოს:-

25. მართებს ხანუას ბიბილასშვილსა ღვთა კოკა ოცდახუთი ცხრიანიათა. საკლავი ერთი თორმეტის თეთრისა. ქათამი საში. თეთრი ხუთი. სხუე თეთრი ერთი. კუჭრცხი ოცი. საუდრისა და სასახლის და ზურის მუშაობა. ტირთუ. თუ უნა მუშავს, ორი ნათხადი ღვთისმშობლის და თუ არ მუშავს, რვა ნათხადი გამოიღოს:-

26. მართებს მამისგულასა აფრიდონიძესა ღვთა კოკა ოცდახუთი 4 ცხრიანიათა. საკლავი ერთი თორმეტის თეთრისა. ქათამი საში. თეთრი ხუთი. სხუე თეთრი ერთი. კუჭრცხი ოცი. ტირთუ. საუდრისა და სასახლისა და ზურის მუშაობა(ა)ე. თუ უნა მუშავს, ორი ნათხადი ღვთისმშობლის და თუ არ მუშავს, რვა გამოიღოს:-

27. მართებს ხუცესსა ტაბიძესა ღვთა კოკა ოცდახუთი ცხრიანიათა. საკლავი ერთი თორმეტის თეთრისა. ქათამი საში. თეთრი ხუთი. სხუე თეთრი ერთი. კუჭრცხი ოცი.....

(აქ დედანს აკლია ოთხი ფურცელი).

28. .. საკლავი ერთი თორმეტის თეთრისა. ქათამი საში. თეთრი 5 ხუთი. სხუე თეთრი ერთი. კუჭრცხი ოცი. ტირთუ. საუდრისა და სასახლისა და ზურის მუშაობა(ა)ე. თუ უნა მუშავს, ორი ნათხადი ღვთისმშობლის და თუ არ მუშავს, რვა ნათხადი გამოიღოს:-

ამისი ჯუმელი მისახლის (მოსხლის) კაცისა ღვთა კოკა სამა-ოცდახუთი. საკლავი ცამეტი. თეთრი სამოცდახუთი. ქათამი ოცს დაცხრამეტი. კუჭრცხი ორას სამოცი. ღვთისმშობლის მთავნი ბეკარა ოცდაექვსი:-

29. მართებს ნატრიას შელახეს, რაც სხუას (სხ^დს) ახად-
ს მართებს, ისრე უნდა ქნას:-

30. მართებს ქურცინადისეულს ჰარტახტს ღვინო კოკა ოცდა-
ხუთი. საკლავი ერთი თორმეტის თეთრისა. ქათამი სამი. თეთრი 68
ხუთი. სხუე თეთრი ერთი. კუჭრცხი ოცი. ტირთუ. საუდრისა, ს-
სახლისა, ზურისა მუშაობაჲ. თუ უნა მუშაოს, ორი ნათხალი ღო-
მი გამოიღოს. თუ არ მუშაოს, რვა გამოიღოს:-

31. მართებს ათანესეულს ჰარტახტს ღვინო კოკა ოცდახუ-
თი. საკლავი ერთი თორმეტის თეთრისა. ქათამი სამი. თეთრი ხუ-
თი. სხუად (სხ^დ) თეთრი ერთი. კუჭრცხი ოცი. ტირთუ. საუდრი-
სა, სსახლისა და ზურის მუშაობაჲ. თუ უნა მუშაოს, ორი ნათხა-
ლი ღომი გამოიღოს. თუ არ მუშაოს, რვა გამოიღოს:-

32. მართებს ჟორჯოლიანისეულს ჰარტახტს ღვინო კოკა ოცდა- 60
ხუთი. საკლავი ერთი თორმეტის თეთრისა. ქათამი სამი. თეთრი
ხუთი. სხუად თეთრი ერთი. კუჭრცხი ოცი. ტირთუ. საუდრისა, ს-
სახლისა, ზურის მუშაობაჲ. თუ უნა მუშაოს, ორი ნათხალი ღომი
გამოიღოს. თუ არ მუშაოს, რვა გამოიღოს:-

33. მართებს მამესწანასეულს ჰარტახტს ღვინო კოკა ოცდა- 68
ხუთი. საკლავი ერთი თორმეტის თეთრისა. ქათამი სამი. თეთრი
ხუთი. სხუე თეთრი ერთი. კუჭრცხი ოცი. ტირთუ. საუდრისა და
სსახლისა და ზურის მუშაობაჲ. თუ უნა მუშაოს, ორი ნათხალი
ღომი გამოიღოს. თუ არ მუშაოს, რვა გამოიღოს.

34. მართებს კუტივადისეულს ჰარტახტს ღვინო კოკა ოცდა-
ხუთი. საკლავი თორმეტის თეთრისა. ქათამი სამი. თეთრი ხუთი.
სხუე თეთრი ერთი კუჭრცხი ოცი. ტირთუ. საუდრისა, სსახლისა,
ზურის მუშაობაჲ. თუ უნა მუშაოს, ორი ნათხალი ღომი გამოი-
ღოს. თუ არ მუშაოს, რვა გამოიღოს:-

ღუოიშის საზღუარს აქეთ ჭანეთიანათ ქუთაისისა დ^რთის მშობ 70
ლის შეწირუდია:¹)

35. მართებს ბადრიას (ბ^დრიას) ტუეშეაშვილისეულს ჰარ-
ტახტს ღვინო კოკა ოცდახუთი. საკლავი თორმეტის თეთრისა. ქა-

¹) ეს მუხლი სხვა ხელით და მელნით სწერია ხუცურათ.

ნამი სამი. თეთრი ხუთი. სხუე თეთრი ერთი. კუჭრცხი ოცი. ტირთუ. საუდრისა და სსახლისა (და) ზურის მუშაობაჲ. თუ უანა მუ-
ხას, ორი ნათხალი დომი გამოიდოს. თუ არ მუშაოს, რვა გა-
ლიდოს:.

საუუაგის ტუე ქუტირის საზღუარს ზედათ ქუთათისმდე სამი-
ლო (ს'მოლო) არის: და ასათიანის საზღუარს აქათ:-

• ნაზურეგისა ზუარი უნდა აშენოს. სსახლის ალაგი სსახსოჲ:.

ამ ჰარტახტის ჯუმადი: ღვინო კოკა ას ორმოცდა(ა)თი. საკლა-
ვი ექუსი. თეთრი ოცდათექუსმეტი. ქათამი თურამეტი. კუჭრცხი ას-
ოცი. დომი თორმეტი ნათხალი:.¹⁾

36. მართებს ორიშიშს კოსტანტაძეს ქრისტეშისა ღვინო კოკა
ოცი ცხრიანითა. საკლაგი ერთი თორმეტის თეთრისა. ქათამი სს-
ი. თეთრი ხუთი. სხუე რეთრი ერთი. კუჭრცხი ოცი. საუდრისა,
სსახლისა, ზურის მუშაობაჲ. ტირთუ. თუ უანა მუშაოს, ორი ნათ-
ხალი დომი გამოიდოს. თუ არ მუშაოს, რვა გამოიდოს:.

37. მართებს დედულისსა კოსტანტაძეს ღვინო კოკა ათი თორ-
მეტეანითა. საკლაგი თორმეტის თეთრისა. და ექუსი კოკაჲ (ღვინო)
ვხრიანითა. ქათამი სამი. თეთრი ხუთი. სხუე თეთრი ერთი. კუჭრცხი
ოცი. საუდრისა, სსახლისა, ზურის მუშაობაჲ. თუ უანა მუშაოს, ორი
ნათხალი დომი გამოიდოს. თუ არ მუშაოს, რვა ნათხალი გამო-
იდოს:-

38. მართებს მამაგუჯასა კოსტანტაძეს ღვინო კოკა ათი თორ-
მეტეანითა და ექუსი ცხრიანითა. საკლაგი ერთი თორმეტის თეთრი-
ან. ქათამი სამი. თეთრი ხუთი. სხუე თეთრი ერთი. კუჭრცხი ოცი.
საუდრისა და სსახლის მუშაობაჲ. ტირთუ. თუ უანა მუშაოს, ორი
ნათხალი დომი გამოიდოს. თუ არ მუშაოს, რვა გამოიდოს:-

39. მართებს გუტიასა კოსტანტაძეს ღვინო კოკა ათი თორმე-
ტეანითა. და ექუსი ცხრიანითა. საკლაგი ერთი თორმეტის თეთ-
რისა. ქათამი სამი. თეთრი ხუთი. სხუე თეთრი ერთი. კუჭრცხი
ოცი. ტირთუ. საუდრისა, სსახლისა, ზურის მუშაობაჲ. თუ უანა მუ-

¹⁾ ეს მუხლი სხვა მელნით არის ნაწერი ხუცურათ.

შას, ორი ნათხალი დომი გამოიღოს. თუ არ მუშაოს, რვა ნათხალი გამოიღოს: 1)

40. მართებს კეთილასშვილს კოსტანტაძეს ღვინო კოკა ათი თორმეტანითა და ექუსი ცხრიანითა. საკლავი ერთი თორმეტის თეთრისა. ქათამი სამი. თეთრი ხუთი. სხუა თეთრი ერთი. კუჭრცხი ოცი. ტირთუ. საყდრისა, სსსხლისა, ზურის მუშაობაა. თუ უნა მუშაოს, ორი ნათხალი დომი გამოიღოს. თუ არ მუშაოს, რვა გამოიღოს:

41. მართებს მამისბუდას კოსტანტაძეს ღვინო კოკა ოცი თორმეტანითა. და ექუსი ცხრიანითა. საკლავი თორმეტის თეთრისა. ქათამი სამი. თეთრი ხუთი. სხუა (თეთრი) ერთი. კუჭრცხი ოცი. ტირთუ. საყდრისა და სსსხლისა და ზურის მუშაობაა. თუ უნა მუშაოს, ორი ნათხალი დომი გამოიღოს. თუ არ მუშაოს, რვა ნათხალი გამოიღოს:

42. მართებს მჭრამირას კოსტანტაძეს ღვინო კოკა ცხრიანითა ოცი. საკლავი თორმეტის თეთრისა. ქათამი სამი. თეთრი ხუთი. სხუა თეთრი ერთი. კუჭრცხი ოცი. ტირთუ. საყდრისა, სსსხლისა, ზურის მუშაობაა. თუ უნა მუშაოს, ორი ნათხალი დომი გამოიღოს. თუ არ მუშაოს, რვა გამოიღოს:

ამისი ჯგუფი ღვინო კოკა თორმეტანითა ან ოცი, ცხრიანითა ასი. საკლავი მუდღი. თეთრი ორმოცდა ორი. ქათამი ოცდა ერთი. კუჭრცხი ან და ოთხი. დომი ნათხალი თორმეტის:

43. მართებს ქუტირს [მატმასხვილს ხვ]ჩიას შვილებსა [ღვინო კოკა ოცი რვიანითა] 2)

43ა. ჩიბურდანიძე ამათ ხად(ი)ლი მართებს:- შავგულიძენი: ესენი მებერე არიან:- 3)

44. მართებს [ჭაშმაგაშვილს(?) გელასა ღვინო კოკა ოცი თორმეტანითა... 4) ქორეპისკოპოზობით ჯუართან (ჯ'რთან) სამსახური და შინაყმობაა: 5)

1) ეს ორი მუხლი უფრო მკრალის მელნით არის ნაწერი.
2) რაც ფრჩხილებშია ამ მუხლში დედანში განგებ წაშლილია.
3) ეს ორი მუხლი მერმენდელის უშნო ხელის ხელით და მელნით სწერია.
4) ეს, რაც ფრჩხილებშია, განგებ წაშლილია. შემდეგ აქ სტრიქონ ნახევარი სრულიად ამოშლილია.
5) ეს ხუთი სიტყვა მერმენდელის უშნო ხელით და მელნით არის დაწერილი.

- 45. მართებს მადლას მიქელას ივანჯანისშვილს ღვინო კოკა ცხრიანითა ათი. თეთრი თორმეტი. ქათამი ორი საქრისტესშობილ და სამარობილ. კუჭრცხი ათი. ფინი და ლარძაყინი:-
46. მართებს დანაელს ივანჯანისშვილს ღვინო კოკა ცხრიანითა შუდი. თეთრი თორმეტი. ქათამი ორი. კუჭრცხი ათი. სამარხო ცერცუ. ფინი და ლარძაყინი.
47. მართებს ნანუას ივანჯანისშვილს ღვინო კოკა ცხრიანითა შუდი. თეთრი თორმეტი. ქათამი ორი. კუჭრცხი ათი. სამარხო ცერცუ. ფინი და ლარძაყინი: 10
48. მართებს ივანჯანისშვილს მახარბელას ღვინო კოკა შუდი ცხრიანითა. თეთრი თორმეტი. ქათამი ათი. სამარხო ცერცუ. ფინი და ლარძაყინი:.
49. მართებს დავითას ივანჯანისშვილს ღვინო კოკა ცხრიანითა შუდი. თეთრი თორმეტი. ქათამი ორი. კვერცხი ათი. სამარხო ცერცუ. ფინი და ლარძაყინი:-
50. მართებს სიხარულას ივანჯანისშვილს ღვინო კოკა ცხრიანითა შუდი. თეთრი თორმეტი. ქათამი ორი. კუჭრცხი ათი. სამარხო ცერცუ. ფინი და ლარძაყინი: 11
51. მართებს ერთობით კვერნაძეთა ხადილი და ცხენით სამსახური¹⁾
52. მართებს ადოქას დედუჯისას ღვინო კოკა ცხრიანითა ათი. თეთრი თორმეტი. ქათამი ორი. კვერცხი ათი. სამარხო ცერცვი: ფინი და ლარძაყინი:-²⁾
53. მართებს მიქელას ჟორჯოლიანს ღვინო კოკა ცხრიანითა ათი. თეთრი თორმეტი. ქათამი ორი. კუჭრცხი ათი. სამარხო ცერცუ. ფინი და ლარძაყინი:-
54. მართებს ნასნიდას ჟორჯოლიანს ღვინო კოკა ცხრიანი ათი. 11
თეთრი თორმეტი. ქათამი სამი. კუჭრცხი ათი. სამარხო ცერცუ. ფინი და ლარძაყინი:.
55. მართებს ჟორჯოლიანს გამეზარდას ღვინო კოკა ცხრიანი-

1) ეს მერმენდელის უზნო ხელით და მელნით სწერია ხუცურათ.

2) ეს სხვა ძველი ხელით სწერია.

თა ძუდი. თეთრი თორმეტი. ქათამი ორი. კუჭრცხი ათი. სამარხო ცერცვ. ფინი და ლარძაყინი:.

1) წაფურჩულება — ჩურჩულით ლაპარაკი, დაბალი ხმით.

2) მოიტახიონ — ე. ი. თავის სიტყვაზე უნდა ხელი აიღონ და შენს სურვილს დაემორჩილონო.

3) ჭოჭმანი — რყევა.

მაკმა თითი კდეს, კდე დეობზნა¹⁾ და ნაპრალში გამოდგა დაღძაღუ-
ლი²⁾ ბანჯკველა, რქებიანი და ფლოქებიანი³⁾ ეშმაკი.

— რა კაცი ხარ, რომ აქ მოსვლა გავიბედავსო?—კითხა ამ მა-
მა-ეშმაკმა ფაჭარს.

— მე მოგვარეო,—დასწრო ფაჭარს ჰატარა ეშმაკმა: მგელმა
მამიტაცა ამ ღელის ჰირას, როცა გადია ტანს მბანდა, და ამ ფაჭარმა
მიხსნაო. ახლა შენ იცი, რაფარ ჰატეფს ცემ და რაფა დასაწეუქრეფო.

ამის გაგონებაზე მოღბა მამა-ეშმაკი და შეეკითხა ფაჭარს: შენ
დიდი ფალი დაგიდევს ჩემთვის და რითი გადაგიხადო, მითხარიო.

— არც შეტი და არც ნაკლები—ჩემი ოხრის ჰატრთნი გამხს-
დეო, მიუგო დეზათ⁴⁾ ფაჭარმა.

— „უფჳ! ეგ ძნელი საქმე ითხოვეო“. მიაშვირა გრძელ-ფერხნი-
ლებიანი ხელი შინა კდისკუნ, გეიხსნა კდე და გამოჩთა ურიცხვი
აქრო და ვერცხლის ხვავები. „რამდენიც გინდა, წეიდე, შეიუფანე
ჯორო, ცხენი და აქლეშებიო“.

— ჩემი ოხერიც ვერ მამიხმარებია, ეგ რაღა შავ-წელათ მინ-
და? მე მაგათ უარულობას მოფუნდებიო, მიუგო ფაჭარმა და დააპირა
წასვლა.

— შეიცადე, შეიცადე, მეც წამოვალო,—მიაძახა ჰატარა ეშმა-
კმა: ჩემ მამას მე არა ვეფარებივარ, შენ მიხსენი მგლის ჰირიდან და
შენი ვარო.

— თუ ეს სიმიდიე არ გეყოფა, აჳა, ეს წეიდეო, მიაძახა მა-
მა-ეშმაკმა ფაჭარს, მიაშვირა ხელი ერთ კდის ნაპრალს; კდის ნაპრა-
ლი განათლდა და ფას-დოუდებელი თვალ-მარგალიტების ხვავები⁵⁾
გამოჩთა.

— ისიც წელს წოულია, რაც მბანდა, თუ მე არ მამხმარდე-
ბაო, შემოუძახა ფაჭარმა მამა-ეშმაკს და წევიდა. თან მიუყება ჰატარა
ეშმაკი.

1) გაბზნა—მცირეთ გაპობა.

2) დაღძაღული—ლჯოლოებიანი, დიდ და უშნო კბილებიანი.

3) ფლოქები—ჩლიქები.

4) დეზათ—პირდაპირ, დაურიდებლათ.

5) ხვავი—გროვა.

მაშინ გეიცა ხმა ში კდემი:

— რამ გამოაჩნურნუტა ეგ ვაჭარი? მაგისი სული დედა-ჩემმა, ქე რომ გამოთხოვა, მზითუბათ გამამატანაო. მაგისი ოხერი სულის ჰატრონათ მაგას რაფა გავნთიო, — ისხოდა და იფხრიწებოდა დედა-ეშმაკი: ეგ ჩემი მზითუბიაო¹⁾.

ახლა კი მიხვთა ვაჭარი, თუ რიტომ უოფილა შეკრული. ახლა კი მიხვთა, თუ რიტომ ეძნელებოდათ ეშმაკებს, რომ იგი თავისი ოხრის ჰატრონათ გვეხდათ ამიტომაც იგი სულ ერთსა და იმავს იმეორებდა:

— ჩემი ოხრის ჰატრონი გამხადეთო.

მეტი გზა აღარ იყო. დედ-მამა ეშმაკი ვერ ელევნებოდა თავის ჰატრას ეშმაკს და, ბევრის ტორტმანის²⁾ შემდეგ, რაფაც იყო, მიაქვავს თავის ოხრის ჰატრონობა.

გახარებული ვაჭარი გოუდგა თავის გზას, ჰატრას ეშმაკი თავის დედ-მამასთან დარჩა.

მივიდა ვაჭარი შორეულ ქალაქში. სხვიმის³⁾ რამ ასი თუშნისას იყიდა და ფულს კიდე შინ გამოაბრუნებდა უბით, ახლა ათასი თუშნის საქონელი იყიდა, უბეში ფული კი აღარ ჩეირჩინა, ზირ-იქით ნისიასაც წამეიღო საქონელი. ახლა უოველისფერზე მადა გვესნა.

მობრუნდა შინ. გაავსო მდარბიები. შიგნოულის მაგიერათ, ახლა მთელ ცხვარს უკლავდა შავილდებს და ისინიც დაფათურდენ. გაჩადა ისეთი ვაჭრობა, რომ უკეთესს ვაჭარი ვეღარ იფიქრებდა. უხვიც შეიქნა და ღვთის კალთაც უხვათ ებერტებოდა ვაჭარს თავზე. ჭირი იქა, ღხინი აქა; ქატო იქა, ფქვილი აქა!

18. ბატარა ეშმაკი და ბერები.

იყო და არა იყო-რა. ღვთის უკეთესი რა იქნებოდა? იყო ერთი მუშა-კაცი. შვილი არ უავდა და ძალიან აწუხებდა ღმერთს: ღმერთო, უძეოთ ნუ გადამიფვანო⁴⁾.

1) მზითუბი—მზითვი. 2) ტორტმანი—რყევა. კოჭმანი. 3) სხვიმის—სხვა დროს, უწინ. გუროულათ „სხუმის“. 4) ანუ გადამაშენებო.

ერჯულ, როცა სათესთ გვეიდა უხაში მუშა, მოკრა უური ბაღ-
ლის სხაეილს და მახლობელ ხტულში¹⁾ დეინახა ჩვრებში გახვეუ-
ლი ჰატარა ბაღანა. მიირბინა, დაავლო ხელი, ჩეიხუტა გულში და
ღმერთს მადლობა შეწირა, რომ უმეილთს შვილი მარუქყო.

მიიყვანა შინ და დოუწყო ჰატონობა.

ბოფში წამეიჩიტა²⁾ და სწავლის წუერგიდს ძაღიან იჩენდა. ისეთ
ღრმა რამეებს ლაზარაკობდა, მუშა-კაცს მისი არა ესმოდა-რა.

დიდი იფიქრა გლეხმა, რა მოფუხერხო ამ ბაღდს, რათრათ ვა-
სწავლო რამეო. ბოლოს წვეიდა მონასტერში ბერებთან. თან წეიფა-
ნა თავისი ნაპოვარაც.

ბერებს ძაღიან გეეხარდათ, რომ ბაღდში სწავლის ნღრმა დეი-
ნახეს, კიდე უფრო ის, რომ ჰატარა ბიჭი სულ ქარგებებით³⁾ ლა-
ზარაკობდა.

დეიტოვეს ბერებმა ეს ბიჭი და დოუწვეს სამხთო-წერიდის სწა-
ვლებს. მეტათ ნიჭიერი გამოდგა,—ისეთ კითხვებს იძლეოდა, რომ
იმედი დეებადათ ბერებს: ეს ბოფში გვასახლეოთსო.

ბოლოს საქმე იქამდი მივიდა, რომ ამ ჰატარა ბიჭის დოუკით-
ხავათ ბერები წეაღსაც არ დაატევედენ.

იმისთანა გავლენა და ჰატოვი დეიმსახურა ბერებში, რომ კილამ
წმინდანო მიჩნდათ და მისი სიტუვის კატეხას ვერ ახერხებდენ.
სამხთო-წერიდის მუხლებს სასასტაულოთ⁴⁾ ხსნიდა და დიდი ენა-მე-
ტეველიც იყო. ქადაგებაში ტოლი არ უავდა.

ერჯულ დილა-ადრინათ წამოფარდა თავის სენაკში ლოგინიდან,
დეიწყო წუწუნი, კვნესა, ცემს-ტეემა და გულ-საკლავათ მოთქვამდა:
ღმერთო, რათ შემსწარი ასეთ ცოდვის კითხვას, რათ გამხადე ასე-
თი საშინელი ჰასუხის-გების ღირსიო?!

— რა ჰასუხის-გების, რა ცოდვის კითხვისო?!—იმეორებდენ
აქოთებული ბერები და თავზე ბუზივით ეხვევოდენ.

1) ხტული—სახნავი მიწის სვრელი, ნაჭერი.

2) წამოჩიტვა—წამოზრდა.

3) ქარავმა—მეტათ ძნელი გამოსაცნობი სიტყვები, იგავი.

4) სასასტაულოთ—სასასწაულოთ, სამაგალითოთ, შესანიშნავათ.

— არა, არ შემიძლია... ვერა, ვერა... ვერ ვიტყვი... ვინ დამიჯერებს?... ვინ დამიგდებს უურს?... ისევ ჯობს, ჩემი ხელით გაშვიტრა ეელი და მოვშორდე ამ სოფელსო, გეიძახოდა ზატარა ბიჭი და თან თავ-პირს იფხრკინდა და სისხლს იღებდა.

ბერები ვერ აჩერებდენ და ჩატივებოდენ:

— რა დაგეპართა, რა ნახე, გვითხარი, შენ ცუდს რას იტყვი და რა იქნება ისეთი, რომ თავი მოგაკვლევიოთო? როისლაცა ამეიდ-გა ენა გადაბჟირებულმა ზატარა ბიჭმა და დეიჟინა:

— არ დამიჯერებთ, არაო... მე ვიცი, არ დამიჯერებთო... ჩემი პირი და ენა უნდა შეიშალოს, ჩემი სიტყვა უნდა გატუდეს... ჩემი ზატვიისცემა და ნდობა უნდა დაგეკარგოსოთ ჩემ მასწავლებლებს, მე ცუდ ბიჭათ უნდა ჩამაგდოთ... არა, არა, სჯობს, რომ მოვკვდე და კი არ გავამხილო, რაც ვნახე და გევიგონეო.

ბერები თვინს აძლეუდენ, თავდებათ ღმერთს აძლეუდენ, რომ არ დეეტეში ჩვენს შეხედულებასში, ჩვენი ნდობა შენთან კიდე უკეთესიც იქნებაო. ხოლო გვითხარი, რამ დაგიკარქა მისვენებაო. მხოლოთ ახლა გაბედა ზატარა ბიჭმა თვისი ნახულის და გაგონილის თქმა.

თურმე სიზმარი ენახა.

— „ამ დილაზე ხელ-ახლა მივდევი თვალი¹⁾ და ჯერ კიდევ გუდიანათ არ მიმძინებოდა“, - თქვა ზატარა ბიჭმა: — „წამამიდგა თვალ-წინ ანგელოზი და მითხრა: შენ უმანკო ბაღლი ხარ, უმანკო ენა-პირს შეუძლია სიმატელის თქმა და, ვაი იმას, ვინც მას არ დეიჯერებსო, ასე შემოგითვალა მამა-ზეციურმაო: გამოუცხადე ბერებს, რომ ხელი ეიდონ ბერობაზე და, თუმც მართლა უნდათ, რომ ემსახურონ სულს და და ხალხს, ისევ ხალხში ჩეერიონ, ცოლ-შვილს შეეკიდონ და თავისი სამაგალითო ცხოვრებით მისცენ ხალხს განათლებაო. მონასტერში რომ მოუყრიათ თავი და ღოცვილობენ, ეგრე საქმეაო!? საქმე ისაა, რომ ხალხში იცხოვრონ, ჩამომავლობა ამრავლონ, ხალხს შეეწიონ და ჭეშმარიტ გზაზე დააყენონო. თუ დო-უჯერებიათ შენთვის და ახლავე წაგულოიან მახლობელ ქალაქში, უუი-დათ თეთრი ტანისამოსი და მოკიდების ცოლ-შვილს და ოჯახს,

¹⁾ თვალის მიღება—ჩათვლემა, ცოტა ხნით ჩაძინება.

ხომ კარქი, და თუ არა, შენ ისევ შენი ხელით დეიხნე თავი, ჩემთან წამოდი, მაგათთან ცხოვრებას ეგ ჯობია და მე მაგათ ვაუწყებო ბიეუ სეიკს: დავასეგ ჭია-დუას და წვერ-უღვანელები გავცდი; ისე დავაწუღე, რომ უფა-უოხანის ადარ ეკარებოდა. თუმც დავთანხმდენ, ნიშნათ ამის იმ წამსვე შეიპარცონ წვერები და თმები. ვადას გინიშნავ ერთი დღისათა“.

„ეს სთქვა ანგელოზმა და მუქარით გამშორდა. მე-კა... მას აქეთ მოსვენებას რაღა მამცემს? ვტირი და ჩემსავე ცრემლებში მინდა დევიხნოვო“.

— ნურც დეიხნობი, ჩემო ბაღანა, და ნურც იჯავრეუ, — ხეთის ნებას მე უარს ვერა ვყოფ — ბრძანება მისია — მე მევეკიდეები ოჯახს, მარამ, ნიშნათ ამ თანხმობისა, ახლავე ვერ გვევიკრეკე თმასა და წვერს. ამისთვის სჯირთა დალაქამდი მისვლათა.

სხვა ბერებმაც კვერი დაჭკრეს და დასკუნეს: გავაგზავნოთ ახლო ქალაქში ორი ბერი, თან გავატანოთ ხეთის ნების გადმოცემული ჰატარა ბაღანაცო. იუიღონ იქ თეთრი საქორწილო ტანისამოსები უველას ბერისთვის და თან დალაქიც წამეიუფანონ ჩვენს გასაკრეკათა. უველას ამსრულებელი ვართ მამა-ზეციერის ნების, რადგანაც ანგელოზი-ბაღანას პირმა გვამცნო მისი გადაწვეტილებაო.

ითქვა, იქნა ორი ბერი და ეს ჰატარა ბიჭი გეისტუმრეს მე-ორე დღისაზე ქალაქისკენ.

სადამო-ჟამს მიატანეს ქალაქს. დაბინავდენ ერთ ოთახში და შეისვენეს. ღამე მთვარეანი იყო და ოთახში მკრთალი სინათლე ძლივს ძლივით ბუტავდა.

როცა დრმა ძიღში იყო უველას, უცრათ ფანჯარაში შემოდგრა ღანდი. მივიდა, ჰატარა ბიჭს დაადგა თავზე და ჩუმი ხმით წოუ-ფურჩუღა: „შვილო, ვადა გვეიდა, სამი წელიწადი შესრულდა. მე და დედა-შენმა ქალი და კაცი, დიდი და ჰატარა, მდიდარი და ღარიბი — ურიცხვი ხალხის სული გადავიბირეთ და დევიწინდეთ. მათი ბინა ჯოჯობეთშია. შენ-კი რა ქენიო?“

ეს იყო მამა-ეშმაკი. ჰატარა ბიჭი იყო მისი შვილი. ამ ჰატარა ეშმაკმა კისრათ იღო დიდი და საძნელო საქმე: ბერები უნდა გე-ეპარსა, ბერობა უნდა მოესპო... ჰატარა დიდ საქმეს შეჭიდებოდა.

— ხომ იცი, მამა ჩემო, უთხრა პასუხით პატარა ეშმაკმა: ბერების ცთენა თითქმის მოუხერხებელი საქმეა. ახლა ეს-ეს არის მივაწიე მიზანს და ხელს ნულა შემეშლი, მამეცი კიდევ ვადა—ორ კვირაში მთელ მონასტერს უღაბურათ გადავაქცევ. იქ ხვთის დიდება აღარ იქნება და ეშმაკების გმობა.

— რაა, რა ქენით? რა მოახერხეო?

— რა მოახერხე და... მოუყვა პატარა ეშმაკი თავის მამას თავის ოინებს, რაც ხრიკები ესმარა ბერების შესატყნათ.

ერთ ბერს თურმე ძილი გატყნოდა. ჯერ კიდევ პასუხი ვერ მიეცა თავის თავისთვის, თუ რა საქმეს ჩადიოდენ პატარა ბაღდის სიზმრის აუოლეებით და, აჰა, რაღა დაძინებდა. სწორეთ ამ დროს შემოდგრა ის მამა-ეშმაკი ლანდივით ფანჯრიდან და, რასაც ლაპარაკობდა მამა-შვილი, დიდი და პატარა ეშმაკი, სიტყვა-სიტყვით, ერთ მარცვალ ჩოუგდებლათ გეიგონა და დეინახსოვრა ამ ბერმა. ქაჩორი უაღუზე ოუდგა ამ სანინელი ამბის გაგონებაზე, მარამ კრინტი არ დოუძრავს, გეინაბა და ხერინიც ამოუშვა, ვითამ და მძინავსო.

დიდი ლაპარაკის შემდეგ მამა-ეშმაკი ლანდივით გაძგრა ფანჯარაში; შვილმა-ეშმაკმა კი ხერინი ამოუშვა, დეიძინა იმ იმედით, რომ მის გამოწეობილ საქმეს ვეღარავინ შეაფერხებდა.

გათენდა დილა. აფიორდა ბერი: არიქა, მიშველეთ, ფული და-შეკარქაო.

ადგა პატარა ეშმაკი, წამოფარდა მეორე ბერი. აქეთ ეცენ, იქით ეცენ—ფული არ არის და არა. მეტი გზა არ იყო. უკან უნდა მობრუნებულიყვენ და ხელ-ახლა უნდა მეეტანათ ფული.

წვიდენ ისევ მონასტერში.

მივიდენ თუ არა, მოუყვენ ბერებს, რომ ფული დაგვეკარქა და უფულოთ ვეღარაფერი ვეღარ მოვახერხეთო. საიდუმლოთ კი ბერებმა თავ-ურილობა ქნეს და გეიგეს, რომ ეს პატარა ანგულოზი ბიჭი სანინელი ეშმაკი უოფილა, რომ ის ინახულა მამა-ეშმაკმა და სხვა ერთი სიტყვით ფულის დაკარქვა იმ ბერის მოხერხება იყო, რომ შელმაც ეს უოველისფერი გეიგონა ეშმაკებისკან.

ქნეს ბერებმა სანქარო და მეტათ სიდუმლო ბჭობა და დასკვნეს: ვითამც ჩვენ ფულის დაკარქვა მივიდეთ ხვთის წყრომათ, და

შემოსილნი შევიდეთ კმევით და გალობით ეკლესიაში ჩვენი დანაშაულის მოსანანიებლათ, რომ ვითამც იქ საკურთხეველში გვაქ ფული. თან წვეიძღოლოთ ჰატარა ეშმაკი და, როდესაც შევიდეთ სახატარში, შემოვესიოთ და დავკრულოთ, დავაპირქვაყოთ იგიო.

თუ თქვეს, კიდევ ქნეს, ისეთი საიდუმლოებით და მოხერხებით, რომ ეშმაკმა ეჭვიც ვერ ეიღო.

წვიძღოლიეს წინ ვითამც ანგელოზი უმანგო ჰატარა ეშმაკი შემოსილმა ბერებმა, შევიდენ სახატარში გალობითა და კმევით. იქ შემოარტყეს რგვალი¹⁾ ჰატარა ეშმაკს და უგმიეს და ულოცეს, უგმიეს და ულოცეს! დატრიალდა ჯარასავით ჰატარა ეშმაკი; რავარც გველი, ისე დეიხვა. ვერსა²⁾ უშველა თავს. დეილია, დეილია, რამდენი უფრო და უფრო უგმიეს, და ბოლოსაც გაქრა. გაქრა ეშმაკი და მესხთ მისი ხსენება სამას სამოცდა ხუთი წმინდა გიორგის მადლით.

19. ყაჩაღის სინანული.

იყო და არა იყო-რა. იყო ერთი ყაჩაღი. მოხუცებულობამ უწია და გვიძრახა თავის ცოდვების მონანება, რომ ის სოფელი არ დამუკარქოსო. გეგონა, რომ უოველგვარ დამნაშაფისთვის სინანული აქვს ქრისტიანულ სარწმუნოებასო. წევიდა ხუცესის სინანავათ.

ხუცესი ამ დროს შინ არ იყო: სახატარს აშენებდენ და თავზე ადგა ოსტატებს. მივიდა იქ ყაჩაღი და მუედრო ადგილისკენ საიდუმლოთ გეინმო ხუცესი.

— მამო, უთხრა ყაჩაღმა ხუცესს: მე ვარ ესა და ეს ყაჩაღიო...

ხუცესი ამის გაგონებაზე შეკრთა, შეშინდა. იმას სმენოდა ამ ყაჩაღის საშინელება და, რომ შემინებოდა, რა გასაკვიროდი იყო.

— მე ვარ ესა და ეს ყაჩაღი... ვატყოფ, რომ ძალ-ღონემ მაკლო, რომ ამ უბედური გზით სიარული მუდამ ადარ შეიძლება, რომ დღეს არა ხვალე მოგვედები და მინდა, რომ ის სოფელი არ

1) რგოლი, წრე, ალყა.

2) ვერსად, ვერსაით.

დამკვარქოსო. მინდა შევინანო ჩემი ცოდვები, თუ რაიმე დანაშაული ჩამიდენია და მიჩნიე, რაფრათ მოვახერხოვო.

ხუცესმა უპასუხა: შეხედე ამ სახტარს, ახლა რომ აშენებენ, — მაგას აშენებს თავისი საშუალებით ესა და ეს კაციო. მადლი ამისთანა საქმის ჩადენას და კეთილ საქმეს შოუძლია სინანული მოგანიჭოსო.

— ოჰო, ხუცესო! მძიმეთ ამოიხრას კარქა ხნის სიჩუმის შემდეგ უჩაღმა: შენ მე წაწემენდის გზას მიორკეცეფ, არამც თუ სასუფეველისკენ მივიძღვებით. მე რომ ამისთანა სამადლო საქმე ჩეგვიდინო, არამც თუ ერთი და ორი კაცი უნდა გავცარცვო, მთელი სოფლები და ქალაქები უნდა გავაოხროვო. ნაფაზაკართი გაკეთებული კეთილი საქმე ბოროტებიდან შორს არ არის. მთელი ქვეყნის სისხლი, ოფლი და ცრემლი უნდა დაფაქციო და მე-კი რაც ცოტა ცოდვა მიქნია, რაც ცოტა სისხლი, ოფლი და ცრემლი დამინთხევიას, ისიც მინდა, რომ შევინანიოვო. არა, მე შენს სინანულში მადლი არ მიმჩნია, ბარემ სჯობია რომ ჩემი ბრუნდი, მარამ არც სულ აგრე წარღვნის გზით ვიაროვო. გამეუმშვიდობა ხუცესს უჩაღი და გულმოკლეული წევიდა ტეეში თავის ამხანაგებისკენ, სადაც მოუთმენლათ ელოდენ.

თავ-ჩამოკიდებული, ჩაფიქრებული და დაღვრემილი რომ მიდიოდა ტეეში გზა-წვრილით¹⁾, უცბათ მეესმა გადამღვალი²⁾ ბერიკაცის ურუ ხმა: რა კაცი ხარ, რომ აგრე საშინელი სახით გვერდი ჩამიარე და გამარჯობა არ მითხარიო?

— მამატივე, მამობილო, თავი დამვიწყებია და ზრდილობა დავკარქეო, მიუგო უჩაღმა.

— რა დაკემართა ასეთიო, შეეკითხა გადაურეებული ბერიკაცი. მივიდენ, დაჯდენ გზის პირას ბაღახზე და დაწვრილებით მოუევა უჩაღი, თუ როგორ გეიძრას ცოდვების მოხანება და რა პირობა დოუდვა ამისთვის სულიერმა მამამ.

გადაურეებულმა ბერიკაცმა თავი გადაქნ-გადმოაქნია და მძიმეთ უთხრა უჩაღს:

1) ბილიკით.

2) ღრმათ მოხუცებული.

— სინანულს, შვილო, უსისხლო მსხვერპლი უნდა. სინანული ადვილია, თუ მონღოლებმა გაქ, და თუ არა, სინანული ვერასოდეს შეწირულაობით ვერ შეიძლება. გადი იმ მალა სერზე, იქ რომ მოხანს, ამ ტყის გაღმა; იქ ერთი დიდი მუხა დგას, იმ მუხაში მღვთიშობლის ხატია. ეს ადგილი საჯვარია¹⁾. მიდი იქ ახლავე, შეიყარე მუხლები და თვალი-გოგუტეხრათ შეაჩერდი იმ მღვთიშობლის ხატს თუ რამე დანაშაული ჩაგიდენია, სულ ეგელა წარმეიდგინე, გეიხსენე. არ დაქრეს არც ერთი გოგუტეხრელი. თანაც წარმეიდგინე, რომ შენ ხარ ის კაცი, რომელსაც შენ მოუკალი შეიდი, რომ შენ ხარ მისი მშობიარე და ძუძუს მწოვებელი დედა; წარმეიდგინე, აგრეთვე, ვისაც შენ წართვი სარჩო-საბადებელი და დღეს მშვიერი კვდება, ვითამც შენ ხარ ის კაცი. უეჭველათ შეგბრადებთან იგინი და ცრემლები მოგივა. ამ დროს ხატი შეიშმუშება, შეიძვერება და ცოცხლათ მოგეჩვენება. გულის უური არაფერმა წაგართვას, თუ არა სინანული დაგეკარება. გათენებაში უოველისთერს გეიკეთ — თუ გაცოცხლდა მღვთიშობელი — ისა, რომ ცხონდი.

— თუ ეკ მონღოლებმა და მოთფინებაც არ მიხმარია, მონანიუბაც არ მდომებია ჩემი ცოდვებისო, თქვა მოხუცმა უჩაღმა, გამეკმ-შვიდობა გადაურეუბულ ბერი-კაცს და წვიდა ნაჩვენებ სერზე.

მივიდა.

ის-ის იყო დღე და ღამე იურებოდა. ბინდში ძლივს გამოჩნა ხატი. მთვარე ჯერ კიდევ არ ამოსულიყო.

მივიდა უჩაღი ხატთან, შეიყარა მუხლები, შეაშტერა ხატს თვალები და დეიწო ქოთება²⁾ და მოხსობება³⁾ იმისი, თუ რაიმე დანაშაული როდისმე კი ჩეკდინა. დიდხანს ილოცა, დიდხანს იფურჩულა⁴⁾, დიდხანს იხენეშა და იმტვრია გულ-ბოყვი⁵⁾ მუჭებით⁶⁾.

ატერ ეებურძგლა კიდევ თმა და გააყრალა ეგელა სახსარში.

1) ნიში.

2) ქოთება — შფოთვა, ბორცვა

3) მოგონება.

4) იჩურჩულა.

5) გულ-მყერი.

6) მუჭებით

კადმოვარდა ერთი მსხვილი ცრემლი. ამ დროს მალა ცაში ამოცურებულყო სამსე მთვარე და ხატს პირდაპირ მინათებოდა. კადმოვარდა უჩაღს ცრემლი, მარამ ხატი რომ არ იშმუშნება, რომ არ იღვიძეთეს!

ლოცვილობს და ქოთებს ისე უჩაღი.

ახლა კი გამწარდა ეშმაკი. იმან იფიქრა: ესა, დავლუპე ჩემი კერძი სულიო. მიიღო ერთი მისი ამხანაგი უჩაღის სახე, შეიარბინა მლოცველთან და დოუძახა:

— ამხანაგო! არ გესმის შენი ამხანაგების აურ-ზაური? იმათ გონიათ, რომ შენ მათ უღალატე, მივიდენ შენს სახლში და, ხედავ, ცეცხლი წოუკიდესო?

მართლაც არ იუოს, ამ დროს გეიცა საშინელი ხმაური ათასი ხმის და საშინელი ცეცხლიც ავარდა. განა არ შეეძლო ეს მოჩვენება გეკეთებია იმ რწეულ¹⁾ ეშმაკს?!

მარამ ურუ დარჩა უჩაღი. ის ისე ძლიან გაუფლოდა თავის მოგონებას, რომ ამ ეშმაკის ძახილის, შორებულ აურ-ზაურისა და ცეცხლის ბრიალისა აღარაფერი ესმოდა.

ეშმაკი სახტათ დარჩა. მეტი გზა არ იყო, უნდა გამქრალიყო, რადგანაც ამ ხერხმა არ გაჭრა.

ახლა მიიღო ეშმაკმა ამ უჩაღის ცოლის სახე, ხელში დეიკავა ვითამ მისი შვილი და შევიდა უჩაღთან კვიელ-წივილით და ერთი უშველებლით.

— კაცო, კაცო! შენ სადა ხარ, როცა ჩვენი სახლ-კარი დავწეს შენმა ამხანაგებმა, როცა შენი შვილები დაკლეს საქონელივით? რათ არ მოგვეშველებიო?

უჩაღს მაინც არასფერი აღარ ესმოდა ამ სოფლის. ის თავის სულში ჩამძვრალიყო და ტირილდა, რავარც პატარა ბოფში.

ახლა კი გასკდა გულზე ეშმაკი: ერთი უმის სული ეკარქებოდა. ეიუვანა ამ დედაკაცმა ძუძუს ბაღლი, რაც ძალი და დონე ჰქონდა, შეიქნია, დანთხია ძირს და შეჭკივლა: ახლაც არ გვიშველი, შე ქოფაკოვო! იმას ეგონა, რომ ეს სანახავი და ეს კვიელი მაინც გამოაფხინზღებდა უჩაღს. მარამ ეშმაკის უოველივე ცლა ამოთ წვიდა.

¹⁾ წყეულ.

უჩაღი ისევ ისე ლოცვილობდა კრავივით მშვიდი და ბავშვივით მტირაღი.

მაშინ იწათა კიდევ. მზის შუქი უხვათ მიენათა რავარც ხატს, ისე უჩაღს და აკი სასწაულიც მოხთა: თვალ-ცრემლიან უჩაღს მუკჩვენა, რომ ხატი შეიშმუშნა, შეინძრა, გაცოცხლდა!

გაცინებულმა უჩაღმა ნეტარებაში დალია სული.

20. დ ი ა კ ო ნ ი.

იყო და არა იყო-რა. იყო ერთი დიაკონი. დიდი ღვთის-სასობა ჰქონდა. იცნობდა ერთ ვაჭარს, რომელთანაც ხშირი მსვლელობა ჰქონდა. ვაჭარი დიდი ნამგზავრ-ნათრევი კაცი იყო, ბევრი ხალხი ენახა, ბევრი რჯულის ხალხთან ქონდა საქმე და აგრე ძალიან აღარ იტაცებდა სარწმუნობა. როგორც კი შეხვდებოდა დიაკონს, მაშინვე სარწმუნობაზე ჩამოუგდებდა ლაპარაკს და ერჯულ იქამდი მივიდენ, რომ ხელით მიიწიეს დარმე¹⁾ ერთმანეთზე. დიაკონი ამბობდა: „ცანი და დედამიწანი შირეენ, არა შირეენ მხოლოდ სიტყვანი ღვთისა. თუ ღმერთს უნდა, მე, უბრალო კაცის შვილს, ხემწიფეთ გადამაქცევსო“.

— თუ ეგ აგრეა, რატომ არ უნდაო? — კითხულობდა ვაჭარი: განა ხომ ყოველი მართალი, თავისი ერთგული მოსავი მას არ უნდა ძულდეს? შენ ხომ ღირსი ხარ მისი ერთგულების შენი წრეელი სასობისათვისო?

— „ვერვინ ცნობად არს საქმენი უფლისანიო“, — მიუგებდა მაშინთვე დიაკონი.

ეს ვაჭარი შესული იყო მეფის სახში. მეფე მასთან კიდევ ბასობდა ხოლმე შინაურათ.

ერჯულ მეფესთან ჩამოაგდო ვაჭარმა სიტყვა ამ დიაკონის შურუველ სარწმუნობაზე. მეფე კეიტაცა ამ ამბავმა და ერჯულ საიდუმლოთ მიიწვია თავისთან დიაკონი.

¹⁾ კინლამ.

— დიაკონო, უთხრა მეფემ: შენ კარგათ უნდა იცოდე, რომ მე ჭეშმარიტი მორწმუნე ვარ. შენი გულ-წრთული სარწმუნოების ამ ბავშვს მოატანა ჩემამდი. ვინ იცის, იქნება დმერთს უნდა, რომ და-გაჯილდოვოს. ცადე ბედი: მე დამეკარქა ერთი ბეჭედი. გადავყუ-ვი და ვეღარს ვნახე. სამი წლის ვადას გაძლეე. თუ ნახავ და მამი-ტან, ჩემ ქალიშვილსაც შენ მოკათხოვე და ჩემ სამეთოსაც შენ გადმოქცემ, თუ არა და უნაყოფო იქნება შენი სარწმუნოება, დმერთს შენი გულწრთული სარწმუნოების დაჯილდოება არ ენდომინება და ჩემს სახემწითელში ნულა შემოხვალ. მე მეგობება, რომ შენ მკვტარი ხარ, და ჩემი სარწმუნოება მანც ურყევლათ დარჩება.

დიაკონმა მადლობა მოახსენა, დოჟურა თავი და წვევიდა ბედის საცთელათ.

მარამ რაღა ბედი უნდა ეცადა: ის ბეჭედი, დედოფალი რომ მოკვტა, თან ჩაყოფა მეფემ და დედოფალი კი ისეთ აკლდამაში იყო დარქალული, სადაც ყარული ყარულს ეხაცვლებოდა მუდამ ჟამს და ერთიანი მარმარილოებით იყო შემოფიხული მისი კუბო.

მეფემ განტების გამოცთა შეინდომა ამ დიაკონის ბედის ცდით.

წვევიდა დიაკონი, მარამ, სად მიდიოდა, თითვანაც არ იცოდა.

დითხანს იარა, ბეგრი ცხრა მთა-გორი გადათელა; სადაც მიუცვ-თა¹⁾ ენა, ვეფელან კითხულობდა, თუ ვისმე სმენოდა რამე ხემწითის ბეჭედზე. მარამ ტყვილა იკლავდა თავს: არც მნახველი და არც გამ-გონე არსა იყო.

მიიწურა აკერ კიდეც სამი წელიწადი. ყოველ იმედ-გადამწედა-რი, მარტვა ძვალი და კანი დიაკონი უიალის დროს წაატელა უღაბურ-ში ერთ მონასტრის ნამგვრეს. ვინაიდგანაც დამდებოდა და ირგვ-ლივ ვერანა, უკაცური ველ-მინდორ-ტყეები იყო, ღამის გასათევით შეესაფრა ნამგვრეებს; დწვა ერთ ადგილას, სადაც ძლივს ჩამკია-ფობდა²⁾ ჭუჭრუტანიდან მთვარის შუქი. გადავიდა შუა-ღამე. დია-კონს არ ძინავს; ან კი რა დანძინეფს? მისი უნუგემო მდგომარეობა არ კმაროდა მისთვის, რომ ძილი და მოსვენება დაკარქოდა?! უც-

1) მიუწვდა.

2) კიაფი—შორიდან გამონათება.

რათ დაგუდული¹⁾ ხმა გეიცა. შეკრთა ღიაკონი და გველ-ნაკებნივით წამოყარდა ზეზე. ეს მკვეტრის ღანაკას წაგავდა. ღიაკონი შიშმა ეიტანა. ხელ-ახლა გამეორდა ხმა. ღიაკონი უფრო გაფითრდა და აკანკალდა. მესამეთ კიდე გეიცა ხმა და ახლა კი გაარკვია ღიაკონმა. ხმა იახლდა:

— „ღიაკონო, მოდი მიშველე და მე შენ გიშველი; მისხუნი და გახსნია“.

— ვინ ხარ და რა სულიერიო? შეკვითხა ღიაკონი აკანკალეულის ხმით.

— მე ვარ ეშმაკიო, გაგონა ხმამ.

— ეშმაკიო? დეიძისა ღიაკონმა და თითის ფხინილებამდი გააცივა: მერე და ეშმაკი რაა, რომ იმან უშველს ქრისტიანს, ღვთის-მოსავე კაცსაო?

— „თუ მე არ მიშველე, შენი საქმე წამხთარიაო“, — გამოძისა ეშმაკმა ღიაკონს: განგება მხოლოთ ჩემით გაამართლებს შენს ბედის ცდასაო. დამისხუნი და მე გიშონი იმ ბეჭედს, რომელსაც შენ ექუფ, ეს სამი წელიწადი თავდება მას აქეთაო. ნუდა ყოყმანოფ—ამიშვი—მზეთ-უნახავიც შენია და სახემწიფოცო!

— სად ხარ, რა გასაჭირში ხარ და რავა უნდა გიშველო, თუ კი რამე შეედა შემიძლია მართლათ?

— აქა ვარ, აგერ, შენ რომ თავი გეღვა, იქანა. თუნგში²⁾ ვარ ჩამწეგრეული და მადლა, თუნგის თავზე, ჯვარი მადევსო. ამ ჯვარის შიშით ველარ ამოვმძვრადვარ ამ თუნგიდან, დიდი ხანია მას აქეთაო.

მივიდა ღიაკონი, მართლათ ნახა თუნგი, რომელსაც თავზე ეღვა ჯვარი. ეიღო ღიაკონმა ჯვარი და მთვარის შუქზე ჰატარა თუნგიდან ამოძვრა უშველებელი ეშმაკი თავის რქებისა და ფლოქებისა³⁾.

— წამოდი ზღვის შირზეო,—უთხრა ეშმაკმა ღიაკონს: იმ ზღვაშია ვეშანი, იმ ვეშანს აქ(ვს) გადაულაშული ის ბეჭედიო. შეფეს კი გონია, რომ ის ბეჭედი და დედოფალი იქავე მარხია აკლდამაში

¹⁾ დაგუდული ხმა—ყრუ, დახურული ხმა, გაგუდული.

²⁾ თუნგი—სპილენძის წყლის-ჭურჭელი.

³⁾ ფლოქი ჩლიქი.

და დარაჯები არ დაანებებენ დიაკონს ამოსათხრელათ დედოფალსაო. რომ დაანებონ კიდე, მაშინ გევიგებ, რომ ჩემი მეფობის დღე დასრულდება, რომ ხალხი მღალატობსო. ის დედოფალი კი ხალხმა დიდი ხანია მიეპარა და თავისი უკაცური საქციელისთვის, ერის დიდუბოკველობისთვის, ზღვაში შეაგურა. ისიც და მისი ბეჭედიც იმ ვეშაპმა შეეღაპა. მე ვნახაპ იმ ვეშაპს და მოგიტან ბეჭედსაც. წამოდი, წამოდიო, — და გეეშურენ ზღვისაკენ.

დიდი იარეს თუ ზატარა, მიაწიას ზღვის ზირზე.

რავარც ბრახიანი¹⁾ ძაღლი, შევარდა ეშაპი ზღვაში, სულ არი-დარია ზღვა, მთების-ხელა ზვირთები აყენა. ბოლოსაც მზერი-დან დეიკარქა. ღრინავს და ღრიალებს აქოთებულა ზღვა, კალაპოტში აღარ ტუვია. დიასხანს იცადა დიაკონმა, ბოლოს იმედი დეეკარქა და თქვა: ეშაპის გამართლებული ბუდის ცთა განგებას ძრახსაც²⁾ სდებსო და ის-ის იყო წასვლას აზირებდა, რომ საშინლათ ეიმძვრა ზღვა, აუვირდა საშინლათ და აგერ ღრუბელივით ამართულ ტალღას გამოაყვა ეშაპი და უზარმაზარი ვეშაპი. საშინელი ძაღლით გამოაგდო ვეშაპი ტალღამ ნაზირზე და ტალღები ისევ უკან გაქანდენ.

გახია ეშაპმა საშიშარი ბრჭყალებით ვეშაპის მუცელი, გამოფატრა და გამოაგდო იქიდან წელები. ამ წელებში კი გამოაგუჭა და გამოვიდო ბეჭედი და მიცა დიაკონს.

აქიდან ეშაპმა გაატილა დიაკონი ისევ იმ ნამგრევებამდი. ნამგრევებში რომ შევიდენ, სიცხე იყო და გრილოში მისევნენ. მოსვენების დროს ეშაპი მოყვა, თუ რავა ჩამწვერიეს ამ თუნგში ბერებმა. დიაკონმა არ დეიჯერა...

— ნურასფერი გაგივირდებო, უთხრა ეშაპმა: მე მაშინ ახალ-გაზდა ეშაპი ვიყავი და ეშაპებში დევიჩემე³⁾ — ბერებს მე შევაცთენ-მეთქი. შეველეკვე⁴⁾ ბერებს. ეშაპზე უფრო ეშაპები იყვენ ის ბერები. გამოიგეს ეშაპობა, მიმიწვერიეს თუნგთან; მიკმიეს და მწეუ-

1) ცოფიანი.

2) ძრახი—ძრახვა, წუნი, გმობა.

3) დავიქადე.

4) შელეკება—მოლაქუცება, შეველეკვე—მიველ აქუსე.

ვლეს და შიგ თუნგში ჩამაძვრინეს. მადლა ჯვარი დამადვეს—დამბეჭდეს. მას აქეთ დიდი ხანი გევიდა. ბერები გადაშენდენ, მონასტერი დამგვრიეს და ჩემი მხსნელი კი არავინ გაჩნდა.

— ამ თუნგში რათი ჩაძვრებოდიო? გეიკვირიაკა კიდე დიაკონმა: ჯერ იქიდან რომ ამოძვერი, მე იმანაც გადამრია ღარმეო. დოუ-ჯერებელია! შენსელა ეშმაკი ისე ვერ დაზატარავდება, რომ ამ თუნგში დეეტოოსო.

— ა, თუ არაო, — თქვა ეშმაკმა, — ილია, ილია, დაზატარავდა, დაზატარავდა და ჩაძვრა თუნგში.

ჩაძვრა თუ არა ეშმაკი თუნგში, ეფვასავით ეცა დიაკონი ჯვარს და ხელათ დაადგა თავზე თუნგს. დაბეჭდა ხელახლა თუნგში ჩამძვრალი ეშმაკი. უოველი ვედრება, ხვეწნა ეშმაკის ამაო იყო. დიაკონმა ამოთხარა მიწა, ჩაკირა შიდ ჯვარიც და თუნგიც ისე, რომ არასოდეს აღარ განთავისუფლებულიყო ეშმაკი, და გამოეშურა ბეჭდინა შინისკენ.

სამი წლის მიწურულზე კიდეც მიატანა დიაკონმა შინ და მარტვა ბეჭედი შეეეს.

— ვინ მოქცა ეს ბეჭედიო? იკითხა გარისხებულმა შეუემ.

— ვეშაზის მუცელში გამოვიდეთ, — მიუგო დიაკონმა.

— სტუეი, შენ მოგიზარავს ჩემი დედოფლის აკლდამიდანო. ეს ბეჭედი იმას ჩავატანე სამარეშიო.

— შენი დედოფალი ვეშაზის გვამში იყოო.

შეეე მინხთა, რომ მისი მეუღლა აღარ ღირდა მანაც, დაწერა ჯვარი დიაკონზე თავის ქალიშვილს და თავის სამეუფაც, რაფარც შეზირებული იყო, მას დოუღაცა.

შეინხო ახალმა შეუემ, დიაკონმა, ვაჭარი და უთხრა: ახთა თუ არა ჩემი სიტყვაო?

— რომ მე არ დამეწეო მაგ საქმე, შენ ვერაფერს ვერ ეღირსებოდიო.

მოუევენ ერთმანეთს უოველისფერს და დიაკონმა-შეუემ ეს ვაჭარი დეიჯინა თვის ვეზირათ.

21. თორმეტ-თავიანი დევი.

იყო და არა იყო-რა. იყო ერთი ხემწითე. უაზღა მეტათ ლამაზი, მსუეთ-უნახავი ცალი. როდესაც მესამე ვაჟი ეყოლა, ბოგში ხოჩინში¹⁾ იყო, რომ, სად იყო და სად არა, გაჩათ თორმეტ-თავიანი დევი და შეიტაცა მსუეთ-უნახავი დედოფალი. მეფემ თავი ქვას ახალა, მარამ ვერაფერს ვერ გახთა; იმან კარქათ იცოდა, რომ თორმეტ-თავიანი დევი ძალ-დოურეველი და უკვდავი იყო და მისი გამკლავებაც უნაყოფოთ დარჩებოდა. ბევრი ითავტემა, იტირა, ბოლოს ბედს თავი მოუხარა და ჯავრი შეინელა.

გეიზარდა ჰატარა ძმა, ხოჩინზე რომ იყო დაკრული. ერთი დღის ერთი კვირისას გაუდა, ერთი კვირისას—ერთი წლისას.

როცა მევიდა სიუმაწვილის გეზში²⁾, მამს დეკეთხა: „მუადა მე დედა, თუ არაო“.

— რაა არ ქუადა, მიუგო მამამ და ჩმოუშვა ცრემლის ღვარი: თორმეტ-თავიანმა დემა მამტაცა მშინ, როცა შენ ახალი დაბადებული იყავი და ჯერ კიდევ ხოჩინზე იყავი დაკრულიო.

ამის გამგონე ვაჟს აღარ ქობდა მოსვენება. დღეც და ღამეც დედის დაკარქვა აგონდებოდა. დევის სისხლი ეელში მოდიოდა.

ერჯულ გეხმო თავისი ძმანები და უთხრა: თორმეტ-თავიან დეეს მოუტაცია ჩენი მშობელი დედა. მე ეს ამბავი გევიგე და მოსვენება აღარ მაქ. თორმეტ-თავიანი დევის სისხლი მწუურია. თუ ჩემი ძმანები ხართ და დედის სიყვარული გაქთ, წამოდით, წვიდეთ და მოგვლათ ის დევი, და დედა დევისსნათ, ან ჩვენც თან გადავუკეთო.

ძმანები დეთანხმენ და კიდევ წვიდენ თორმეტ-თავიანი დევის საძებნათ.

დიდი იარეს თუ ჰატარა, მივიდენ ერთ გზა-ჯვარადინზე: სამი გზა ერთათ იერიდა თავს. ერთ გზაზე იყო ქვა დანობილი და ზედ ეწერა: „ჩინც აქეთ წვიდეს, ადვილათ მობრუნდესო“; მეორეზე ეწე-

¹⁾ ხოჩინი—ხოკიკი, პატარა თხელი ფიცარი (ყავარი), რომელზედაც ახლად-შობილ ბავშვებს აკრავენ, აკენის მაგიერი.

²⁾ ასაკში.

რა: „ვინც აქეთ წვეიღეს, საეჭვო იყოს მისი მობრუნება“; მესამეზე ეწერა — „ვინც აქეთ წვეიღეს, ვეღარ მობრუნდეს“. უნცროსმა კირჩია სხიფათო გზა, შუათანამ — სათუო გზა და უმფროსმა კი — საადგილო. გამეკმშიდობენ ერთმანეთს და წვეიღენ თავ-თავის გზაზე.

იარა, იარა უნცროსმა ძმამ და ცხრა მთა გადაიარა. ნახა, ერთ ალაგას ქალაქია. ქალაქის მცხოვრებლები შიშისგან აღარ არიან: ერთი გარეული ტანი გამოდის თურმე ზღვიდან და ახსრებს და იკლებს მთელი ქალაქის მცხოვრებლებს. დიდი და ზატარა ჩივის და, რავა უშველდოს თავს, ვერასთერი გამოუგონებია.

მივიდა ამ ქალაქში ხემწიფის უნცროსი ვაჟი თუ არა, ღონე ერჩოდა და გადაწევიტა ზღვაზე წასვლა. იქ შეხვებოდა სადმე ამ ქვეყნის ამოხსნებელ ველურ ტახს და დეკტკერებოდა.

მივიდა ვაჟი ზღვაზე და გადახედა. ზღვაში კოშკია ამოსული და ცამდი ცვთება¹⁾ მისი წვერი. კოშკზე გადმომდგარა მზეთუნახა-ვი და ანათებს ზღვას. მზეთუნახაგმა გადმოძახა ბიჭს: რამ გავაბუბედვია აქ მოსვლა, თორმეტ-თავიანი დევის შიშით მადლა ფრინველს ვერ გოუფლია და ძირს ჟინჭველასო²⁾.

— მე მევედი აქ ჩემი ბედის-წერის გამოისობითო, მიუგო ბიჭმა: შენ რადამ მოგიყვანა თორმეტ-თავიანი დევთანო?

— თორმეტ-თავიანმა დევმა მამიტაცა და წამამიყვანა მაშინ, როცა მესამე ვაჟი მეუოლა და ჟერ კიდევ ხორჩიზე მყავდა დაკრულიო...

— მე ვარ ის ხორჩიზე დაკრული შენი შეილიო, მიაძახა ვაჟმა დედას. ახლა წამევიჩიტე³⁾ და მე და ორი ჩემი ძმა კიდევ — სამივე შენს საძებრათ და დასახსნელათ ვართ შინიდან გადმოფარდნილიო.

— ვაიმე, შეილო! თორმეტ-თავიანი დევი ძლიან ღონიერი და უკვდავია, რადგანაც სული სადაცა⁴⁾ აქვს დამალულიო.

— შეხვებწე, ჩემო დედა, და, იქნება, გამოტყობ: სად და რა-შია მისი სული და რა არის მისი ძალ-ღონეო.

1) სწვდება.

2) ჰიანჭველასაო.

3) წამოვიხარდე.

4) სადღაცა.

ამ დროს თორმეტ-თავიანი ღვევი სანადიროთ ეოფილიყო წასული.

ვაჟი წვეიდა ქალაქში. მევიდა ღვევი და დეიძას: „აქ კაცი სული დეას, ხომ არავინ ეოფილა აქაო?“

— არაო, უთხრა მზეთუნახავმა და ბურსოულით¹⁾ მოწმინდა შუბლზე გადასკლარი ოფლი: შენი შიშით ცაში ფრინველი კვლარ დაფრინავს, მიწაზე ჯინჯველი, და კაცი მობედავდა აქაო?

მოუარა მზეთუნახავმა ღვეს. მართავს საჭმელ-სასმელი და შერე კითხა: მეტათ მაკვირებს შენი ძალ-ღონის და სულის საქმე—არ არის სულდგმული, რომ შენი არ ეშინოდეს და უკვდავსაც გიძახიან,—რამა და სადაა შენი ძალ-ღონე და უკვლარობაო, სად არის შენი ღონე და სად არის შენი სულიო?

— ჩემი სული ე იმ კერიის²⁾, ძირში მარხიაო, უთხრა ღვემა.

როცა წვეიდა ღვევი ხელახლა სანადიროთ, მევიდა ხემწიფის უნცროსი ვაჟი დედა-მზეთუნახავთან და კითხა: რა გეიგე, ღველაო?

— მე ის გევიგე, შეიფლო, რომ ღვევის სული ე იმ კერიის ძირშია დამალულიო.

— აბა, დედაჩემო, ეგ კერიის ძირი ააუვავე, შეამეკე, სულ უვა-ვიდეებით მოჭეინეო. ასწავლა თუ არა ვაჟმა დედას ეს, თითვან წვევიდა ისევ ქალაქში. დედამ ზედ-მიწევნით აასრულა შვილის დარიგება და როცა მევიდა ნადირობიდან ღვევი, შეხედა კერას და სიცილი ოუტყდა.

— ეს რა გეჩნია, ქალო, კერა რისთვის აგიუვავილებიაო?

— შენი სული მიუვარს და ამით მინდა დავამტკიცო ჩემი სიუვარულიო.

— ჩემი სული მართლა ე იმ კერიაში კი არა, ამ სვეტშიაო.

როცა წვეიდა ღვევი, მევიდა ვაჟი და უთხრა დედას: რა გეიგეო?

— დედა! იმ რწვეულის სული კერიაში კი არა, სვეტში უოფილაო.

— აბა, ახლა ეგ სვეტი შეკახე, ააუვავე. როცა დავრწმუნდეთ, სადაცაა ღვევის სული, მერე მე ვიცი, რასაც ვიზამო.

1) ბურსოული—აბრეშუმის მოზრდილი ცხვირსახოცი.

2) კერია—კერა.

თქვა ეს თუ არა ვაჟმა, წვევიდა. გააღამაზა, შეაფეხავიდა მზეთუნახავმა სვეტი და, როცა იყო, დევნიტ შევიდა.

— რა გიქნია ეს, ქალოფო?! თქვა დევმა და ოუტყუდა სიცილი, — მართლა სვეტში კი არაა ჩემი სულიო.

— ახა, სად არის, რომ ვცე თაყვანიო?

— ჩემი სული ახარია ორ ტრედს, ჩემი კოშკის თავზე რომ დაფრინავენ ხოლმეო. იმათ ორივეს თითო კვერცხი აქთ დოუდებელი და იმაშიაო. ჩემი ჯანი და ღონე-კი ერთი ტახისა ამ ზღვაში და იმას აქ(ეს)ო.

როცა წვევიდა დევი სანადიროთ, მევიდა დედასთან ვაჟი და გეიგო უოფელისფერი. ვაჟმა უთხრა დედას: მევიდეს თუ არა დევი, გემოკითხე—რა დეიმორჩილებს იმ ზღვის ველურ ტახსაო.

ვაჟი წვევიდა ისევ ქალაქში.

როცა მევიდა დევი, მზეთუნახავმა ბურსოუფით მოწმინდა ოფლი შუბლზე და უთხრა: რაჟა ექნება შენი ჯანი ველურ ტახს? შენ მე კიდევ მატუეუფო.

— მართლს გეუბნებიო, შეფიცა დევმა. ის ტახი ძრიელ დონიერია და ვერაჟინ და ვერათერი ვერ შეერევაო. არის ხოლოთ ერთი საშუალება და ისიც მარტვა მე ვიციო...

— მე არ მენდობი, განა, და მიფიცავო? უსავეკდურა მზეთუნახავმა.

— სული სად იყო ჩემი, ის გითხარი, იმას გენდევი და ამას რაჟა-და დაგიფიცავო, — ჩემ ოფლში ნაწითობი ხმლის მეტი ვერანსფერი რკინოუფი, რა ბასრიც უნდა იუოს, ვერ დაჭრის იმ ველურ ტახს და ვერ მოკლამსო.

როცა წვევიდა დევი სანადიროთ, მევიდა მზეთუნახავის ვაჟი, და დაწერილებით მოუყვა უოფელისფერს თავის შვილს დედა.

ვაჟმა უთხრა დედას: ახა, ახლა იმაცადინე და, როცა ოფლიანი მევიდეს თორმეტ-თავიანი დევი, ბურსოუფებით მოწმინდე ხოლმე ოფლი. ის ოფლი გამოწურე და ამგროვე ჭურჭელში. ამგვარათ დამგროვებული დევის ოფლი მამეტი მე და მერე მე ვიცი და იმ დევმაო.

ასე შეიქცა დედა და იმდენი დოუმგროვა დევის ოფლი ვაჟს, რომ აწი ხმლის საწითობათ ეუოფოდა. ვაჟმა წვილო ეს დევის ოფლი,

მივიდა ქალაქში ერთ ხმლის მკედელთან და ამ ოფელში აწითობა ხმალი. ჩამეკიდა ეს ხმალი და წამევიდა ახლა გულ-ახლით, ვირ-დაპირ, უშიშრათ ზღვისკენ. ქალაქის მცხოვრებლებმა სხლეები, ღუქნები—სულ ყველაფერი მიკეტ-მოკეტეს და მიიძალ-მეიძალენ—არ განუდღეს ტახი და თავზე არ დაგვეტეს, თუ არა ყველას დაგვეჭმისო.

მიიჭრა ზღვასთან ვაჟი. მოკრა მას თვალი ტახმა თუ არა, წამევიდა ზღვიდან და დალო ზირი ვაჟის შესაჭმელად. მაშინ მოუქნია ვაჟმა ხმალი და გაწევიტა ტახი შუაზე. ეიხედა მალჯა თუ არა, დენახს ორი ტრედი—მალდიდან დეექანენ, რომ ტახისთვის წამეკრათ ფთები და გვეტოცნებობათ; მოუქნია ვაჟმა მათაც ხმალი და ორივე გაწევიტა შუაზე. თითოს თითო კვერცხი კადმოფარდა და წააფლო ხელები ამ კვერცხებს ვაჟმა. დეიკავა ხელში და ევიდა კოშკში.

მოდის ძალა-გამოლეული დევი, მოფირთიტობს მთიდან. ვაჟმა დევს შესძახა: შე უბედურო, ხმა არ გამცე, თუ არა, ხომ ხედავ, შენი სული ხელში მიკავია და გაგაქროფო!

— შე კაი კაცო, შე არ ქცემ ხმასო, შეელეკვა დევი.

— აბა, მალე ეკიდე ზურგზე, რაც ცხოვრება გაბადია ამ კოშკში, შენი მზეთუნახავიანა და გამამევი, სდაც წევიდეო.

ენა-დოუსოფლებლათ ასრულებდა დევი ვაჟის ბძნებას.

წევიდენ. დიდი იარეს თუ ჰატარა, მიაწიეს ხემწითის სსახლემდი. როცა მიახლოდენ, ვაჟმა მამას მახრობელი უფრინა და შოუთვა-ლა: შენი ვაჟიც მოდის, დედაც მოუფს და თორმეტ-თავიანი დევიცო.

ხემწითემ რომ ეს ამბავი გვიგო, ბნელა დეემართა, შიშით გააცივა: არც ვაჟი მინდოდა, არც დევი და ადარც მზეთუნახავიო. გვიქცა და თავისი შეილებიანა (ამ ვაჟის ორივე ძმა, რა ხანია, მობრუნებულან) ცხრა-კლიტულში დეიძალა.

მევიდა უნტროსი ძმა სხში, ჩამახდა დევს ყველაფერი. გამეიფანა ცხრა-კლიტულიდან ორი თავისი ძმა. ერთი კვერცხი ერთ ძმას მიცა ხელში, მეორე მეორეს და უთხრა: მიდით ეიმ კდესთან, დაახლეთ ქვაზე ეს კვერცხები და დაამტვრიეთო. დევიც იქ წეიფანეთ—უწიანეთ¹⁾ ხელი და კდზე გადაამსვრიეთო. ასე შეიქცენ ძმა-

1) უწიანეთ—ჰკარით.

ნები: დააფენთხეს¹⁾ კდეზე კვერცხები და ღვევი კისრის ტიხით გადოუძახეს კდეზე.

ახლა კი გამობედა მეფემ ცხრა-კლიტუდიდან, გამევიდა, შეეხვაცოლსა და შვიდს და მის სიხარულს დასასრული აღარ ჰქონდა. ამირიდან ცხორებდნენ მშვიდობით და ბედნიერთ.

ჭირი იქა, ლხინი აქა; ქატო იქა, ქბილა აქა.

22. ს ა მ ი ძ მ ა .

იყო სამი ძმა კაცი. გაიყვენ და სამივე თავ-თავისთვის ცხოვრობდა. ერთი ძმა იყო მწვესი და ცხვარს აშენებდა, მეორე იყო მიწის მუშა და ხვან-თესვას და ზურის მოყვანას ეჯობდა, მესამე ძმა კი ვენახებს აშენებდა და ღვინო მოყვდა.

ერჯულ სამივე ძმა წვევიდა მთაში შეშის მოსაჭრელათ თავის საგძლით და დაღესილი ცულებით.

მივიდნენ მთაში. წაქციეს უშველებელი მუხა და დოუწვეს ზობა. აპეს, აპეს, მარამ ვერასთერი ღონით ვერ მოახერხეს მუხის დაზობა. მოჭრიან მეორე ძირ მუხას და ის კიდე უფრო კუნძიანი და გოუზბოელი დამოღება. ილაჯი გოუწვდებათ. როცა ის-ის იყო სახლშიდაც უნდა გამობრუნებულყვენ, ამ უსიერ²⁾ მთაში, ხედავენ, ვინცა გლახაკი წამოადგათ თავზე და გამარჯობა მიუღოცათ. სალამის შემდეგ შეჩივლეს გლახაკს ძმანებმა, რომ მთელი ერთი კვირის შრომამ ამათ ჩოუარათ, რომ ხეები ვერ დააპეს, რომ ზათარში უცეცხლოთ უნდა დეიხოცონ.

გლახაკმა უთხრათ: აღბათ თქვენ ისე მოუღეკით საქმეს, რომ ღმერთი არ ახსენეთო და ვერც არასთერი გაგირიგებიათო.

მაშინ ახსენა ღმერთი გლახაკმა, ეილო ცუელი ხელში, მოუმარჯვა სოლს, მოიქნია, დაჭკრა და ხე ყავარივით გეიზო.

ძმანები მიხვთენ, რომ ეს გლახაკი უბრალო კაცი არ იყო, მუიხარეს ქედი და სცეს მოწიწებით თავუანი.

თურმე—დიდება მის სახელს!—მაცხოვარი იყო.

¹⁾ დაახალეს.

²⁾ უსიერი—დაბურულ-გაუგალი.

— სანამდი რაჲე საქმეს შოუდგებოდეთ, ბძანა მაცხოვარმა: არამც და არამც არ დეივიწყოთ ღვთის ხსენებაჲ. ახლა, რაც გინდათ, მთხროვეთ და მოგანიჭებთ.

უმფროსმა ძმა თხროვა: მე ვარ მწვესი და მუაგს ცხვარი. რაცხა ჩემი ცოდვის კითხვაჲ, ვერ იხეირა, ვერ იმრავლა. დოლათი მაკლია და მამანიჭე ეგ დოლათი, რომ ცხვარი გამიმრავლდესო.

— მიბოძებია მაგ დოლათიო, უხასუხა მაცხოვარმა: მარამ, როცა გამდიდრდე, მთელი ფარა ცხვრის მოგეტეს, არ დეივიწყო ჩემი დარიგებაო: გლახაკი გეიკითხე, მოწუალე იუავი გაჭირვებულისო, არ დაგზარდეს დაცემული ძმის მინედეა და შემწეობაო.

მადლობა მოახსენა უფროსმა ძმამ მაცხოვარს და აღთქმა დოუდეა, რომ თქვენს ბძანებას არ გადაუდგებო.

მერე შუათანა ძმას უთხრა მაცხოვარმა: შენ რაღა გინდა?

— მე, მეუფეო ჩემო, მიწის მუშა კაცი ვარ. ვხნავ, ვთესავ, ტყავში ვძვრები, ოფლსა და შრომას არ ვერიდები, მარამ ნყოფიერი არაა ჩემი შრომა,—რაგარც მიუურეთ, ტყავი და კანი ვარ—მამანიჭე ბარაქა, გადამაბერტე შენი მოწუალების კალთა, რომ ჰურით ევსონ ჩემი ბედლებიო.

— მიბოძებია შენთვის ეგ ბარაქა და აქავე დეინახსოვრე, უთხრა მაცხოვარმა: გლახაკი, ქერიფ-ოხერი, საპყარი გიუვარდეს და მათი ლუკმის მიწოდება არ დაგზარდესო.

— რაგა დამზარდებაო, მიუგო შუათანა ძმამ და თაყვანი სცა მაცხოვარს.

ახლა უნტროსს ძმას მიმართა ქრისტე დმერთმა: შენ რაღას ითხოვ?

— მე რა ვითხოვო? ისეთი მეუდლე, ისეთი ოჯახის დედა მიბოძე, რომ ღვთის სიუვარული ქონდეს და საწყლის ჰატვის-ცემა, ლუკმის მიწოდება არ ეზარებოდესო.

— უჰ! აძვივინა მაცხოვარმა: მაგისტანა ქალწული ერთი იყო და ისიც ახლა ჯვარს იწერსო. მარამ ნუ გეშინია. წადი და ამა და ამ გზით იარე და იარეო. სოფელში რომ შეხვალ, გვიგონე ერთი სახლიდან უღრიამულს. იქ ქორწილი იქნება გაჩაღებული. გზაში ნა-

ხამ ხმელ ჟინყდილს¹⁾, ეიღე ის ჟინყდილი და ზედი ჯიქურ²⁾ მქორწილეებთან. სხში შუა ცეცხლზე იღებება იქ დიდი ქვაბი ადუღებული წყლით. მიდი, ჩარტვე ის ჟინყდილი მღუღარეში წვეროთი და დეიძხე: ღმერთო და ჩემო გამჩენო! თუ ჩემი ბედი იყოს ეს დედოფალი, გამხმარო ჟინყდილო, ამ მღუღარეში გეიდგი ფესოები, გეიხარე, ამწვანდი და ვაშლები შეიბიო. სხვა მერე უველაფერი თავის-თავათ აგისრულდებო.

უნცროსმა ძმამც მადლობა მოახსენა მაცხოვარს, თაყვანი სცა და გვეშურა თავის ბედის საძებრათ; ორი ძმა იქ დარჩა შუშის საზობათ.

მაცხოვარი კი უჩინარ იქმნა.

იარა, იარა უმცროსმა ძმამ და რაფარც ბძანა მაცხოვარმა,— განა მისი სიტუგა გეინრებოდა!—ისეც მინათა. შევიდა სოფელში, შამოქსმა ჟღრიაშული ერთი სახლიდან; წვეიდა იქით და გზაში იპონა ხმელი ჟინყდილი; შევიდა სახში და შუა ცეცხლზე ჩამოკიდებული ქვაბი დახვთა; ქვაბში წყალი დუღდა. ეიღო ამ ბიჭმა ჟინყდილი, ჩარტო წვეროთი მღუღარეში და დეიძახა:

— ღმერთო და ჩემო გამჩენო! თუ რომ ჩემი ბედი იყოს ეს დედოფალი, გამხმარო ჟინყდილო, ამ მღუღარეში გეიდგი ფესოები, გეიხარე, ამწვანდი და ვაშლები შეიბიო.

თქმა და ქნა ერთი იყო და მოხთა სასწაული,—მღუღარეში დარგულმა ჯოხმა გამეიბა ვაშლები!

სულ უველა გაკვირდა და თაყვანი სცა უფალს. სიძე ადგა დედოფლის გვერდიდან და თქვა:

— რაც ჩემი ბედი არ არის, ღმერთმა მაშოროსო. მის მაგიერ ჩაჯდა უნცროსი ძმა და აღარც შოუწვეუტით ქორწილი.

გვეიდა დიდი ხანი.

მეინება მაცხოვარმა ამ დაჯილდოვებული სამი ძმის გამოცთა:

¹⁾ ჟინყდილი—გადაგრეხილი (დაღვლერქილი) მსხვილი წნელი, რომელსაც სანათად ხმარობენ (კვარივით); ქართლში ზოგიერთ სოფლებში „ქალს“ ეძახიან.

²⁾ ჯიქურ—პირდაპირ, შეუპოვრათ.

აჲ, თუ რაფა ასრულებენ ჩემ ბძანებასაო, და გლახკის სხიით გამომცხადდა ამ ქვეყანაზე.

მიადგა ჭიშკართან უმფროს ძმას—მეცხვარეს. თვალ-გადუწდომულ ეზოში იდგა უთვალავი ცხვრის ფარა. ისმოდა თოლხების¹⁾ ბღავილი, იდგა ბიჭების ჟღრიათული. ბიჭები და გოგუები დაფათურბდენ და წველიდენ ცხვრებს, იქ კიდე ჰარსავდენ²⁾, იქ დეეკლათ ცხვარი და ატუაგებდენ. ჰატრონი დატრიალობდათ თავზე.

— შენი ღვთის გულისათვის, თხოველი³⁾ ვარ და გამიკითხე: ერთი ჰატარა თოლხი (ბატკანი) დამიკალი და მისი წვადი მადირსეო, შეევედრა თხოველი უმფროს ძმას.

უმფროს ძმას გეეცინა.

— შენ, ჩემო ძმაო, ძალიან ჰირის გემს თხოველი უთფილხარაო. ჰეი, ბიჭებო! მად ნაფოხარა⁴⁾ მორჩენილი კალათებში და მოუტანეთ, იმასაც არ დეიწუნებს, თუ შიად.

— არა, არა! თუ კაცი ხარ, დავარდნილი, მოხუცებული კაცი ვარ. მეღირსება კიდე, თუ არა ბატკნის მწვადის ჭამა, აღარ ვიცი და შენისთანა გაკეთებულ მეცხვარესაც სადა ვნახავ, რომ ჩემი სურვილი მოკლასო. მამაშვილობას, ერთი ჰატარა ბატკანი დამიკალი და ნუ გამიტყხ ხათრსაო.

— წუნია თხოველი მე არ გამიგონია, მოშუდვით უთხრა მეცხვარემ: რაც მოგიკითხონ, თაყვანი ეცი და მიიღეო. ჩვენ შენთვის რომ არა ქვეცალია, არ ხედავო? მოუტანეთ, ბიჭებო, ნაფოხარა, მად ეურება კალათშიო.

— რა ცალები ქეიდიათ, თქვე ხვთისაგან დალოცვილო?! დიდი საქმე იქნება, რომ ერთი ბატკანი გამემეტოთ ჩემთვის, თქვენი ხვთის გულისათვის, რომ ერთ საათს გაცდეთ და ერთათ-ერთი ნატკრა ამისრულოთო? ნუ ინებებ ჩემს გაცუცურაგებას⁵⁾, ნუ წამიხ-

¹⁾ თოლხი—თოხლი, ერთი წლის კრავი, მეორეში გადამდგარი.

²⁾ კრეკდენ.

³⁾ თხოველი—მთხოვარი, გლახაკი.

⁴⁾ ნარჩენი, ნასუფრალი, ნახორხალი.

⁵⁾ გაწმილებას.

თენ მადას — ერთი ბატონი გეიმეტე ჩემთვის და ღმერთი ათასობით მოგანიჭეთ.

— უფ! შემაწუხა ამ სდაკელმა მანწაწა... ამისთანა მოძლე თხოველი სად ნახულა? მოუტოვეთ ძაღლებიო!

მოუტოვეს ძაღლები და ის იყო, რომ შამეესიონ, ადგენ და უნდა დეფელითა თხოველი, — გაქვადითო! მიაძახა თხოველმა და ჰირ-დადრენილი ძაღლებიც გაქვადენ.

მაშინ მიხვთა მეცხვარე, თუ ვინ იყო ეს თხოველი და რა უბედურება დეიტესა ააფზე.

— ღირსი არ უოფელიფხარ შენ ხვთის მოწყალების. შენ ვერ ასრულე შენი აღთქმა და შენი დოლათიც ლანდივით გაგკლავება ხელიდანო, უთხრა მაცხოვარმა და წიქვიდა.

ახლა მიადგა საშუალო ძმის ჭიშკარს.

უშველებელი ეზო-მიდამო ღობით იყო შემოვლებული. გეგბათ გუთნეული, მუშაობდა ფერდოებში სხნისი. მოძრაობა იყო, მუშაობა. ბიჭები იმდეროდენ და თან მუშაობდენ. ეენტოთ სხლებსა და სხლებს შუა ბედლების წინ თორნე და ზედ დატრიალდენ ხაბაზი¹⁾ ქალები. მიდი-მოდიოდა შუანა ძმა და განკარგულყას იძლოდა.

— გამიკითხეთ, თქვენი ხვთისთვის, მშიერ-მწყურვადი, შორი გზით დალაული და განავათებული²⁾ თხოველი. ერთი ცხელი თორნეული³⁾ მამიკითხეთ.

შუანა ძმამ გეიტინა: ეს რა თხოველია, როცა არჩევანში შედის და ცივს კი აღარ კადრულოფს, ცხელი თორნეული მოუნდომებიაო! მოართვით თხოველს, მად ნახიკების⁴⁾ კალათებშიო, მიაძახა გოგუფს.

— შენს კაი კაცობას ერთი ცხელი ზური მამაწოდე... მოხუცე-

1) ხაბაზი—პურის მცობელი.

2) ძალიან დაქანცული.

3) თორნეში გამომცხვარი ჰადი.

4) ხიკვი—პურის ან მკადის ნამტვრევები, ნასუფრალი; ძალიან პატარა ნამტვრევებს „ფინჩა“ ჰქვია—ნამცეცი.

ბული კაცი ვარ, კბილები აღარ მაქ, ხმელ ხიკეებს¹⁾ ვერასტერს დააკლეთო.

— წუნია თხოველი მე არ გამიგონიაო; თუ არ გინდა, წაბ-
ძანდი, თუ არა და ამასაც კარქათ მიიერთებევო, უპასუხა შუნა ძმამ.

— რა იქნება რომ შენი ხვთის გულისთვის ერთი თორნოული
გეიმეტოვო? ღმერთი ერთი-ათასათ მოგიზღავს და ნუ დამიკავიე მა-
მაშვილობასაო, მიუძალა თხოველი.

— ქი-არ გადაურუა გულ-მუცელი²⁾ ამ მაწანწალამ: მაგისთვის
ქვცალაია ახლა ჩვენო?! მოდიო, ბიჭებო, მიბეგვეთ და გააკლეთო,
დეიფვირა შუნა ძმამ.

მოცვინდენ ალესილი³⁾ ბიჭები და, ის იყო, ხელი უნდა შეე-
ხოთ თხოველისთვის, — გაქვადითო! — მიაძხა მაცნოვარმა, და გა-
ქვავდენ.

ახლა კი მიხვთა მომტანო⁴⁾ ძმა, თუ რა ხვთის რისხვა დეი-
ტებს თავზე და ვინ იყო ეს თხოველი; მარამ ახლა გვიანდა იყო.

— დეიფიწეე, უბრძანა ქრისტემ: შენი აღთქმა? რავარც მოგე-
ცა, ისე ჩამოგერთმევა ხვთისგან მონიჭებული ბარაქაო.

წვიდა თხოველი ახლა უნცროსი ძმისკენ.

ეს იყო ერთი საწყალი დარბი კაცი. მისი ქონისკენ არავინ არ
მიუხევედა, და რომ დეინახეს მათკენ მიმავალი, თუნდა თხოველიც
ყოფილიყო, წინ შამეეგება ცოლ-ქმარი დიდი სიხარულით და ზა-
ტივით. შეუძდვენ ქონში. ჩამოხსნეს გუდა, ჩამოართვეს ხელ-საბიჯ-
გი⁵⁾ და კერისთან დააჯინეს.

ერთათ-ერთი ძროხა ვავდათ. სხვა არათური ღონე არ იყო, ის
უნდა დეეკლათ. თუმცა ბევრი უმალა თხოველმა, ნუ დაღუპავ ზატარა
შვილებს, ნუ დაკლავო, მარამ მან არა ქნა: ხვთის ნახობებისა და კი-
დეგ ის მამცემსო, იმეორებდა უნცროსი ძმა.

1) ხიკვი—ნახიკვი.

2) გადააყრუა გულ-მუცელი—გააჭირა საქმე, შემაწუხა.

3) ალესილი—გაალმანებული, გაბრაზებული, მოთმინებიდან გა-
მოსული.

4) მომტანო—მიმღევალი წლოვანობით. უმცროსი.

5) ხელ-საბიჯგი—ჯოხი, ყავარჯენი.

ამსობაში ქალი დაფათურდა. დაამთო მუა ცუცხლი, გააწყო კუცები, წამოაფლო ხელი ქოთანს და დაქბულის სსსესებლათ შეიბინა თავის მახლისას. მარამ ისეე ცარეელი ქოთნით მობრუნდა—არ მიესესებია. სხვაგან წასვლის გზა არ იყო, მიაღვა დედაკაცი თაროს. ხან ერთ ქოთანს გამოკეკავს¹⁾ გობზე, ხან მეორეს, ხან ბოყეებს²⁾, ხან კასრებს—მარამ მინც არასფერია.

ეს უგელაფერი კარქათ იტოდა, რასაკურელია, მაცხფარმა და ბძანა:
ხორცი იხარშებაო,
ჰური არსა ცხვებაო!

კეცები მეტის-მეტი გახურებით სკტებოდა.

— სადიდან გამოფარდა ეს თაგვიო? შეიძინა სტუმარმა. ქაღმა თაროდან სხე შეიბრუნა და ხელ-ახლა რომ იქითკენვე იქცია, რაღა ნახა! სულ უგელა ჭურჭელი დაქბულით³⁾ იყო თავ-გადავლებული. გობიც სამსე იყო.

მაშინ მიხვთა დედა-კაცი, თუ ეს სსწაული ვისით იყო. მიხვთა იმასაც, თუ ვინ იყო ეს თხფელი. ხმა არ ამოუღია. გულში თავფანი სცა დმერთს და დაუფათურდა ცომის ზელას.

რადგანაც ქმარი შემაზე გევიდა, მისი ცოლი მიუბრუნდა თავის უმიფროს ვაჟს და ჭურის თავზე გაგზანა ღვინის ამოსადებათ.

ვაჟი წევიდა. მოხდა ჭურს თავი და, ღვინოს რა იღებდა, გადაკრა თავმა და ში ღვინიან ჭურში ჩავარდა. ჩავარდა და ჩეიხნო.

ადარ მადის შინ ვაჟი. ახლა მეორე გაგზანა დელამ. იმასაც ის მარცხი დემართა—გეიგუდა ღვინოში. მესამეც გაგზანა. კიდევ ის უბედურება მოხთა. ახლა თითფან დელა წევიდა და რაღას ნახავდა?!

ხმა არ ამოუღია. გულში იკლავდა დედის მწუნარებას. ამოწყო სამივე დამხჩვარი შვილი ჰატარა ჭურიდან, გაახვია ჭილოფში და მარნის ყურეში მიღვა. თითფან კი მეორე ჰატარა ჭურიდან ამეიდო ღვინო და მოარბენია შინ.

¹⁾ გამობერტყავს, წამოაპირქვაეებს.

²⁾ ბოყვი—ხოყერი, ხის ქერქისაგან გაკეთებული კალათა.—გურულეები კი „ბოყვს“ ეძახიან ბოძს.

³⁾ ფქვილით.

მზათ იყო ვახშამი. მოვიდა სახლის ჰატრონიც და შოუდგენ ჭმას. როცა შეღვინიანდენ, თხოველმა ეიჩმა,—მოვარიანია და არ-მუღში¹⁾ სიარულს ამ სიგრილეში სიარული მირჩევენია—წავალ ახ-ლავეო. მასინძლები არ უშეებდენ. როცა აღარაფერი ეშვეკა, ვერ დეითანხმეს თხოველი, რომ დარჩენილიყო და შეესვენებია, თხოველ-მა თქვა: მეტათ კარქი ღვინო ქქონით, გამაცოცხლა და მანახვეთ თქვენი ჭურ-მარანიო.

აჰა, უარს რავა-ლა ეტყოდენ! შევიდენ მარანში. თხოველმა თვა-ლი მოკრა მიხვეულ ჭილოთს და იკითხა: ეს რა არის?

— ზურის ხვარბალი²⁾ კავრეტხე და გასაშრობელიაო, მიუგო დედა-კაცმა.

— აჰა, ვნახო რავარი ზურია თქვენი ზურიო და გადმოშალა თხოველმა ჭილოთი. განა არ იცოდა, რა ზურიც იყო? გადასახა ბაღ-ლებს ჯვარი და უბძანა გაცოცხლება. დიდება მის სახელს! ბავშვები წამოცქერიადდენ და იმას ამბობდენ: „რამდენი ხანი გვიძინებიაო“ და ეხვეოდენ თხოველ ბაბუას. მაცხოვარმა აკურთხა წამხლარი ღვინოც.

ახლა წამევიდენ აქიდან ქახში. იქ მაცხოვარმა შეითხოვა ძრო-ხის ტყავი და თავ-ფეხი. მოართვეს. გადასახა ჯვარი და გაცოცხლდა ძროხა. ბავშვები ყელზე შემოეხვიენ ძროხას და უცოცხნიდენ თვალებს.

დადოცა მაცხოვარმა გლახაკის ჰატოვის მცემელი ცოლ-ქმარი. დოულოცა მათ ხვთის ახთქმის უარ-მოფელების დოლათი, ბარაქა და დაპირა წასვლა.

მუხლ-მოდრეკით ცეს თაყვანი ცოლ-ქმარმა და ჰატარა ბოვშებ-მა მაცხოვარს, და მაცხოვარი უჩინარ იქნა.

23. ვაჭრის ქალი.

იყო და არა იყო-რა. იყო ერთი ვაჭარი. ძალიან შეძლებული კაცი იყო. უავდა ერთი ვაჟი და ერთი ქალი. ორივე მიბარებული

¹⁾ აღმური—სიციხე.

²⁾ პურის მარცვალი, მარცვალი პური.

უაღდა მასწავლებლებთან. ერთი, ქალი, იქავე, რომელ ქალაქშიდაც ეს ვაჭარი ცხოვრობდა, და ვაჟი კი სხვა ქალაქში.

ვაჭარს უაღდა ერთი გულითადი მეგობარი, სულის მამა, ბერი. უიმიროთ წყაღსაც არ დაქტევედა.

ერჯულ ვაჭარმა გეიძინა სხვა ქალაქში წასლა სავაჭროთ, მარამ ხათაბაღა ის იყო, რომ ოჯახში არავინ უაღდა თავის ქალიშვილს გარდა და ისიც ისე იყო წამოთქვირებული¹⁾, რომ მისი მარტვა დატოვება ძნელი საქმე და სახიფათოც იყო.

მეიხმე ვაჭარმა თავისი გულითადი მეგობარი და დეკეთხა: რა ვქნა, სავაჭროთ მინდა წასვლა ამა და ამ ქალაქში, მარამ ამდენი ზღვა ცხოვრება ვის დოუტოვო და კიდე მეტათ ჩემი ქალიშვილიო? ხათანგი მაქ თეხებში გამოდებული და თავისუფლათ აღებ-მიცემობა ვედარ მამიხერხებიაო.

ბერმა მიუტო: მერე მაგაზე რათ წუხარ, მე ატერა ვარო. ძმა ძმისათვის, ამ დღისათვის, რომ იტევიან, ესა და მეც რადა შენი ძმობილი ვოთეილვარ, თუ შენს ოჯახს და შენს ავლა-დიდებას ვერ მოვუარე, სანამ შენ მობრუნდებოდეო.

ვაჭარს გულზე მექნსა ჯავრი და ეელზე მექნა თავის ძმობილ სულიერ მამას: შენ ვოთეილხარ ჩემი მხსნელი ანგელოზიო!

ჩაბარა თავის მეგობარს თავისი ვოთა-ცხოვრება, თავისი ქალწული ქალი და გეკშურა გულ-აღხეინათ²⁾ შორეული გზით. ჯავრი და თექრი აქურობის თან აღარ მიუვებოდა, რადგანაც აქ ეკულებოდა გულითადი მეგობარი.

გევიდა რამდენიმე ხანი. ამ ხნის განმავლობაში ბერი თავის საქმეს აკლებოდა და მეგობრის საქმეს აქტევედა დიდ ვურადლებას. მეტის ვურადლებით ეკიდებოდა მეგობრის ქალიშვილს. ასე წარმეიდგინეთ, რომ სხვაგანაც კი აღარ უშეებდა სახლიდან—სასწავლებლათ. შინ მიუჯდა თითვან და დოუზარებლათ ასწავლიდა.

ქალიშვილი, ის იყო, ახლა იშლებოდა და სანახავიც აღარასეური ჯობდა: თურაშული ვაშლივით უღუვოდა ღოუები. ისეთი სანახავი შეიქნა, რომ თითვან ეშმაკსაც კი წამტერევიებდა კისერს.

1) წამოთქვირებული—მოწიფული, ჰასაკში მოსული, მოღერებული.

2) გულ-აღხეინათ—გულ-არხეინათ, უღარდელათ.

ბერი ნელა-ნელა შეეჩვია ახალგაზდა ქალიშვილს და იქამდე მივიდა საქმე, რომ ერჯულაც იყო, გამოუტყდა: მიუყარხარ, მოთმინება დამეკარქა და, გინდა თუ არა, მანც უნდა დამნებდეო.

მარამ უოველივე ვედრება, ხვნეშა, კაკვა-ხრუკვა ამაო იყო. ქალწული აინუნძიაც არ აგდებდა ბერის არშეობას და სხვასუხოთ ერთი ტკბილ სიტყვასაც, შებრალეების სიტყვასაც არ ეუბნებოდა. იმან შეჭკრა შუბლი, დახარა ძირს თვალები და რისხვის სახე მიიღო. ბერი ოფელში იწურებოდა.

როცა შეატყო ბერმა, რომ მოფერებით, აღერსით არასფერი გამოდნებოდა, შეიშულა, შეიღრუბლა და ახლა თითყან დოუწყო წერომა და მუქარა ახალ-გაზდა ქალს: თუ რომ ჩემი ჯინი ¹⁾ არ მოგიკლამს, შენს ძმას და მამაშენს წავაქეზეფ შენზე, იმათ დიდი ნდობა აქვთ ჩემი და უეჭველათ დიდ ბეესაბს ²⁾ გადაკვიდეფო.

დიდხანს მაკრობდა საცოდავი ქალი, მარამ ბოლოს ბერმა ისეთი მუქარები დოუყენა წინ, რომ ქალიშვილი მოტყდა, შეითენია ³⁾, თითქოს აღარც კი შეეძლო უარის გაბედვა და მოახსენა ბერს: ამა და ამ დღეს, ამა და ამ დროს, აქა და აქ რომ ახანოა, იქ მოყალ და გადაგიწედეს...

ბერს აღდგომა გოუთენდა, ცას ეწია და დანიშნული ვადისთვის გამარაგინდა ⁴⁾ დანიშნულ ადგილზე.

მართლაც მივიდა ქალწული, ნახა შეახანოვე, გეინმო კერძოთ და რადაცაზედ შეელაჰარაკა დიდის საიდუმლოობით, თანაც ოქროები ჩოუჩხრიალა ხელში.

რამდენიმე წოთში გავარვალეული შამფერი საიდუმლოთ უჩიტა ⁵⁾ შეახანოვემ ქალს ხელში და თანაც გოულო ახანოს კარი.

შევიდა შიდ ქალი და ერთი რადაც დაგუბებული ღრიალი გეიცა. ქალწულმა მიაძახა ბერს: შენ ეშმაკი შეგჯდომია გვერდში და მე გიხსნი მაგიდან, მე შენ დაგდადამ ჯვართათო. იშხივლა გულ-

¹⁾ ჯინი—ჟინი.

²⁾ ბეესაბი—უბედურება, ხიფათი.

³⁾ მოთენთვა—ყოველ სახსარში მოშლა, მოღუნება.

⁴⁾ გამარაგინება—ჩასაფრება, დარაჯობა, დახვედრა, დამზადება.

⁵⁾ უჩიტა—საიდუმლოთ მისცა, მიაგება.

მკერდზე ავარჯალებულმა შამთურმა და ელვასე ჩქარა გამობრუნდა აბანოდან ქალ-წული.

გვეიდა ხანი. ბერი ამ შეურაცხყოფის შემდეგ კანში იწვოდა: ეს რა მამიხერხა ჩემი მეგობრის ქალმაო.

დაწერა ბერმა ბარათი და გოგუგზანა თავის მეგობარს. წერდა, რომ უთველმა ჩემმა ზრუნვამ და ამაგმა, აგრეთვე როგორც დაპირებამ უნაყოფოთ ჩეიარა—შენი ქალიშვილი გადაევა გულის-პასუსს და მოდი, მოეშველე შენს ოჯახს და შენს საცხოვრებელსაო. მართალია, ქალიშვილს ვეღარ იხსნი გახრწნილობიდან, მარამ ცხოვრებას მაინც მოესწარი, თუ არა, მისი მოკურკუზე¹⁾ ხალხი ჩანთქამსო.

ეს წერილი უფრინა უცხო ქვეყანაში თავის მეგობარს და მანაც დაუფრინებლივ მიიღო. მიიღო, მარამ ვაი იმისთანა მიდებან! იტაცა თავში ხელები და სულ წია-წია²⁾ წვილო თმები: ტირიდა თავს, ტირიდა თავის საყვარელ, მარამ დაკარგულ შვილს, ტირიდა ოჯახს... მის უბედურობას ბოლო აღარ ქონდა.

ზეზე იყო, აღარ დამჯდარა, ისე წამევიდა და გვეიდა იმ ქალაქში, სადაც მისი ვაჟი სწავლობდა. მივიდა ვაჟთან, გეისმო საკუთრათ და აღედგებულე ხმით უთხრა: შენ ჩემი შვილი ხარო?—აგრე მასწავლა ცხონებულმა დედა-ჩემმაო.—გწამს ჩემი მამა-შვილობაო? — მაგას საქმითაც დაგიბტეციებო.—აჰა წადი და ჩემი ოჯახის გამათანსირებელი, ჩემი სახელის მომსპობი შენი და მოკალიო. უთხრა ეს და მიცა ხელში თავისი მეგობრის წერილი.

რავარც მამა, ისე შვილი—ორივე სრული მონა იუვენ ბერის სიტყვის, ორივე განუსაზღვრელათ ენდობოდენ მის ენა-პირს, და აქ გამოძიებაც აზრში აღარავის მოსვლია.

რომ წეიკითხა ბერის წერილი, ვაჟი გაგიჟდა, ძვალ-კანი შამუიჭმა: მამეცი დანა და ჩემი საკუთარი ხელით გავაცხებიებ სულს³⁾ ჩემს გაფუჭებულ დასაო.

მისცა მამამ დანის ნაცვლათ ხანჯალი თავის ვაჟს და გეისტუმრა თავის სამშობლო ქალაქში თავისი ქალიშვილის მოსაკლავათ. თი-

1) მონარშიყე.

2) წია-წია—ნაგლეჯ-ნაგლეჯათ.

3) გავაცხებიებ სულს—სულს ამოვხდი, მოვკლაფ.

თვან მამა ვერ ერეოდნა ღვიძლი შვილის სისხლში, არა და არ უნდოდა გაბანებული¹⁾ ქალიშვილი ცოცხალი დახვთეროდა²⁾ ოჯახში. რომ საქვეყნოთ საცინოთ ასაკლები მამა არ გამხთარიყო.

წვივდა ვაჟი სამშობლო ქალაქში. როცა მივიდა შინ, ღამე იყო. მიადგა სახლს.

— გააღე კარიო!

— ვინ ხარო, გამოძახე დამ.

— მე ვარო.

— ვინ შენ ხარო?

— მე ვარ, მეო...

— ბერი ხომ არ ბძანდებიო?

— ჰში ჩვიკუნესა ვაჟმა და დაადრჭიალა კბილები: ნამუსი ორუდია სულ ერთიანათაო. ეიმადლა ვაჟმა ხმა და დოუძახა: მე ვარ— შენი ძმაო.

თვალის დახმამეგებაზე წამოვარდა ლოგინიდან ქალი, გააღო კარი და, ის-ის-იყო, უნდა ეეღზე შემთხვეოდა ძმას, რომ ძმამ ტიტკელი ხანჯალი დააზმანა გულ-მკერდზე და, რომ უნდა დეეკრა, შეკვილა ქალმა: ნუ გვისერები, ძმაო, შენი ღვიძლი დის სისხლში და სხვაფერ, რაც გინდა, ის ქენიო.

ვაჟმა შეიკაფა რისხვა ცოტადნათ და მკუხეთ³⁾ უთხრა დას: ჩვიცვი და გამუნჯებული მამევეი, საცა წვივდეთ.

ასე შეიქცა და. იარეს, იარეს, ცხრა მთა გადაიარეს. მეთე მთაზე ეიყვანა და ვაჟმა და იქ მიატოვა. თითვან უკან მობრუნდა.

დარჩა მარტვა, უმწეო, უჭირისუფლო ქალწული ქალი, ტირის და ყრის ქუნარებს⁴⁾. მთაში ბერის ბერია მტაცებელი მხეცი, მარამ არც ერთი არ ეკარება ქალს, მისი საცოდაობით დამწვარი.

შევიდა ერთ კლემში და ერთ ქვამში დეიცა ბინა. მისი სახანი იყო კატაბარდა⁵⁾, ლები იყო ხავსი.

1) გაბანებული—სახელ-გატეხილი.

2) დახვედროდა.

3) მკვახეთ.

4) ყრის მღულარე ცრემლებს.

5) კატაბარდა—ერთგვარი წვრილ-ბარდიანი მცენარეა.

გვეიდა გვირე, თვე, წელიწადი. ქალი იკვებებოდა ტყის ხეხილით და სვამდა კლის ჩანჩქარს. გაველურდა სწული, გვიწიწი, შამუქსა ტანისმოსი, მარამ უფრო გალამაზდა, უფრო აუვაჟდა.

ერთხელ გვიცა უსიერ¹⁾ მთაში ეფთა, კივილი, ჟღერამული. მეუის ვაჟი გამოსულა სანადიროთ თავისი მხლებლებით. ნადირობენ და მთელ მთას ატრიალებენ, ხოცავენ და ჟღეტავენ ნადირობს.

უეტრათ კვლში თვალი შესწრო მეუის ვაჟმა საბრალთა ქალწულს და გულის უური მოზარა მისმა საუცხოვო შვენებამ. ამის თასი მის მზერას აღარათერი ენახა.

დინახა თუ არა, ჰირდაზირ გამეკლავარაკა:

— რა სულერი ხარ, მშენიერი მთის ქალავო?

— მე ვარ მამაკვტავი აღამიანი, არც მე ვიცო, რიდაცსთვის გაწირული და აქ კადმოკლებული! კაცმა გამწირა, მხეტმა შემობრალა და არ შემკამა.

— ვინ იყო ის უთვალთ და უგულო, შენ რომ გაქწირათ?

— ჩემი დვიძლი ძმაო, მიუგო ქალწულმა.

დოუახლოვდენ ერთმანეთს, გააბეს ლაპარაკი და ქალი დაწვრილებით მოუყვა ვაჟს თავის თავგადასავალს.

მეუის ვაჟი თანდისთან უფრო გიჟდებოდა მისი სიუვარულით და ბოლოს უთხრა: მე მინდა შენი ამხანაგობა, გინდა თუ არა ჩემი ცოლობა და ამა და ამ ქვეყნის დედოფლობა?

— რათ ნებულობთ ჩემ დაცარვას²⁾, მე რა თქვენი უურადღების დირსი ვარ, როცა ჩემი ძმის და მამის სიუვარულიც ვერ დამომსახურებია და სასიკვდილოთ გამიმეტესო.

— ვფიცავ მადლა ცას და ძირს დედამიწას, რომ არასოდეს არ გიდალათო, არ გაქწირო და უშენოთ ღხინიც ჭირათ მიმანეთსო.

— ნუ იხებეთ... ბოლოს იხანეთ... მე უბრალთ სოფდაკრის ქალი ვარ, თქვენ კი მეუის შემკვიდრე ბახნებულხანოთო.

— ვინც უნდა იყო, შენ ამიერიდან ჩემი უნდა იყო და შენს თავს, სანამ სული მიდგია ჰირში, აღარავის დავანებეთო.

1) უსიერი—უდაბური და გაუვალი.

2) დაცარვა—გამოცლა მოტყუებით.

მეტი ფიცი იყო განა კიდე საჭირო?! ჯერ უფიცრათაც მზათ იყო საწყალი ქალი, რომ ნდობდა ვაჟის მეფურ სიტყვას, მინდობდა მის ზრუნვას: სხვა ხომ აღარავინ იყო მისთვის ქვეყანაზე!

წამეიყვანა მეფის ვაჟმა თავისი საბედო, შეიყვანა შინ. მეფე-დედოფალი გადარია მისმა შვენიერებამ და, ვინ იყო, ისიც აღარ გამოკითხეს, ისე დაწერეს ჯვარი თავის ვაჟზე.

შეეძინა ერთი ქალი და ერთიც ვაჟი შემკვიდრეს.

ამასობაში ჯვარში ჩავარდა შემკვიდრის ცოლი. იმას მოსვენებას არ აძლევდა ის გარემოება, რომ მამისა და ძმის სახეში ბერმა დაცა მისი ზნეობა და ნამუსი. იმას უნდოდა კიდე ენახა მამა და ძმა. იმათი საუფარული დაუქრობელ ალათ ენათ მის გულში.

ერჯულ ღოუჩოქა თავის ქმარს და შეეკვიდრა: მამეცი ნება, რომ ჩემი მშობელი ვნახო უბრალოთ... მამეცი ნება, რომ კაცურათ გამოვეწყო და ისე შევინახულო მამჩემიო.

ვაჟმა ნება მიცა კი არა, კიდევ წააქეზა.

თქმა და ქნაც ერთი იყო. ერთათ-ერთი ქალი კაცათ გამოწყო-ბილი წვივდა მამა-მისის ქალაქისკენ და ქმარს კი ღოუბარა: ამა და ამ დროს შენც და შენი ერთი რწუვილი შვილიც იქ მოდით ჩემ სახსავათაო.

დიდი იარა, თუ ჰატარა, მივიდა კაცათ ჩაცმული ქალი მისი მამის ქალაქში. დეიწყო ხეტიალი ქუჩა-ქუჩა და ეკტუზა მამა-მისის მალაზიის კარებს.

მამამ თავისი ქალი ვერ იცნო. ვერც ძმამ იცნო და. ამ ქალის ძმა, სწავლა-დასრულებული, მალაზიაში შეეყვანა მამას და ვაჭრობაში ეხმარებოდა.

— ნოქარი ხომ არ გინდათ? უადგილოთ დავებეტები და, რაც გინდათ, ის დამინიშნეთ ჯამაგირათაო, შეეკითხათ ქალი.

— ნოქრები ისეც ბევრი მყავს, უახრა მამამ და კარში გასვლა უჩვენა ხელით.

— ერთი კაცი გვაკლიათ, მიატანა მამას ვაჟმა: უნდა დევიუენოთ, ჰატოლსანი აღმიანის სახე აქ(ვს) და სინიდისიერათაც გვემსახურებაო.

დეიენეს ეს ქალი ნოქრათ.

ამ ქალმა ძმის გული ისე შეიყიდა ტკბილი ღაზარაკით, საქმის ერთგული სამსახურით და მეტადრე ზღაპრების მოყოლით, რომ ძმა და-ნოქარს თითქმის ველარც კი ცილდებოდა, უმისოთ წყალსაც არ დააქცევდა.

ერჯულ, როცა თავისუფლათ იყვენ, ნოქარმა კითხა ვაჟს: რათ ზინხართ შავებში შენ და მამა-შენიო.

ვაჟი მოუყვა: მე მუყადა საყვარელი და... ამ ამბავის მოყოლა-ზე ნოქარმა იმდენი იტირა, რომ ვაჟიც აატირა.

წამეესწროთ ამ ღაზარაკის დროს სოფლაგარი¹, ატირებულებს და თითვანაც ატირდა. როცა დათავუნს საზაკო ამბავი, ერთხმით გადაწვეტიტეს, რომ დაკარქული შვილი უნდა გამეუმგლავებია სოფლაგარს, დაკარქული და ვაჟს; ხვალ უნდა გეყხადათ შავები და გაღვენხადათ ღზინი.

ხვალისთვის იყო სწორეთ დაპირებული მეფის შემკვიდრეტ და მისი ერთი რწვეილი შვილიც ამ ქალაქში.

გემართა სოფლაგარის სახში დიდი დღესასწაული. აქ დეესწრო დიდი და ზატარა, მდიდარი და ღარიბი, ვისაც კი იცნობდა სოფლაგარი. აქ იყო მოწვეული სოფლაგარის ერთგული მეგობარი ბერიც.

რომ განურდა ღზინი და როცა თამაში მოყირტდათ²), შეიქნა არაკების მოყოლით თავის მოწონება.

მამინ თქვა სოფლაგარის ვაჟმა: ჩვენ გვყავს ერთი ნოქარი, იმისთანა არაკს ვერავინ ვერ იტყვისო.

იმწამსვე დოუძახეს ნოქარს და ისიც ეღვასავით ჩქარა განთა.

თხოვეს, რომ ერთი რომელიმე საგულისხმიერო არაკი ეთქვა.

— ვიტყვი ძალიან საყურადღებო არაკს, მარამ, მე ვიცი, რომ დასრულებს არ დამაცლით და რადათ შეგაწუნოთ, ან რათ შევიწუნოთ თავიო.

— დაგაცლით, დაგაცლითო, შესძახეს უოგელი მხრიდან.

— მაშ თუ ვინმე გამაწვეტიტია სიტყვა, ზირველ განწვეტიტაზე ე. ი. შეცილებზე თავი შეინადოს და ფეხი გეიძროსო, მეორე შე-

¹) სოფლაგარი.

²) მოყირტება—მობებრება.

ცილებზე ჰერანგის და მისი ამხანაგის შერი ეველაფერი გეიხადოს. მესამეთ კი ჰერანგიც გეიძროსო. თუ ეს არ იქნება, ახლავე უარს ვამცხადეთ არაკის მოყოლასო.

შეთიცეს, რომ უოველივე ამას სიტყვა-სიტყვით შეასრულებდენ, და კიდევ დეიწყო ნოქარმა:

„იყო ერთი მდიდარი კაცი. უავდა ერთი ვაჟი, ერთიც ქალი. ამ სოფდაგარს სხვა და სხვა ქვეყნის კუთხეებთან ადებ-მიცემობა ქონდა და უნდა საქმის გამო წასულიყო უცხოეთში. მამინ მენხმო ერთათ-ერთი ერთგული კაცი, სულიერი მამა... და თხოვა, რომ მისი ქალისთვის და ცხოვრებისთვის ეგდო უერი...“

— სტუისო! რაც ძალი და ღონე ქონდა დეიფიონა ბერმა.

— მოხადეთ ბერს ბარტუელა და გააძვრეთ ჩექმებიო.

თქმა და ქნა ერთი იყო. ასე იყო ფიცე მიცემული.

— ამ დატოვებულ ქალ-წულს გოურშიყდა ბერი, უნდაღა ეცდინა და გეერეუნა...

— სტუის, სტუისო! იუფიონა დაკლული ხარვიით ბერმა.

— გააძვრეთ მაგას ანაფორა და კაბაო! დეიძახა ნოქარმა.

მიცვინდენ სტუმრები და, რავარც ფიცე იყო მიცემული, გააძვრეს ტანისამოსი ბერს.

— ქალი იმ საშინელ წრეზე მიიყვანა სულიერმა მამამ, რომ აბანოში მიიხატოჟა და იქ...

— სტუის, სტუის, სტუისო! ივივლა ცივი ხმით ბერმა.

— ამა, თუ ვტუი, გააძვრეთ მაგას ჰერანგი და ნახეთ, რავა დაკლდე მაგის გულ-მკერდი გახურებული შამფურით! ჯვარი აქ(ვს) გულზე დაბეჭდილიო!

გააძვრეს ჰერანგი და რაღა იყო ხალხის გაცვიფრება, რომ შეკრდზე ბერი მართლა ჯვრით იყო დადაღული.

შეიქნა ჩოჩქოლი, არეულ-დარეულობა... ძალი ჰატრონს ვეღარ იცნობდა. მამა ცივი ხმით კივოდა და ცრემლებათ დნებოდა: ვაი ჩემ სულს, წაფწყვდი, უმანკო შვილი დაჟვალაო!

ვაჟი კივოდა: ვაი ჩემი გარენას, უმანკო და შევაჯამე ნადირებს უსიერ მთაშიო.

— არა, არა. . ნუ გეშინიათ. სასწაული ჩქარა მოგველინებათ,

ნუ ტირითო, გეიძახოდა ნოქარი. გადვიძრო კაცის ტანისამოსი და განაცხადა: აჰა, თუ შენობთ, ვინა ვარო?

იცნო მამამ თავისი ქალი, იცნო ძმამ თავის და. ის-ის იყო უნდა შემოხვეოდენ უელზე მშვენიერ მთარაკეს, — გვიღო დარბაზის კარი და შემოხანდა — შეთვის ვაჟი, ამ ქალის ქმარი, და მისი ერთი რწყვილი ქალ-ვაჟი.

გეიძნეს ერთმანეთი, შეეხვიენ უელზე ერთმანეთს. მათ ღზინს დასასრული აღარ ჰქონდა. ბერი კი ბაყაყებსა და გველეებში ძირს ბნელ სარდატში ჩაჰკლეს.

ჭირი იქა, ღზინი აქა; ქატო იქა, ქვილი აქა!

(გურიაში შეკრებილი კ. კალანდაძის მიერ)

24. ნადირობის სწავლა ზობშობიდან უნდა.

იყო ერთი კაცი. იფიქრა: „ზოდი ერთს ვიზამ: წავალ იმეურ ქვეყანაში, იმეურ ქვეყანაში, რომ ჩემს მეტი არავინ იყოს იქინეთი“. ადგა დილას ადრე და უთხრა თავის ცოლ-შვილს: „მე უნდა წვევიდო ძალიან შორე და საცაღი მომიმზადეო. ქაღმა ჩვეიდა ჯარგვალაში¹⁾ და ჩაგდო კვერი²⁾, გამოადო უზანდარს³⁾ კარი და გამოიღო ყველი, ჩაღვა ხურჯინში და მისცა ქმარს. ამ კაცმა გადიკიდა თოფი, გეირ-ჭო წელში ყარათინა⁴⁾, ხურჯინი ფხარზე გადიგდო, ბელყაიში⁵⁾ გაასტორა, საქონეში⁶⁾ ქონი შეიმატა და წვევიდა. იარა, იარა და მივიდა ერთ იმეურ უდაბურ ტყეში, რომ ჩიტი კურკანტელს⁷⁾ ვერ გეიტანდა⁸⁾, გამონახა კი მოლიანი ადგილი, გადმეიღო ხურჯინი და დაჯდა⁹⁾. აშეიღო ყველი, პური, ერთი სიტყვით, რაც კი ქონდა, და დეიწყო ჭამა. სადილი რომ გაათავა, კიდევაც დადამდა. დათვადიერა

1) ჯარგვალა—გურული სამზარეულო სახლი, უფრო მრგვალი ხეებიდან აშენებული.

2) კვერი—ნაცარში გამოცხობილი პატარა ქაღი, ანუ პური.

3) უზანდარა—სამზარეულოს შკაფი, საჭმელების და ჭურჭლების შესანახავი. ზემო-გურიაში მუზანდარე.

4) ყარათინა—დიდ პირიანი ტამბაჩა, ანუ ფიშტო გურულათ.

5) ბელყაიში—ტყელი სარტყელი ტყავისა მოქარგული, გურული ტანისამოსის აუცილებელი ნაწილი.

6) საქონე—პატარა ვერცხლის ანუ თითფრის ჭურჭელი, რომელსაც გურულები უკან სარტყელზე შემოიკრავენ ქონის შესანახად. ესეც აუცილებელი ნაწილია გურული ტანისამოსისა.

7) კურკანტელი—ეკლის გამონაღები ნაყოფი, მრგვალი და წითელი, რომელსაც ზამთარში ჩიტი ჭამს.

8) ესე იგი ისეთი უდაბური და ხშირი ტყე იყო, რომ ჩიტი ვერ გაატანდა კურკანტლით ნისკარტში.

9) დაჯდა—დაჯდა.

ამ კაცმა ხეები, ამ ხეებში ამოარჩია ერთი სამ-პოტიკა¹⁾ ხეი და დანაშნა, რომ მერე არ დახსოვდა. შეიქნა თუ არა ღამე, ამ კაცმა დაანთო იმთუერი ცეხლი, იმთუერი ცეხლი, რომ ცაში ქონდა აღი. რომ დალურსკუმდა²⁾, მაშინ ამ კაცმა გვეიდა ხეზე და გადააჯდა ბოჯაყში³⁾ სამ პოტიკა ხეზე. შეიხსნა ბელუაში, მიიკრა თავის წელი ბოლზე⁴⁾ და დეიძინა. ამ დროს რაცხამ იმთუერი დეიკივლა, იმთუერი დეიკივლა, რომ ცაი კილამ გასკტა. გამიედვიის ამ კაცს, კეიხედ-გამეიხედა და შიშით სულ კანკალი დაწეებია. გვეიდა კილამ ზატარა⁵⁾ ხანი, კილამ დეიკივლა რაცხამ. ამ კაცმა იფიქრა: ფერია⁶⁾ ნეტავ? არა, ქაჯი უნდა იფოსო;—გუუქნია კვეს-ახედა, გაანინა ცეხლი და შეირუჯა თმაი⁷⁾, ამეილო უარათინა, აუწია ჩანმანი, დადუა ზედ ეზალაი⁸⁾ და მოიმარჯვა ხელში. იგი კი, რაცხანა, მოდის და მოდის თანდათან. რომ მუაწია ახლო, დუუწეო ტრიალი ცეხს. ერთი რომ ზევით ეხედა, მაშინათუ ჩამოიღებდა ამ კაცს, მარა, იგიც მისი იდბალი ამ ქაჯმა კი უტრიალა და უტრიალა ცეხს, მერე ცეხს არ იტყვი? სულ ცაში ქონდა წვერი მის აღს.

ამ კაცმა დუუმიზნა უარათინაი შიგ შვა გულში და ესროლა. იმთუერი გავარდა, იმთუერი გავარდა, რომ ქლა⁹⁾ დანგრია უოლითუერი. ქაჯმა ერთი კი წეიქტა, მარა მერე ადგა და გადაძუნძულდა ტუისკენ. ამ კაცმა კი ჩამევიდა ხიდან, ერთი ორი ქტევა რომ მოსცილდა, ევიდა ერთ მადლ გორზე და, უძინარი რადგან იყო, დეიძინა, მარა, თურმე

1) სამ-პოტიკა--სამ-ტოტიანი.

2) დალურსკუმდა—ძრიელ დალამდა, დაბნულდა.

3) ბოჯაყი—ბორჯლი, ის ადგილი, სადაც ხე ორათ ან სამათ იყოფა.

4) ბოლი—ტოტი.

5) აღმოსავლეთ გურიაში კი „ა“-ს მაგივრათ „ე“-ს ხმარობენ სიტყვის დასაბოლოებლათ. მაგალითად: პატარა—პატარე, იმისანა—იმისანე, ჯარგვალა—ჯარგვალე და სხ.

6) ფერია—უხილავი მავნე სული მამობრივი სქესისა.

7) გურულეების რწმენით—თმა თუ შეირუჯა (დაიწვა) კაცმა, მავნე სული ველარას აწყენს.

8) ეზალა—ფისტონი.

9) ქლა—სულ, მთლათ.

მოსულა ჭინკები¹⁾ და უძახიან: „იფანიკა, იფანიკა, რეიზა მოკალი ქაჯის ცოლიო?“ ამ კაცს მართლა იფანიკა ერთქვა სახელად. ამ კაცმა გაკვირდა, ახსენა წმინდა გიორგის სახელი და იმავე წამს გაქრენ ჭინკები. „წმინდა გიორგო, შენ დამიცვიო“, ზიჯვარი გადასახა და ერთი დაფურთხა. ადგა და მიორე ალაგას დაუდა. ამ დროს კიდევ მოვა კვილით რაცხა, მარა უმთერო ბოხი ხმაი აჟ. მოდის და მოდის. აი კაცი კი უმზერს თურმე. მარა არ იტყვი! უწინ რომ ყარათუნიანი ესროლა, თურმე, იგი ყოფილა ქალი და ახლა რომ მოდის—ის ქმარი. ეს კაცი თოფს ვერ ესროლა იმიზა, რომ ბინძურ სულს თოფი არ ხვდება. ამ დროს კიდევაც გათენდა. ამ კაცმა მოყვა ნელ-ნელათე და შევიდა ცეხთან, მარა ქაჯი კი წასულიყო. ნახა, რომ აგერ სისხლი აქტეგია, გაყვა და გაყვა ამ ქაჯის სისხლს, მარა მანც ვერ მიაგნო. სამი დღეი და სამი ღამე იარა ამ კაცმა. ამ დროს კიდევ დეიდალა. გადაიარა ერთი ორი ქტევა და მივიდა ერთ ხის ძირში. რასაკვირეღია, ამ კაცმა დეიძინა. ღამე თურმე მოსულა ერთი ადგილი თოლი. ისე გატივებულა ეს კაცი, ისე, რომ დილას ძვილა ადგა ზედ.

დილას ადგა ამ კაცმა და წვევიდა, მარა სად მივა კი არ იცის. იარა, იარა და მივიდა ერთ მიხლორში. გეიხედა, რომ აგერ ერთი კაცი დათვის ტყავს ხდის.

— გამარჯობა შენიო!— უთხრა ამ კაცმა.

— დმურთმა გაგიმარჯოსო!— უზასუნა იმან.

— საიდან მოდიხარო? დეეკითხა დათვის რომ ხდიდა ის კაცი.

— მე მოვდივარ ამ და ამ ქვეუნიდანო, ასე და ასე არის ჩემი საქმეო, აგერ ორი დღეია, არც ცეხლი გამითბია და არც რამე მიჭამიაო.

— აბა მე რომ გითხრა ისთე ქენი, აი ჩემი ფეხის კვალი, გაუევი ამ ფეხის კვალს და მიგიყვანს ჩემს ოჯახშიო. იმ კაცმა შეიძრო ბეღყაიში, გამიძრო მათარა²⁾ და მისცა ამ უცხრო მტზავრს. ნიშნათ აი მიიტანე იქინეი, სადაც ამ ჩემ ფეხის კვალმა მიგიყვანოსო. იქი-

¹⁾ ტინკა—მაენე სული დედის სქესისა.

²⁾ მათარა—ტყავის ჭურჭელი დასაკეცი, ზოგჯერ სირომით მოჭარგული, წყლის სასმელი. ნაწილი გურული ტანისამოსისა.

ნე შით არ შეხვიდე, თვარა გონბაქი¹⁾ ძაღლები მუჟს და შეტკამსო. გადი ჭიშკარზე²⁾ და დეიძსე. იქინე ერთი ქალი გამოვა, რომელიც წელზე მიბმულ ჯაჭვით თქროთ მოტედილ ბურთსავით რაცხს მთაგორებს, და ეს მათარა მას მიეცი და მე ქე მოვალ სადამოსო.

ამ კაცმა მიუვა და მიუვა ფეხის კვალს და ამ ფეხის კვალმა ზირდაზირ იმ კაცის სახში მიიფანა. მართლაც გევიდა ჭიშკარზე და დეიძსა: „მასინძელაო“. მარა კარში არავინ არ გამოვიდა. ერთი კიდომ დეიძსა და ერთმა ქალმა გააღო კარი, გამოვიდა და უთხრა: „მობძანთო“. ამ კაცმა ძირს ჩამევიდა, მარა სული არ ჩამოყოლია: ის გადარეული იყო ამ ქალის სილამაზით. ამ ქალმა შეუძღვა სახში, მარა, რაღა ამისანა შეძლოა! ეს კაცი სულ გაშტერდა ამ ქალის სილამაზით. მას მათარის მიტემატ კი დაავიწოდა და თხრობა იმ სიტყვის, რომელიც ამ ქალის ქმარმა დააბარა. შეხედა ამ კაცმა, რომ ამ ქალს რაცხა კიდა ჯაჭვით წელზე და ხან იქით მთაკოტრიალებს და ხან აქეთ. ამ კაცმა დეიწოდა ზიფვარი: რას მივესარი³⁾ ამასო!

მეიწინა ამ კაცმა, ისე მეიწინა, რომ არც ჭმდა, არც სუამდა, არც ლაზარაკობდა. არ გასულა სულ ორი საათი, რომ ამ ქალის ქმარი მევიდა. მარა არ იტევი, რაფერ მევიდა? რაც იმ ტეეში ხადირები იყო, უველე დიეხცა და მუალაგა სახში. შამევიდა თუ არა სახში, მამეინათე ქალს უთხრა: „აბა ერთი იმისანა ცეხლი დაანთე, იმისანა, უკეთესი რომ არ დაგინთია შენ სიცოცხლეშიო“. კაიო, ქალმა უთხრა. აი კაცი კი შავისაგან თეთრს აღარ არჩევს. გაკვირებული ჟდანა თავის ალაგას.

ქალმა დაანთო ცეხლი და შეწოა ერთი წვადი, მასთან კიდომ შეიტანა უოველანირი საჭმელები, ასე, რომ ჩიტის რქეც არ კლეზია. სახლის ზატრონი დიეკითხა ამ კაცს: „რახედ მოგიწეინაო?“ ამ კაცმა კი ჯერ ვეფერი ვერ უთხრა. ბოლოს კიდევ რომ დიეკითხა, მამეინათე უთხრა ამ უცხო კაცმა: „მე ის მიკვირს, ამ მანდილოსანს რომ კიდა და მუდამ წელზე ამბიაო, რა არის ესო?“ სახლის ზატრონმა კი

1) გონბაქი ანუ კომბაქი—დიდი დაბერებული ძაღლი, ქოფაქი.

2) ჭიშკარი—ალაყაფის კარი.

3) მივესარი—მივესწარი.

გვიცინა. ეს რა არის და ერთხელ რაფაც შენ, ისე შევიდა ერთი კაცი აქ და ჰატივი ვეცი, მარა ჰატივისცემა კი ვერ შეიძრისია. მე არ ვიყავი სანში, სანადიროთ წვევდი და ამ ჩემ ქალს ეარშიებოდა თურმე. მე რომ მევედი, დავაუურადე და ჩემი ქალი ეუბნებოდა იმ კაცს: „ღმერთმა შენი თავი ნუ მომიშლავს ჩემ სიტყვებზე“. მაშინ მე შამოვედი და იმ კაცს თავი მოვჭარი და მოვჭკედე ოქროით, გუუგეთე ჭაჭვი და წელზე დავაბი ისე, რომ არ მოსძვრეს. იმ კაცის თავი ამ ჩემმა ქალმა არ უნდა შეიშოროსო.

ამ ურცხო კაცს გვიცინა და ისე მადიანათ დეიწყო ჭმა და მხიარულობა, რომ გაგიკვირდებოდა. სადილი ისეთი იყო, რომ ჩიტის რძეც არ აკტა.

ბოლოს ამ კაცმა უთხრა: „მოდო, ერთი სიკეთე მიუაფიო, მასტავლე მეც ნადირობაო“. ამ ქალის ქმარმა ადგა და უთხრა ამ ურცხო კაცს: წამოდი ჩემთანო. ამ კაცმა, რასაკვირველია, წაუვა, მარა ვაი ამისანა წაუოლას, შიშით მოკტა ქლათ, ვაი თუ მეც მომჭრას თავიო. წაუვა ამ კაცმა. ჩვეიღენ ერთ იმთერ არდგილას, რომ თვალში თითი არ იკრება, იმისანე ბნელა, და ამასან სიტყვეცაა. გაადო ერთი კარი, მარა რას დეინახავ! ჰატარ-ჰატარვანი ტიტველი ბაღნები ყიფნიან წუალში ცურაობენ.

ამ ურცხო კაცმა გაკვირდა და უთხრა: „ეს რა არისო?–“

— ეს რა არის და ვისაც ნადირობა უნდა ისტავლოსო, იმან სიტყვეც კი უნდა ეიტანოს, შიმშილიც, წუურვილიცო, და შენ თუ გინდა ნადირობა გასტავლო, მაშინ ასეთ უნდა გამოგაჩვიო, მარა ახლა შენ ვერ შესძლებ ასეთო. ნადირობის სტავლა ვისაც უნდა, იმან ბაღნობიდან უნდა გამოეჩვიოსო.

ეს ურცხო კაცი ძალიანი შეწუხდა და წამოვედა თავის სამშობლოში.

25. ე ა ჭ ა რ ი.

იყო ერთი ვაჭარი. ეს ვაჭარი ისეთი მდიდარი იყო, ისეთი მდიდარი, რომ ძვირი იყო ასეთი მდიდარი კაცი ამ ქვეყანას.

ეს ვაჭარი დადიოდა სოფელ-სოფელ და ვაჭრობდა ყოველიფრით. ერთხელ ამ ვაჭარმა იფიქრა: რაც კი ახლო-მანლო იყო,

ეგელაი ნაყიდი მჟ და მოდი ახლა სცხს შორს წავალო. აკიდა თავის ჯორს ერთი საჰანე ოქრო-ვერცხლი, თან საგზაღიც წიელო და წე-ვიდა.

იარა, იარა და მივიდა ერთ უდაბურ ტეეში. ეინება მღლა და სულ ცაში ქონდა წვერი ნაძვეს. ღამღებოდა, ის დრო იყო. რა უნდა ექნა, თვითონ ქე გევიდოდა ხეზე, მარა ჯორს ხომ ხეზე ვერ გეი-უვანდა! გევიდა ხანი ხანში და ისე დაღამდა, ისე, რომ ქლა დაღურ-სკუმდა, თვალში თითს ვერ იკრავდა კაცი. ბოლოს რა ექნა, ან უნ-და გასულიყო ხეზე, ან უნდა წასულიყო ამ ტეიდან და მისულიყო სამე სოფელში. ამ ვაჭარმა გაბედა და შემოკრა მათრახი ჯორს და წევიდა. იმღენი იარა, იმღენი იარა, რომ ბოლოს გევიდა ამ ბნელ ტეიდან. გეინება ამ კაცმა და ღეინახს ერთი ჰატარა შუკა¹). დაადგა ამ შუკას და გახევა რამღენიც კი შეიძლებოდა. შერე კი ღეინახს ერ-თი ჰატარა ჯარგვალაი, იქით-აქეთ კი ტეეა ქლათ. ამ ვაჭარმა ჯორს ჰირდაჰირ ჯარგვალაისკენ დააკავებია თავი. მივიდა თუ არა ჯარ-გვალაის წინდამ, ღეიძახს: „მანძელიო“. ამ დაძახებისთანავე ჯარგვა-ლაიდან ერთი იმღერი კაცი გამევიდა, იმღერი, რომ სულ კონკეში იყო გამონხეული.

— რა გინდაო? კითხა ამ მონხეულმა კაცმა ვაჭარს.

— თუ შეიძლება, მიქენი ერთი სიკეთე და ღამე გამათევიო, შეხევეწა ვაჭარმა.

— სამი კი არა, ორი სული ძვილათე ვეტეეთ ამ ჯარგვალა-შიო, — უთხრა მონხეულმა, — კიდომ ქალი ავთ არისო და ძალიანი შეწუნდებაო.

რა უნდა ექნა ვაჭარს? იქით წასვლა კი ეთვლათ შეუძლებელი იყო, რადგან იმ მირა-მორე სოფელი არ ეოფილა. ბევრი ეხეწა ვა-ჭარმა, ბოლოს ხუთი ოქრო დაჰირდა და ასე იყო თუ ისე, დაითან-ხმა, მარა ჯარგვალაის ჰატარონმა უთხრა: „ჰარმადში²) თუ გაათეე და-მეს, თვარა ისეთ არ შეიძლებაო“. ოღონდ გამათევიე ღამე და თუ

1) შუკა — ორღობე.

2) ჰარმადი — ბალკონი.

გინდა სხლის საჩხინავში¹⁾ კავათეკ ამ ცხემლის ჭრას სადამოსო²⁾. ვაჭარმა ჯორს სავანე მოხსნა, ჩაღა დუუყარა და შეევა ჯარგვალაში მოხუცებულს. თურმე ამ ჯარგვალაში მოხუცებული კაცის ცოლი ორსუდათა ყოფილა. რომ დაღამდა, ჯერ აკუნა გადაიძახენ³⁾, მერე ვახშამი ჭამეს. მერე შუადამეც შეიქნა და ძილის დრო მოახლოვდა. ამ ვაჭარმა გამევიდა კარეთ. მოხდა ჯორს ნაბადი და დააკო ჯარგვალას ზარმაღზე. რომ კი მოაწია გათენების ხანი და კალანდა ჯერ არ გათენებულა, ბერიკაცმა გააღო ჯარგვალას კარი და გამოვარდა კარეთ, მიფარდა ვაჭართან და გადავიდა: „ჩემი ცოლი მორჩა და ყარათენაი მათხუე“. ვაჭარმა გამოათრია სსსტუმბლიდან ყარათენაი და ერთი იმისანაი ბრინგა⁴⁾, იმისანაი, რომ ქლა გადაყურეა ყოლაიყურა.

ვაჭარმა კითხა: „ბიჭია, თუ ციცაიო?“⁵⁾

— ბიჭიაო, უთხრა ბერიკაცმა და ერთი კიდევ ბერიკაცმაც გაუბგიადა ყარათენაი.

უგელა მორჩა საქმეს, ვაჭარს კი დილას შორე გზაი ქონდა გასარები და თვალი რომ მიღუდა, მოტურინდა ორი ანგელოზი და შექქნათ დაფა ერთი-მეორეში. თურმე ამ ანგელოზებს ამ ახალ და-

¹⁾ საჩხინავი—ზევითი მხარე ისლით დახურული სახლისა, უმაღლესი ნაწილი სახლის სახურავისა.

²⁾ ცხემლის ჭრის საღამო—წინა ღამე ახალწლისა. ამ საღამოს გურულები ცხემლის ანუ რცხილის ხეს მოსჭრან, შეშათ დააპობენ და ახალწლის დილას შეუნთებენ ცეცხლს მილოცვით.

³⁾ აგუნას გადაძახება გურიაში ახალწლის წინა ღამეს კი არა, ახალწლის საღამოს იციან. წავლენ მარანზე, ღორის თავს წაიღებენ, საწნახელზე ნაჯახის ყუით (პატარა ცულით) არაკუნებენ და შემდეგ სიტყვებს ყვირილით ამბობენ: „აგუნა, აგუნა! აგუნა გადმოიარე, ბახვი და ასკანა (სოფლებია გურიაში) ჩამოიარე, ჩვენს მამულში ყურძენი, სხვის მამულში ფურცელი, ჩვენს ქალებს ყაჭი და აბრეშუმი, სხვის ქალებს ტარი და კვირისთავი“. სხვა და სხვა სოფლებში სხვა და სხვა ნაირათ იციან აგუნას გადაძახება და სიტყვებიც სხვა და სხვანაირია. მაგალითათ, სიტყვების მაგიერ „ბახვი და ასკანა ჩამოიარე“, ამბობენ: „ბახუას კარი ჩამოიარე“ და სხვა. „აგუნა“ არის ყურძნის ღმერთი, რომაელების „ბახუსი“, ბერძნების „დიონისი“.

რედ.

⁴⁾ ბრინგა—დაახალა, გაისროლა. ⁵⁾ ციცაი—ქალი.

ბადესულ ბაღანაის ბედი უნდა დაეწერათ ბედის წიგნში. ერთი ანგულაში ლაშარაკობდა: „ამ ბაღანაის ბედი ასე უნდა იყოს: თორმეტი წლის რომ შეიქნეს, ან ხიდან კადმოფარდეს, ან წყალში დაიარჩვეს“. მეორე ანგულაში ლაშარაკობდა: „ამის ბედი უნდა დარჩეს ამოუერი: აქნაი რომ ვაჭარი არის, მთელი მისი ქონება ამ ბაღანაის ხელში უნდა კადმოიაროს“.

ბეგრი იდავუს, მარა ბოლას დიდი ლაშარაკის შემდეგ გეიმარჯვა მეორე ანგულაში და ჩასწერეს ბედის წიგნში, რომ ამ ბაღანაის ბედის წერა ასე უნდა იყოს: რაც ქონება აქ ამ ვაჭარს აქნაი, მთელი მისი სიმდიდრე—ოქრო-ვერცხლი უნდა კადმოიაროს ამ ბაღანას ხელში.

რომ მოათავებ ანგულაში სიტყვა, მაშინვე გაქრეს და უჩინ-რათ იქცენ. აგი ვაჭარი კი თურმე უფრო უკლებდა ამ ანგულაში ლაშარაკს. ამ დროს კიდევ გათენდა და ვაჭარმა ადგა. მონუცეობდა, როგორც წესი და რიგი იყო კაღანდას, ისე შეიქცა. ვაჭარს შეუძლავ სახში, მარა ვაჭარმა ისე მოიწინა, ისე, რომ სულ არათერს არ ლაშარაკობდა. წასვლის დროს ვაჭარმა უთხრა: ერთ რაცხას გეტყვი და აუ ამისრულებ, რაც აქნაი ოქრო და ვერცხლი მაქ, იმის სახეგარს მოგცემო, ასე რომ შენ სიცოცხლეში გეუფა იმდენ ოქრო-ვერცხლს მოქცემო.

— რა იქნება ისეთი, რომ ამდენს ქონებას მომცემ და ვერ აგისრულებო?—უთხრა ჯარგვალს ჰატრანმა.

იქით იყო თუ აქეთ, დიდი ლაშარაკის შემდეგ მისცა ვაჭარმა სახეგარი ოქრო-ვერცხლი და იუიდა ბაღანაი, გამოხვია ნაბადში და წეი-ყვანა. მეორე დიდ ჩხუბში იუფნენ აგი ბერიკაცი და მისი ცოლი ჯარგვალში, რეიზა გაუიდე ბაღანაიო, მარა რას გააკეთებდენ.

ამ ვაჭარმა იარა, იარა და მივიდა ერთ გორა ადგილას, სადაც ფიჭვებს და ნაძვებს ცაში ქონდენ წვერი. ამეილო ერთი ტუმარა, ჩასვა შით ბაღანაი, მუჟერა ტუმარას თავი და გეიტანა ერთ ნაძვის კანტაროში¹⁾, მიაკარა ერთ ბოლზე აი ტუმარაში ჩასმული ბაღანაი და ჩამევიდა ძირს. აქნაი, თქვა ვაჭარმა, სხვამ რომ ვეფერმა შეჭამოს,

¹⁾ კანტარო—კენწერო, ხის წვერი.

არის და ჩიტები დატყინიანო. ჩამევიდა ძირს, ერთი-ორი შეხედა და შერმედ კი გუუდგა თავის გზას. გვეიდა ერთი-ორი დღე და თურმე ამ სახენწიფოს ხენწიფე თავის ჯარით ნადირობდა და ტყეს რეკავდენ. ერთმა მონადირემ უფრო შორს გეიჭრა ცალკე. გეიხედა და დეინახა, ერთ მადალ ხის კანტაროში წაშვერილ ბოლზე ტუმარაი კი-დია. მონადირე თაფის სრალა, მარა უცევე ანგელოზმა ეტკა ხელში და არ ასრალა. მაშინ ამ მონადირემ გეიჭრა ხენწიფესთან და მოახსენა: „დიდებულო ხენწიფევე, ამა და ამ სალაკაი¹⁾, ერთ მადალ ხის კანტაროში, ბოლზე რაცხა კილია და შით კი რაცხა უნდა ტი-რადესო“.

ხენწიფემ მაშინათე გაგზავნა თავის ჯარი, მივიდენ იმ ხის ძირში, ერთმა ავიდა ხეზე, გადააჯდა ხის კანტაროში, ჩამოხსნა ბო-ლაღან ტუმარაი და ნელა-ნელა ჩამოიტანა ძირს. ტუმარას ძირს თა-ვა მოხსნეს და ამოიფანეს ერთი მტირალი ჰატარა ბადანაი. მიგვა-რეს ხენწიფეს. ხენწიფემ კი დოუძახა ერთ მეჯინიბეს და გაატანა კოშკში. ნადირობას რომ მორჩენ, უველა კოშკში წვეიდა ხენწიფესან. რაც ამ ტყეში ნადირი იყო უველაი მოიტანეს შინ. ეს ბადანაი ხენ-წიფემ გაზარდა და დაათქვა ნაძვიანი. გვეიდა ხანი და როცა ეს ბა-დანაი შეიქნა თორმეტი წლის ისეთი მოცვეთი²⁾ იყო, ისეთი მოცვე-თი თურმე, რომ ხენწიფის მარჯვენა ხელათ გადაქცეულიყო.

ერთხელ ამ ვაჭარმა წვეიდა ამ ხენწიფის საბასებულში და მო-უხთა ამ ხენწიფისან ღამის გათევა. რასაკვირველია, სთხოვა ვეზი-რების ღამის გათევა. ვეზირებმა ღამე გაათევიეს ამ ვაჭარს და კი-დევატ ჰატევი სტეს. აკერ ერთი ჰატარა ბადანაი გამოდის და უვე-ლაი ამ ბადანას უძახის: ნაძვიავ, აქეთ მოდი, ნაძვიავ, იქით წადიო და სხვა. ამ ვაჭარმა ისე დათექრთა, ისე, რომ ენას არ იღებდა. გვეი-და კაი ხანი და ბოლოს იკითხა:

— რეიზა ამ ბადანას ნაძვიას უძახითო?

ამ სიტყვაზე ერთმა ვეზირმა გეიცინა და უთხრა:

— ერთხელ ჩვენი ხენწიფე წვეიდა ერთ ურკკ³⁾ ტყეში სანა-დირთ და როდესაც ტყეს ვრეკავდით ერთმა მონადირემ გეიჭრა

¹⁾ ამა და ამ ადგილას. ²⁾ მოცვეთი—მოცვეთილი, გამოქნილი, ემბაკი. ³⁾ ურკკი—ულრანი, გაუვალე ხშირი ტყე.

ცალკე და ერთ ნაძვის კანტარში დაენახა ეს ბაღანაი ბოლზე გაკრული. მაშეინვე მოვიდა ჩვენთან და შეგვატყობია, რომ ასე და ასე ვხსნო. ხენწითემ მაშეინვე თავის ჯარი გაგზავნა და ჩამოაყვანია, წამოვიყვანეთ ხენწითის კოშკში, გაგზავრდეთ და ნათლის სახელოს დავათქვით ნაძვიაი, იმიზა, რომ ნაძვზე ვხსნეთ ჩამოკიდულიო.

ამ ლაზარაკზე ვაჭარი დარწმუნდა, რომ ეს, მე რომ ბაღანაი ვიყიდე ერთი კაციდან და ამა და ამ სალაკაი რომ ნაძვის კანტარში დავკიდე, ის იქნებაო. იფიქრა, იფიქრა ამ ვაჭარმა და მოიფიქრა ერთი რამ: მოდი, ერთს ვიზამ მე, დავწერ წიგნს და გაგატან ამ ბაღანას, რომ ჩემს სახში მოკლანო. სთხოვა ერთი ვეზირს, რომ ეს ბაღანაი გაეგზავნა ვაჭარს თავის სახში. ვეზირი დასთანხმდა.

ვაჭარმა დაწერა წიგნი. წიგნში ჩასწერა: „ეს ბაღანაი რომ მოკვიდეს თქვენთან, მაშეინათე თავი მოსჭარით, დაუღაზარაკებლათო“. მისცა წიგნი და გაუშვა თავის სახში.

ნაძვიამ იარა, იარა და შვა გზაზე რომ მივიდა, შეხვთა ერთი კაცი.

— გამარჯობა ძამიაგ შენი, საით მიხვალ?— კითხა ამ კაცმა.

— მე მივალ ამ და ამ კაცისას, აგი წიგნი უნდა გადავცეო,— უხასუხა ბაღანამ.

ამ კაცმა გამოართვა ხელიდან ამ ბაღანას წიგნი, წახია თავი და წაიკითხა: „ამ ბაღანას,—სწერდა ვაჭარი თავის ცოლს,—რომ მოვიდეს, რაც უნდა დაგემართოს, ცოცხალს ნუ გამოუშვებო“.

ამ კაცმა იფიქრა: ბიჭო, ბიჭო! რა ამბავია ავიო? ძალიან შეწუხდა და დიდი ხნის ფიქრის შემდეგ უთხრა ამ ბაღანას: „ერთი ქენი შენ, ორს რომ სჯობდესო, მე დაგიწერ შენ ერთ წერილს და ეს წერილი მიეცი შენ იმ ქალს, ვინცხასან ეს წიგნი მიგაქო“.

ამ კაცმა ამოიღო ჯიბიდან „კალანდაში“ და დასწერა: „ეს ბაღანაი რომ მოვიდეს მაშეინათე ჩემს ერთადერთ ქალიშვილზე ჯვარი დასწერო“.

გამოართვა წიგნი ნაძვიამ ამ კაცს და წავიდა ვაჭრის სახში. მივიდა თუ არა ვაჭრისას, კარებზე შეხვთა ვაჭრის ცოლი. ამოიღო ნაძვიამ წიგნი და მისცა ვაჭრის ცოლს. ვაჭრის ცოლმა, წაიკითხა წიგნი თუ არა, მაშეინათე იყიდა საჯვრისწერო ტანისამოსი და დასწერა

რს ჯგავრი თავის ქალზე. ამ ქალს და ვაჟს ისთე შეუყვარდენ ერთმანეთი, ისთე, რომ ერთი-მეორეს ვერ სტყიდებოდენ, სულ მუდამ ერთათ იყვნენ.

კარგა ხანი რომ გევიდა, ვაჭარმა იფიქრა, ამდენხანს ნაძვიას თავს მოსტყრიდნო და წამოვიდა სახში. რაჟაჟ კი მიუხლოვდა ეზოს, დეინახა, რომ ნაძვიეი და მისი ქალი ერთად სეირნობენ. ამის დანახვაზე ვაჭარს ელდა ეტა გულზე, მარა მანც უხრია: მან მიუთქრა ორივეს, რაჟაჟ შეიღეს, ისე ნაძვიასაც. ცოლმა მიახარა ვაჭარს, რომ რაც შენ შემომითვალე, იგი მაშეინათე შევასრულე, ორივეს ჯგავრი დაგწერეთ.

რს ქნას ვაჭარმა, ისეთი კუჭი მოუვიდა, ისეთი, რომ სულ კბილებს აკრახუნებდა. რომ მოსაღამურდა, ვაჭარი წევიდა თავის მუშებთან, სადაც კირს სწუხდენ იქინეი და უთხრა მუშებს: „ამუდამ რომ კაცე მოვიდეს აქნანი, იგი მაშეინათე, დაუღანარაკებლათ, ჩაგდეთ კირის სწუხავ ქურაშიო“. უთხრა თუ არა ეს, ვაჭარი წამოვიდა სახში. სახში რომ მოვიდა თავის ცოლს უთხრა: „ამუდამ საკირეში არაჟინ არ წახვიდეთ, თვარა მაშეინათე კირის სწუხავ ქვაბში ჩაკატებნო, იქინეი უნდა წევიდეს მარტო ნაძვიაო“.

ეს თურმე ქე გეკატნა ნაძვიას ცოლმა. როდესაც ცოლ-ქმარი ერთად წევის, ვაჭრის ქალიშვილმა უთხრა ნაძვიას: „ამუდამ მამჩემი შენ საკირეში გაკატეზავნის, შენ კი არ წახვიდე იქინეი, ჩადი ძირს და გვიარ-გამვიარე ერთ-ორ საათს, მერე მოდიო“.

გევიდა ერთი საათი და ვაჭარმა უთხრა ნაძვიას, ელანძე¹⁾ საკირეში ჩეირბინე და გაკატეი, რომ ხვალისა ერთი ოცი ფუთი კირი დაწუნო“.

ნაძვიამ ჩეიტვა ტანზე და წევიდა, მარა იქინეი კი არა, სადაც ვაჭარმა უთხრა, ისთე მოიქცა, რაფერაც მისმა ცოლმა უთხრა: ჩევიდა ძირს და ერთ-ორ საათს მოიტყადა.

ორი საათი რომ გევიდა, ვაჭარმა იფიქრა, ახლა კი იქნება ნაძვიეი შესრულები და წევიდა თვითონ მან. რომ მივიდა საკირესთან, მუშებმა იფიქრა, ესა, ხაზინმა რომ დაკუთბარო, წამოატარეს ხელი

1) ელანძე—ერთ წუთას.

და შიგ შუა კირის საწყავ ქვაბში გაუძახეს. ვაჭარი ხელათ შეინრუკა ძვალიან-ხორციანებო. ნაძვიამ ავიდა თავის ცოლთან ორი საათის შემდეგ. ვაჭარი ქე დაიწვა. მთელი ამ ვაჭრის ქონება დარჩა ამ გლეხის შვილს ნაძვიას. ქმარმა და ცოლმა მხიარულად განაგრძეს ცხოვრება.

ასეთ ჩასწერეს იმ ორ ანგელოზებმა ნაძვიას ბედი და იღბალი ბედის-წერის წიგნში.

იგი იყო ჭირში და ჩვენ ვიყავით ღვინში.

26. აღმასის თვალში.

იყო და არა იყო-რა. იყო ერთი ხენწიფე და უკვდა ორი შვილი. უნტროსს ეთქვა გოგია და უმთროსს სიმონაი. ხენწიფე რომ მოხუცდა, დაიბარა ორივე შვილი თავის კოშკში და უთხრა: „შე, შვილებო, მოგხუცდი, ამ სიბერის დროზე თვალსაც დამაკლტა და ეურსაც, სახენწიფოს მართვა-გამგეობა შე არ შემოძლია და ხენწიფეთ უნდა ვაკურთხო ჩემი უმთროსი შვილი სიმონაი. სიმონამ თუ ვერ შესძლო მართვა-გამგეობა სახენწიფოს, მაშინ შენ გეკურთხის უნტროსო შვილოვო, თუ თქვენ ჩხუბი მოგვივთ, მაშინ ისევე შე ვიქნებიო. ორ ნაწილათ სახენწიფოს ვერ გავუყოფ, იმიზე, რომ მტერი უფრო ადვილათ მოკერევათო. აბა მოიტანეთ ორივემ თავ-თავის ისარი და ვნახოთ თითო-თითოთ, რაფერი ადვილი იქნება მისი გადატება, ახლა შეგვრათ ორივე ერთათ და ვმინჯოთ რაფერი ძნელი იქნება მისი გადატება“. დაიბარა ხენწიფემ თავის ხუთი გეზირი და უბძანა, რომ ტანტზე ადის ჩემი უმთროსი შვილი სიმონაი და დღეოდან თქვენ უნდა ემორჩილებოდეთ მის ბძანებასო. ამას იქით მსეკურთხის, მას აქ უფლებს სახენწიფოს მართვა-გამგეობისაო.

აი რომ მამამ თქვა, უნტროს შვილს გოგიას რაცხამ რეზნს გულში. შენ შე კანათ გადამაქციეო, უთხრა მამას, გაკუჭდა და გვიდა კარეთ. მამამ უთხრა: „ასე თქვენ მანინ ვერ შერიგდებითო. მარა შე რომ გითხრა ისეთე მოიქცეითო. აბა დამიკლეთ უური ორივემ და იმისანა ამხვს გეტყვით, იმისანას, რომ ორივე გაკვირდეთო. შე, შვილებო, მოხუცებული კაცი ვარ, ცალი თუხი მიწაში მიდგია და ცალი ზეიო. ჩემ მამას ჰყავდა ორი შვილი, ერთი უძირო ზღვაში და-

ირჩევს და ერთიც მე ვარო. რაფერც თქვენ მოგივიდა ჩხუბი, ისეთი მოგვივდა ჩვენცო. მაშაი რომ მოხუცდა, დაკვიპანა ორივენი და გვითხრა, რომ უმფროსი შვილი უნდა ავიდეს ტანტუეო. უმფროსი მე ვიყავი და მე ჩამაბანა ხენწიფობა. უნცროსმა არ დაკვიპანხმა. ატუ-და ერთი დიდი გირკლი და მაშაი იფიქრა: აგინი ერთი-ერთმანეთს მოკლავსო და მოგვანდო ერთი სისხლივით ვარდის შონა. ერთ ზღვას გადმა ერთი წითელი ვარდია, ვინც იქინეი გავა; იმ ვარდს მოწვეკვს და მომიტანს, იმას კუთხის ხენწიფობაო. ჩვენ მაშინათუ წავედით იქით, ვიარეთ, ვიარეთ და მივედით ერთს ალაგას. ორივე ძალიან დავილაყეთ. მე ვუთხარი, რომ ორივეს ქვშია და კიდევაც დამდებს, მე მოვიცდი აქანაი და შენ წადი სანადიროთ-მეთქი. ჩემი უნცროსი ძმა მაშინვე წვევდა სანადიროთ. დიდი ხნის სიარულის შემდეგ მოსულიყო ერთს ალაგას. იქინეი, თურმე, იმისანაი სიცხე უოფილიყო, რომ სულ იწობოდა უოფიფერი. ამ დროს კიდევაც დალაშულოყო. იმ ქვეყანას ხეი არ უოფილიყო არსად. რა ექნა ძმას! გვიხედა თურმე ერთი მხარისკენ და დეინახა, რომ მიწიდან ფუტი ამოდის. იარა, იარა თურმე და მივიდა იმ ალაგას, სადაც ფუტი ამოდიოდა. მოუტრიალა და თურმე განის კარი ქანებოდა. მისულიყო ამ კართან და დაეძახა მსინძელიო! ამ სიტყვის დაძახებაზე ვინცხამ გააღო თურმე კარი. გამოვიდა ერთი ქალი თურმე, მარა არ იტყვი რაფერი? იმიფერი ლამაზი, იმფერი ლამაზი, რომ ქვეყანას გადარეკდა თურმე. მარა ჩემი ძმაიც ძალიან ლამაზი იყო. ამ ქალს ისეთი მოწონებოდა ჩემი ძმაი, რომ კვლამ გადარეულიყო. შესულიყო ჩემი ძმა შხის უნახავის მიწის სანში და ორივეს ძალიანი ესიამოვნებებენ თურმე. მარა ვაი უბედურობას! თურმე ამ შხის უნახავის ქმარი მღვეია და იგი რომ მოსულიყო, ერთ დამწლაქუნებაზე გადაუღანავდა ჩემ ძმას. მე კი უცდიდი, უცდიდი, მარა არსად არა სჩანდა. გვეიდა ერთი დღეი, ორი დღეი და მესამე დღეს მოვიდა ჩემი ძმაი. მე კი შიმშილით კვტარი ვიყავი. მან მოიტანა ერთი ალმანის თვალი, რომელიც იმ შხის უნახავს ერუქებია, უთხრა და მაშინათუ გაჩინა საჭმელი. ჩვენ ვივასშმეთ და მერე კი დვეიძინეთ. დილას ადრე ავდვექით, მოგვეწუეთ და წავედით მამა-ჩემის სიტყვის შესასრულებლად. ვიარეთ, ვიარეთ და მივედით ერთ უკიდლო ზღვის პირზე. ამოდილო ჩემმა ძმამ

აღმასის თვალი, ახსენა ნავი და იმ წამში ნავი გაჩნა ჩვენიან ჩა-
 ჟედით ნავში და წავედით. ვიარეთ, ვიარეთ და მივედით შვა ზღვა-
 ზე, მარა ვაი შენ მტერს, ამოვარდა ქარ-ბუქი, იმისნაი, იმისნაი,
 რომ ავი ჩვენი ნავი თავზე კილამ დაგვანურა როგოსავით¹⁾. გამო-
 ვარაფი ჩემ ძმას აღმასის თვალი, ვახსენე დარი, მარა სანამ დარი
 გამოვიდოდა, ჩემი ძმა კი გადავარდა აღვეგებულ ზღვაში და დაიღწა.
 მე კი აი ახლა გადავარდე, აი ახლა, მარა მომიწერდ დარმა და გა-
 დავრჩი. წინ წასვლა არ შეიძლებოდა, რადგან ჯერ ერთი რომ შორე
 იყო, მეორე კი დამავიანდა და მეც თავს აღარ ვიღუშავდი. გამოვი-
 ბრუნდა ისევ უკან. შინ რომ მოვბედი, ეგელაფერი მამა-ჩემს ვუთხარი.
 მამა-ჩემმა კი მე მაგურათხა ხენწითეთ. აღმასის თვალი რომ მივეუტანე,
 ძლიან გაუხარდა მამა-ჩემს, მარა ერთხელ ამ და ამ ხენწითემ დაგვე-
 ტა უცნეუ თავზე თავის ჯარით, მეტი ვეფერი და იგი აღმასი წა-
 მართვა. ვინც იმ აღმასს იშინის, იმას შეუძლია იმ სისხლავით წი-
 თელი ვარდის შინათ. ასეთ იყო საქმე, ახლა თქვენ რაში ვინც
 იშინის იმ ვარდს, იმას ეკუთნის ხენწითეთათ²⁾.

ორივე შვილი დაეთნა მამის სიტყვას და წავიდენ. მამამ
 უთხრა: ორივემ ერთათ არ წახვიდეათ.

ერთი—უფროსი წავიდა ზირდაზირ იმ ზღვისკენ, მეორე კი—
 ზირდაზირ იმ ხენწითის კომპისკენ, რომელშიაც ეგელაფებოდა აღმა-
 სის თვალი. მივიდა ამ ხენწითის შვილმა იმ კომპთან, უტრიალა,
 უტრიალა და შესავალი კარი ვერ უნახა, შერე დაბრუნდა უკან და მას
 შემოეყარა გზაზე ერთი ქალი. ხენწითის შვილმა უთხრა ამ ქალს:
 „შენ თუ ამ ხენწითის კომპის ასავალ კარებს მასტავლი, ათ ოქროს
 მოგცემო“.

ქალმა უთხრა: „მე რა გიცო, ჯუჯუჯავ, ავი უნდა იტოდე ერთ-
 მა მალაზონმა. იგი მალაზონი ამ და ამ უდაბნოშიაო“. წამოვიდა ამ
 ხენწითის შვილმა უდაბნოსკენ. იარა, იარა და გზაზე დეინახა, რომ
 მელამიას²⁾ დასეგია ბჟიორა ჩიტები და წიწვნავენ. ხენწითის შვილს
 შეეცოდა მელამია და ჩიტებს ჭვა ესროლა. გადაფრინდენ ჩიტები.

¹⁾ როგორ გუროაში ეძახიან ქვევრის თავსანურავს. რველათ და
 ფართოთ გათლილი ფიცარი. ქართლში სარქველს ეძახიან და ქვისაგან
 აკეთებენ. ²⁾ მელამია—ლამურა.

მელამიამ უთხრა ხენწიფის შვილს: „რადგან შენ გადამარჩინე სიკვდილს, აი ჩემი ფთაი, რომ გაგიჭირდეს, ჩემი სახელი ახსენე, მე იმსვე წამში იქნები გაწიღები და გაჭირვებას გადაგარჩინო“.

ხენწიფის შვილმა იფიქრა: თუ ისე წახთა ჩემი საქმე, რომ მელამიას გადასარჩენი შევიქნები, ჩემ საქმეს მაინც საშველი არ ქონიაო. კაი, რატო იყო, იყო. გამოართვა მელამიას ფთაი და გზას გაუდგა. იარა, იარა და მივიდა ერთ ალაგას. გვიხედა, რომ აგერ თავის მისდევს ერთი კატა. ხენწიფის შვილმა შეუძახა „ცაცხაო“, კატამ მაშინათუ მოშორდა თავს და თავი გადაარჩა სიკვდილს.

თავგამ უთხრა: „რადგან შენ გადამარჩინე სიკვდილს, აი ჩემი კუდის ნაწივეტი, გამომართვი და თუ გაგიჭირდეს ჩემი სახელი ახსენეო“.

ხენწიფის შვილმა იფიქრა: ბიჭო, რა დამემართა ავი საშინელი, ჩემი საქმე თუ მელამიაზე და თავზე არის დამოკიდებული, მაინც უსაძველო ყოფილაო. გამოართვა თავის კუდის ნაწივეტი და წავიდა. ზატარაი რომ კიდევ გეიარა, უცბათ ფხიჭვას¹⁾ დააბიჯა ფეხი და კადამი გატარტყა ელანძე. ფხიჭვამ უთხრა: თუ არ მომკლავ, გაჭირვების დროსე გიშველიო. ხენწიფის შვილმა გეცინა ერთი და განთავისუფლა ფხიჭვაი. ფხიჭვამაც მოიკლიჯა ფხარის ნაწივეტი, მისცა და უთხრა: რომ გაგიჭირდეს, მახსენე და გიშველიო.

ამ დროს ხენწიფის შვილმა კიდევაც მივიდა იმ მალაზონთან.

— რეიზა მოსულხარ, შვილო?—კითხა მალაზონმა.

— მე წამოვედი ამ და ამ სახენწიფოდან შენდა სანახავად, აქხურ ხენწიფეს ჩემი მამის წანართმევი აღმასის თვალი ჰქონია და თუ შენ მასტავდი, რაფერ შეიძლება ამ ხენწიფის კომკში ასვლა, ას ოქრას მოგცემო,—უთხრა ხენწიფის შვილმა.

— აღმასის თვალი კი აქ ამ ხენწიფეს, მარა იმას იგი ყლავსო,—უძახუნა მალაზონმა,—მარა მე მაინც გასტავდი, როგორ უნდა ახვიდე: მიდი კომკის ახლო, დახრავუნე და ვეზირები გამოავა, შენ დამის გათევენება სთხოვე და თუ გაკათევიეს, მაშინ კომკშიაც ადვილად ახვალო.

¹⁾ ფხიჭვა—ხარაბუნა.

ხენწიფის შვილმა მადლობა გადაუხადა და წამოვიდა. რომ მოვიდა კომეტანს, ისეთ მოიქცა, როგორც მალაზონმა ასტავლას: დაახრავუნა და გარეთ გამოვიდა ერთი ვეზირი.

— რა გინდაო, — კითხს ვეზირმა.

— ღმის გათევა მინდაო, — უხასუსხ ხენწიფის შვილმა.

— მობძანდით, — უთხრა ვეზირმა, — გააღო კარი და შეიყვანა სხში. შევიდა თუ არა კომეში ხენწიფის შვილმა, მაშეინათე შეუდგა იმის ფიქრს, როგორ შეიძლება აღმასის თვალის წართმევაო. მარა უბედურობაც ის იყო, რომ ხენწიფის ოთახში ვერ ავიდოდა ვერაფერს გარდა ერთი ვეზირისა. ამ ფიქრში რომ იყო, მოაგონდა მეღამეის, თავის და ფხიჭვანის დახიკება: „თუ გაგიჭირდეს, გვანსენე და გიშველითო“, და ახსენა სამივე თავ-თავის რიგზე. იმ წამში ეგვლანი იქინეი გაჩთა.

— რა გაგჭირვრება, ჩემო ძმიაო? — ჰკითხეს.

— რაა რაიო, ასეთ და ასეთ არის ჩემი საქმეო, ამ ხენწიფის ერთი აღმასის თვალი აქ და თუ იმას მაშინებთ, ჩემს სიცოცხლეს თქვენ შემოგწირავთო, — უხასუსხ ხენწიფის შვილმა. მარა აგი უნდა იცოდეთ, რომ ხენწიფე იმ აღმასის თვალს ელანავს და მუცლიდან უნდა ამოართვათო.

— აბა ჰქე, — დეიძას თაკვმა, და დეიწუო ჯერ კედლების და მერე მადლა იატაკის ხვრა. ხრა, ხრა თაკვმა და შუადამედის გამოხრა ეგვლანი. როცა გაატალა ხვრიტინე, ეგვლა თავ-თავის რიგზედ შეძვრა შით. თაკვმა მიიბინა და, თურმე აგერ ერთი გობი ძმარა და ამოსყარა კუდი შიგ, მეღამიამ აფრინდა და, თურმე მოწამლული მთხარი ჰქონია, გიეკრა ცხვირზე ხენწიფის და ხელათ მიამინა, ფხიჭვამ შეუძვრა ცალ ცხვირში და გაუჩერდა იქინეი. მეღამიამ გულზე დაწყო ხინინი, თაკვი მიცუნცულდა და ძმარში ამოვრებული კუდი შეუყარა ცხვირში. ხენწიფე მუცელზე კეიბერა და ერთი იმთერი დაქსიტა*), იმთერი, რომ მუცელზე კალამ გასკდა ელანქე. აგი აღმასის თვალი რომ ამოგდო ჰირიდან, კედელი კილამ გააგლეჯია. თაკვმა პირი წამოავლო აღმასის თვალს და ხვრიტინაში წამოცვან-

*) დაქსიტა — ცხვირის დააცემინა.

ცვალდა, მას თან გამოუყვენ შეღამიანი და ფხიჭვანი და მიუტანეს ხენწითის შვილს. ამ დროს კიდევაც გათენდა. ხენწითის შვილს ისეთი გაუნარდა, ისეთი, რომ ზეცას კიღამ აფრინდა. თავი, შეღამიანი და ფხიჭვანი გაქრენ უჩინარივით. ხენწითის შვილმა ადგა, აღმასი გადაუჯაჰა, გვირიტებს დიემშვიდობა და წამევიდა. მოდიოდა გზაზე და თან ითქრობდა: ხე, ქვა, მიწა, ხაღირი, ფრინველი, რაც კი არსებობს ქვეყანაზე, უკვლათერი ეს თურმე კაციზა უოთილა გაჩენილიო. იარა, იარა და ბუერი იარა, თუ ცოტა იარა, მივიდა ერთი თვალ-უწვტუნელ ზღვაზე. ამ ზღვას გაღმა უნდა გასულიყო და შეესრულებოდა მამის სიტყვა. ამოიღო პირიდან აღმასი და ახსენა ნაგი. ნაგი იმ წამში იქინეი გაჩთა. ჩაყდა შით და წაფიდა. იარა, იარა და მივიდა ერთს აღაგას. ამ აღაგას ზღვაში ერთი დაუუღებელი ქვია აურ-მე. ამ ქვას რომ გასცილდები, შერე აფერი არ გიჭირს. აქანა ამე-იჭრა იმისანა ქარ-ბუქი, რომ კალამ დაძირა ელანსე, მარა ახსენა აღმასის თვალთან დარი და იმ წამში იმთერი დარი დაღგა, იმთერი, რომ მადლი იყო მისი უურება. ამოვიდა მზე და ზღვა ქლა თქროს ფრად გადიქტა. შერე კიდევ ერთი გვირა იარა და ბოლოს ეღირსა ზღვის გაღმა გასვლა. მარა რას ნახავ, არ იტყვი? ქლა უკვლათერი ამწვანებულა. იმთერი ვარდები კია, იმთერი, რომ გაღირეოდა კაცი იმის ნახვით. იმან ბუერი იარა, სეირნობდა იქით-აქეთ, გუნება ელამაზა და აქეთ დაბრუნება არ უნდოდა, მარა რას იზამდი? მაშინ უმ-ფრასი ძმა, სიმონი მიიღებდა ხენწითის და გოგამა კი პირში ხალა-გამოვლენული დარჩებოდა. ამ ხენწითის შვილმა ერთს იმთერი ვარდს მიაგნო, რომ ქლა სისხლივით წითელი იყო. ითქრა: ეტება აკი ვარდი არის მამა ჩემმა რომ დამაბარაო. მოსწევიტა ერთი ხუთი ვარდი, შეკრა წირეხეთ*) და გამოხვია კარგათ, რომ მზეს არ დაეჭვნო. ახლა ითქრა, წაყად და წევიდებო. მოვიდა ზღვის პირას, ამოიღო აღმასი, ახსენა ღმერთი ჟურე, პირჯვარიც დაწერა და შერე კი ნაგი ახსენა. ნაგი იმ წამში იქინეი გაჩთა. ჩაყდა ნაგში და წამოვიდა. იარა, იარა და, რომ მოაწია შვა ზღვაში, ითქრა: მოდი, ვნახავ ვარდსო. გაშალა და ეს ვარდები უკვლავ გათეთრებულყო.

*) კონათ, თაიგულათ.

ხენწიფის შვილმა გაკვირდა და თან კუჭიც მოუვიდა, ეს რა ეშმაკებია? რა ექნა? უვარდოთ შინ ვერ წავიდოდა. დაბრუნდა ისთველე უკან, მივიდა იმ არდგილას, სადაც წინათ იყო და მონახა კაი სისხლივით წითელი ვარდები, შეკრა კიდევ წირეხეთ და წამოიღო, მარა, რამდენათაც აქეთ იცვლის, იმდენათ ეს ვარდები თეთრდება. ხენწიფის შვილი კი მაინც გულის არ იტეხდა. ფიქრობდა: აგი ტყუილათ მზიდან არის, რომ თეთრათ მოჩანსო. რომ მთაწია ზღვის შიკას, ახსენა ხაფი და ხაფი იმ წამსვე იქინეი გაჩაა. ჩაყდა შით და წამოვიდა თავის სახში. იარა, იარა და ბოლოს მოვიდა იმ დაუფუძეულ ქვამს ძირში, რომელიც ქლა უწინ ნახა: აქანაი ნახა ვარდები, კიდომ არ გათეთრებულყოფსო. მარა რას ნახავს დასათესები თავლებით? უგელაი არ გათეთრებულყოფსო!.. ხენწიფის შვილს გულზე შემოჰვიდა, ეს რომ ნახა, ერთ საათს იყო გაბურსალებული ხაფში, მარა მერე იფიქრა: ფუი ამფერ ცხადვრებასო! თურმე კაცი უოფილა კაცის მტერიო. მამა უოფილა შვილის მტერი, ძმაი ძმის მტერი, შვილი მამის და უგელაუაი უგელაის წინააღმდეგ. თურმე კაცზე უფრო კეთილი გულის უოფილა ფხიჭვანი, თავგა და შეღამაო. კაცი კი ბოროტი უოფილაო. კიდო უგელა ვარდი და გადაუძახა ზღვის გორებსავით ადელეკებულ ტაღლებში. ერთი კიდომ ჩაფურთხა და წამოვიდა სახში. მარა ამ სიარულში ერთი წელიწადი დააკვირდა. ხენწიფეს ეფიქრა: იმას ან მხეცი დაჭამდა და ან საცხა ზღვაში დეირჩობოდაო და უმეროსი შვილი ეგურთხებაი ხენწიფეთ, თუმცა მას არც ვარდი მოუტანია და არაფერი. აგი რომ შეიტყო ხენწიფის შვილმა, თქვა: თურმე კაცს არ შეძლება მიზნის მიღწევაო. მერე უთხრა აღმასის თვალს და მამისი*) გადაქცია სამ რქიან ეშმაკათ, უწმინდურ სულათ.

იგი იყო ჭირში და ჩვენ ვიყავით ღხინში.

*) მამისი—მამა მისი.

27. სასწაულ-მომქმედი პერანგი

(სოფ. ვაქირში შეკრებილი ვაქირელი ქალის მიერ).

იყო და არა იყო რა, დვთის უკეთესი რა იქნებოდა. იყო და-სავლეთის ხელმწიფე და უავდა სამი ვაჟი. ერთხელ ხელმწიფე ძრიელ ავით განდა, დაიბარა შვილები და უთხრა: „ვიცი სიკვდილის დღე მომიახლოვდა, ველარ მოვრჩები და ჩემს შემდეგ თუ გაგიჭირდეთ რამე, აღმოსავლეთის ხელმწიფეს მიმართეთ და შემწეობა სთხოვეთ“.

მართლაც კარდაიხვალა. ხელმწიფე და დასაფლავებს, როგორც შეეფერებოდა. გაიგეს თუ არა შორეულ სახელმწიფოებმა ეს ამბავი. დაესვენენ ობლების ქონებას, თითონ კი ცოცხლებმა ძლივს გაასწრეს და აღმოსავლეთის ხელმწიფესთან გაიქნენ. ხელმწიფემ კარკათ მიიღო ისინი, მისცა საკუთარი სახლი, მიუჩინა მოსამსხურე და კეთილათ ეპურებოდა. ერთი მეთვალყურე მიუჩინა და დაავალა: ეს ხელმწიფის შვილები კარგი ნაწურსინი სხანა და, აბა, დღეს პირველ სადილზე რას იტყვიან, ამბავი მომიტანო.

სხვა მრავალ საწუთროთა შორის, ბატკანიც დაუკლეს. დასხდენ სადილზედ. უფროსმა სთქვა, როდესაც პური აიღო ხელში: „ამ პურს ადამიანის სისხლი ურევიან“. საშვალმა სთქვა: „აი ეს ბატკანი თავისი დედის რძით არ არის გაზდილი, ძაღლის ძუძუ უჭამია“. უნცროსმა სთქვა: „მე რომ ხელმწიფეს შევხედე, ის ხენწიფის შვილი არ უნდა იყოლო“.

ეს ამათი ნალაპარაკევი მეთვალყურემ ხელმწიფეს მოახსენა. ხელმწიფემ ბძანა: მოიყვანეთ გუთნის დედა. დაიბარეს. მაშინვე გამოცხადდა. ხელმწიფემ ჭკითხა: „ამ პურს ადამიანის სისხლი რათ ურევიან?“

— ხელი მოგიჭერ თესვის დროს და მუჭით რომ ხორბალს ვაზნევი, სისხლიც თანა ჭევებოდაო, — უპასუხა გუთნის დედამ.

დაიბარეს მემცხვარეები. ხელმწიფემ ამათაც ჭკითხა: „ამ ბატკანს რათ აჭამეთ ძაღლის ძუძუ, თავის დედას რათ მოამოკეთო?“

მემცხვარეებმა უპასუხეს: „დედა მოუკვდა, რძითა ვზდილით და ძაღლსაც შესჩეოდაო“.

დაითხოვა ისინი ხელმწიფეებ, შევიდა თავის დედასთან და უთხრა: „დედი, წუხელის სიზმარში მასწავლეს, თუ ძუძუს მომწოვებ, სიბერემდინ ვიცოცხლებო“. დედამაც მისცა ძუძუ. ხელმწიფეებმაც ძუძუ პირში ჩაიდგა, კბილი მოუჭირა და უთხრა: „მე ვიცი, ხელმწიფის შვილი არა ვარ და მითხარ, ვინ იყო მამა-ჩემიო. თუ არ მეტყვი, არ ავიშვებო“. რადან იზამდა, დედაც გამოტყდა და უთხრა: მეჯინიბეს შვილი ხარო. მაშინ დარწმუნდა ხელმწიფე, ესენი მართლა დიხსნი არიან ჰატივისცემისაო და უფრო კარგათ შეინახა, გამოზარდა და, როდესაც სრული წლოვანისი შეიქნენ, მაშინ გაისტუმრა თავიანთ სახლში. სამივეს სპი ცხენი დაუტვირთა თვალმარგალიტით და ფულით და ისე გაუშვა. წავიდნენ. ბევრი იარეს თუ ცოტა იარეს, ერთ ჯვარედინა გზაზე გავიდნენ. ერთი დიდი ქვა იყო და იქ დაისვენეს. იმ ქვაზე ეწერა: ამ გზით წავიდეს მგზავრი—ისევე დაბრუნდეს, ამ გზით წავიდეს—ან დაბრუნდეს, ან არა, და ამ გზით წავიდეს—სულ ვეღარ დაბრუნდესო. ერთი გზაც თავიანთ სახლის გზა იყო. ეს ქვა ზედ შუაზე იდგა ოთხივე გზებთან და ყოველი წარწერა თავ-თავისაკენ ჰქონდა მიქცეული.

შინ რომ მივიდეთ, რა გავაკეთოთ, სთქვეს,—მტერი სულ გაანადგურებდა იქაურობასო,—და არჩიეს სხვა და სხვა გზით წასვლა. უფროსმა მამამ აირჩია ის გზა, რომელზედაც ეწერა: „წავიდეს, ისევე დაბრუნდესო“; საშუალომა აირჩია მეორე—„ან დაბრუნდეს, ან არაო“; უნცროსმა კი მესამე გზა აირჩია—„წავიდეს, ვეღარ მოვიდესო“. ბევრი ურჩიეს ძმებმა, ჩვენი გზა აირჩიე, მაქვთ ნუ წახვალთ, მარა არ გაიკონა. ამოიღეს თითო ბეჭედი, დაწვეს ქვის ქვეშ, მიწაში დამადეს, ვინც წინ გამოიაროს თავისი ბეჭედი გამოიღოს და მამის ბინაზე წავიდესო, დაუმოწმეს ერთმანეთს და წავიდნენ.

გავეგეთ ჰატარას. წავიდა შორს, უგზო-უკვლავთ, არ იცის სად მიდის, გავიდა ერთ დიდ გზაზე და დაადგა იმ გზას. გაიფანა გზამ ერთ ზღვის პირს და დაუღამდა კიდეც. იქა ნახა ერთი ქოხი. გაუგებოდა, ნუ თუ აქ, ამ უდაბურს ადგილს, არის ვინმე? გადასწვეტიტა მისვლა, ვნახავ რა იქნებაო, და მივიდა. ნახა, რომ ამ ქოხში ერთი დედაბერი იყო.

დედაბერს გაუკვირდა და კითხა: „შვილო, აქ რამ მოგიყვანა ამ უდაბურ ადგილას?“ მართლაც ისეთი უდაბნო იყო ეს ალაგა, რომ კერვინა ცხოვრობდა, არც რა ითესებოდა, შილათ სილა იყო და შიწა არა.

— დედაშვილობას, — უთხრა ხელმწიფის შვილმა დედაბერს, — ბინა მომეცი, ღამე გავათიოო. დედაბერმა შეიწვია შინ და ცხენი გარეთ დააბა, ხურჯინები კი მოხადა და ქოხში შეიტანა. დაღამდა კიდეც. გამოხედა კიდეც ცხენს, მოუარა და უცდარმა სანახავმა შეაჩერა: ზღვაში ერთი დიდი სასახლე იყო და მთლათ ბრწყინავდა, როგორც ცეცხლი, ისე ანათებდა. ძალიან შეშინდა ხელმწიფის შვილი, მარა ბოლოს, რავარც იყო, მოიკრიფა ძალ-ღონე, შევიდა დედაბერთან და კითხა:

— ის რა არის, რომ ანათებს ზღვაში?

— ეგ ოქროს სახლი არის, შიო ხელმწიფის ქალი ცხოვრობს მზეთუნახავი, მრავალკეცი საბურველი აქვს ზირზე ჩამოყარებული, მაგრამ მანაც ეგრე ანათებს მისი სილამაზე მთლათ შიღამოსო, — უპასუხა დედაბერმა.

— როგორ ცხოვრობს, გვერდით ვინ ახლავს და როგორ შეიძლება მასთან ასვლა, გეცოდინება და მასწავლეო, — შეხვეწა ვაჟმა.

დედაბერმა უთხრა: როდესაც ხელმწიფე ცოცხალი იყო, აქ ქალაქი იყო გაშენებული, ხალხიც მრავლად ვცხოვრობდით, და ეგ ქალი რომ ევალა, თილისმის მცოდნე ზირები შეჭკრიფა და ეს სასახლე ასეთ გაჩერა ჭკერში დაკიდებული, ხმელეთიდან კიბე გააკეთებინა იმ სახლამდე და თითონ იმით ადიოდა ქალთან. იმ კიბეს ათასი შეომარი ჭყარაულობდა, არვის შეეძლო სხვას ასვლაო. ერთხელ ადელდა ზღვა და რაც სახლები იყო და ან ხალხი, სულ ზღვაში შეიტანა. მე ზევით, მთაზედ ვიყავ წასული საზღოს სამოგენლად და იქ გადავჩნე. მას აქეთ აქ ვარ, არც სიკვდილი მეღიწსა და ასე ვიტანჯები მარტოკა. იმ ქალს უფუდიდან თუ საზღო ეძლევა და ცხოვრობს, თორემ არა ვიცი რა. ის კი ვიცი, რომ ცოცხალია, რადგანაც ღამე ანათებსო. მეც ციდან მანანა შეძლევა და ვცხოვრობო.

ამ ხელმწიფის შვილმა რომ ეს ამბავი მოისმინა, ისე წავიდა ფიქრებში, რომ იმ ღამეს თვალზე ძილი არ მოსვლია. მეორე დღეს

წაიღო ცოტა ფული, შავდა ცხენზე და წავიდა. იარა, იარა და მი-
აღვა ერთ ქალაქს. იქირავა ხურო, ღურგლები, იყიდა ხის მასალა
და მოიტანა, დააყენა ოსტატები და გააკეთებინა კიბე იმ ქალის სა-
ხლამდი. ოსტატებს ბევრი აჩუქა და სთხოვა, მე რომ ავალ, ეს
კიბე დაშალეთ და ზღვაში ჩაუარეთ. გამოეთხოვა დედაბერს და
ავიდა ქალის სახლში. კიბე ოსტატებმა დაშალეს და წყალში ჩაუა-
რეს. ხელმწიფის შვილი ავიდა ბანზედ და დაიწყო წინ და უკან სი-
არული. ქვეშ ქალს მოესმა ფეხის ხმა და დაუძახა: „რა ხარ, რა
სურვილი ხარ, აქ ვინ მოსულხარ? თავის დღეში აქ აღამიანს არ
გაუფლია და შენ საიდან მოხვედიო“.

— მე მამა უფალმა გამოგზავნა შენს ამხანაგათაო. — უპასუხა ვაჟმა.

ქალმა უთხრა: „მე მამა უფლისაგან შეძლევა სჯარდო და თუ
ესლა შენთვისაც გამოგზავნის, მართალი იქნება შენი სიტყვა, მანამ-
დინ კი მანდ გაჩერდიო“.

გავიდა ცოტა ხანი და, მართლაც, სადილისთვის ორთავეს ტა-
ბლა მოერთვათ თავისი ჰურ-ღვინით.

მაშინ უთხრა ქალმა: „მართლა მამა უფალს გამოგზავნიხარ
ჩემს ამხანაგათ, თორემ გაჩვენებდი, მოჰარვით მოსვლა როგორც უნ-
დოდაო“. შეჭფიცეს უსიკვტილოთ არ ელალატნათ ერთმანეთისთვის
და დაიწვეს სადილობა. იცხოვრეს ერთათ და უზრუნველათ. ქალმა
უჩვენა რვა ოთახი სულ სხვა და სხვა სახანავებით სავსე: ერთში
იყო ფრინველები და გალობდენ ტკბილს ხმებს, მეორეში იყო თუ-
თიუში და, როგორც აღამიანი, ისე ტიტიტინებდა. მესამეში იყო თვალ-
მარკალიტი და ოქრო-ვერცხლი აურებელი. მეოთხეში იყო სულ ჩა-
საცმელები ქალისა. ერთი თითონ საცხოვრებლათ ჰქონდა მდიდ-
რულათ მოწყობილი და დანარჩენს ოთახებშიაღ ბალი იყო მოთავსე-
ბული ათასნიარ სხვა და სხვა ყვავილებით და ხეხილებით. იმისთანა
ხეხილები არსად იყო დედამიწაზედ. იმისთანა ყვავილებიც იყო,
რომ დაჰარაკობდნენ. ერთი ამბობდა: „მე რომ შემეჭამო, მოკვდები“.
მეორე ამბობდა: „მე რომ მევდარს დამადო, გაცოცხლდებო“ და სხვა.
მეცხრე ოთახი არ აჩვენა და უთხრა: ნუ მთხროვ მაგის ჩვენებსაო.

ერთხელ ქალს ეძინა და იმის უჩუმრათ აიღო გასაღები და წა-
ვიდა მეცხრე ოთახის სახანავათ. გააღო და შევიდა. რა შევიდა, გა-

ოცდა: კიდევ ჰატარა ოთახი იყო შიგ. ისე გააოცა ამ სანახაობამ, რომ კარები ღია დასტოვა და მივიდა ამ ჰატარა ოთახის გასადგობათ. გააღო თუ არა, ნახა ერთი ჩიტო, ნისკარტით ჰერანგსა ქსოვდა. ჩიტმა რომ უცნო კაცი დაინახა, გაფრინდა და ჰერანგიც თან წაიღო. ვაჟი მოვიდა დაღვინებული და დაჯდა ქალთან.

გაუღვიძა ქალს. მაშინვე გაიგო საქმე რაშია იყო და უთხრა: „თუ კი ძრიელ გინდოდა გენახა, მეტოვდი და გაჩვენებდიო. ჰერანგი რომ მცემოდა, თუნდ მთელი ქვეყანა შემომოდა, ვერას დამაკლებდა და ესლა კი მუღამ შიშსა და შეწუხებაში უნდა ვიუფნეთო“.

ჩიტმა ჰერანგი რომ წაიღო, შორს, ტრიალ მინდორზედ გაიტაცა და ერთ ალაკას დაუვარდა, თითონ კი გაფრინდა.

გაზაფხული იყო. მწვემისებს ცხვარი მიჰყვანდათ იალადებზედ, ერთ ღამეს ამ მინდორზედ მოუხდათ ღამის გათევა და ცეცხლი კი არა ჰქონდათ, რომ ანთოთ. იურეს აქეთ-იქით, სხვა შემცხვარეები თუ არიან საღმე, ცეცხლი მოვიტანოთო. დაინახეს შორს წერტილი ცეცხლისა და გაგზავნეს ერთი მწვემისი მოსატანათ. რამდენათ მწვემისი უახლოვდება, იმდენათ გაგვირვება ემატება, ცეცხლი არ არის და ასე კი ანათებს. შემცხვარე შიშმა შეიპყრო, მაგრამ მაინც ცნობის-მოყვარეობა ადქრა და მივიდა ახლო. ნახა რომ ჰერანგია. აიღო და წამოვიდა. მოაქვს და უხარია: ეს რა კარგი რამ ვიშოვე, ჩვენს ხელ-მწითეს მივუტან და დამასჩუქებსო. მოვიდა ამხანაგებთან. გაჰკვირდენ. არც ნაქსოვია, არც ნაქარგი, არც ხელით ნაკერი აქვს რამე. გაგზავნეს ეს მწვემისი ხელმწითესთან და გაატანეს ჰერანგი. ახლა ხელმწითე ჰკვირობს: ხელაფნური რამე არ არის, ცით მოწვევტილი ჰკონია. შეატუბობინა ნაზირ-ვეზირებს, გამიგეთ ეს რა უნდა იყოს, ამის წამცხელი ქვენიურია, თუ ცით არის მოწვევტილიო. ვეზირებმა მოახსენეს: „ბატონო, კაცები გაგზავნოთ და თუ ქვენიურია, მაინც გაიგებენ რასმუო“.

მწვემისი დაავიწოდა ხელმწითეს, მაგრამ მწვემის თავისი თავი არ დაჰვიწებია. ხელმწითეს მოახსენა: „რას მიბრძნებთ, ბატონო, ჰერანგი თან წაიღო თუ თქვენა გნებაყოთო“. გაიცინა ხელმწითემ და დასასჩუქრა. მერე გაგზავნა უოველ მხრივ კაცები, გამიგეთ, ვინ არის ამისი ჰატარანი და დიდათ დაგასჩუქრებთო.

წავიდნენ, მთელი წელიწადი ეძებეს, მაგრამ ვერსად რა გაიგეს. დაბრუნდნენ შინ დაღმრთებულები.

ხელმწიფეებაც მოიწვინა, აღარ გამობრძანდა ხილვად სახელმწიფოსს. გასცა კიდევ ბრძანება, ვინც მიზოვის იმ ქალს, ჩემ სახელმწიფოს ნახევარს იმას დაფუტკიცებო. მაშინ მოვიდა ერთი ბებერი და მოახსენა: „ხელმწიფე ადლეგრძელა ღმერთმა! რათა სწუხდებით აგრე, ერთი პატარა ნავი. ერთი ჩარქა ბანგი და ერთი ც ღვინო მიმეტით და მე მოვიყვან იმ ქალსაო“.

გაუხარდა ხელმწიფეს, მისცა უოველივე და გაისტუმრა.

ჩააშვებინა ნავი ზღვაში ბებერმა და წავიდა ზღვით. იმდენი იარა, რომ მივიდა იმ ქალის სახლთან და დაუწყო გარშემოვლა. ამ დროს ქალი და ვაჟი ბაღში დასეირნობდნენ და ზღვას გადმოხედეს. ნახეს ბებერი მალა იშვებს ხელებს, მიშველეთ, ამომიყვანეთ, ვიღუპებით. ვაჟმა გამთარბებინა თოკები. ქალი არ უშვებს, ნუ გინდა, არ ამოიყვანო, თორემ დაფილუპებითო. მაინც არ გაუგონა, ჩაუშვა და ამოიყვანა. გადაჩენისათვის ბებერმა მადლობა შესწირა, ნავი კი ისე მოხერხებულად დაამაგრა სახლის კედელზედ, რომ ზღვიდან არათერი შიში არ მოელოდა და არც ქალსა და ვაჟს შეუმჩნევიათ რამე. იყო ამითთან, კარგი სამსახური გამოიჩინა, კარგის ამბებით ატკობობდა და და ქვეყნიურს ამბებს უმბობდა. ერთ დღეს გაახსენდა, რომ ჯიბით გადაჭრჩა ერთი ჩარქა ღვინო და ერთი ც ბანგი (მეორე ღვინო). თითონ ღვინო დაღია და იმათ კი ბანგი შეაპარა. რადგანაც ბანგისა და ღვინის ჭურჭელი ერთმანეთს ჰკავდა, იმათაც ვერ შეამჩნივეს და დალიეს. დაეძინათ ქალსაც და ვაჟსაც. აღგა ეს ბებერი, გამოსტკრა ვაჟს უელი, ქალი თოკით ჩაუშვა, თითონაც თოკი სახლს მოაბა, ჩაუშვა ნავში, აუშვა და წავიდა. სისწრაფით მივიდა ხელმწიფესთან ქალითურთ. აიყვანეს ქალი და იმისთვის მომზადებულს ოთახში დაწვივნეს ისე მძინარე. როდესაც გაეღვიძა ქალს გაუგვირდა, უცხო სახლში რომ წასა თავისი თავი.

ზირის ფარეშებმა მოურბენინეს ამბავი ხელმწიფეს, გაიღვიძა ქალმაო. იმასაც გაუხარდა და გაექანა ქალთან. ქალმა რომ უცხო კაცი დაინახა, ამოიღო დანა ჯიბიდან და გულზედ დაიდვა—არ მოხვიდე, თორემ მოვიკლავ თავსაო, და დაუწყო გამოკითხვა: „მე აქ ვინ

მომიყვანს, რა ჰქვინ აქურობას, ან შენ ვინა ხარო?“ ხელმწიფემ უთხრა: „მე ამ ქვეყნის ხელმწიფე ვარ, შენ მოგიყვანა ბებერმა, შენი ქმარი მოკლა, ეხლა მე უნდა შეგიერთო ცოლათ, შენი ჰერანგიც აქა მატკს და როდესაც ჯვარს დავიწერ, მაშინ მოგართმევ, მანამდის კი მე შექნებაო“.

— კარგია, — უთხრა ქალმა, — შენს ხელთა ვარ, რას გავაწყობ, მაგრამ ერთი წელიწადი ვადა მომეტი ვიგლოფო ჩემი ქმარი, არავინ შემოხვიდეთ ჩემთან, თუ ვინმე გაბედავთ შემოსვლას, თავს მოვიკლავო, და მთლათ შენს სახელმწიფოს შავები ჩაცვი და სახლსაც შავი გადაკარო.

ყოველივე ზედ დასთანხმდა ხელმწიფე, რაც ქალმა მოითხოვა.

ესენი ამ მდგომარეობაში დავტოვოთ.

როდესაც ვაჟს თავისი ძმები გაშორდნენ და სხვა-და-სხვა გზით წავიდნენ, უფროსმა ვაჭრობაში ბევრი ფული მოიგო, მობეზრდა აქეთ-იქით სიარული და წამოვიდა ძმების შესახვედრად. რა მოვიდა ჯვარედინა ქვასთან, ბეჭდები ნახა. შუათანას გაუვლია და თავისი ბეჭედი წაუღია, უმცროსის იქვე არის. ადგა და წავიდა იმ გზით, რომლითაც უმცროსი იყო წასული. ბევრი ტარების შემდეგ მივიდა იმ ბებერთან და ჰკითხა: „ამ ოთხი წლის წინათ ერთი ვაჟი წამოვიდა აქეთ და ხომ არა იცით რა იმისიო“.

ბებერმა რაც იცოდა ყოველივე უამბო და ისიც, რომ რაც იმ ქალთან ავიდა, აღარა ვიცი რა, და ეს ცხრა დღე იქნება აღარც სინათლე დამინახავსო.

ადგა ეს ხელმწიფის შვილი და წავიდა ქალაქების საძებნელათ. მიაგნო ერთს ქალაქს, დაიჭირაჟა ხურო-ღურგლები, მოატანინა მასალა, გააკეთებინა კიბეები და ავიდა. ავიდა და ნახა საუცხოვო სასახლე მდიდრულათ მოწყობილი, ნახა თავისი ძმა ეელ-გამოჭრილი ხრიალებს. თურმე სიჩქარით ბებერს მთლათ ვერ გამოეჭრა ეელი, სასულე ზედვე ჰქონდა. ადგა, დაიარა მთელი ოთახები, ნახა მშვენიერი ბაღი სხვა-და-სხვა ხეხილით და ყვავილებით. ერთი ყვავილი იძახის: „მე რომ მჭამო, მოკვდები“, მეორე ამბობს: „მე რომ შეკვდარს დამადო, გავაცოცხლებო“ და სხვა. აიღო ამ ვაჟმაც და მოსწევიტა ეს ყვავილი, დაადო ძმას და, მართლაც ცაცოცხლდა. გაახილდა თვალი და ჩაილაპარაკა: „რამდენი მძინებიაო“. დაინახა თავისი

ძმა, გაუგვირდა და ჰკითხა: „როგორ მოხვედი, ან ქალი რა იქმნა?“ ძმამ თავისი მოსვლის მიზეზი აუხსნა, ისიც უამბო, თუ როგორ ამოვიდა, როგორ ნახა თითონ უელ-გამოჭრილი, როგორ გააცოცხლა და სხვა, ქალი კი არ მინახავსო, უთხრა. მაშინ გაასხენდა უოგელივე, ის ბებერი იზამდა უველაფერსო, თავიანთ ბაღში შევიდა, ხის კენწეროები დაჭრა, შეკრა კონახთ და წავიდნენ. ძმას უთხრა: „წადი, ძმაო, სახლში, მე მინამ არ ვიპოვი, იმის გზაზედ უნდა მოგვედო.“

გამორდნენ ერთმანეთს და წავიდნენ, დიდი — სახლში და პატარა — ქალის საძებრათ. დიდის ძებნის შემდეგ შევიდა იმ ქალაქში, ნახა სულ შავი აქვს გადაკრული, ქალსა და კაცს შავი აცვია და მზეც არ ახათებს რიგიანად. იკითხა მიზეზი და უამბეს: „ხელმწიფემ ერთი ქალი მოიყვანა, ეს ქალი თავის ქმარზედ არის მგლოვიარე და უველას შავი ჩაცვავს, არ იცინის, სულ დარდიანია და მზეც ასე არ გვიანათებსო“.

წავიდა, ხელმწიფის კარზედ ჩაირა და დაიძახა: „კარგი ნამუყნების გაკეთება ვიცი, საუკეთესო ტოტები მაქვს, ხომ არ ინებებთ?“ შეატუბინეს ხელმწიფეს. მუბაღეთ აიყვანეთო, — ბძნა ხელმწიფემ. ვაჟმა გააკეთა ნამუყნები და ნამუყნებმა იმავე საფხელს დაისხა საუკეთესო ხილი. ერთი კალათა აამსო მუბაღემ ხილით და ხელმწიფეს მოართვა. გაუგვირდა ხელმწიფეს ხილის მშენიერება და სიმისოთ ხომ არ ენახა ამისთანა არსად. აიღო და ქალთან გაატანა, ასე, იქნება, ესამოგონოსო. მუბაღემ ქალის ფანჯარასთან რომ გაიარა, ქალმა მაშინვე იცნო და სისარულით კარები გააღო. ორთავეთ განხარეს. ჰკითხეს ერთმანეთს თავიანთი თავგადასავალი. ქალმა უთხრა: „რადგან თვალითა გნახე, ახლა გაგვიადგილდება უოგელივეო“.

ხელმწიფეს მოასხენეს: „ქალს ძრიულ უამა ხილი და მუბაღე მიიღოო“. ასე და ამ რიკათ დაიწყო ამ ვაჟმა ქალთან სიარული. ხელმწიფემ ნუბა მისცა უოგელ დღე მიეტანა არჩეული ხილი და მიეთავაზებინა ქალისთვის.

ამათაც ის უნდოდათ. მოილაპარაკეს. ქალმა უთხრა: „როდესაც წელიწადი შესრულდება, იმ დღით მომიტანენ ჩემს პერანგს. მე ვიტყვი, მანამ ჯგარს დავიწერდეთ, მინდა ერთი ბაღში გავიარო და დაესტკბე იმ ხეხილების და ხილის ხახვით მუთქი. მოვალე მუბაღე“.

ში, შენც იქ, რაც ხეები ამეყენ, კინწეროები დაატერ და მზათ გქონ-
დეს, გავშლი ჰერანგს, დავასხდეთ ზედ და გაგვაფერენს“.

ასე, რა წელიწადი შესრულდა, ხელმწიფემ გამოუგზავნა ჰერან-
გი და სთხოვა, გამოდი, ჯვარი დავიწეროთო. ქალმა დაბარა, ერთი
თხროვნაც აღმისრულეთ და დიდის სიამოვნებით, სსვას აღარას გთხო-
ვო. მობძანდა ხელმწიფე, აბა, რასა მთხოვო? ქალმა უთხრა: „თქვენ
თქვენის ჯვართ ბაღის კარებში გაჩერდით. მე მარტოკა შევალ ბაღ-
ში, ვნახავ იმ ხილს ზედ დასხმულს, რომელსაც აქამდინ უთვულ დღე
მიგზავნიდი, მინდა, ჩემის თვალთ ვნახო, როგორ ასხია, დავსტკებები
იმისი ყურებით და შემდეგ თქვენი ნებას, მე წინააღმდეგი არა ვარ
ქორწინებისათ“.

ხელმწიფემ ნება დაჰკრთო. ჩაიფხა ქალმა ჰერანგი, ხელმწიფე და
ჯვარი კი ჩადგა ბაღის კარებში. ქალი შევიდა შუა ბაღში, განხადა ჰე-
რანგი, დაჯდა ზედ, შებაღეტ ოგერდით მოისვა და უთხრა ჰერანგს:
„აბა, ამწი და ჩემს სსსხლეში მიმიყვანეო“. მართლაც ჰერანგი
აიწია და მადლა-მადლა გაფრინდა.

დარჩნენ ხელმწიფე და ჯვარი ზირ-დაღებულები.

ქალ-ვაჟი მივიდნენ თავიანთ სახლში, რაც საუკეთესო რამ ჰქონ-
დათ, თან წაიდეს, დედებერიც არ დაივიწყეს, თან წაიყვანეს და წა-
ვიდნენ ძმებთან. შეუდგათ დიდი სიხარული და დაიწეს მხიარული
ცხოვრება. მანამ ესენი მივიდოდნენ დიდ ძმებს აქმენებინათ ახალი
სახლები და იცხოვრეს გაუჭირვებლად და ბედნიერად.

ჭირი იქა, ლხინი აქა.

28. სოვდაგარი.

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა. იყო ერ-
თი სოფდაგარი და ჰქვანდა ცოლი და ერთი ვაჟი, ჰატარა. ეს სოფ-
დაგარი წინათ მდიდარი უოფილიყო და ესლა გადარიბებულიყო.

ერთხელ ვაჟმა უთხრა დედას: „დედი, იქნება მამა-ჩემის სიმ-
დიდრიდამ გადაგჩა რამე თუელი, ესლა ქარავანი მიდის და მომე,
შეც გაყვებიო“.

— ოცი თუმანი გაქვს, შეილო, სამკვდროთ შენსული და სხვა არაფერი გაგვანიაო,— უპასუხა დედამ.

— მომეცი შე და ვასრულებ, იმედია მოგებით მოგიტანო,— უთხრა ვაჟმა.

დედამაც აიღო და ქმრის უნუმრა მისცა.

წაიღო და მიდის ქუჩებში ჯიბეში ხელეპ-ჩაწოებილი და დაფიქრებული. ნახა, ერთი სახლიდგან წიგნის კითხვის ხმა მოისმის. ავიდა, სასწავლებელი იყო.

— რა მოგცეთ, რომ თქვენსაფით წიგნის კითხვა მასწავლოთ და კარგი წერვა სხვა-და-სხვა ხელზედაო?— ჰკითხა ვაჟმა მასწავლებელს.

— ათი თუმანი მომეცი და გასწავლიო, — უთხრა მასწავლებელმა.

— ოც თუმანს მოგცემ, ოღონდ ჩქარა მასწავლო.

— კარგიო.

მართლაც ისე ჩქარა და კარგად ისწავლა წერვაცა და კითხვაც, რომ მასწავლებელს სჯობნიდა. წიგნები, ქაღალდი და საწერ-კალამი გამოართვა, ოცი თუმანი მისცა და წამოვიდა შინ.

დედას უთხრა: „საქონელი კარგი ვიყიდეთ და მოვიდიოდით, გზაზე შეკობარნი დაგვესხნენ თავსა და რაც გვქონდა სულ წაგვართვეს, შე კავიქეც და ჩემი ამხანაგები იქ დახტესო“..

— რადგან შენ ცოცხალი გადავირჩი, ნუღარ იდარდებო, — უთხრა დედამ.

გავიდა რამდენიმე დღე და კიდევ უთხრა შვილმა:

— დედი, ადარა გაქვს ფული? კიდევ მომეცი, ახლა სხვა ქარავანი მიდის და იმათ გაყვები, უფრო გამოვიცადე ვაჭრობაშიო.

— ოცი თუმანი-და მაქვს, შეილო, და რომ მოგცე, ვაი თუ მამა-შენმა მომკითხოს, რაღა ვუყოფო, — უპასუხა დედამ.

— არა, დედი, ასე მალე რას მოიკითხავს, უფრო მოგებას მოგიტან და მასაც ესინამოგებო.

მისცა ის ოცი თუმანიც. ჩაიდვა ჯიბეში და წავიდა. გაიარა, კოჭის თამაშობდნენ. სულ ერთი უტებდა. იმას უთხრა ვაჟმა: „ემაგრე რომ მასწავლო კოჭის თამაში, სხვამ ვერაფერ მჯობოს, რას გამომართმეო?“

— ათი თუმანი მომეცი და კარგად გასწავლი, ვერაფერს გავაობო, სულ შენ უკებდეო, — უპასუხა კოჭის მოთამაშემ.

— ოცი თუმანი იუოს, ოღონდ კარგად და ჩქარა მასწავლეო, — უთხრა სოფლაგრის შვილმა.

ორ დღეზედ იმისთანა მოთამაშე შეიქნა ეს ვაჟი კოჭისა, რომ მასწავლებელსაც კი უკებდა. ორი კოჭი მისცეს და გაისტუმრეს.

წავიდა შინ და დედას უთხრა: „გაძი რომ უბედურს ვარსკვლავზედ დაიბადება ეს არის, ვიფაჭრეთ, გავგეგმავს ვერაფრით, იმ დამესკლდის ძირას დავდექით, კლდე მოზვავდა, ჩემი ამხანაგებიც და მთლათ საქონელიც სულ ქვეშ მოიტანა და მე განზედ ვიდექ და ღვთით გადავრჩიო“.

— რაკი შენ გადაშირჩი შეიღო, რა ვუყო, შენი ჭირის სანაცვლო იუოსო, უთხრა დედამ კიდევ.

გაიარა რამდენმამე დღემ და კიდევ უთხრა:

— დედი, იქნება კიდევს გქონდეს თუელი, ყოველთვის ხომ ასე არ მომიხდება, ახლა მოკვებას ვნახავო.

— რა ვქნა, შვილო, სულ სამოცი თუმანი მქონდა მობარებულად, ესლას ეს ოცი თუმანი-და დამრჩა და მამა-შენმა რომ მომკითხოს, რაღა ვუყოფო? — უთხრა დედამ.

— განა დედი, კიდევ ვიზარალები! ეგეცა ვცადოთო.

მისცა ეს ოცი თუმანიც და გაისტუმრა. ბევრი იარა, აუ ცოტა, მივიდა ერთს ბაღთან. იქ შეკრებილა ხალხი, ზოგი უკრავს დათა-ზურნას და ზოგი თამაშობს. აგრეთვე თამაშობს ხე, ქვა, თოთოლი, ბაღანი, ერთი სიტყვით, სულადი და უსულადი, ყოველივე მხიარულობს.

— რა მოგცე, რომ დათა-ზურნის დაკვრა ასე კარგათ მასწავლოთ, — ჰკითხა სოფლაგრის შვილმა მედათა-ზურნეს.

— ათი თუმანი მომეცი და ძალიან კარგათ გასწავლიო.

— ოცი თუმანი იუოსო.

მედათა-ზურნეს გაუხარდა, რასაკვირველია, და სამ დღეზედ ისე ასწავლა, რომ თავისზედ უკეთესად, მისცა ერთი დათა-ზურნა დასაკვები, ამხანაგ ჩაიდვა ჯიბეში და წამოვიდა შინ დაღობებული.

დედამ ჰკითხა: „რა იყო, რამ დაგადონა, შეიღო, კიდევ ხომ არა შეგემთხვა-რა?“

— რაღა რა იყო, დედი! უბედურს ადამიანს ქვა აღმართში მოეწევაო; ვივარკეთ ძრიელ იათათ, კარგ თასებში გავვიდევით, დავბრუნდით ზღვით, ერთ ღღეს ავი ქარი ადგა, ხომალდი დაგვემსხვრა, მე ერთს თიფრანზედ შეერჩი და ზღვამ ნაწირს გამომაგდო, ჩემი ამხანაგები სულ დაიღუპნენო.

დედამ უთხრა: „რადგან შენ გადამირჩი, ვითომ სულ აღარა მქონია ფულიო“.

ახლა მამას უთხრა: „ერთი მდიდარი სოფლადგარი მოვიდა ჩვენ ქალაქში, იმის კარზედ ჩამატარე და დაიძახე: ბიჭი ვის უნდა ერთ ტომარ ოქროზედ გასაყიდი? ის არ იკადრებს უარის თქმას და მიყიდისო“.

აიღო ტომარი ამ ბიჭის მამამ, მოჰკვიდა ხელი შეიღეს და წაიყვანა, მდიდარი სოფლადგარის კარზედ ჩამატარა და დაიძახა: „ბიჭი ვის უნდა ერთ ტომარ ოქროზედ გასასყიდიო?“

მდიდარ სოფლადგარს გაეცინა, ბიჭი და ერთი ტომარი ოქრო ვის გაუტონიაო?! შეიღმა უთხრა მამას: „აბა, აქ რისთვის მომიყვანე, განა მაგას იმდენი ოქრო აქვს, რომ გაიმეტოსო?“

გაბრაზდა მდიდარი, აუფსო ერთი ტომარი ოქროით და მისცა, ბიჭი კი თიათნ დაიტოვა.

ბიჭმა უთხრა მამას: „ეგ დიდხანს გეუფათა და მეც მოგეშველებითო“.

წამოიღო ოქრო და მოუტანა ცოლს. დაუწევს ცოტ-ცოტა ხარჯვა.

ახლა სოფლადგარს მივხედოთ. ბიჭი რომ იყიდა, ძალთან დაეძარდა, ამ თასათ რომ ვიუიდე, რა უნდა გაგაკეთებინო ისეთი, რომ დიდდესო! გადასწევიტა, შინ გაგზავნა და იქ აზუშავებნო. აჭვიდა ჯორ-აქლემს საქონელი, ერთს ნოჭარს გაატანა და ეს სოფლადგარის შვილიც თან გაუოლა. ზღვა უნდა გაეფლოთ, გემი ელოდათ. მივიდნენ გემზედ, ჩასხდნენ და წავიდნენ. ნოჭარმა და მეგემემ კოჭი ითამაშეს და სულ წაგო ნოჭარმა, რაც თაგისი ჰქონდა და რაც სოფლადგარმა გაატანა. მთლათ საქონელი, სოფლადგარის შვილი და ეს ნოჭარიც სულ მეგემემ მოიგო.

სოფლაგრის შვილმა იკითხა: „რაც ჩემ ჯიბეში რამ არის, ის ჩემია თუ მოკვებულა?“

შეგვემე უთხრა: „მარტო შენ მოგიგე, რაც შენ ჯიბეში გაქვს, შენია“.

ამოდოლო ორი კოჭი და ორი შაურცი ფული ჰქონდა. ეთამაშა შეგვემეს და მოუგო, იმდენი ეთამაშა, თავისი თავი დაიხსნა, კიდევ ეთამაშა—ნოქარი დაიხსნა, ეთამაშა—სოფლაგრის საქონელი დაიხსნა, ეთამაშა კიდევ და, რაც შეგვემეს ჰქონდა, სულ მოიგო, ბოლოს გემიც და შეგვემეს მოიგო. როდესაც გავიდნენ, შეგვემეს უთხრა: „შენც გაძინთავისუფლებინარ და გემიც და თუ ჩემი გვარის კაცმა გამოიაროს, უფასოთ გამოიყვარ“ — თავისი მამის დარდი ჰქონდა.

ადგნენ და წავიდნენ.

გზაზე და ამ ბიჭმა ნოქარსა ჰკითხა: „ვისთან მივდივართ, შინ ვინა ჰყავს ჩვენს ადასა?“

ნოქარმა უთხრა: „ცოლი ჰყავს და სამი ქალი, ერთი გასათხოვარია და ორიც ხატარა“.

ადისაგან წიგნი ჰქონდა ბიჭს წამოტანებული. განსნა და აი რა ეწერა: „ეს ბიჭი ძვირათ ვიყიდე და რამ მოვიდექ ახუშავეთ, ქვა და ქვიშა აზიდვინეთ“.

ამ ბიჭმა გადასწერა იმავე ხელზე: „ეს ბიჭი რამ მოვიდექ, ჩვენს დიდს ქალზედ ჯვარი დასწერეთ“.

მივიდნენ შინ. წიგნი გადასცა ადის ცოლს. იმანაც დასწერა ჯვარი და სცხოვრობდნენ. მოახლოვდა სოფლაგრის მოსვლის დრო და ბიჭი დაფიქრდა: „როდესაც მოვა, რას იტყვის?“ ასე დაფიქრებული დადიოდა მთელი დღეობით. ერთ დღეს ქალაქ გარეთ გაიარა. ნახა, ერთი უმაწვილი დგას და ერთს შენობას შეჭურვებს. გამარჯობა უთხრა. „გაგიმარჯოს“ იყო ხასუხი და არ-კი მოიხუდა.

სოფლაგრის შვილმა ჰკითხა: „ასე რათ შეჭურვებ, რატომ არ მოიხუდა?“

იმან უხასუხა: „ა იმ შენობაში ერთი ქალი დაგინახე, შევიდა და ადარ გამოსულა, რამ ერთი კიდევ დაგინახო და ჩემს გზაზედ წავიდეო. მამა-ჩემი ამ ქვეყნის ხელმწიფეა, ჩემს მეტო შვილი არა ჰყავს და თავის საცხოვრებელს გაუგოფს, ვინც დამინახუებს“.

— იმისი სანდოებები არ მინდა, ერთი სიტყვა აღმისრულს და მე გაჩვენებო, — უთხრა სოფლაგრის შვილმა.

შეჰპირდა ხელმწიფის შვილი: — ისეთს რას ითხოვ, რომ ვერ შეიძლოს აღსრულება?

ამოიღო სოფლაგრის შვილმა თავისი დაკეცილი დათა-ზურნა ჯიბიდან და დაუკრა. თითონ ხელმწიფის შვილმაც დაიწყო თამაშობა. ხე, ქვა თუ ბაღახი ვეკლა თამაშობდა და თვით ქალიც თამაშობით გამოვიდა მოაჯირზე. ამ ბიჭმა მშინვე გაჩერა დაკვრა. ქალი კი ეძახის: „დაუკარი კიდევაო!“ სოფლაგრის შვილმა უთხრა: „აბა რა საკადრისია, ჩვენ აქ უკრავდეთ და თქვენ მანდ ითამაშობთ“.

მერე მიიწვია უმწიფეები თავისთან და ქალმა გამოუცხადა სოფლაგრის შვილს: „სანდოებები ბევრი მაქვს, ამის მეტათ კაცი არ მინახავს ჩემს ახლოს და შენ უნდა იყო ჩემი ქმარი“.

სოფლაგრის შვილმა უთხრა: „მე ცოლი მუჯს, აი ეს ჩემი ძმა არის და ეს შეირთეთ“. ქალიც დასთანხმდა.

გაუხარდა ვაჟს და გაუგზავნა მამის მახარობელი, ცოლი შევირთე, თითონ ის ქალი, ვისი ნახვაც აქამდინ მენატრებოდაო.

ხელმწიფეს გაუხარდა და ბრძანა: „ვინ იყო ჩემი შვილის მხსნელი? ვინ გამაბედნიერა? მომიყვათ აქაო“.

წაიყვანეს სოფლაგრის შვილი ხელმწიფესთან. ხელმწიფემ ჰკითხა: „რას ითხოვ, რომ შვილი გამიბედნიერე, სამი წელიწადია სულ იქ იდგა და უეუბრებოდა“.

სოფლაგრის შვილმა უთხრა: „არაფერი სხვა არ მინდა, ესა და ეს სოფლაგარი რომ მოვიდეს ამ ქვეყანაში, მანამ სანდოში მივა, დასტერინეთ და გადაუწვევით ჩამოხრჩობა. ბევრი მოვა და გთხოვს, მაგრამ ნურავის ნუ ამატივებ იმის სიტყვებს და როდესაც მე გთხოვო, მე ამატივებო“.

ხელმწიფე შეჰპირდა: „მაგისთანა ადვილი რა არის, ავისრულებო“. მერე გამართა ქორწილი, დასწერა ჯვარი შვილსა და რძალს, მრავალი ხალხი მიიწვია და დიდი ღვინი გადინდა.

მოვიდა დრო სოფლაგრის მოსვლისა და უკვლა გზებზე დარაჯები დააყენეს. როდესაც ქალაქში შემოვიდა, დაიჭირეს და წარუდგინეს ხელმწიფეს. ხელმწიფემ ბრძანა: „ჩამოხრჩვეთ განუკითხავად!“

სოფლაგარი ჰქვირობს: „არა დამიშაგებია რა და რას შემართლე-ბითა?“

— განუკითხვავთ ჩამოახრჩვეთ, დიდი დანაშაული აქვსო, — გაი-ძახის ხელმწიფე.

დადგეს ბოძი ჩამოსახრჩობი, აიუვანეს ზეღ და უნდა ჩამოახრ-ჩონ. მიდიან დიდი ზირები ხელმწიფეთესთან, სთხოვენ: „ჩვენ გვაზა-ტიფეთ“.

— არ შეიძლება, — ამბობს ხელმწიფე, — ჩამოახრჩვეთ!

ბოლოს, რომ მოსწეინდა სოფლაგარის შვილს, მივიდა და სთხო-ვა ხელმწიფეს: „ჩემი ხათრისათვის მანინც ანატოეთო“.

ხელმწიფემ ბძანა: „ჩამოხსენით მაგის ხათრისათვისო“.

სოფლაგარმა ერთი კი გადახედა, ვინ იყო თავისი მხსნელი, და წავიდა. შიშისაგან ავთ განდა და ლოკინში დაწვა. ამ დროს იმის თანჯარასთან გაიარა სოფლაგარის შვილმა. დანახა სოფლაგარმა და სთქვა: „ეგ უმაწვილი იყო ჩემი მხსნელი, მაგან გამანთავისუფლათ“.

ცოლმა უთხრა: „ეგ ხომ ჩვენი სიძეაო!“

გაუგვირდა სოფლაგარს: „რა სიძე, რას ამბობთ?“

— ჩვენი შვილის ქმარი, შენ რომ მოგეწერა, ჩვენ დიდს ქალ-ზეღ ჯვარი დასწერეთ, მეც დავსწერეთ, — უთხრა ცოლმა.

— მე ეგ არ მომიწერია, მე მოგეწერე: ძვირათ ვიყიდე და ქვა და ქვიშა აზიდვინეთ, ამუშავეთ-მეთქი, მაგრამ რას ვამბობ, ალბათ დმერთს ასე უნდოდა! — სთქვა სოფლაგარმა.

ცოლმა მოუტანა თავისი მოწერილი.

დაუძახეს სოფლაგარის შვილს. დალოცა სოფლაგარმა შვილიც და სიძეც და უთხრა: „გინდა აქ იცხოვრე, გინდა წაიდე, რაც გინდა, და შენს სახლში წადიო“.

წასვლა არჩია. სოფლაგარმაც აუკიდა ჯორ-აქლემს საცხოვრებე-ლი და გაისტუმრა.

მივიდა თავის დედ-მამასთან. კადარბებუღიყვენ. გაუხარდათ შვილის მოსვლა და გაიხარეს.

ჭირი იქა, ლხინი აქა.

29. ოქროს თმინი ვაჟი.

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა. იყო ერთი ცოლ-ქმარი და ჰყვანდათ ერთი ქალი. ცოლი ავად გახდა და ქმარს უთხრა: „მე ხომ ვკვდები და ისეთი ცოლი შეირთე, ვისაც ეს ჩემი ქოშები გამოადგეს“. მოკვდა. ქმარმაც დამარხა, როგორც შეეძლო, იცლყოფა სურვილისძებრ და შემდეგ აიღო ქოშები და შეუდგა ცოლის ძებნას. ვისაც ჩაცვა, არაფის მოადგა, ზოგს დიდი შოსდიოდა, ზოგს შატრა. იოლას შინ მოიტანა, ჩაცვა თაფის ქაღალს და კარგათ მოუვიდა. ბევრის ტარებით რომ დაიღალა, უთხრა ქაღალს: „რადგან ვერაფერ ვიძლეო ისეთი, რომ ეს ქოშები კარგათ მოსვლოდა და შენ კი კარგათ გაქვს, დედი-შენის ანდერძს ვერ გავტყვ და შენ უნდა შეგიერთო ცოლათა“. ქალი გაჰფრდა, დაიწყო ტირილი: „ეგ როგორ გამიბედა, ჩემი მშობელი მამა ხარ“. ბევრი იტინა, ბევრი იცა თაფლი, მაგრამ კაცი არ მოეშვა. ბოლოს ქაღალს უთხრა: „კარგი, რახან არ დავიშლია, ამ სახელში ვერ დავიწერ ვფარსა, ახალი ააშენე და ნება შენი იყოს, შენ ხელთა ვარ“.

დაიბარა კაცმა ხურ-ღურგლები და დაიწყო ახალი სახლის აშენება. როდესაც შუაზედ დედაბოძს აკეთებდნენ, ქაღალს მამის უჩუმი რა ფული მისცა ღურგლებს და უთხრა: „ამ დედა-ბოძმა კარები გაუკეთეთ, შიგნიდან გული სულ ამოიღეთ, კარებს ჩასაკეტი ვჭკნდეს და კარედან არ ემჩნეოდეს, მე შიგ დავიმალე და მამა-ჩემი რომ ვეღარ მიპოვნის, გეტყვით: „აიღეთ, რათ მინდა, თითონ კი აღარ არის, სულ წყალში ჩაყარეთ. თქვენც ეს ბოძი შირქვე არ ჩაგდოთ, გულადმა ჩაგდეთ“. როდესაც გაათავეს სახლის დედა-ბოძი, ქალი დაიკარგა. მამამ ბევრი ეძება და რაკი ვეღარა გაიგო რა, გაჰფრდა და უთხრა ხურ-ღურგლებს: „იშისთვის ვაკეთებდი სახლს და ეს რადათ მინდა, აიღეთ და სულ წყალში ჩაყარეთ“. დამალეს მამინვე. ახლო დიდი წყალი იყო, შიგ ჩაყარეს და როგორც ქაღალს უთხრა, ის ბოძი გულადმა ჩაგდეს. წყალმა ბევრი ატარა თუ ცოტა, გაიტანა ეს დედა-ბოძი ერთს სხვა სახელმწიფოში და ნაპირზე გარდია. თურმე იმ ხელმწიფეს შვილი გასწერამა, რატომ არ მაქონწინებო, და დიდის წყლის ნაპირებზედ გასართობად.

რს დაინახა, მოეწონა ეს ხე, ჩემი სახლისთვის კარგი იქნება დედა-ბოძათო და დაუძახა თავის მოსამსახურეებს, შინ წაიღეთო. გამოიტანეს და წაიღეს. იმ დროს აშენებდა სახლს და დაეუნეს დედა-ბოძათო. ეს უმაწვილი იმ ახალს სახლში იძინებდა. თავით და ფეხთით სანთელს უდგამდნენ შანდლებით და ორ ტაბაკს სსჭმელს უდგამდნენ თავ-ბოძლოს, რადგანაც ასეთი ჩვეულება ჰქონდა. რა ის ბოძი შეიტანეს და დაეუნეს სახლში, იმ დამეს დასუსტებული ქალი გამოვიდა, ნახა მძინარე ვაჟი, მოეწონა, შერე მივიდა, ცოტა ერთი ტაბაკიდან შეჭამა, ცოტა მეორიდან, შანდლები შეუცვალა და შევიდა ისევ თავის ალაგას და ჩაიკეტა შიგნიდან. მეორე დღით ნახა ვაჟმა, ტაბაკიდან კერძი ადებუღია, შანდლები შეცვლილია. გაუკვირდა. დაუძახა თავის მოსამსახურეებს, მაგრამ არავინ არაფერი იცოდა. ის დღე ისე გაატარა. როცა დადამდა დაწვა დასაძიხებლად. კიდევ დაუდგეს თითო ტაბაკი კერძი და შანდლებით სანთელი. იმ დამესაც, რა დაიძინა, კიდევ გამოვიდა ქალი, რამდენიც უნდოდა სჭამა, შანდლები შეუცვალა, გადახედა მძინარეს და შევიდა თავის სამალავში. მეორე დღეს რა გაეღვიძა, ნახა შანდლებიც შეცვლილია, კერძიც ადებუღია. ჰკითხა თავის მოსამსახურეებს. არავინ რა იცოდა. იმ დამესა სთქვა ხელმწიფის შეიღმა: „უნდა გუყარაულოვო“. დაჯდა და დაიწყო ფინდურის დაკვრა. რომ არავინ მოვიდა, სთქვა: „ამ ხმაურობაზე ვინ მოვია“. დაწვა და განკებ ხვრინვა ამოუშვა. ამ ქალმა იდროვა, ესლა კი სძინავს და გამოვიდა, კერძი სჭამა, შანდლები შეუცვალა და ვაჟს დაატქერდა, უნდა ეკოცნა. ამ დროს ვაჟი ადგა, დაიჭირა და ჰკითხრა: „რა ხარ, რა სულოერი ხარ, საიდან განდობო?“ ქალმა მოკლეთ უამბო თავის თავ-გადასავალი. ხელმწიფის შეიღს დიდად მოეწონა ქალი და დედ-მამას შეუთვალა: „სალოლე ვიმოვე, ქორწილი მოამზადეთო“. გაუკვირდა დედ-მამას, საიდან იმოვაო. დასწერეს ჯვარი და სცხობრობდნენ ბედნიერთ. დაორსულდა ეს ქალი და წლის თავზედ ეუოლა ოქროს თმისანი ვაჟი. ცალ მხარეს ხელმწიფე და მისი ცოლი იძინებდა, ცალ მხარეს ხელმწიფის შვილი და მისი ცოლი, შუაზედ თოკი ჰქონდათ გაბმული და ბავშვი შიგ ეწვათ. როდესაც ბავშვი იტოკებდა, იქიდან პამპობია ჰკრავდნენ ხელსა, აქედან დედ-მამა და აქანავდნენ.

ერთი დრო არვის შერჩებაო, იტყვიან, ამ ქალსაც ისე მოუვიდა. ერთ საღამოს ეწვია ერთი გლახა და შეევედრა: „ამაღამ თქვენთან მომეცით ბინა, სწავგან მეშინიანო“. ქალმა იცნო, მამა იყო თავისი და განკებ გლახათ მოახყენა თავი. უარი ვუთხრათ. ხუ დავაყენებთო, უთხრა ცოლმა ხელმწიფის შვილს, მაგრამ ვინ გაუგონებდა. ის კი ვერ გამოუტყნდა, მამა-ჩემიაო, რადგანაც ეშინოდა, დასჯიანო. დაღამდა და დაწვნენ. უკვლამ დაიძინა. ადგა ის მათხოვარი, ქალის ჯიბიდან დასა ამოიღო, მიხინარს ბავშვს უკელი გამოსჭრა და სისხლიანი დასა ისევ ჯიბეში ჩაუდვა ქალს. გათენდა დილა. გაიღვიძეს უოველთ და ბავშვი არ იღვიძებს ჩვეულებრივად. გაუგვირდათ. მივიდა დედა, ნახა, გულს შემოეყარა. ვინ უყო, ვინ? — შვიქნა კი თხვა. რას გაიკებდნენ. ის გლახა იქვე იყო და იმან სთქვა: „ვინც იზამდა, ცხადია, თითონ არ იტყვის და ვისაც ჯიბეში სისხლიანი დასა აღმოუჩნდება, ის იზამდაო“. ძალაუჩნებურათ უკვლამ ჩაიყო ჯიბეში ხელი და ქალმა კი ამოიღო სისხლიანი დასა. როგორ თუ შენ უბაწვილს უკელი გამოსჭერიო, — დასთხარეს თვალები, დაატრეს ძუძუები, უკელ-გამოჭრილი ბავშვი გულზედ მიაკრეს, გაიფანეს უდაბურს მიწოდარზედ და დანებეს თავი. დაიწყო უმოწულოდ ტირილი, მაგრამ რას იზამდა, ძალა იმათ ხელში იყო. გადიოდა დღეები, შეველა არსათა იყო. გრძობდა ქალი, რომ ბავშვი იზრდება და არც სუნი უდის. არ იხრწნება. იმდენი იტირის სასრალთ, იმდენი, რომ მამა უფალს შეესმა მისი ხმა, გამოგზავნა ყვავი და უთხრა: „წადი, გაიგო, ქვეყანაზედ რა ამბავიაო“. ჩამოვიდა ყვავი, ძუძუების სისხლით გაძლა და წავიდა: „არაფერი არ არისო“. კიდევ ტირის ეს ქალი და სწუნს. მამა უფალმა ახლა გამოგზავნა მტრედი: „წადი, ნახე, რა ხმა არისო“. მოვიდა მტრედმა, ფეხები დაისისხლიანა, — მას შემდეგ აჭვთ მტრედებს წითელი ფეხები, — ავიდა და მოახსენა: „ერთი ქალი ვნახე თვალებ დათხრილი და ძუძუებ დატრიალი, გულზედ უკელ-გამოჭრილი ბავშვი ჰყავს მიკრული, ზის და ტირისო“. მამა უფალმა მისცა მტრედს ერთი ხელსახოცი და ერთიც ჰაწია ფიჭვის ნაჭერი, ნაფორტი, აი ეს ხელსახოცი თვალებზედ მოუსვი — აეხილება, ძუძუებზედ მოუსვი — გაუშთელდება, ბავშვს მოუსვი — გაცოცხლდება და ეს ნაფორტიც გადაეცი. რასაც სთხოვს, სულ

მიეცემა. წავიდა მტრედმა და შეასრულა უოველივე. მოუსვა თვალებზედ — აებილა, ძუძუებზედ მოუსვა — გაუმრთელდა, ბავშვს ეელზედ მოუსვა — გაცოცხლდა და უთხრა: „აი ეს ნაფორტი, შეინახე და რასაც ინატრებ, უოველივე შეგისრულდება“. წავიდა მტრედი და ხელსახოცი მამა უფალს მიუტანა.

ადგა ეს ქალი. საწყალმა ღმერთს მადლობა შესწირა გადარჩენისათვის. ინატრა სისმელ-საჭმელი, ბავშვმაცა და თითონაც ჭამა, ინატრა სიმოსელი — მიეცა. ინატრა: „ღმერთო და ჩემო სიალღმართლევე. სადაც ჩემი ქმარი სცხოვრობს, ისევე იმ ქალაქს ახლოს მიმიფვანო“. ეს ნატვრაც აუსრულდა. მივიდა ერთს განაპირს სახლთან, ერთი ბებერი გამოვიდა. უთხრა: „დედაშვილობას, ამაღამ შენთან შემინახე“. ბებერმა უთხრა: „შვილო, კარგს ვისმეცა ჰქვარ და შენი გასამსახინძლეული არა მაქვს რა, შენს საკადრისად ვერ დავიხვდები“. ქალმა უთხრა: „შენც მე შეგინახავ, შენი არა მინდა რა“. კარგით. — უთხრა ბებერმა, — მისცა თავის სახლში ბინა. იმ დამეს კარგი ვახშამი ინატრა, სჭამეს, დაწვნენ და მოღალეულს კარგათ დაეძინა. მეორე დღით ინატრა საუკეთესო სახლე-ბი. დაეცათ თავზედ. ბებერი ჰკვირობს — ეს რა დღეში ჩავარდიო. სცხოვრობდნენ ტკბილათ. ერთ დღეს ქალმა ჰკითხა: „ამ ქალაქს ვინა ჰპატრონობს, ან ხელმწიფე ვინ არისო“. ბებერმა უამბო: „ერთი ხელმწიფე ცხოვრობს, ძრეულ მდიდარი, ერთი ვაჟი ჰყავს, იმ ვაჟს ცოლი ჰყვანდა, თავის ბავშვს ეელი გამოსჭრა, სისხლიანი დანა ქალის ჯიბეში იპოვესო. დაჭრეს ძუძუები, დასთხარეს თვალეები, შვილიც გულზედ მიაკრეს, გაიფანეს ტრიალ მინდორზედ და არ ვიცით, რა იქნაო“.

— არ შეიძლება, ის ხელმწიფის შვილი დაჭმარტიყოფო? — ჰკითხა ქალმა.

ბებერმა გაკვირვებით შეჰხედა: „ის მე რას მიკადრებს, სისა-ცოლოთაც არ ვეუოფიო“.

— შენ სცადეო, — უთხრა ქალმა.

წავიდა ბებერი და ხელმწიფის შვილი დაჭმარტივა: „დღეს სა-დილათ ჩვენთან მობძინდი თქვენის მზარეულით, რომ თქვინი სა-კადრისი საჭმელეები მოგიმზადოსო“.

ხელმწიფის შვილს გაეცინა: „შენთვის რა გაქვს, მე რით უნდა გამიმასპინძლდე“. უარი უთხრა. მაშინ ქალმა ინსტრა ერთი ჰარკი ოქრო და მიეცა. აი დედი, ეს ჰარკი წაუღე და სთხოვე: „ეს მანდ ინებეთ და თქვენი ჯარით მოხდნით-თქო“. წაუღო ბებერმა და სთხოვა: „აი ეს აქ მაირთვით და თქვენის ჯარით მოხდნით-თო“. გაეცინა ხელმწიფის შვილს და უთხრა: „კარგი, მოვალთო-გაგზავნა თავისი მზარეულები სადილის მოსამზადებლათ. რაც ხელმწიფის შვილს კვადრობდა და ესამოგნებოდა, იმისთანა სადილის მზადებას შეუდგენ. ერთ ოთახში ქალი იყო ცაღკე, კარებსედ ფარდა ჰქონდა ჩამოფარებული. იმის პირდაპირ სამზარეულო იყო და, როდესაც ფარდა აიხლებოდა კარებისა, ქალი სჩანდა სამზარეულოდან. ეს ბავშვი კარგათ მოიზარდა. შეიჩენდა დედასთან, გაიბრუნდა სამზარეულოში და ასე ერთიდან მეორე ალაგას მიბობდა, მეორიდან მესამეს და ერთობდა. ერთმა მზარეულმა შეჰნიშნა ქალი ფარდის იქით და თვალი ვეღარ მოაშორა იმის სილამაზეს. როდესაც კი ფარდა გაიხლებოდა, თვალები სულ იქით რჩებოდა. მოვიდა ხელმწიფის შვილიც თავისი ნახირ-გეზირებით. მიართვეს სადილი, რაც კი თვალსა და გულს ესამოგნებოდა, მაგრამ როდესაც ხოხობი მოართვეს, აჩამც თუ შემწვარი, დაწვარი ზევიდამ და ქვეშით კი უმი, — გაუგავრდა თავის მზარეულს: „ასე რათ გაათუტეო?“ მზარეულმა თავის მართლება დაიწყო: „რა გქნა. ბატონო, აქ იმისთანა არსება ზის, რომ იმის ურებაში დამეწვია“.

— კარგათა სთქვი, რას ამბობ, ვის ურებაში დაგეწოვო.

— აქ რომ უმაწვილი შემოვრბის, იმისა დედა იქ არის, ფარდის იქით და რამდენსაც უმაწვილი ფარდას სწევდა, იქით ვიუურებოდი და იმისთვის დამეწოვო?

— დაუძახეთ ბებერსაო, — ბრძანა ხელმწიფის შვილმა.

მოიყვანეს ბებერი.

— ჩვენ გარდა თუ კი სხვა სტუმარიცა გყავდა, რატომ ჩვენთან არ მოიყვანეო? — ჰკითხა ხელმწიფის შვილმა.

ბებერმა მოასწვნა: „ერთი ქალი თავისთვის ცაღკე ოთახში, ის აქ არ გამოვაო“. მოიწვინა ხელმწიფის შვილმა და წასვლა უბრძანათ: „ჩქარა, ცხენებო!“ დაუწევს კაზმა მამინვე დეღამ მისცა

- პატარა ემაწვილს ერთი წკებლა და დაარია: „როდესაც ხელმწიფის შვილი ცხენზედ ჯდებოდა, აი ეს წკებლა უზანგოში ჩაატანე და წასვლის დროს დაუძახე: ემაწვილო, ემაწვილო, წკებლა რატომ მოგინანავსო. ის გეტყვის: მე არ გამოვიცა, აქ ვინ ჩამატანაო. შენ უთხარ: როგორც შენ ვერ გაიგე, ეგ წკებლა ვინ ჩაგატანა, ისე დედაჩემმა ვერ გაიგო, მე ვინ გამოძიქრა უელი-თქო. ის კითხავს: რა თქვიო? შენ ეტყუა: დედაჩემმა უფრო კარგათ იცის-თქო“.

ამ ემაწვილმაც უველათური ეს შესრულა. როდესაც ცხენზედ ჯდებოდა ხელმწიფის შვილი წკებლა უზანგოში თებ-ქვეშ ამოუდგა. ცოტა რომ გაიარა, მიასხა: „ემაწვილო, ემაწვილო: წკებლა რატომ მოინანავო“. დაიხედა ხელმწიფის შვილმა, მართლაც ჰქონდა და სთქვა: „არ ვიცი, ვინ ჩამატანა, მე არ გამოვიცაო“.

— ჰო, როგორც თქვენ ვერ გაიგე, წკებლა ვინ ჩაგატანა, ისე დედაჩემმა ვერ გაიგო, მე ვინ გამოძიქრა უელიო, — უთხრა ემაწვილმა.

— როგორ, როგორ სთქვიო? — ჰკითხა ხელმწიფის შვილმა.

— მე არ ვიცი, დედაც კარგათ იცისო, — უპასუხა ბავშვმა.

მაშინვე გადმოხტა ცხენიდან და უთხრა ემაწვილს: „აბა, დედაშენი მახვენიო“. ემაწვილმაც წაიყვანა თავის დედასთან.

ხელმწიფის შვილმა თავი დაუკრა ქალს და სთხოვა: „ეს ემაწვილი რას ამბობს, თქვენ კარგათ მიაშბეთო“. ქალმაც აუსრულა თხოვნა და სულ უამბო ზღაპრათ: „იყო ერთი ცოლ-ქმარი და ჰყვანდათ ერთი ქალი. დედაკაცი რომ კვდებოდა, ქმარს ანდერძათ დაუტოვა: ვისაც ჩემი ქოშები გამოადგეს, ის შეიერთეო. ესე რაც თავი დამ აქნობამდე მოხდა, სულ უამბო და ისიც უთხრა, რომ უველა ამ ამბის გმირი ქალი მე ვარო. ავიტანე მამიდანაც და თქვენგანაც ამდენი ტანჯვა და უსამართლობა და ღმერთმა სიმართლისთვის მიშველა, მეც გამანთავისუფლა და აი ეს ბავშვიც გამიცოცხლაო“.

ხელმწიფის შვილის სიხარულს საზღვარი აღაჩა ჰქონდა, მაშინვე მოეხვია ცოლსაც, შვილსაც და პატრუებს და წარსულის დავიწყება სთხოვა. გაეზავნა მხარობელი დედ-მამასთან და დაბარა: „ცოლიც და შვილიც უვნებელი ვიპოვე და მომიყავსო“. ბებერიც თავისთან

წაიყვანა და მივიდნენ შინ. კარდინალის დიდი ღვინი და ცხორობ-
დნენ ტკბილათ და ბუნდურათ.

ჭირი იქა, ღვინი აქა.

30. მზე-ქალა და მზე-ვარდა.

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა. იყო ერთი უშვილო ხელმწიფე და ჰყვანდა ერთი ცხენი. ერთხელ ხელმწიფემ შესთხოვა ღმერთს: „ღმერთო, ერთი შვილი მომეცე, ნუ დამტოვებ უშვილოთ, ვის უნდა დარჩეს ჩემი სახელმწიფო და საცხოვრებელი და ჩემს ცხენსაც კვიცი მიეცი, იმის ჯიშს ნუ გამომიღებო. ქალი მომეცემა—იმ კვიცს სიძეს მივართმევ და ვაჟი შევაალებო—რძალსაო“. უსმინა ღმერთმა და დარსულდა დედოფალი და ცხენმაც იმაკა. ცხრა თვის შემდეგ მიეცა დედოფალს—ქალი, მზგავსი მზისა, და სახელათ უწოდა მზე-ქალა, ცხენსაც ეყოლა კვიცი და უწოდეს მზე-ვარდა. ისე გაზარდეს ორივენი, რომ იმათი სახელი არავის გააკონეს. როდესაც გახდა ქალი თექვსმეტის წლისა, ხელმწიფემ მოუწოდა თავის სახელმწიფოს თავადსა და აზნაურს და აკრუთვე სხვა სახელმწიფოების ხელმწიფის შვილები და ხელმწიფეები, სადამდინაც კი ხმა მისწვდებოდა. ყოველნივე შეკრბენ.

შეკრებილებს ხელმწიფემ გამოუცხადა: „უზომი რომ დიდი ქვა არის, იმაზე ვინც შედგება და დაიძახებს ან ქალს და ან კვიცს რა ჰქვიათ სახელად, ქალს ცოლად შევრთამ და კვიცს სიძეს ვაჩუქებო“.

მთელი ერთი წელიწადი ყოველდღე იმეორებდნენ სულ სხვადასხვა სახელებს, მაგრამ ვერაფერს გამოიცნო. ერთ დღეს ერთი მათხარი მოვიდა ხელმწიფის მუზობელ ბებერთან და ჰკითხა: „დედი, ა იქ რა ამბავია, ამოდენა ხალხი რისთვის შეკრებილათ?“ ბებერმა უამბო რისთვისაც იყვნენ. გლახამა სთქვა: „ნეტავი ისეთი რა ჰქვიათ, რომ ვერაფერს გამოუცნიაო?“

— ქალს მზე-ქალა ჰქვიათ და კვიცს მზე-ვარდაო, — უთხრა ბებერმა.

წავიდა ეს გლახა და უვირის: „მომეცათ, მომეცათ!“

მოიხედავს, ერთი დადიანი გლახას მთარღვევს აზვირთებულ ხალხს-

სა და უვირის: „მომეტათ, გზიდან ჩამომეტათო!“ მივიდა, ავიდა ქვა-ზუგდ და დაიძახა: „ქალსა ჰქვიათ მზე-ქალა და კვიცსა—მზე-ვარდაო“.

ისე მოსწყდა ხელმწიფეებს წელი და ამოდენა ხალხი ისე ზირ-გამძრალი დარჩა, რომ ხმა ვეღარ ამოიღეს. თვით ქალის მამა გულ-შედონებული შეიუფანეს და ძლივს მოასულიერეს. ხელმწიფის ბრძანება არ გატყდებოდა. მაშინვე წაიუფანეს ეს გლახა აბანოში, აბანეს, სახელ-მწიფო ტანისამოსი ჩააცვეს, მაგრამ ღაღებს რა გამოუყვება, უური-დან, ცხვირიდან თუ თვალებიდან წყაროსავით მოსდიოდა. ეს ამოდენა ხალხი სულ მუკათ გაყოფეს, გაატანეს მრავალი მზითველი და გაგზავნეს; რასაკვირველია, ის კვიციც სიძეს შეუგმავნეს და შესვეს ზუგდ. იარეს ბევრი, გზა არ გამოიღია და სახლი არ გამოჩნდა, რაც არა ჰქონდა, რა გამოჩნდებოდა?! დაილაღნენ და ერთ ტრიალ მინდორზედ დადგნენ დღისით დასასვენებლად. ისეთი დაღლილები იყვნენ ბევრი სიარულით, რომ მაშინვე დაეძინათ. მათხვეარიც მივიდა და სინებოვრით ქალის კალთაზედ წამოწვა და დაეძინა. ქალმა უუურა, უუურა და დაიწყო ტირილი.

— რათა სტირიო? — ჰკითხა ცხენმა.

— როგორ არ ვიტირო, აბა უუურე, ეს რა სახანავი მიწევს კალთაზეო, უმასუნა ქალმა.

ცხენმა დაავლო ზირი და ერთი ბაღში მიუტანა, აი ეს დაუღე თავით, შენ აღეჭი, ვაჟურათ ჩაიცივი, თმა აიკეცე, ქუდი დაიხურე და წავიდეთ, სხვა სახელმწიფოში მიგიუფანო. ქალმა მართლაც დაუღვა ბაღში თავით თავის ღაღის სატრფოს, ჩაიცივა ვაჟურად, აიკეცა თმა, დაიხურა ქუდი, შეჰკა ცხენზედ და წავიდა. გამოკლეობათ, აღარც ქალი იყო საღმე და აღარც ცხენი. აბა, საღლა წავიდოდნენ, ყველანთი თავ-თავის სახლებში დაბრუნდნენ და ღაღისანი სასიძოც თავის გზაზე წავიდა.

ცხენმა ერთ სახელმწიფოს ბოლოზედ გაიუფანა, მინდორზედ აწვლის ქონი აუგო და დააყენა. მოქონდა ნანადირევი და ქალსა ჰკვირბადა. იმითი ქალმაც ისწავლა ნადირობა და თითქმის ცოცხალს ხოხობსა და კაკაბს იჭერდა. ერთს დღეს, ვნახეთ, ჯარით მოვიდა ერთი უმაწვილი, მეტათ მშვენიერი, იშვიათის სილამაზისა. სახადიროთ წამოსულიყო. ის იყო ხელმწიფის შვილი, ზატრონი იმ მილამოსი,

სადაც ქალი და ცხენი იყო დაბინავებული. დაიწვეს ნადირობა და მი-
ადგნენ ქალის ქახს.

— გამარჯობა, უმაწვიღო, საიდან ბრძანდებით, — გამოკნამაურს
ხელმწიფის ვაჟი.

— სხვა სახელმწიფოდანა ვარ, სხნადიროთ წამოვედიო, — მიუ-
გო ქალმა და თანაც მიუშველა თავისი ცხენით და დაიჭირეს თუბ-და-
ყუბ ცოცხალი ნადირი და თრინველი.

სადამთი წავიდა ხელმწიფის შვილი სანლში და დედას უთხ-
რა, — მამა დიდი ხანია, მოჰკლამდა, — ჩვენს ბოლოზედ ერთი ემა-
წვილი დაბინავებულა, ცხენიც და თითონაც ისე ნადირობენ. რომ
ვერც ერთი თრინველი ვერ წაუვიათ, ცოცხალს იჭერენო. ამის შეშ-
დეგ დაიწყო ხელმწიფის შვილმა სხნადიროთ სიარული და უოველ კვი-
რას ჩავიდოდა და ნადირობდნენ ერთათ.

ერთ დღეს ხელმწიფის შვილმა უთხრა დედას: „დედი, უნდა
დავხატოთ ის უმაწვილი, დიდად დავალებული ვარ მისკან, სულ ის
მადლევის რაც ნანადირევი მომაქსო“.

— დაჭხატოე, თუ კი გესიამოვნებაო, — უთხრა დედამ.

კიდევ რომ წავიდა სხნადიროთ, ის ქალიც დაჭხატოა.

ქალი ცხენს დაკითხა: „ხელმწიფის შვილი შეხატოება და წა-
ვიდე თუ არაო?“

— წასვლით წადი, მაგრამ ვიცი, ღვინოს დაგაძალებს და შენ
კი სულ არ შეგიძლიან დაღევა, რამდენი დალიო, შენს გულში იფი-
ქრე: მზე-ვარდას მუცელში-თქო. მე დავითფრები და შენ არა, მხო-
ლოდ დამხურე კარგათ, რომ არ გავციფდეო, — უთხრა ცხენმა.

ქალი წავიდა და ცხენიც თან წაიყვანა. მივიდნენ სანლში. დე-
დამ რა ხება, შეიღს უთხრა: „შვილო, ქალი არისო“. ვაჟმა უთხრა:
„როგორ შეიძლება, რომ ქალი იყოს, გაფრენილს ხოხობს თუბ-და-
ყუბ იჭერსო“. მოამზადებინა საუკეთესო სადილი, მოაწვია დიდუ-
ბულნი და კარგი დრო გაატარეს, ძრიელ ბევრი ღვინო დალიეს.
თუმიცა ქალი სვამდა, მაგრამ არ დაითვრა, თავის გულში ამბობდა უო-
ველ სტაქნის დაღევაზედ: „მზე-ვარდას მუცელშიო“, და არ მოკეო-
და. სადილი ვახშით გასტანა. გავიდა ქალი თავისი ცხენის სხნა-
ვად. ცხენს სულ ოთფლი სდიოდა და უთხრა: „კარგათ დამხურე, არ

გაკვირდე, თორემ მოგკვდებიო“. დახურა კარგათ, მისცა საჭმელი თავის ხელით და წაფიდა დასაძინებლათ. მეორე დღეს, რომ გაიღვიძეს, ვაჟმა უთხრა დედას: „აჲი სთქვი ქალიაო, რამდენი ღვინო დალია და არ დაითრფო“.

— მაინც ქალიაო, — უთხრა დედამ.

სამი დღე გაატარეს ამ უფიქრით, თუმცა ქალი არა დგებოდა, მაგრამ ვაჟმა არ გაუშვა. მეოთხე დღეს ცხენმა უთხრა: „მე კი აღარ შემიძლიან ღვინის დალევა, ჩემზედ ნუღარ იტყვი და თუ შეგიძლიან შენ დალიეო“. რას იზამდა, ვაჟის ხათრით კიდევ დარჩა ქალი, მაგრამ ერთი სტაქანი რომ დალია, იქვე დაეძინა, ქუდი მოვარდა და თაშები ჩამოეშალა. მშვენიერი სანახავი იყო ამ დროს.

— აჲი გითხარ, შვილო, რომ ქალია მეთქი, — უთხრა დედამ ხელმწიფის შვილს.

— ქალი არის და უფრო კარგი, ცოლათ შევირთავ, დმერთმა მომიცაო.

დაიწიეს მზადება და ქალმაც, რასაკვირველია, უარა არა სთქვა. დაიწერეს ჯვარი, გადაიხადეს ქორწილი და სტოკორობდნენ ბუნდირათ. ისე უფვარდა ვაჟს, რომ მეტი აღარ შეიძლებოდა, მაგრამ მაინც ხადირობის სურვილით გაიტაცა და დააპირა ცხრა მთას იქით სანადირთ წასვლა და ქალს უთხრა: „შენი ცხენი უნდა მათხოვო“.

ქალი დაეკითხა ცხენს: „შენს თავსა მთხოვს, ცხრა მთას იქით სანადირთ მიდის და ვათხოვო თუ არაო?“

— ათხოვებო — ინანებ, არ ათხოვებო — ინანებ, რას იზამ, ათხოვებო, მაგრამ ავშარას ნუ გაატანო, — უთხრა ცხენმა.

ქალი წაფიდა და უთხრა ვაჟს: „ცხენს გათხოვებო, მაგრამ ავშარას კი ვერაო“.

— გის გაუგონია უავშაროთ ცხენის თხოვებაო?! — გაიკვირვა ვაჟმა.

წაფიდა ქალი და ცხენს უთხრა: „არა შერებს უავშაროთაო“.

— ავშარა ათხოვებო, ბორკილს მაინც ნუ ათხოვებო, — უთხრა ცხენმა.

წაფიდა ქალი და უთხრა ვაჟს: „ავშარას გათხოვებო და ბორკილს კი ვერაო“.

ვაჟმა უთხრა: „არ შეიძლება, ცხენს უფველივე თავისი სამკაული ზედ უნდა ჰქონდესო“. რაღას იზამდა, ცხენი უფველივე თავისი შეკამოვლობით მისცა. ქალი თუხმობით იყო და ვაჟმა დაუბარა დედას: „უფველ კვირას შიკრიკი გამომიგზავნე და ცოლის ამბავი შემატუბინე და რა ეუფლება ისიცაო“. გამოემშვიდობა დედასაც, ცოლსაც და წავიდა. ცხრა მთას იქით გადავიდა და ერთს დედაბერთან დაიდგა ბინა. დღისით სანადიროთ მიდიოდა და ღამე სახლში ბრუნდებოდა. ერთს მშენიერს დღეს დედამ მისწერა: „შვილო, მშვიდობით მოილოცინა შენმა ცოლმა, ვაჟი ეუფლა ოქროს ქორიანნი, მოდი და ნახეო“.

მიიღო დედაბერმა შიკრიკი, გამოართვა წერილი, წაიკითხა და გადასწერა იმავე ხელზე: „შვილო, ცოლი მოკირჩხა, ძაღლის ლეკვი ეუფლა, მოდი და ნახეო“.

ვაჟი მივიდა საღამოთი. დედაბერმა თავისი ნაწერი გადასცა. ვაჟმა წაიკითხა და რა გაიგო ცოლი მშვიდობით მოკირჩხა, დამეტის მადლობა შესწინა, დედას კი მისწერა: „ძაღლის ლეკვი ეუფლა თუ რაც, ჩემს მოსვლამდი დედაცა და შვილიც კარგათ შემინახეო“. როცა მეორე დღეს ვაჟი სანადიროთ წავიდა, დედაბერმა გადასწერა ეს წერილიც და გაატანა შიკრიკს: „ოქროს ქორიანნი ვაჟი ეუფლა თუ რაც, ჩემს მოსვლამდი დედაცა და შვილიც, ჩვენს ბოლოზედ რომ საკირეა, ის გახურებინე, შიგ ჩაურე და დაწვიო“.

მოუვიდა დედას ეს წერილი და გაკვირდა, აქ გოჭლებოდა ცოლისათვის და იქ რა დაემართაო. კიდევ მოსწერა: „შვილო, ავი ძრიელ გიუფარდა ცოლი და მშენიერი, ოქროს თმისანი ვაჟიცა გუავს, რათ უნდა დავწვა, მოდი, ნახეო“. შიკრიკმა მიიტანა დედაბერთან. დედაბერმა წაიკითხა და კიდევ გადასწერა: „შვილო, ძაღლის ლეკვი გუეუფლა, შენი თვალთ ნახეო“. მოვიდა ვაჟი საღამოთი და დახვედრა თავისი ნაწერი. ვაჟმა კიდევ დასწერა: „დედა, ავი მოგწერე, ძაღლის ლეკვი ეუფლა თუ რაც, ჩემს მოსვლამდი კარგად შეინახე დედაცა და შვილიც“. მეორე დღეს წავიდა სანადიროთ. დედაბერმა გადასწერა: „ოქროს ქორიანნი ვაჟია თუ რაც, ჩემს მოსვლამდი დედაცა და შვილიც საკირეში დასწვიო“. რა ქნას დედამ? ვაისაც ეშინიან და ვადაღისაც. დასწვას, არ ემეტება არც რძალი და არც შვი-

ლი, არა და—შვილი მოვა და რა ხასუხი მისცეს, რასაც სწერავს რომ არ შეუხრულვას? დაწვობინა ისევ საკირკები ბლამათ ხმელი შე-
შა და მოუვიდეს ცენტლი. მე კი ვერ ვუყურებო, —სთქვა დედამ და
გაატანა თავიანთ ჭარის-გაცებს, —რომ გახურდეს ჩაყარეთ. კარგად
რომ გახურდა საკირკე, აიღეს და დედაცა და შვილიც ჩაყარეს შიგ,
თითონ კი საჩქაროდ განშორდნენ, რადგანაც ძალიან ებრაღებოდათ.
მოვარდა იმ წამსვე ცხენი, დააფლო ზირი და დედაცა და შვილიც ნა-
პირს გადმოყოფა.

— აკი გითხარ ავშარასა და ბორკილს ნუ ათხარებ მეთქი. რომ
შევიტყუე, ავშარა გაფწევიტე და გამოფიქე—წელიც ძვალი გამოიტყდა,
შუა გზას რომ მოგვლ ბორკილიც გაფწევიტე და წელიც სულ მომ-
წვდა. მე ვეღარ ვიცოცხლებ, ვიცი ჩქარა მოგვადები, ჩემს ძვლებს
ნურც ერთს ნუ გადაგდებ, აიღე და დიდ მინდორს კარშემო ღობე-
სავით შემთავლე, შიგ როგორიც გინდა სახლები ისთავის შემოურიგე,
შემდეგ დაიძინე და როცა გაიღვიძებ, გალავანი გექნება კარშემო და
შიგაც სახლებით. ეს უთხრა თუ არა, მოკვდა კიდეც საწვალი ცხენი.
აიღო ამ ქალმა და ბევრი ტირილისა და ვაგების შემდეგ, —ვიღა მე-
ყოლება პატრონიო, —გატყავა ჯიბის დანით და ძვლები შემოურიგა
მინდორზედ. დაღამდა კიდეც დაწვა უდაბურს მინდორზედ, თავისი
ხაწია შვილი ჩაიკრა გულში და დაიძინა. ადგა მეორე დღით, ხას
მშვენიერი გალავანი არტყია. ახლა დაურიგა სახლისთავის, რამდენიმე
ოთახებათ დაჭყო და იმ დამესაც დაწვა და დაიძინა. რა გაუღვიძა, ხა-
ხა, რომ მშვენიერი სახლები ადგია თავს. დაიღვა ბინა და დაიწყო
ცხოვრება. ხადირობდა და ირჩენდა თავს. შვილიც ეზრდებოდა. ვინც
წლით იზრდება, ის დღით იზრდებოდა იმდენს. კაფსო ბადრს მთვა-
რესავით, მშვენიერი გაიზარდა.

ხელმწიფის შვილმა, როცა გაიგო ცხენს აუწევებოდა, მაშინვე
დაბრუნდა სახლში და იკითხა: „ჩემი ცოლ-შვილი სად არის?“

— დაწვიო, — უპასუხა დედამ.

— როგორ თუ დაწვი, რა დავიშავესო? — ჰკითხა შვილმა.

დედამ მოუტანა წერილები, აი მწერავდი და დაწვიო.

რა ხას თავისი ხაწერი იცნო, მაგრამ სიტყვები კი ვერა. გა-
უკვირდა, შენა მწერავდი, ძაღლის ლეკვი ეუღლა შენი ცოლისო, აქ

კი ოქროს თმინი ვაჟიაო. გაუკვირდა დედასაც: რას ამბობ, შეიღო, მე გწერავდი ოქროს თმინი ვაჟი გუეოლა, მოდი და ნახეო და აი შენ რასა მწერავდიო“. გაიკეს, რომ ბოროტი ბებრის ენა იუო. წა-
 იშინეს თაჟში, იტირეს, ივლოეს, მაგრამ რაღას უშეუელიდნენ.

• გაიარა დიდმა ხანმა. დედამ ურჩია შეიღეს, სხანდროთ წადი, გუელს გადაუოლეო. დაუჯერა დედას, ადგა და თავიანთ მამულის ბო-
 ლოზედ წავიდა. მიადგა ჭლის სასხლეს და გაუკვირდა, ამისთანა
 სახლები ვის აუშენებიაო! შემოუარა გაღაფანს გარშემო, კარებს შე-
 ხედა, დაინახა მშენებრი ჭელი და ჰატარა ოქროს თმინი ვაჟი.
 ძრიალ მოეწონა და გარეთ მარბენაღს უშაწიღეს დაუძახა და ჰკითხა:
 „ვინა გვაფს ჰატარავ აქა, ვისთანა სცხოფრობო?“ ბავშვმა უთხრა:
 „ჩემი დედა და მე ვარო“. ხელმწიფის შეიღმა აღარ მოიშორა ეს
 ბავშვი. თან აიუოღია ხადრობაში, ერთი ხოხობი მისცა ბავშვსა და
 დააბარა: „თუ შეიძლება დედა-შენმა შეგვიწვას და გამოიტახე, ერთა-
 თა ვსჭამოთო“. ბავშვი გაიქცა, დედას ხოხობი მიურბენინა და და-
 ბარბუელი გადასცა. ჭელმა იცოდა, რომ თავისი ქმარი იუო, დაინახა
 თუ არა, ბავშვი განკეო გაუშვა სათამაშოთ. როდესაც შეწვა, უთხრა:
 „წადი. შეიღო, სოხოვე, აქ მობრძანდეს და აქ მიიერთვასო“. გაიქცა
 ბავშვი და რა უთხრა. ხელმწიფის შეიღი სიხარულით გამოეჭყევა, რა-
 დგანაც შემთხვევა ეძლეოდა ამის გაკებისა, თუ ვინა სცხოფრობდა
 ამ სახლებში.

ქელმა ზრდილობიანათ მიიღო სტუმარი. ვაჟმა ვერ იცნო და
 გაუბოლარა კითხვა, რაც ბავშს ჰკითხა: „ვინა სცხოფრობოთ აქ, ან რამ-
 დენი, ან საიდანხო, წინათ არ იუო აქ არც ეს სახლები, არც გაღა-
 კანიო. თუმცა აკერ სამი-ოთხი წელიწადია აქეთ აღარ გამომივლია,
 რადგან მიზეზი მქონდა არ გამომიველო, ჩემი ცოლ-შვილი ამ მინ-
 დოროში დამეღუბაო“.

ქელმა თავიდაც დაიწყო თავის თავ-გადასაგადი, თუ დედ-მამას
 როგორ მიეცა, როგორ აღზარდეს, როგორი ცხენი ჰქუანდა, გაღასან
 როგორ გაუოლეს, მინდოროში ცხენმა და თითონ როგორ დაიწკეს
 მარტო ცხოფრება, ან ხელმწიფის შეიღმა როგორ ითხოვა, ქმარის
 სხანდროდ უოფნის დროს შეიღი ეუოღა და როცა ეს ამბავი ქმარს
 შეატრობინა, რა ჰასუსი მიიღო, როგორ ჩაუარა დედამთილმა ხაკირე-

ში. მერე ცხენმა დედაცა და შვილიც როგორ გადამარჩენა, როგორ მოკვდა ცხენი. იმის ძეგლით როგორ ააშენა სახლი და რა გაჭირვებით სცხოვრობს პაწია შვილით.

ეს ამბავი რომ მოისმინა, ხელმწიფის შვილი წამოხტა. შოკ-ხვია ცოლსა და შვილს, დაჰკოცნა და დაწვეს ტირილი. შეშდევ სოსოვსა დავეწვნა მისი მიზეზით მიუხედავად უსამართლობა, მათ უშეცდეს, რომ შე დამნაშავე არა ვყოფილვარ, სულ იმ ბუბრის ხაქმე იყო. ცხენმა რომ დაიჭინებინა და აუშარა ასწევიტა, მეც თან გამოვეყე, გიკრძენ უბედურება რამ იქნება შეთქი, იმს კი რა მომართობინებდა, რაც მომხდარიყო. როდესაც მოველ და დედაჩემს მიაშობა და წერილები მარეხა, გავგზავნე იმ ბუბრის სახლში და სულ მტყვრათ ვაქციე თავის სახლ-კარინაო.

გახარებულმა ხელმწიფის შვილმა დედასთან გაგზავნა კაცი, ჩემი ცოლ-შვილი ვინავე უვნებელი და შენც აქ მობძანდით. მამინვე დედაც მიიუფანეს. რა ნახა თავისი რაღა და შვილი, დიდად გაიხარა, გაგზავნა კაცი, რაც საცხოვრებელი ჰქონდათ, სულ აქ მოატანინა. გააშენა ქადაგი, დაასახლა თავისი სახელმწიფო და ცხოვრობდნენ ბედნიერათ. მარტო ცხენისთვის-ღა დარდობდნენ, რომ აღარა ქუვანდათ მოამაგე ცხაველი.

ჭირი იქა, ღვინი აქ. ჭირი იქა, ფეხი იქა...

31. გაუთუქელი მოუდელი.

იყო და არა იყო რა, დეთის უკეთესი რა იქნებოდა. იყო ერთი მდიდარი სოფლაკარი, საკუთარი ეკლესია ჰქონდა, ჰყვანდა საკუთარი მღვდელი, ჰქონდა საკუთარი ხანა, ჰყვანდა ცოლი და ჭაფუა. შოგვედა ცოლი, იცოვო როგორც შეუყვრებოდა და შიიუყანა შოკრე ცოლი; იმს მოჰყვა ერთი ჭაფი. სოფლაკარის ჭაფი ღამზიდ იყო. ტანადიც, მოხაქმეც, მთელი დღე სულ საქმესა და წერვა-კითხვაში ატარებდა და ღოტვა-გედრებაში. დედონცელის ჭაფი კი არც ღამზი იყო, არც ტანადი. არც საქმე უყვარდა; მთელი დღე ზარ-მცად ამოქნარებდა და წერვა-კითხვა ხომ ჭირივით უყვრებოდა. თი-თან სოფლაკარი შირს იყო წასული სოფლოთ და გაეიც თან ჰყვან-

და. მეორე ცოლი და ქალები კი შინა სცხოვრობდნენ, სიდაც სისასხლე ჰქონდა ძველადგანვე აშენებული.

დედი-ნაცვალს შერი აღძრა თავის გერზე, რადგანაც თავისი ქალი სათვალე არა სჩანდა და ის კი დღითი-დღე ლამაზდებოდა. იფიქრა: „თუ ამას არა მოვუგონე რამ, ჩემი ქალი თავის დღეში ვერ გათხოვდება“. ერთ დღით, ადგა თუ არა, დაიბარა თავიანთი საკუთარი მღვდელი და უთხრა: „შენ თუ ჩემს გერს არ შეარცხვენ, მღვდლობიდან დაგიტოვებ და თუ აღმისრულებ რასაც გეტყვი, გამდიდრებ“. მღვდელმა პირველში თუმცა უარი უთხრა, მაგრამ, თვალი ხარბია (მეტადვე მღვდლისა), ბოლოს ჰქითხა: „აბა, როგორ შევარცხებინო, მასწავლეო“. სოფლაგრის ცოლმა უთხრა: „აბანოში წადი, დაიმალე და იმასაც იქ გამოგზავნი, იქ შეგიძლიანო“.

როცა მღვდელი გაისტუმრა აბანოში, თითონ მივიდა ქალთან და დაუწყო საუბრე: „ასე რათა ზიხარ, ადე, აბანოში წადი, იბანე, სუფთად ჩაიბანი, მამა-შენს მოსვლა უთქვამს, ასე ხომ ვერ დახვდებიო?!“ ქალს, თუმცა გაუგებრდა თავისი დედი-ნაცვალის ასე მზრუნველობით მოპურება, მაგრამ მაინც ადგა და წავიდა აბანოში. რა შევიდა, მღვდელი იქ ნახა. ეს უარესად გაუგებრდა და ჰქითხა: „აქ რათ მოსულხარ, გადი აქედანო“.

— შენი სიუგარულით ვგიჟდები და თუ ერთად არ ვიბანავთ, არ შემიძლიანო, — უპასუხა მღვდელმა.

ქალმა უთხრა: „მაგას როგორ შეუბნები, შენს ხელში დავიბადე, შენი ხელით მოვიინათლე, მამა-ჩემის რატომ არა გცხვენიან, ან არ გეშინიაო?“ მღვდელი მაინც არ ეშვებოდა. რას გააწყობდა ქალი, ბოლოს უთხრა: „კარგი, შენ ხელთა ვარ, სად წავალო, გაიხადე, ჯერ შენ იბანავ, მე დაგბან და ბოლოს მე ვიბანავებო“. მღვდელი დასთანხმდა, გაშიშვლდა. ქალმა წაუსვა საპონი და დაუწყო წყლის დასხმა, თანაც კარებისაკენ დგებოდა. ბოლოს აიღო და ადუღებულად წყალი დაასხა. მღვდელმა უგირილი მორთო. ქალმა იდრთვა, გააღო კარები და გაიქცა, მივიდა სახლში, დაჯდა თავის ოთახში და ხელ-საქმეს დაუწყო კეთება. მივიდა დედინაცვალი და ჰქითხა: „მალე რათ დაბრუნდი, ასე მალე როგორ იბანეო?“ ქალმა ხმა არ გასცა. წავიდა მღვდელთან. მღვდელი ღოგინში დაუსვდა მთლიან გა-

ფუფქელი, სახე დაიარაკებული, თმა და წვერ-უფუგაშ კაცვიგნული. გაუკვირდა და ჰკითხა: „ეს რა დაგმართა, ან ქალი ისე ჩქარა რატომ დაბრუნდა?“ მღვდელმა უამბო უოველივე და დაუმატა: „ენლას როგორ-ღა გავიდე ხალხში? თმა და წვერი ადარა მატესო“. მაშინვე დედინაცვალმა წავიდა, თავიანთ სახლის ექიმი გაუგზავნა და დაწვეუბინა წამლობა. თუმცა იარები მალე მოურჩა, მაგრამ თმა და წვერი კი ადარ მოუვიდა.

დედინაცვალი ძალიან დააფიქრა ამ ამბავმა. თუ არ დაგლეზე როგორმე ჩემი გერი, მამა-მისი რომ მოვა, ეტყვის ყველაფერს, გამოჰკითხავენ მღვდელსაც და ჩემი საქმე ცუდათ წავაო. ადგა და თავის ქმარს წერილი გაუგზავნა: „ამ შენმა სსიკვდილვე ქალმა შეგვარცხუნა, ღამე სხვაგან დადის, თავი მოგვტყარო“. მამამ რომ წერილი წაიკითხა, უთხრა თავის შვილს: „წადი, შენი და მოკალი და იმის გულ-ღვიძლი მომიტანეო, რადგან ასეთი საქმე ჩაიდინა და შეგვარცხინაო“.

ჩაჯდა შვილი ეტლში და წამოვიდა დასთან. რომ მოვიდა, დას უთხრა გაჯავრებით: „ადე, ჩაჯეო“.

— ძმაო, რამ გაგაჯავრა, მთამბე, ან მამა როგორა ბრძანდება, ან ზარალი ხომ არა გაქეთ-რამ?—ეკითხება და.

ძმამ მანინც ხმა-ამოუღებლივ მოჰკვიდა ხელი და ჩაიხა ეტლში: ქალს ერთი მანია გოშია ჰუგანდა და ისიც თან აჰყვას. წავიდნენ უგზო-უგელოდ, ბევრი იარეს თუ ცოტა, ერთს უდაბურს ტყეში შევიდნენ. აქ კიდევ ჰკითხა დამ: „ძმაო, მითხრა, აქ რათ მომიყვანე, ან რატომ არ მელაშარაკებიო?“

ამოიღო ძმამ და დედინაცვლის წერილი მისცა, მამა-ჩემმა ამის-თვის გამოგზავნა, უნდა მოგვალა და გერ გამოიმეტებინარო. ქალმა მიხვდა, რომ აქაც დედინაცვლის საქმე იყო და უთხრა ძმას: „არც მინდა უკან დავბრუნდე და არც მინდა მამა-ჩემი ამ გაჯავრებულ დროს ვნახო, აი ეს გოშია-დაკალ, ამისი გულ-ღვიძლი წაუდე მამა-ჩემს და მე-კი ამ უდაბურს ალაგას. გამოიშვი, ჩემმა სილაღლ-მართლემ თუ მიშველა კარგია, თუ არა, ან მხეცი შემწამს, ან შიმშილით მოკვდებიო“. ძმამაც გაუგონა, გოშია დაკალა, იმისი გულ-ღვიძლი მამას წაუღო და ქალი ამ უდაბურს ადგილს დასტოვა. ქალმა აიყვინა

კაბა მადლა, ახსენა ღმერთი და წავიდა. ბეგრი იარა, თუ ცოტა იარა, დაუღამდა. ეშინიან, ნადირმა არ შემჭამსო. დანახა ერთი განმარტოებული სამ-ტოტიანი რცხილა, ავიდა დიდის გაჭირვებით ზედ და იმ სამ ტოტში ჩაჯდა. შემოიხსნა ოქრო-მკერდის სარტყელი და წელი მაგრა ხეზედ მიიბა, ძილში არ ჩამოვარდეთ, ილცა და დაიძინა. მეორე დღეს გვიან გამოეღვიძა. დანახა, რომელ ხეზედაც თითონ არის, იმის ქვეშ, ჩრდილში, ერთი ეშაწვილი კაცი გულადმა წევს და იუჟრება. ქალმაც ამ დროს ჩამოხედა. ვაჟმა დანახა და გაუგვირდა. დაუძახა: „ვიინა ხარ, რა სულიერი ხარ, მანდ რას აკეთებ?“

ქალმა უთხრა: „ქრისტიანი ვარო“.

— თუ ქრისტიანი ხარ, ჰირ-ჯვარი დაიწერეთ, — უთხრა ვაჟმა.

ქალმა დაიწერა ჰირ-ჯვარი და ქალაქდებიც ჩამოუყარა, რომელიც გამოჰყოფოდა ჯიბეში, — ეს ლოცვებიც გიცოცო. ვაჟს ქალი ძრვიელ მოეწონა და უთხრა: „მე ამ ქვეყნის ხელმწიფის შვილი ვარ, სხადიროთ წამოველ, ჩამოდი, შენ ცოლი და მე ქმარიო“.

ქალმა უთხრა: „შენ ძმა და მე დამ“.

ვაჟი არ დასთანხმდა და ცოლ-ქმრობაზედ ჰირობა დასდგეს. ჩამოიყვანა ქალი, დაუძახა თავის საუმის და დედ-მამასთან გაგზავნა, ქორწილი მოამზადეთ, საცოფე მომუაყს და მოვდივარო. დედ-მამას ეწეინა, ტყის ქალი რა უნდა იყოს, ან ალი იქნება, ან ქაჯიო. რას იზამდნენ, შვილს არ აწეენინეს, დასწერეს ჯვარი, გარდაიხადეს ქორწილი და სცხოვრობდნენ. ცხრა თვის შემდეგ მიეცათ ვაჟი მეტათ ლამაზი და დიდს სიხარულში იყვნენ.

ერთხელ მოუვიდათ მოხატაჟე, ქორწილში ეშატიყებოდნენ ამ ხელმწიფის თავის ოჯახობით. მამამ უთხრა: „შვილო, მე მოვხუცდი, რაღა დროს ჩემი ქორწილში წასვლა არის, აი, შენი ცოლ-შვილით წადიო“. დაიწვეს მზადება და რასაც დღეს უნდა წასულიყვნენ, იმ დღით მიიღეს სხვა სახელმწიფოდან წერილი: „სამირათ მოვდივარ და დაეშინათო“. ხელმწიფის შვილმა სთქვა: „მამა-ჩემი მოხუცია, ვაი თუ აჯობონ, მე აღარ წავალ ქორწილში და ვიბრებო“. ცოლს კი უთხრა: „შენ წადი, აი ჩვენი ვეზირი გაგაცილებსო“. ბეგრი იუარა ცოლმა, მაგრამ დედამთილ-მამამთილის თხოვნით წა-

ვიდა. ზღვა უნდა გაეფლათ. შევიდნენ გემში და გასწიეს ზღვაში. შუა ზღვაში რომ შევიდნენ, ვეზირმა უთხრა ქალს: „ძრიელ მი-
უვარსარ, ჩემი უნდა განდგო“.

ქალმა უთხრა: „აბა, გულზედ დაიხედე. ეგ ჩინები ჩემა მამა-
მთილისა და ქმრისაგან არა გაქვს მოტეპული? რატორ ძმბედავ მა-
გასარა?“

— არა, აქ ვინ არის ჩვენს მეტი, ვინ რას გაიკებსო?—უთხ-
რა ვეზირმა.

ქალმა რა დაატყო, ძალა არა ჰქონდა, რას იზამდა, უთხრა: „აი
ეს უმაწვილი დაიჭირე, მეორე ოთახში გაკალ და ეხლავე მოკალ,
შენს ხელთა ვარ; უარი რას გამოფა“.

გავიდა, შემოიხვია ტანისამოსი ტანზედ, ახსენა ღმერთი და
გადაეშვა ზღვაში, — ღმერთო და ჩემო სიძალა-მართლევ შენ გამო-
უვანე ნაზირსო!

ქალმა რომ დაიგვიანა, ვეზირი გამოვიდა, დაუწყო ძებნა, მა-
გრამ ქალი აღარსად იყო. მაშინვე მოაბრუნებინა გემი და დაბრუნდა
შინ. ხელმწიფესა და დედოფალს შესტირა: „რამწამს გემში შევე-
დით, ქალი ზღვაში გადაეშვა და წავიდა“.

დაიწყეს ტირილი და გლჳა: „აკი უთხარით, შეილო, ტყის
ქალი რათ განდგო და არ დაგვიჭერაო“.

ხელმწიფის შვილმა ომი გამარჯვებით გაათავა და დაბრუნდა
შინ. ცოლის დაკარგვა რომ გაიგო, ძალიან დაუდარდა, სულ ტირი-
და და თავში იცემდა. ამ უფთუთ ატარებდა ღროს. სადაც დაჰატი-
უბული იუენენ ქარწილში, მაშინ თურმე მოუცდათ ქარწილი და
გადადეს და ხელ-აზლა ჰჰატყობდნენ. დედ-მამამ უთხრა: „შვილო,
წადი, გულს გადაუოლებ, გაერთობიო“. თუმცა უარობდა, მაგრამ
ძალათ გაგზავნეს. ვეზირიც თან გაიყოლა, ჩასდნენ გემში და წა-
ვიდნენ.

ქალი რომ წყალში ჩავარდა, ნაპირს მიახვია იქით, საითაც
ქარწილს ამზადებდნენ. ერთ ბებერთან მივიდა და უთხრა: „დედა-
შვილობას, ერთი ძველი ჰატარა ბიჭის ტანისამოსი მიშოვნე და აი
ეს ძვირფასი ტანისამოსი და ნივთები სულ შენი იქოსო“. ბებერ
მაც სიხარულით მოურბებინა თავისი შვილის ძველი ტანისამოსი.

ჩაიტყვა ქალმა, თმა აიკეცა, ქუდი დაიხურა, შირი მითხუნა და ნამდვილს ბიჭს დაემსგავსა. ბებერსა ჰკითხა: „თქვენში ვინ არის დიდი კაცი, ან რა ამბავია იქაო?“

ბებერმა უთხრა: „ჩვენში ერთი სოფლაგარის განთქმული თავისი სიმდიდრით და დიდებით, აბა, რაღა გითხრა, ხელმწიფეს არ დაუფარდებოა. ესლა ვაჟს აქორწინებს, სულ ხელმწიფეებს ეპატროუბა, ჯერ ერთხელ დაჰპატოვს და ქორწილი მოუცდა, ესლა ვინც მოვიდა, ხომ მოვიდა, აქ არის, ვინც არ მოვიდა ხელშეორედ დაჰპატოვს, მავანი ქვეუნიდამ არის მოსულიო, სადაც გაივლი ეკმ ტყეებში, სულ იმისი ძროხებით არის სავსეო“.

ადგა ეს ქალი, წავიდა შეძროხებთან და დაკითხა: „ვისია ძროხაო?“

— ამა და ამ სოფლაგარისა არისო, — მიიღო პასუხათ.

— მოჰყამაგირეთ არ გინდათ დაგიდგეთ პურის ჭამაზე? ძროხებს მოგობრუნებთო.

— იყავიო, — უთხრეს.

დაიწყო სამსახური, ძალიან სიმარღე გამოიჩინა, ყველას შეაყვარა თავი და შეჰხარინა. პატარ-პატარა ზღაპრათ უმბობდა თავის ამბავს და იყო იმათთან. ქორწილიც გადაიხადეს სოფლაგარის შვილის და მეორე დღეს შინაურები და შორეული სტუმრები დაჩხენს სადილზედ. ისურვეს: ნეტავი, ერთი ზღაპარი გვითხრას ვინმეო. დაიბარეს ბიჭები, ყველამ უარი თქვეს, არ ვიცითო. ბოლოს ერთმა წამოიძახა: „ჩვენს ძროხაში ერთი ბიჭი არის, ის უოველ დამე სულ ზღაპრებს ამბობს, ის მაიუფანეთო“.

დაიბარეს ეს ქალი. მოვიდა. უთხრეს: „ქუდი მოიხადე და ზღაპარი თქვიო“.

— ვერც ქუდს მოვიხდი და თუ კარებს არ დაჰკეტავთ და გასადებს მე არ მომცემთ, ვერც ზღაპარს ვიტყვიო, — სთქვა ქალმა.

დაიწუეს სიცილი, აღბათ ეშინია ზღაპარი არ გაეჭქესო. დაკეტეს კარები და გასადებები ამ ბიჭს მისცეს.

დაიწყო ზღაპარი:

„იყო და არა იყო რა, დღეთის უკეთესი რა იქნებოდა. იყო ერთი მდიდარი სოფლაგარი, საკუთარი ეკლესია ჰქონდა, საკუთარი

მღვდელი ჰქვანდა. საკუთარი აბანო ჰქონდა. პირველი ცოლიდან ქალ-
ვაჟი ჰქვანდა, ხოლო მეორე ცოლიდან გერი. იმ ქალ-ვაჟის დედი-
ნაცვალი, ე მანდ რო დედაცადა, იმას ჰტკვანდა და გერი კიდევ ე მაგ
ქალს. დედინაცვალმა იფიქრა: ეს ჩემი გერი რომ სახლში იყოს, ამ
ჩემს ქალს ვინ მოიწონებს და ვინ ითხოვსო. იფიქრა, იფიქრა და
ბოლოს გადასწყვიტა თავის გულში. დაიბარა თავიანთი სახლის მღვდელ-
ლი და უთხრა: შენ ფიცი მომეცი, რაც გითხრა არ გამამჟღავნო.
მღვდელმაც შეჰტყუა, არაო. სოფდაგრის ცოლმა უთხრა: „აბანოში
წადი, ამ ჩემს გერსაც იქ გამოვკზავნი და შეარცხვინე, ნამუსი აჭხა-
დე, ეგებ ჩემი ქალი მაშინ მაინც გაათხოვო“. მღვდელმა დიდი
უარსი უთხრა, როგორ შემოძლიან მაგისთანა საქმე მოგიმოქმედო,
ჩემს ხელშია დაბადებული, ჩემს ხელშია მონათლული, მაგის მამის
მეოხებით ვცნობობო, ეგ როგორ გამოიბედაო. დედინაცვალმა უთ-
ხრა, ისე გაგამდიდრებ შენისთანა მდიდარი ამ ჩვენ მხარეში არავინ
იყოსო, თუ არ გამოგონებ, სიკვდილით დაგსჯიო. მღვდელიც და-
ჰყაბულდა, ადგა და წავიდა აბანოში დასამადავად. დედინაცვალი ახ-
ლას თავის გერთან მივიდა და უთხრა: „ადე, რას უზინხარ, ე მაგის-
თანა ჭუჭყიანი, მამაშენს მოსვლა უთქვამს, წადი, აბანოში იბანე და
სუფთად დახვდიო“. ქალს გაუკვირდა დედინაცვლის ასეთი მზრუნვე-
ლობა. თუმცა ქალი არც ჭუჭყიანი იყო და არც უსუფთაო, მაგრამ
ადგა და წავიდა აბანოში. შევიდა თუ არა ქალი, მაშინვე მღვდელმა
კარები ჩაკეტა და დადგა. ქალი ეუბნება: „შენ აქ რა გინდა, გადი
აქედანაო“. მღვდელმა უთხრა: „ძრიელ მიუვარხარ და მინდა შენთან
ერთად ვიბანო“. ქალი ეუბნება: „მაგას როგორ მიბედავ, შევიდა
შეკეთებები, ან მამა-ჩემისა არ გეშინიან? რომ გაგიგებს, რას გე-
ტყუის? გადი აქედანაო“. მღვდელი არ გავიდა. ქალმა უთხრა: „კარგი,
ხომ შენ ხელთ ვარ, ჯერ შენ გამოიშვლდი და გაბანებ და მეც
მეო“. გაიხიდა ტანისამოსი მღვდელმა. ქალმა საპირის წაუსვა თავზედ
ჯერ ერთხელ, ახლას მეორეთ უფრო მეტი, თანაც ადუღებული წყა-
ლი დაასხა და ეცა კარებს, გაადო და გაიქცა სახლში. დედინაცვალს
გულს შემოეყარა, ასე ჩქარა რათ დაბრუნდაო და მღვდელთან წავი-
და. მღვდელი იწვა ღოგინში, თმა და წვერი სულ გასცვივროდა,
სახე დაიარავებოდა. რათა სწევხარ, ქალი რათ მოვიდა მაღლო. იმის-

თვის ვწევარ, აი ქალმა რა მიყო, ადუღებული წყალი დამასხა და გაიქცაო. მაშინვე სოკდაგრის ცოლმა თავისი სახლის ექიმო მიიწვია და უბრძანა იმისი მოჩვენა. თუმცა კანა მოურჩინა, მაგრამ თმა და წვერი კი აღარ ამოუვიდა. ეგ დედელი იმასა ჰგავს. სოკდაგრის ცოლმა იფიქრა, თუ ეს აქედან არ დაეკარგე, თავის მამის ამბავს მიუტანს და ჩემთვის ცუდიაო. წერილი მისწერა თავის ქმარს ქალის შესახებ. მიიღო აუ არა წერილი მამამ, ძრივად გაჯავრდა და თავის შვილს უთხრა: „წადი, შენი და მოკლ, იმისი გულ-ღვიძლი დასარწმუნებლად აქ მომიტანო“. ის სოფდაგარი ე მაგ სოფდაგარსა ჰგვანდა და ის სოკდაგრის შვილად ეე მაგ სოკდაგრის შვილსაო ეტლში ჩაჯდა და წამოვიდა ვაჟი დასთან. მოვიდა თუ არა, უთხრა: „ადე, ეტლში ჩაჯექო“. ქალი ეხვეწება: ძმაო, რამ გაჯავრდა, ან მამა როგორა ბრძანდებო. ვაჟმა არ მოუსმინა, მოჰკიდა ხელი და ძალათ ჩასვა ეტლში. ქალს შაწია გოშია ჰეყანდა, ისიც თან აჰყვა წავიდნენ, უდაბური მინდორი და ტყე გაიარეს. დამ უთხრა: „ძმაო, რატომ არ მეუბნები, სად მიგყვარ. ან მამა როგორ არის, ან რადა ხარ გაჯავრებულიო“. ძმამ ამოიღო ჯიბიდან წერილი და მისცა, აი, წაიკითხო. იმ ქალის დედინაცულისაგან იყო მიწერილი თავის ქმართან: შენმა სამიწე ქალმა შეგვარცხენა, დამე სხვაგან დაიარება და მოეშველე, თორემ მთლად სახლიდან გავარდებო. ამ ქალმა დაიწყო ტირილი და უთხრა: „ძმაო, არ შეიძლება თავი ვიმართლო, რადგან ისე გხედვო გაჯავრებულს, არას დამიჯერებ. აი ეს გოშია დაკლ, ამისი გულ-ღვიძლი მამის წაუღე, რომ დარწმუნდეს ჩემს სიკვდილში და აი ამ უდაბურს ტყეში დამტოვე, თუ ჩემმა სამართლემ მიშველა კარგია, თუ არა, ნადირი მაინც შემჭამს და შენი ხელი არ შეიმწიკვლება ჩემის სიკვდილითაო“. ჩამოსვა ძმამ ეტლიდან, დაკლა გოშია, იმისი გულ-ღვიძლი მამის საჩვენებლად წაიღო და წავიდა

დარჩა უმწიკოდ ეს ქალი იმ უდაბურს ადგილას. დაიწყო ტირილი. იმდენი იტირა, მანამ დადამდებოდა. იფიქრა: აქ რომ ვიყო, ვაი თუ ნადირმა შემჭამოს, წავალ, იქნება სოფელში სადმე მავიდო. იარა იმ დღით საღამომი. საღამოთი ტყის განაძირას გავიდა. მშვენიერი მინდორი იყო. მწვანით დაფენილი, კაცის თვალი უკეთესს ვერ ნახავდა. ერთი რცხილა იდგა, სამი ტოტი ჰქონდა.

ქალმა იფიქრა, აქ გავატარებ დამესო, ავიდა დიდის გაჭირვებით და იმ ტოტებს შუა ჩაჯდა, ოქრომკერდის სარტყელი შემოიხსნა და წელი იმით მიიბა სეზედ, ძილის დროს არ ჩამოვარდებო. ილოცა იმ დამეს და დაიძინა. გათენდა მეორე დღეს. გაღვიძდა ქალს და სქთვა: ახლა კი ჩავალ ძირს, დავადგები გზას, იქნებ ხალხს სადმე შევხვდე, გზას მასწავლიან სოფლისასო. ჩამოიხედა, უნდა ჩამოვიდეს ძირს და დანახა, რომ ხის ჩეროში უმაწვილი კაცია წამოწოლილი და იმ ხეს შეჭეულებს. ისე ხშირი ფოთლები ჰქონდა იმ ხეს, რომ აქამდე ქალი ვერ დაენახნა. როდესაც ძირს ჩამოიხედა მაშინ კი ვაჟმა თვალი შეასწრო გაუგვირდა და ჰკითხა: „მანდ რას აკეთებ, ვინა ხარ, რა სულიერი ხარ?“ ქალმა უთხრა: „ქრისტიანი ვარ“ და ჰინჯვარი დაიწერა და ღოცებები სთქვა ზეპირად. ვაჟმა უთხრა: „შენ ცოლი, მე ქმარიო, ხელმწიფის შვილი ვარ, ჩემს პატრონს ჩემს მეტი შვილი არა ჰყავს, სანადიროდ წამოვედი, უნდა შენადირა“. ქალმა უთხრა: „მე რა ღირსი ვარ თქვენის ცოლობისა, ერთი გზა-დაკარგული ქალი ვარ, თქვენ ძმა და მე დამ“. რასაკვირველია, ვაჟმა სანამ ცოლ-ქმრობის ზირობა არ ჩამოართვა, არ მოეშვა, ჩამოიყვანა ის ქალი და კვერდს დაისვა. სწორეთ ის ხელმწიფის ვაჟი ეე მაგ უმაწვილსა ჰგვანდა. დაუძახა თავის შინაუმას, აჰკიდა ბარგი, წინ გაგზავნა და შეუთვალა დედამას: „საცოლვე ვიშოვე და მომუავს, ქორწილი მოამზადეთ, ჯვარი უნდა დავიწერო“. დედამას ძრიელ ეწეინა, ტუეში ნახოვანი ქალი რათ უნდა, ან ალი იქნება, ან ჭაჯიო. მაინც ვაჟმა არ დაუჯერა დედამის რჩევას, დაიწერა ჯვარი და ცხოვრობდნენ ბედნიერათ. ამ ბედნიერებას კიდევ ისიც დაემატა, რომ ეუფლათ ვაჟი მშვენიერი, სწორეთ ეგე, ეგ ბავშვი სულ იმ ბავშვსა ჰგავს. გაიარა რამდენიმე ხანმა და მოუვიდათ მოხატოვე, ერთი მდიდარი სოფდაგარი ეპატოვებოდათ თავის შვილის ქორწილში. დედამამ ურჩია: „წადი, შვილო, შენი ცოლ-შვილით, ეწვიე, თორემ ეწეინებაო“. რასაც დღით უნდა წასულიყვნენ ქორწილში, სწორეთ იმ დღით მოვიდნენ სხვა ხელმწიფის მოციქულები, ომი სურს ჩვენს ხელმწიფესო. ამ ხელმწიფის შვილმა იფიქრა: მე ქორწილში წავიდე, მამა-ჩემი მოხუცია, ვაი თუ აჯობონო და ცოლს ურჩია, მე აქ დავრჩები და შენ წადი, აი ჩვენი ვეზირი წავიყვანსო. ზღვით უნდა წასულიყვნენ, ცოლმა თუმცა უარი

საქვას, მაგრამ დედამთილ-მამამთილმაც ძალა დაატანეს წადიო და ეს ქალიც წავიდა თავისი ბავშვით და ვეზირით. შუა ზღვაში რომ შევიდნენ, ვეზირმა სხვანაირი ღაზარაკი დაუწყო, ძლიან მიუვარხარ, შენი გულისთავის თავს მოვიკლავ, უნდა ჩემი გახდეო. ქალმა უთხრა: „აბა გულზედ დაიხედე, რა ნიშნები გაქვს, სულ ჩემი მამამთილის და ქმრის მოცემული, როგორ მიბედავ მაგასო?“ სწორეთ ი ის ვეზირი ეკვ ემაგ ვეზირსა ჰგავდა. ვეზირმა კანკალი დაიწყო. ქალმა განაგრძო: მანც არ მოეძგა ვეზირი. მამის ქალმა თავისი ბავშვი მისცა და უთხრა: „აჰა, დაიჭი, მეორე ოთახში გაფალ და ეხლავ გამოყალ, რას ვიზამ, შენ ხელთა ვარო“. გავიდა თუ არა, შემოიხვია კაბა და გადაეშვა წყალში, ღმერთო და ჩემო სილალ-მართლევ, მიშველე და ნაპირს გამოუვანო. გავიდა ხანი. ქალმა რომ დაიგვიანა, ვეზირი გამოვიდა და დაუწყო ძებნა, მაგრამ რომ ვეღარ ნახა, მამინვე მოაბრუნა გემი, დაბრუნდა შინ და ხელმწიფის და დედოფლის შესტირა: „რამწამს გემში შეგედით, ქალი ზღვაში გადაეშვა და წავიდაო“. აქ ქალს უსმინა ღმერთმა და გავიდა ნაპირს, საითაც ქორწილი იყო, იმ მხრივ, ერთ ბებერთან მივიდა დასველებული და უთხრა: „ხომ ხელავ, აი ეს ძვირფასი ტანისამოსი და ნივთი შენი იუოს და ერთი ძველი ბიჭური ტანისამოსი მიშოყნო“. ბებერმა სიხარულით გამოურბენინა თავისი შვილის ტანისამოსი. ქალმა გაიხდა თავისი და ბიჭის ტანისამოსი ჩაიტვა, პირიც მოითხუზნა და ნამდვილ სამეძროხო ბიჭს დაემგზავსა. ბებერს ჰკითხა: „ვინ არის ამ ქვეყანას დიდი კაცი, ან ხელმწიფე ვინა გუფთო?“ ბებერმა უთხრა: „ხელმწიფე ვის ეკადრება, ერთი მდიდარი სოფელგარი ცხოვრობს, იმისი ცალი სხვა არავინ არის, ესლავ ვაჟს აქორწილებს, დიდს მზადებაშია, წინათ აპირებდა, მაგრამ მოუცდა ქორწილი, ეს მეორეთ დაჰმტოყა ხალხი, ხელმწიფეებიცა ჰყავს მოწვეულიო (თურმე იმ ქალის მამა აქორწილებდა ვაჟს), შეხვალ თუ არა, აი ეს მთელი ტყეები სავსეა იმისი ძროხით და მოჯამაგირეებითო“. ადგა ქალი, ბებერს გამოეთხრო და წავიდა მეძროხეებთან, მოჯამაგირე ბიჭი არ გინდათ, ჰყარის ჭამაზედ გამსახურებით, საქონელს მოგობრუნებთო. კარგო, — უთხრეს, — და დარჩა იმათთან. ისეთი სიმარჯვე გამოიჩინა ამ ქალმა, რომ ეველას შეუფარდა, მუდამ დამე თავის თავ-გადასავალს ნაწივეტ-

ჩაწვევტ უამბობდა მეძროხეებს. მოვიდა ქორწილის დღეც, გადაიხადეს სოფლადგრის შვილის ქორწილი და მეორე დღეს მოესურგათ ზღაპრის გაგონება. დაიბარეს მეძროხე ბიჭები, უგვედამ უარი სთქვა, ჩვენ არ ვიცით, ჩვენთან ერთი ახალ მოსული ბიჭია, იმან იცის, უგვედ დამე ზღაპრებს ამბობსა. მოიუფანეს ის ქალი და დაიწყო, სულ თაყვის თავზედ რაც გადაჭხედოდა, ზღაპრად უამბო. მოიხადა ამ ქალმა ქული და თმები ჩამოიშალა, აი ის ქალი მე განლაყარა, მოხსენება ჩემი და სამართალი თქვენიო“.

წამოდგენს მამინვე ქმარი, ძმა, მამა, ერთმანეთს აღარ აცდიდნენ მისაღმიებას. როდესაც გუელი იჭერეს ხეგუნა-კოცნით, ის დედინაცვალიც, იმისი ქალიც, ის დედელიც და ვეზირიც ცხენებს მოაბეს ძუაზედ, ქუჩა-ქუჩა ატარეს და ისე ცხენის ფეხებით დაჩქირათეს...

ეს ქალი მამინვე ახანოში შეტყავეს, სადღოფლო ტანისმოცნით შემოსეს და მიეტნენ დიდს ღვინს. ხელმწიფის შვილმა თავის დედ-მამას კაცი გაუტყავეს, ჩემი ცოლი ვიბოფე, დემერთა გამოცოფუანა შეტყირგებიდან და ჟერ ვერ მოფალოთ. ორი თვე დაჭევეს სულ ღვინსა და შეტყევაში და შემდეგ დიდის ამბით გაუწეეს მზითაფვი მამამა და ძმამ და გამოისტუმრეს შინ.

მივიდნენ ხელმწიფისთან, მიიწვიეს მამა და ძმა და აქაც ქორწილი გადაიხადეს.

ჭირი იქა, ღვინი აქა, ქატო იქა, ფეხილი აქა.

32. ვაჟთ-ქვეული ქალი.

იყო და არა იყო რა. იყო ერთი ხელმწიფე და ჰეგანდა ერთი მოხუცი ვეზირი. სამსახური აღარ შექძლო და სთხოვა ხელმწიფეს: „რაკი ისე მოვხუცდი, რომ სამსახური აღარ შემიძლას, ნება მიბოძე ჩემი მოხუცებულობა შინ გაგატაროთ“.

მისცა ნება ხელმწიფემ.

წავიდა ვეზირი შინ ცოლ-შვილთან, გაიხარეს ცოლ-შვილმა იმისი დაბრუნებით. ვეზირმა, როდესაც გუელი იჭერა ცოლ-შვილის აღერსით, ამოიხრა და სთქვა: „ნეტაფი, ამ სამ ქალში ერთ-ერთი ვაჟი მეოფლით, ჩემ აღაგას წახვიდოდიოთ“.

უფროსმა ქალმა უთხრა: „ვაჟური ტანისამოსი მომეცი, შენს იარაღს გაგიკეთებ, შენს ცხენზედ შევჯდები და წავალო“.

— შენ ვერ შესძლებ, ძნელი სამსახური უნდაო, — უთხრა გეზირმა.

— შევძლებ, უნდა წავიდეთ, — არ იშლიდა ქალი თავისას.

მამამაც მისცა ცხენი, იარაღი და ვაჟური ტანისამოსი.

ჩაიცვია ქალმა ვაჟურად, იარაღი გაიკეთა, შეჯდა ცხენზედ და წავიდა.

მამამ მოკლე გზით გადაუჭრა გზა, წინ გადაუდგა ხმალ-ამო-
ლებული და შესძახა: „შესდგე, ვინ მოდიხარ ცხენითაო?!“

ქალს შეეშინდა და ის იყო ცხენიდან უნდა გადმოვარდნილიყო, მაგრამ მამამ ხელი მიაშეკლა, ცხენიდან ჩამოიყვანა, მოასურთელა და უთხრა: „ნუ გეშინიან, შევილო, შენი მამა ვარ, აკი გითხარ, ვერ წახვალ და არ დაიჯერო“.

დაბრუნდნენ ისევ სახლში.

ახლა შეათანა ქალმა სთქვა, მე წავალო.

მამამ იმასაც უთხრა: „გერც შენ წახვალ, ქალს იმდენი გუფა-
დობა ვინ მისცა, რომ იმ სიშორე გზით წავიდესო“.

ქალმა არ გაიგონა, არ იქნება, უნდა წავიდეთ, დაიჟინა.

— წახვალ და წადიო, — უთხრა მამამ.

ჩაიცვია ქალმა ვაჟური ტანისამოსი, იარაღი შეიბა წელზედ, შე-
ჯდა ცხენზედ და წავიდა.

მამამ იმასაც გადაუჭრა გზა და დაემალა. ქალი რომ მიუახლო-
ვდა, გადახტა გზაზედ და შესძახა: „აბა, ვინ მოდიხარ, გაჩერდიო!“

ქალს ისე შეეშინდა, რომ ცხენიდან კინაღამ გადმოვარდა, მა-
გრამ მამამ დაამშვიდა, ნუ გეშინიან, შენი მამა ვარო, და წამოიყვან-
ს სახლში.

ახლა ჰატარაბა სთქვა: „მე უკუვალად წავალ, არ მეშინიანო“.

იმასაც უშალა მამამ, მაგრამ არ დაიშალა. ჩაიცვია ვაჟური ტანი-
სამოსი, იარაღი გაიკეთა, შეჯდა ცხენზედ და წავიდა.

მამა იმასაც დაუხვდა ფარულის გზით, მაგრამ ქალს არკი შეე-
შინდა, ისე მიაგლო ცხენი ზედ ხმალ-ამოლებულმა, რომ კინაღამ მა-
მა მოკლა. შეეშინდა გეზირს და შეხვეწა: „შევილო, არ მომკლა,
შენი მამა ვარ, იმედი მაქვს შენ კარგად შეასრულებ უოგელსავეო. მი-
ხვალ იმ ქალქში, სადაც ხელმწიფე ცხოვრობს, იმისი სასახლე ცაღ-

კე განკერძობით დგას, წინ დიდი მინდორი აქვს გალანგან-შემოვლე-ბული, დიდი ჭიშკარი აქვს, ორი ლომია დაბული, ყარაულები აღ-განან, ერთი ცხვარი მიიტანე, შუა გასტერ, ნახევარი ერთ ლომს მიეცი, ნახევარი მეორეს, თორემ პირველად რომ განახვენ, არ შე-გიშვებენ, შეტკამენ, მერმე კი აღარა გინდა რა, შატერგეიან, შე-ხვალ, დიდი მინდორი დაგხვდება, იმ მინდორზე ხელმწიფის სახ-ლამდი გაატყნ-გამოატყნე ცხენი, დაგინახავს ხელმწიფე და თითონ და-გიბარებს, გაითხავს ვინაობას, უთხარ: თქვენი მოხუცი გეზინის შვი-ლი ვარ-თქო; ვიცი გეტყვის: „იმას ვაჟიშვილი არა ჰყუნდათ!“ შენ უთხარი: „იმისთვის მოგახსენათ არა მუაფსო, მატარაობითვე არ და-მეჩაგროს სამსახურშიო, ესლა გავიზარდე, შევძლებ თქვენს სამსა-ხურს და გაიხელით-თქო“. გადაჰკონეს ერთმანეთი მამა-შვილთ და მამა შინ დაბრუნდა, ქალი კი წავიდა, ცხენს თავის-თავად მიჰყვანდა, რადგან გზა კარგად იცოდა ცხენმა. როდესაც იმ ქალაქში მივიდა ერთი ცხვარი იყიდა და ერთიც მეგეტარი სამართებელი, ჭიშკართან რომ მივიდა, შუა გასტერა ცხვარი, ნახევარი ერთ ლომს მისცა და ნახევარი მეორეს და შეატყნა ეზოში ცხენი. მართლაც დიდი მინდო-რი იყო და დაუწყო ცხენს იქით-აქეთ ტყეება. ხელმწიფის სახლს ფანჯრები ეზოს მხრივს ჰქონდა, დილა იყო, ხელმწიფე პირს იწმენ-დავდა, დაინახა ეს უმაწვილი და დიდად მოეწონა. ტაშო-ტაშს შემო-ჰქრა, კარის კაცი შემოვიდა. უბრძანა: „წადით, ის უმაწვილი მოი-ყვანეთ, ვინ არის, ან რათ მოსულაო!“

წავიდა კარის კაცი და ქალს უთხარა: ხელმწიფე გიბრძანებსო.

ქალი გადმოხტა ცხენიდან, იქვე ახლად მოსულმა შეჰინიბემ ჩამოართვა ცხენი, გაუძღვა კარის კაცი წინ და მივიდნენ ხელმწი-ფესთან.

ხელმწიფემ ჰკითხა მოსვლის მიზეზი და ვინაობა.

ქალმაც უოგელივე აუწყო და ისიც დაუმატა: „გთხოვთ. მამის ადგილი მიბოძრათო“.

ხელმწიფე იმდენად მადლიერი იყო იმის მამისა, რომ ალაგ-ზედ უარი არ უთხარა და ჩაწერა.

ხელმწიფეს ერთი ქალი ჰყვანდა მოწითული გასათხვრად, ეს უცხო უმაწვილი რომ დაინახა, ძრიელ მოეწონა. ამ ვაჟს ცალკე ოთა-

ხი ჰქონდა მიტეული, ქალი შევიდა უმწიფის ოთახში და ნახა მძინარე, გადახვია და დაუწყო ვნებით კოცნა. ვაჟს გაუღვიძა, შეკრთა უცხა ქალის დანახვაზე და ჰკითხა: „ვინა ხარ, ამ დროს აქ რამ მოგიყვანა?“

ქალმა უთხრა: „მე ამ ხელმწიფის ქალი ვარ, დილით ეზოში ცხენს რომ დააკლვებდი, ჩემი ოთახიდან გიმზერდი, საუფარულო გულში აღმეკზნო და მოგვლ შეუმტნველად, რომ ჩემი სიუფარული გადმოშვას, მე თუმცა ბევრი მთხოვნელი მუავს, სულ ხელმწიფის შვილები, მაგრამ შენს მეტი ქმარი არ მინდა, შენ ქმარი და მე ცოლიო“.

ვაჟმა უთხრა: „რა დავინახე, ძრიელ შემეფარდი, მაგრამ თქვენი დედ-მამის შიშით როგორ შემიძლიან მაგისი აღსრულება“.

ქალი დაღობდა უარის თქმას, მაგრამ გადასწყვიტა თავის გულში, მერე კიდევ მოველაზარაკებით და წავიდა.

მეორე დღეს ცოლმა უთხრა ხელმწიფეს: „წახელ ჩვენი ქალი ლოკინიდან ადგა და გავიდა უზუმრა, თვალი ვადევნე, ვეზირის შვილის ოთახში შევიდა, კარებს უფრო დაგადე და გავიგონე შემდეგი... რაც გაგონა სულ უძებო და თავის მხრით უჩინა: ისეთ ალაგას სადმე გაგზავნე შორსა, რომ იქიდან აღარ მოვიდეს ვეზირის შვილი, თორემ ქალი შეგვარცხვენს, იმდენი ხელმწიფის შვილები გვთხოვდნენ და კხლა ვეზირის შვილს როგორ მივსცეთო?“

მეორე დღეს ხელმწიფემ ავადმყოფობა მოიგონა, დაიბარა ვეზირის შვილი და უთხრა: „ავათა ვარ, სინამარში უკვდავების ვაშლი მასწავლეს, თუ მომიტან მოგჩნები, თუ არა, მოგკვდებიო“.

ვეზირის შვილმა თავი დაუყრა, გამოვიდა, შეჰდა ცხენზე და წავიდა. ბევრი იარა, თუ ცოტა, ერთს დიდს მთაზე ავიდა. გადაიხელა იქიდან და დევის სახლები დაინახა, ეზოში ერთი დევის ქალი იჯდა და თითის ტარზედ ართავდა. სათივის შუა ბოძის ტოლა ტარნი ჰქონდა, სათივის ტოლა კვირისტავი და თითონაც მთის ოღუნა იჯდა.

მივიდა ახლო ვეზირის შვილი და დაუძახა: „დედავ, დედის-დედავო!“

დევის ქალმა ხმა არ გასცა.

კიდევ დაუძახა: „დედავ, დედის-დედავო!“

კიდევ ხმა არ გასცა.

შესამეთვალა დაუძახა: „დედავ, დედის-დედავო!“ და გააკონა.

— აჟან შვილო, თუ დედა არ გეთქვა, ერთ ლუკმით შეულოთ-დი და რადგან დედა მითხარ, ვაჟი არა შეავს, შენ ჩემი ძვილი და მე შენი დეალო. სამი ქალი შეავს, მთაზე არიან სანადიროთ წასუღანი, წაფალ, დაუძახებ, იმთაც ეამებათო. ავიდა იმ მთაზედ, სიდა-ნაც ვეზირის შვილი მოვიდა. იქილამ სამი სხვა მთა მოსხანდა, თითო მთაზედ თითო ქალი იყო წასული, თითო-თითოდ დაუსხა სხელები და მოვიდნენ. მოსვლისათნავე დედამ უთხრა მათ: „შვილებო, ერთი შვილი ვიშოვნე, მაინც ძმა არა გეყნდათ და თუ ჩემი ხათრი გაქვთ, არა აწყენინოთ-რათა“. ამთაც შეჭყუტეს: „რადგან შენ შვილათ მიიღე, ჩვენც ძმით მივიღებთ, არას დაუშავებთო“. მივიდნენ ვაჟთან და სამივემ შესძახეს: „შენ ძმა, ჩვენ შენი დებიო“, მოეხვივნენ, დაჰკოცნეს, გვერდთ მოუსხდნენ, ზური აჯამეს და შემდეგ ჰკითხეს: „რას გურჯინხარ, უამბოთ არ მოხვიდლოდი, გვითხარი და რაც შეგვიძლიან გიშველითო“.

ვაჟმა უთხრა: „ხელმწიფე ავით არის, უკვდავების ვაშლისთვის გამოემკზანს და აი, თქვენ შეგხვდითო“.

დევის დედამ უთხრა: „კარგია, რომ აქ მოხველ, ათრემ ძნელა იმისი შოგნა და ვერ მიუტანდიო. აი, ზღვას გაუბერამ სუღს, დაგუბღეს, შუა გაიყოფა, ზღვას რომ გახვალ, იქა დცას ის ვაშლი, სამი ვაშლი ასხია, ერთიც გეუოფა, ჩქარა შემოდი ზღვაში, ათრემ იმ ვაშლს მცველები ჰყავს დაუენებულო და თუ გაგიტეს მოკვლავენ, ზღვა იქილამ იწიებს შეერთებას და შით თუ შემთასწარი, მერე ვედარას დაგაკლებენ, ეხლა უარაულები იქ არ დაეხვდებიან, სადილის საჭმელად წავიდნენ და კარგ დროს გახვალო“.

წაიჟვანა ვაჟი ზღვის ჰინას და გაუბერა ზღვას. მართლაც ზღვა შუა გაიყო, ნახევარი ერთ მხრივ გაჩერდა, ნახევარიც მეორე მხრივ. დაბარა: „იქიდგანაც ჩემთან გამოიარეო“, და გაუშვა. წავიდა ვეზირის შვილი ზღვებს შუა, ნახირზე რომ გავიდა, დანახა ვაშლი, მართლაც სამი ცალი ება, ისეთი დიდრონი იყო, რომ ხურჯინის თვალში ძლივს ჩადიოდა თითო. მოკრიფა სამივე, ერთი ცალ ხურჯინის თვალში ჩადო, მეორე—მეორეში და მესამეც ხელში დაიტირა, შეჭ-

და ცხენზედ და წამოვიდა. გამოუდგნენ ურაულები, მაგრამ რადს მთქვენი, ზღვაში შესწრო და ზღვა იქიდან უერთდებოდა ერთ-მანეთს. მოვიდა დევის დედასთან. ძრიელ გაუხარდათ დედასაც და ქალებსაც. ერთი ვაშლი იქვე დასჭრეს და ორი შინ გაატანეს. დევის დედამ უთხრა: „ვიცი, კიდევ გაგზავნიან სადმე და უჩემთ არ წახვიდე, თორემ დაიღუპები“.

წავიდა ვეზირის შვილი და მიუტანა ვაშლები ხელმწიფეს. ხელმწიფეს ძრიელ იამა, ერთი მამინვე გასჭრა და ერთიც მთელი სტოლზე დასდო. იმ დამეს უველანი დასძინებლად წავიდნენ და დედოფალს კი რა დააძინებს!

კიდევ შევიდა ხელმწიფის ქალი ვეზირის შვილთან, მოეხვია და უთხრა: „მანამ მოხვიდოდი, სულ მეშინოდა, შენი გზისკენ მეჭირათვალი, მე შენს მეტი ქმარი არ მინდა და ნურც მომცეს ღმერთმა“.

— მამათქვენისა რომ არ მეშინოდეს, მეც ძრიელ მიუვარხარო, — უთხრა ვეზირის შვილმა.

მორე დღეს დედოფალმა უთხრა ხელმწიფეს: „წუხელ კიდევ შევიდა ქალი. იუ კიდევ არა მოუგონეთ-რა, შეგვარცხვენს ჩვენი ქალი“.

დაიბარა ხელმწიფემ ვეზირის შვილი და უთხრა: „ამ ვაშლმა არა მარგო რა, უნდა უკვდავების წყალი მომიტანო“.

ვეზირის შვილმა გამოართვა ვერცხლის სურები, სურჯინში ჩაუდგა, ცხენს აჭკიდა, შეჟდა და დევის დედასთან წავიდა. რა მივიდა, გაეხარა დევის დედას, მოეხვია, დაჭკოცნა და ჰკითხა: „უამბოთ არ გაირჯებოდით, მითხარი რა გინდა“.

ვაჟმა უთხრა: „უკვდავების წყალი მოინდობა ხელმწიფემ და უნდა მივეუტანო“.

— ძნელი საქმეა, მაგრამ ნუ გეშინიან, შენს სიმარდებზედ არის დამოკიდებული, — დაამშვიდა დევის დედამ, — შური აჭამა, დაასვენათითონაც და ცხენიც და წაიყვანა ზღვასთან. რომ მივიდნენ, გაუბრა ზღვას, დააკუბა და უთხრა: „მანამ დაბრუნდები, ასე იქნება, წადი, დადეგ ამ გზას, ვაშლის ხესაც გასცდები და ძლიან ბევრს სხვასაც გაიფლი, ერთ ტრიანდ მინდობრზედ გამოჩნდება აღმასის გალავან შემოღლებული ჭლავი, ამ ჭლავში ხელმწიფედ ქალი ზის და ის წყა-

ღიჯ შიგა აქვთ. გალავანს აღმასის კარები აქვს, იხსნება და იხურება ისე ჩქარა, რომ თვალს ძლივს მოჰკრავს, ისე ღობიურათ გადაჰკარ მათრახნი ცხენს, რომ შეასწრო, თორემ თუ მოგხვდა შენცა და ცხენსაც შუა გავწყვეტსო“. გზა დაულოცა და განშორდნენ ერთმანეთს.

წავიდა გეზირის შვილი, მთელი ზღვა გაიარა და ათი იმოდენა ხმელეთი. ძლივს გამოჩნდა გალავანი. ამომავალი მზე ზედ ედგა და ძაღვად ბეჭურიალებდა. მივიდა, ნახა მართლაც ჭიშკარი ისე მსწრაფად იხსნება და იხურება, რომ კაცი თვალს ძლივს მოჰკრავს. თითონაც ჰური სჭამა და ცხენსაც აჭამა ქერი. დაისვენეს კარგათ. მერე შეჯდა, გაატარ-გამოატარა, გახურა ცხენი, გადაჭკრა მათრახნი და შევიდა კარებში, შეასწრო თითონ, მაგრამ ცხენს ძუა მოუწყვიტა. გადმოცა მამინვე, ცხენს უგვადგობის წყალი დაასხა და გაუმთელდა ძუა. ცაიხედ-გამოიხედა, უოგელი სახლი მინისა იყო. ამ ქალაქში კაცი არ იყო. ქალს დედ-მამა ომში დახოცოდა და რაც კაცები იყვნენ ისინიც დაეხრცნათ. ობლად დაჩენილი ქალი გამზღვემა ისე გაზარდა, რომ კაცის სახე არ იცოდა, ღამაშიც იყო ძრეულ. მივიდა წყაროზედ, ჩამოიღო ხურჯინი, ცხენი საძივარზედ მიუშვა, თითონ დაწვა და დაეძინა, გამდეღმა დაინახა, რომ ეს ვაჟი იქ მივიდა და ქალს უთხრა: „ერთი ვაჟი მოვიდა ჩვენს წყაროზედ და დაისვენა, ისეთი ღამაში არის, რომ თავის დღეში არ მინახავს ისეთი ღამაში კაციო.“

ქალმა უთხრა: „ნეტავი ერთი ვნახო, კაცი რა სახისა არისო“.

როდესაც გაეღვიძა ვაჟს, გამდეღი მივიდა და უთხრა: „ჩვენს ხელმწიფე გიბრძანებსო“. ვაჟი მამინვე წავიდა. რა ქალმა დაინახა, მეტად მოეწონა, გვერდს დაისვა და აამბობინა რისთვის მოსულაიყო. მერე უთხრა: „იქ ნუღარ წახვალ, აი ამ სახელმწიფოს ეპატრონე, ჯერ შენს მეტი კაცის სახე არ მინახავს, რადგან გნახე, ჩემი ქმარიც შენ უნდა იყოფო“.

ვაჟმა უთხრა: „ამ წყალს მიუტან და მერე დაგბრუნდებიო“.

აუფსეს სურუბი და მშვიდობით გამოისტუმრეს. მოვიდა. ზღვა ისევ ისე დახვდა გაუოფილი. გაიარა მშვიდობით და მივიდა დევის დედასთან. გაეხარდა იმასაც ვაჟის ნახვა, დასვენა და გასტუმრებისას დააბარა: „კიდევ გატეზავნიან და უჩემოთ არ წახვიდო“.

მივიდა ვაჟი სახლში და მიუტანა ხელმწიფეს წყალი. იმ დამეს

ვეელანი წავიდნენ დასძინებლად. ხელმწიფის ქალი კიდევ შევიდა ვაჟთან: „მანამ დაბრუნდებოდი ვდარდობდი, მე ძრეულ მიუყვარხარ და შენ კი არაო“.

ვაჟმა უთხრა: „მეც ძრეულ მიუყვარხარ, მაგრამ ხელმწიფისა მემინანო“.

მეორე დღეს ცოლმა უთხრა ხელმწიფეს: „წუხელის კიდევ შევიდა ვაჟთან, ეხლა ისეთ ადგილას გაგზავნე, ცოცხალი აღარ დაბრუნდესო“.

დაიბარა ხელმწიფემ ვეზირის შვილი და უთხრა: „გაქვავებული ქალაქის ამბავი უნდა მომიტანოო“.

ადგა და წავიდა ვაჟი დეკის დედასთან.

— რა ამბავია, რახედ გარჯილხარო,— ჰკითხა დეკის დედამ.

— ხელმწიფეს სურს გაქვავებული ქალაქის ამბავი მივუტანოო.

დეკის დედამ უთხრა: „ეგ კი ძრეულ ძნელია, გასწავლი, მაგრამ შეგეა კი არ შემოძლიანო. წახვალ, ვაშლის ხესაც გასცდებო, უკვდავების წყალსაც და კიდევ მრავალს მთასა და ბარს და იქ არიო“. წაიყვანა, გაუბერა ზღვასა და უთხრა: „ისევე ჩემთან გამოიარეო“. გაშორდნენ ერთმანეთს. მიდის ვაჟი, გაიარა ვაშლისა, წყალის ადგილები და მრავალიც სხვა. ბოლოს გამოჩნდა ერთი მინდორი, სულ ქვით იყო სავსე, ადამიანებიც, ჰირუტეებიც სულ თავიანთი სხნით ქვით იყო ქცეული. დურგალს თავისი რანდა კჭირა და ქვით იყო ქცეული, ერთი სიტყვით, ვინც რა ხელთახედ ეოფილიყო, ისე იყო ქვით ქცეული. დაიარა ამ უმაწვილმა, მაგრამ ერთი სულიერი ვერავინა ნახა. ბოლოს შიდადგა ერთს სხელს და ხმა მოესმა: „ერთი წყალი დამხლეუნიო“ მივიდა ამ ხმაზედ, დაინახა ერთი კაცი, გულ-ზევით კაცი იყო, გულ-ქვევით ქვით იყო ნაქცევი. ჰკითხა ვაჟმა მიზეზი: „რათა ხარ გაქვავებულიო?“

კაცი უთხრა: „აქ მოსვლა რამ გაგაბედვინა, ჩქარა წადი, თორემ სადაც არის მოვა ის ალქაჯი დედაკაცი და შენც ქვად გაქცევსო“.

— სულ ერთია, თუ ხელმწიფეს არ მივუტანე ამ ქალაქის გაქვავების ამბავი, ის მომკლავსო,— უპასუხა ვაჟმა.

— მაშ, კარგიო,— დაიწყო კაცი,— მე ამ ქალაქის ხელმწიფე ფიჭვს მიუყვარდა ცოლი, ჩაზირ-ვეზირები და რაც ხელმწიფეს კადრე-

ბა ყოველდღეითი სრული ვიყავ. შევანდა აგრეთვე ორი ქარის რაში, სულ დაფრინავდნენ და კარკათაც ვანხვინებდი. ვნახეთ, ერთ დღეს მეჯინიბეს წუაღზედ ჰყოლოდა და გამოსტარა. ისეთი გამხდრები იყვნენ, ფერდი ფერდს მიჰქროდათ. გაფუჭავრდი, არ გიჭმევიათ თუ რა არის მიზეზი, რომ ასე გამხდარან-მეთქი? მეჯინიბემ მითხრა: „ყოველ დამე ცხრა მთას იქით გადადინ და როგორ არ განდებინაო!“ ვკითხე მიზეზი. იმანც თქვა: „დედოფალი, ცხრა მთას იქით რომ არაბის ხელმწიფე სცხოვრობს, იმას ჰყვარობს. დაკვირება თუ არა, ადგება და მეც თან მივეყვარ, ერთზედ თითონ ჯდება, ერთზედ მე, ამაღამაც უნდა წავიდეს, იმათი დღესასწაული არის და ამას უღანაო“. მე ვუთხარ: „შენი ტანისამოსი კარებთან დაწვე, დაგირკუნებს თუ არა კარებს, მე ჩავიცვამ და შენ მაგიერად მე წავყვები-მეთქი“. როგორც ვუთხარ, მეჯინიბეც ისე მოიქცა. მე განკებ ძილს მივეცი თავი. ადგა დედოფალი, გავიდა, დაურახუნა მეჯინიბეს კარი და შემობრუნდა. ჩაიცვა საგანგებოთ. მე მეჯინიბის ტანისამოსი ჩავიცვი, მეჯინიბე ჩემ ლოცინში დავაწვინე, კიდევ არ მჯეროდა, მინდოდა ჩემის თვალით დავრწმუნებულეიყავ, გავეღ, მზათ დამიხვდა, ცხენები აყუშვი და ველოდებოდი. გამოვიდა, ერთზედ ის შეჯდა, მე მიბძანა, ჩქარაო, და გააფრინა. მივდევ მეც. გადავკლით ცხრა მთას. ისე დაგვიხვდა იქაურობა გაჩირადდნებულად, რომ დღე გიგონებოდა. შეუდგათ აღაქათი, დედოფალი მობრძანდებოა. გადმობრძანეს, შეიყვანეს და ცხენის ადვირი მე მომიტო. ვიდევ და მეჭირა ცხენები. შინ დიდი ხანი დავყო. გათენებამ თითქმის მოატანა. გამოვიდა და ჩემი ბაღადი, წვერი-წვერ შეკრული ხილი გამომიტანა. ცხენებზედ რომ შევსხედით, ის განკებ იქ დაუტოვე. ცოტა რომ გამოვიარეთ, მე ვუთხარ: „უჰ, ბაღადი იქ დამჩნა-მეთქი“. წადი, ჩქარა მოიტა, ხელმწიფემ არ მოკითხოსო. მივაბრუნე რაში, მივღელ, გადახვტი თანჯრიდამ, მოვტერ თავი არაბსა და ჩავაკლე ხურჯინში. თანაც ბაღადი ავიღე და წამოვეღელ. გამოვატენეთ, მაგრამ რა გამოვატენეთ, სულ მოვფრინავდით. ინათა და მოვედით. მეჯინიბე იქვე მიმალული დამხვდა. ქალმა ხილი მე მომიტო და შეირბინა შინ, მეც მეჯინიბეს გადავუცი, გავიხადე ტანისამოსი, ხურჯინი მალდა დავკიდე და დავწვექ განბულდი. თითონაც შემოიძარა და ჩუმად დავწვა. გათენდა კარ-

კათ და მე ვუთხარ: „იცი, ქალო, როგორი სიზმარი ვნახე-მეთქი?“ რა? — შკითსა. მეც მოგუუევი: „თურმე ცხრა მთას იქით ერთი არაბის ხელმწიფეს ჰეგარობდი შენა და მეჯინიბუთ მე გახლდი თან, გადაგულ თანჯრიდან, მოგჭერ თავი და აი, იმ ხურჯინში ჩავდე, აბა ნახე, მართალი არ იყოს-მეთქი“. მაშინვე აიღო ხურჯინი, წამოსწია და თავი გამოგორდა. გამწარებულმა დამწეეფლა, მე ასე მაქცია და დანარჩენი, როგორც ხელაგ, ისე. ვეტუვი: „წალი დამალეენე“-მეთქი, წუმძეს ჩამასხავს, „ამისი ღირსი ხარო“. ვეტუვი: „მაჯამე“, ტალახს მომიტანს — „აი ჭამეო“. ნეტავი, მეც სულ ჭვათ ვაქციე. იქ რა დადიოდა არაბეთში, იქ ესწავლა ეს თვალთმაქცობა. ვაჟმა ჰკითხა: „სად არის ახლაო?“ ახლა წასულია, დადის, გულს იქაგრებს და მალე მოვაო. ამ ლაშაკაში რომ იეგენ, შორით მოკსმით ფეხის ხმა. ვაჟი მივიდა და კარებთან მიიმალა. შემოვიდა ქალი. ხელმწიფემ უთხრა: „ჰრისტიანი არა ხარ? ან სულ მომკაღ, ან ამ ტანჯვას მომარჩინეო“. ცოლმა უთხრა: „ცოტაც არის შენთვისო“. ამ ლაშაკაში რომ იეგენ ვაჟი მიეპარა და ქალის თმები ხელზედ დაიხვია. ისე უცებ მოხდა ეს, რომ ქალმა ვეკათური მოასწრო. წააქცია ზირქვე და დაადგა ფეხი: „ჩქარა, ხელმწიფე ისეგ როგორიც იყო და ან ქალაქი ვეგლა თავის სახით გადააქციე, თორემ ეხლავ მოკვლეო“. მეტი რა გზა იყო, შეულოცა და უოველივე თავის სახელ შეიცვალა. ვაჟმა უთხრა: „მეც დამლოცეო“. აბა რით დავლოცო: „ვაჟი ხარ ქალათ იქე, ქალი ხარ — ვაჟათაო“. მართლაც იქცა ქალი ვაჟათ და ის დედოფალი მაშინვე სულ ლუკმა-ლუკმათ აქცია. ხელმწიფემ და მთელმა ქალაქმაც დალოცა ეს ვაჟი.

ადგა და წამოვიდა ვაჟი. გამოიარა მინის ქალთან და უთხრა: „შხათ იყავ, მოვალ და ჩემს დედ-მამასთან წავიყვანო“. წავიდა დევის დედასთან და უამბო ჭვათ ნაქცივი ქალაქის ამბავი. მივიდა ხელმწიფესთან, იმასაც უამბო უოველივე. წავიდნენ ვეკლანი მოსსეგენებლად და კიდევ შეიპარა ხელმწიფის ქალი ვაჟთან: „ვეკედობდი, მანამ მოხვიდოდი, შენი ჯაგრითაო“.

— მეც ძრიულ მიეგარხარო, — უთხრა ვაჟმა და კარგადაც მოუღსანა. ხელმწიფის შიში, წინათ რომ ასახლებდა, სულ გადაფიწვდა. მეორე დღეს ადგა და დაუთხოვა ხელმწიფეს: „ნება მომეცი სახლში

წავიდე და ჩემს მოხუც მამას მივხუცდო“. გახსარდა ხელში იქნა, თავი და მისცა ნება. წავიდა ღვევის ღვედისთან და მინის ქაღალის სიუკარული უამბო. წაჭყვა ღვევის ღვედა, გაუბერა ზღვა და გაატარა. მივიდა მინის ქაღალთან. ის აღმასის გაღვანით მთლიანად დაკეცა, ის უგვდავების წყაროდ თან წამოიღეს და რაც ქაღალები იყვნენ სულ წამოიყვანეს და წამოიღნენ. გაშობარეს ღვევის ღვედისთან, იმხარულეს, გაახარეს და შემდეგ მამასთან გაემგზავრნენ. დაწინაურა ქაღალის ჯარი და ამბობდნენ: „ამა და ამ გეზირის შვილი მოდის თავის ცოლითა“. გაუგებდა გეზირს: „გაჟი ვინ მომცა, თითონაც ქალი იყოფო“. მოვიდა გაჟი და უამბო უოველივე ღვედ-მამას. იმთავც გაუხარდათ, გადაიხადეს ქორწილი და ცხრფრობდნენ ბედნიერათ.

ჰირი იქა, ლხინა აქა.

33. ეშმაკი და ღმერთი.

იყო და არა იყო რა. ღვთის უკეთესი რა იქნებოდა. იყო ერთად საწუალი, მოხუცებული ცოლ-ქმარი, არცაა ჰყვანდათ-რა, არცაა ჰქონდათ-რა.

ცოლმა უთხრა: „წადი კაცო, სოფელი განიერია, ან იქით წადი, ან აქეთ, იქნება უღელი (ორი) ძროხა იშოგონაშენ-ზიარათა“.

წავიდა კაცი, ბევრი იარა თუ ცოტა, შესუდა ერთი ბერკაცი.

— სად მიხვალ, კაცო?—ჰკითხა ბერკაცი.

— ჩემმა ცოლმა გამომგზავნა, ძროხები მინდა ვიშოგონო ნაშენ-ზიარათაო,— მიუგო ამ კაცი.

— შე მუყეს კარგი ჯიშის ძროხები, უოველ წელი იკებენ ოთხ ძროხას, მოგცემ ოთხი წლით, ოთხი წლის შემდეგ მოვალ, სემ სიტყვას კეთისაგეთ, თუ გამოიღნობთ, სულ თქვენ იყოთ, თუ ვერ გამოიღნობთ, ის ძროხებიც და შენი და შენი ცოლის სულაც ჩემი იყოთო.

— კარგო, წავალ, ჩემს ცოლს ვკითხავ და აქვე მოვალო,— უთხრა კაცი. წავიდა და ცოლს უთხრა უოველივე.

ცოლმა უთხრა: „ისეთი რა უნდა გვკითხოს, საში სიტუაცია ვერ გამოვიტყობთ, გამართვით“.

წავიდა კაცი. ბერიკაცი იქვე დახვდა და უთხრა: „თანხმად ვართ მეცა და ჩემი ცოლიც, მოგვეცი“.

წაიფანა ამ ბერიკაცმა ოთხი ძროხა და მისცა. ისეთი კარგი ძროხები იყვნენ, ცქერით ვერ გაძლებოდა კაცი.

მოიფანა შინ, გაუხარდა ცოლს, მოუარეს კარგათ და მართლაც ყოველ წელი იკებდნენ ხბორებს. ის ხბორებიც, წლისა რომ ხდებოდნენ, მავალდნენ. ასე რომ ბერი ძროხები მოაშენეს.

პირველ წელიწადს ეყოლათ ოთხს ძროხას ოთხი. წლისანი რომ გახდნენ, იმათაც ეყოლათ და დედებსაც—8. ეს ორი წელი. ამ რვაშვილს მესამე წელიწადს კიდევ მოიგო რვა, გახდა 16. ამ თექვსმეტშიც მეოთხე წელს 16 კიდევ, ასე რომ სულ გახდა 32.

გავიდა ოთხი წელიწადი და აღარც კი ახსოვთ არც ქალსა და არც კაცს, თუ ამ დღით ოთხი წელიწადი შეუსრულდათ. სადამო ხანია და მოვიდა ერთი თურ-წვეკა ბერიკაცი და შეესვენა ცოლქმარს: „ამდამ დამე გამოთვლიეთ, გლახა ვარო“. ცოლმა უარი უთხრა, ალაგი არა გვაქვსო, ვერ უყურებთ, ამოდუნა ძროხები გვყავსო. კაცი კი ამობოდა, დაფიქრობა. თუმცა ცოლი დიდ უარსუდ იდგა, მაინც დარჩა ის ბერიკაცი იქ. დაწოდის ხანს ცოლქმარს უთხრა: „თქვენ კერას უკან დაწვით, მე კარებს უკან მივწვები, შუადამისას ერთი კაცი მოვა და დაიძახებს, მაგრამ თქვენ ხმა არ გასცეთ, მე მივსცემ მასებსა“.

გახდა შუადამე. მოვიდა ერთი კაცი და დაიძახა გარდა:

— ბერიკაცი, ერთიო! ხმა არავინ გასცა.

კიდევ დაიძახა:

— ბერიკაცი, ერთიო! კიდევ ხმა არ გასცეს შიგნიდან.

კიდევ დაიძახა მესამეჯერ:

— ბერიკაცი, ერთიო!

— გაგიწერეს დიკრითიო!—იყო მასები შიგნიდან.

— ბერიკაცი, ორიო!

— ორი ძმა რომ ერთ სხელში იყოს, იმ სხელს რა გაუჭირდება.

— ბერიკაცო, საშინო!

— საში რძალი რამ ერთ სახლში იყოს, იმ სახლს რა გაუჭირდებოდაო.

— ბერიკაცო, თთხინო!

— თთხინ ფარა ღარი რამ ერთ სახლში იყოს, იმ სახლს რა გაუჭირდებოდაო.

— ბერიკაცო, ხუთინო!

— ხუთი ფარა ცხვარი რამ ერთ კაცსა ჰყვანდეს, იმ კაცს რა გაუჭირდებოდაო.

— ბერიკაცო, ექვსინო!

— ექვსი ულახვი ცხენი რამ ერთ კაცსა ჰყვანდეს, იმ კაცს რა გაუჭირდებოდაო.

— ბერიკაცო, შვიდინო!

— შვიდი გუთნუული საქონელი რამ ერთ ოჯახში იყოს, იმ ოჯახს რა გაუჭირდებოდაო.

— ბერიკაცო, რვაო და მეცხრეთ კი შინ ან განლდიო.

— მაშ, სად იუაფიო?

— წყალ-გაღმა განლდიო.

— წყალი დიდი არ იყო, როგორ გამოხველო?

— გაღმევი ჭიანჭველა ვიპოვე, ჩემი ქამარ-მანჯალი ზედ დავაკარ, შევჭყექე ზედა და გამოვიღე.

— ზატარა წყალი უოფილა.

— როგორ თუ ზატარა, ფრინველი გაფრინდა, შუაზედ ღერ-წიმი რამ არ დახვედროდა, დაინახობოდაო.

— ბახალა უოფილა.

— როგორ თუ ბახალა, ფრთა გაშალა და სოფელი დათარა.

— ზატარა სოფელი უოფილა.

— როგორ თუ ზატარა სოფელი, თავში ვირმა შეჭყვირა და ბოლოში ვერ გამოგონეს.

— ჩოკინა უოფილა.

— როგორ თუ ჩოკინა, საში ქვა-მარილი აგვიდე, შავი ზედა, გაუტოე და კურდღელი დაგიჭირე.

— ზატარა კაცი უოფილა.

— როგორ თუ ჰატარა, თუნებ მამალი შეჰყდა, შეჭეიფა და ვერ გაიგონა.

— ურუი უოფილა.

— როგორ თუ ურუი, ქვესკნელს ჭინჭველა ჩხუბობდა და ის ასამართლებდა.

— ცრუი უოფილა... გააცრუა ის მოსული კაცი და გააგდო.

ცოლ-ქმარს უთხრა: „აბა, რომ არ მათეებდით, თქვენი სულიც უნდა დაგეპარებინათ და ამოდენა ძროხებიცაო. ეს ის კაცი იყო ძროხები რომ დაგაზიარათ, დღეს შესრულდა ოთხი წელიწადი და თქვენ კი აღარ განსოფდათ. ეგ იყო უშმაკი კაცის სახით. ხო ნახეთ სუფილა სიტუვა მოუჭერ, გაფაცრუე და გაფაცდე, დღეიდან თქვენი სულიც და თქვენი ძროხებიც თქვენია, ის ვეღარას დაგაკლებთ. მე მამა უფალი ვარ, რადგან ვიცოდით, ის კაცი მოვიდოდა და თქვენ ვერ მოუჭრიდით სიტუვას, დაგიხსენითო“...

სთქვა ეს და უჩინო იქმნა.

მაშინდა აღიღეს ღმერთი ცოლ-ქმართ და გაიხარეს, რაკი თავიანთ საკუთრებათ დაიგულეს ძროხები...

ჭირი იქა, ღვინი აქა, ქატო იქა, ფქვილი აქა.



ბანკოფილება მახუთა

„საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების“ კრებათა ოქმები 1913 წლისა, წლიური ანგარიში, საფარადო ხარჯთ-აღრიცხვა, სარევიზიო კომისიის აქტი.

«საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების» კრებთა ოქმები.

№ 66.

ჩვეულებრივი საზოგადო კრება

1913 წელს, იანვრის 3-ს.

კრება დაიწყო საღამოს 8 საათზე ე. თაყაიშვილის თავმჯდომარეობით. დაესწრნენ ნამდვილი წევრნი: ივ. გ. რატიშვილი, პ. მირიანაშვილი, დ. ბაქრაძე, გ. გაბაშვილი, ალ. სარაჯიშვილი, ათ. ჯვარიშვილი, მ. თოიძე, ს. გორგაძე და გარეშე საზოგადოება.

I. პირველათ კრებამ მოისმინა და დაამტკიცა წინა კრებთა ოქმები (№ № 64 და 65).

II. შემდეგ მოხსენება წაიკითხა ალ. ივ. სარაჯიშვილმა: „ერთი გლეხის ოჯახის თავგადასავალი მე-18 საუკუნეში“ (მაშინდელი საბუთების მიხედვით) ეს გლეხი ყოფილა ერთაწმინდის მონასტრის ყმა, ხახანაშვილი, რომელიც დაუჩემებია ადგილობრივს მებატონეს თარხნიშვილს. თუმცა ხახანაშვილს თითქმის 20 წლის განმავლობაში მრავალგზის მოუგია სასამართლოს წესით საქმე და ერეკლე მეფისგანაც რამდენჯერმე მიუღია ბრძანება, რომ იგი თავისუფალია მებატონეთაგან, მაგრამ ბოლოს მაინც თარხნიშვილს გაუმარჯვნია და ხახანაშვილი ყმად გაუხდია (1795 წელს). მე-19 საუკუნის დასაწყისში ამ ხახანაშვილის ოჯახს ჭირი გასჩენია და თითქმის მთლათ გაუუღეტია; გადარჩენილა რამოდენიმე წვერი, რომელთაც კახეთში შეუფარებიათ თავი. მათი ჩამომავლობა ეხლაც თურმე კახეთში ცხოვრობს, მაგრამ ქართლთანაც არა სწყვეტს კავშირს: ყოველ წლივ მოსალოცავად ერთაწმინდაში დაიარებიან.

თვისი მოხსენება ბ. რეფერენტს დამყარებული ჰქონდა თარხნიანთ საგვარეულო სიგელ-გუჯრუბზე, რომელნიც ჩვენმა „საზოგადოებამ“ შეი-

ძინა. რეფერენტის აზრით, ხახანაშვილის ისტორია მრავალმხრივს ინტერესს წარმოადგენს: იგი თვალწინ გვიშლის როგორც მაშინდელი სოციალური წყობილების სურათს, ისე პოლიტიკური წყობილების სისუსტეს: მეფის ბრძანებას არავითარი ძალა არა აქვს და ეკლესიასაც ხმა ვერ ამოუღია საკუთარ უფლებათა დასაცველად ვიღაც უმნიშვნელო თავადის წინააღმდეგ; აქ ნათლად ჩანს სრული დეზორგანიზაცია მეფისა და ეკლესიის უფლებისა და შეუკავებელი თავგაულობა ფეოდალობისა.

რეფერატი დამსწრე საზოგადოებამ ყურადღებით მოისმინა.

III. დასასრულ, კრებამ მოისმინა ს. გორგაძის მოხსენება შესახებ მისი მოგზაურობისა, წარსულ ზაფხულს, მდ. ყვირილის ხეობაში. პირველათ მომხსენებელმა აღნიშნა სივრცე მოვლილის რაიონისა და შემდეგ დაწვრილებით შეჩერდა უმთავრეს ადგილებზე, რომელნიც მას დაუთვალა იერებია და აუწერია. ეს ადგილებია: სოფ. სვირი, ბარბაწმინდა, ვარძია და ილეში. ამათ გარდა გორგაძეს ბევრი სხვა სოფელიც დაუთვალა იერებია, მაგრამ ისინი დიდს არქეოლოგიურს ინტერესს არ წარმოადგენენ. დაუთვალა იერებია, აგრეთვე, ბაგრატიის ტაძარი (ქუთაისში), გელათის მონასტერი და სოფ. ჭალა (ხაშურის მახლობლათ). ამ მოგზაურობის დროს მას შეუძენია ჩვენი საზოგადოებისათვის: 27 ხელნაწერი წიგნი, 11 სხვა და სხვა საარქეოლოგიო ნივთი, 3 მსიგელგუჯარი და 12 ძველი ნაბეჭდი წიგნი. — დასასრულ, მომხსენებელმა საზოგადოებას გააცნო საეთნოგრაფიო და სალექსიკონო მასალები, რომელნიც მას შეუკრებია სოფ. ნებოძირში (შორაპნის მაზრა, ჩხერიმელის ხეობა, სადგურ მოლითის მახლობლათ).

მომხსენებას კამათი არ გამოუწვევია. მხოლოდ გამოითქვა სურვილი, რომ შემდეგში ჩვენმა მოგზაურებმა თან იქონიონ ხოლმე ფოტოგრაფიული აპპარატი საარქეოლოგიო ნაშთთა და საეთნოგრაფიო საგნების გადასაღებად. ამაზე მომხსენებელმა შენიშნა, რომ იმ მოგზაურობათ, რომელნიც ჩვენმა საზოგადოებამ წინა წლებში გამართა, ჩვენ უნდა ვუცქიროთ არა როგორც სრულსა და დამთავრებულს საარქეოლოგიო მოგზაურობას, არამედ როგორც წინასწარს (შავს) მუშაობას სრულისა და დამთავრებულის საარქეოლოგიო მოგზაურობისათვის: ამ მუშაობამ უნდა დაამზადოს საიმედო მარშრუტი ამგვარის მოგზაურობისათვის, აღნიშნოს ადგილები, რომელნიც ღირსნი არიან არქეოლოგიურათ შესწავ-

ლისა, და თან იხსნას სამუდამო დაკარგვისა და განადგურებისაგან ის საარქეოლოგიო ნივთები, რომელნიც ჯერ კიდევ მოიპოებიან და არ დაკარგულან კერძო ოჯახებში და ეკლესიებში.

სალამოს 11 საათზე ჩვეულებრივი კრება დაიხურა და გაიხსნა არა-ჩვეულებრივი კრება.

№ 67.

არაჩვეულებრივი საზოგადო კრება.

1913 წელს, იანვრის 3-ს.

კრება გაიხსნა ე. თაყაიშვილისავე თავმჯდომარეობით და იმავე წევრთა თანადასწრებით, რომელნიც წინა ოქმში არიან მოხსენებულნი, სალამოს 11 საათზე.

აღ. სარაჯიშვილისა და ს. გორგაძის წინადადებით კრებამ აირჩია შემდეგი ნამდვილი წევრები: ეკატერინე დავითის ასული ბარათაშვილისა, პავლე ალექსანდრეს ძე თუმანიშვილი, მიხეილ მათეს ძე სხირტლაცე, კირილე ივანეს ძე არველაცე, დიმიტრი გრიგოლის ძე გაბაშვილი.

სალამოს 11 საათზე და 15 წუთზე კრება დაიხურა.

№ 68.

ჩვეულებრივი საზოგადო კრება

1913 წელს, თებერვლის 8-ს.

კრება დაიწყო სალამოს 8 საათზე. თავად-აზნაურთა სადემუტატო საკრებულოში (ბელინსკის ქ. № 2), ექვთ. თაყაიშვილის თავმჯდომარეობით. დაესწრნენ შემდეგი წევრნი: დეკ. კორ. კეკელიძე, არხიმანდრიტი ნაზარი (ლეჟავა), გრ. ყიფშიძე, აღ. ყიფშიძე, რევ. გაბაშვილი, ტარასი გრ. რცხილაცე, გრ. დიასამიძე, იროდ. სონღულაშვილი, ათ. ჯვარიშვილი, ანნა კაპანაძისა, ირაკ. რამიშვილი, დავ. კარიჭაშვილი, შ. ქარუმიძე, გრ. ბურჭულაძე, პეტრ. მირიანაშვილი, გ. ჯავახიშვილი, ს. გორგაძე და გარეშე საზოგადოება.

I. პირველათ კრებამ მოისმინა და დაამტკიცა წინა კრებათა ოქმები (№ № 66 და 67).

II. შემდეგ კრებამ მოისმინა პავლე ინგოროყვას მოხსენება შესახებ მისი მუშაობისა დასავლეთ საქართველოს სამონასტრო წიგნთსაცავებში 1912 წლის დეკემბერს, შემდეგის პროგრამით: მეთაური სიტყვა. მარტვილი: დავითნის კომენტარიების თარგმანის უცნობი ისტორიულ-ლიტერატურული შესავალი ეფრემ მცირისა და ლექსიკონი მის მიერვე შედგენილი; დავით ტბელი—მთარგმნელი; არსენი იყალთოელ-კალიპოსელის სჯულისკანონი; სჯულისკანონის შესავალი და ძველის-წერა რუსის-ურბნისის კრებისა; დოღმატიურ-აპოლოგეტიურ თხზულებათა კრებული არსენი იყალთოელ-კალიპოსელისა; ვინ იყო დავით აღმაშენებლის მატრიანის აღმწერელი და მატრიანის თარიღის შესახებ; მიმოხილვა არსენი იყალთოელ-კალიპოსელის მოღვაწეობისა; „სიტყვს გებაჲ ქრისტიანეთა და სარკინოზთა“ (ორიგინალური საპაექრო წერილი არსენის დოღმატიკონიდან); თეოფილე—ქართველი მწერალი მე-XI—XII საუკუნისა; იამბიკონი არსენი იყალთოელ-კალიპოსელისა; გალობანი გრიგოლ ხანძთელის და აბო ტფილელის პატივად და სხვა ტექსტები და მასალები ქართული ჰიმნოგრაფიისა; თარგმნილი სასულიერო მწერლობა. გელათი: ახალი იამბიკონები გიორგი მთაწმინდელისა; „გალობანი ვარძიის ღმრთისმშობლისანი“; შავთელისა და მისი მნიშვნელობა „აბდულ-მესიანის“ დათარიღების საკითხში; სხვა ახალი ტექსტები ძვ.-ქართული სასულიერო პოეზიისა. უბისი: მისი წარსული; მხატვრობა; „შესხმა გიორგი მტბე-ვარისა“ საბა წყაროსთაველის მიერ. ჯრუჭი: ახალი საგალობელნი პატივად გრიგოლ ხანძთელისა; უძველესნი გალობანი ნინოჲსნი; სხვა ტექსტები და მასალები ძველ-ქართულ ჰიმნოგრაფიისა; თარგმნილი სასულიერო მწერლობა; პეტრე გელათელი მთარგმნელი; დოროთეოსის ერთი საკითხავი, თარგმნილი გიორგი მთაწმინდელის მიერ ლათინურიდან ბერძნულად და ქართულადაც; „ცხოვრება პროხოზე ჯვარის აღმაშენებლისა“, ჩართული ჯრუჭის სვინაქსარში და აღაპები აღდგომის საფლავის ქართველთა სავანისა; სასვინაქსრო ცხოვრება აქესენტი ბანაელი-სა. უდაბნოჲს მე-IX—X საუკუნის კრებული „მრავალ-თავი“.

მოხსენებების დასასრულ ბ-ნმა ინგოროყვამ გამოსთქვა სურვილი: ჩვენმა საზოგადოებამ გაგზავნოს საპეცნიერო ექსპედიცია შავ-მთის მო-

ნასტრების (ანტიოქიის მახლობლად) წიგნთსაცავთა შესასწავლად, სადაც ერთ დროს ქართველებს საუკეთესო ცენტრი ჰქონდათ მწიგნობრობისა.

დამსწრე საზოგადოებამ ახალგაზდა რეფერენტის შინაარსიანი მოხსენება დიდის ინტერესით მოისმინა. შემდეგ გაიმართა მცირეოდენი კამათი. პეტრე მირიანაშვილი აცხადებს, რომ შეუწყნარებელია ნახევარ-„ი“-ნიანი (ე) სიტყვების ისეთი კითხვა („ე“-ის გამოთქმით), როგორც ამ ბოლო დროს შემოიღეს; ჩემის აზრით ეს „ე“ არც ძველათ გამოითქმოდა კითხვის დროს და არც ახლა უნდა გამოითქვასო.

მირიანაშვილს უპასუხებს ს. გორგაძე, რომლის აზრითაც ძველი ტექსტების კითხვის დროს ეს ნახევარი ი-ნი („ე“) უსათუოთ უნდა გამოთქმულ იქნას, რადგან დღესაც ქართლ-კახეთშია და იმერეთშიაც იგი ხშირათ ისმის ცოცხალ საუბარში (მამაე, დედაე; ბიძიე, პეტრიე და სხვ.) რაც, უეჭველია, იმისი მომასწავებელია, რომ ძლიერ შორს არ უნდა ყოფილიყოს ის დრო, როდესაც მთელი საქართველო არა მარტო სწერდა სიტყვებს „ე“-ით, არამედ კიდევაც გამოსთქვამდა ამ ასოს.

დეკანოზს კორნილი კეკელიძეს შეაქვს შესწორება მომხსენებლის იმ მოსაზრებაში, ვითომც წმ. გიორგი მთაწმინდელს ეთარგმნოს ლათინურიდან ბერძნულად დოროთე ტვირელის სტატია „მოწაფეთათვის უფლისა“. ეს შემცდარი აზრია, რომელიც დამყარებულია ხსენებული სტატიის მინაწერზე: „ესე სამგზის სანატრელმან. და ყოვლად შუენიერმან დოროთეოს. ჰრომს მყოფმან. ჰრომაელებრ მეტყუელითა წერილითა მოსაკსენებლად დაუტევა. რომლისაგან ჩუენცა შევკრიბეთ. და ბერძენთა ენასა ეთარგმნეთ. და საცნაურ ყოველთა ვყავთ“. ეს ტირადა ეკუთვნის არა გიორგი მთაწმინდელს, არამედ სტატიის ლათინურით ბერძნულად მთარგმნელს, წმ. გიორგის მხოლოდ დაუცავს იგი ქართულად. ეს რომ ასეა, იქიდანაჲ სჩანს, რომ აღნიშნული ტირადა ერთ-ერთ სლოვენურ ხელნაწერშიაც იკითხება (№ 1342 სოფიის ბიბლიოთეკისა): „Синъ бряху епископы въ языцѣхъ, о нихъ же Дороей блаженный написа римскимъ языкомъ и отъ него же и мы избравше своимъ языкомъ написаномъ“. ამ სტატიას ჩვენი მკვლევარნი მეორენაირ ზედღმობშიაც შეჰყავს; აქ ნათქვამია: „ერმოგინის. რომელი მეგრელთა ეპისკოპოზ იქმნა“. ამ ცნობის მიხედვით ბევრს ჰგონია, რომ სამეგრელოში ერთი მოციქულთაგანი ეპისკოპოზადაც კი მჯდარა. მაგრამ

დედანში, ბერძნულში, ნათქვამია არა „მეგრელთა“, არამედ „მეგართა“; „მეგართა“ კი ქალაქია ფრაკიაში; ზემოხსენებულ სლოვენურ ხელნაწერში ეს ადგილი ასე იკითხება: „и той въ Мегарѣхъ црчвествѣхъ епископъ њмѣтъ“. თუმცა უნდა ვსთქვათ, რომ ეს შეცდომა ძალიან ადრე შეპარულა ჩვენს მწერლობაში: „მეგრელთა“-ს ჩვენ ვხვდებით „მეგართა“-ის მაგიერ მე-XII საუკუნის დასაწყისის ხელნაწერში (№ 222 საეკლ. მუხ.).

ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი მადლობას უცხადებს მომხსენებელს გაწეული შრომისათვის და გამოსთქვამს თავის სიხარულს, რომ ისეთს ახალგაზდას, როგორც მომხსენებელია, ასე შეუყვარებია მძიმე საარქეოლოგიო მუშაობა და ასეთის ზედმიწევნით შეუსწავლია არსებული ლიტერატურა იმ საკითხთა შესახებ, რომელთაც თავის მოხსენებაში ეხება.

სალამოს 11 საათზე ჩვეულებრივი კრება დაიხურა.

№ 69.

არაჩვეულებრივი საზოგადო კრება.

1918 წელს, თებერვლის 8-ს.

კრება გაიხსნა სალამოს 11 საათზე ე. თაყაიშვილის თავმჯდომარეობით და იმავე ნამდვილ წევრთა დასწრებით, რომელნიც წინა ოქმში არიან მოხსენებულნი.

იროდიონ სონღულაშვილისა და ს. გორგაძის წინადადებით კრებამ აირჩია სამი ახალი ნამდვილი წევრი: უგანათლებულესი თავადის ილია გრუზინსკის ასული ოლგა, მიხეილ პეტრეს ძე ლაბარტყავა, დოქტორი ჰენრიხ გუსენ.

ლამის 11 საათსა და 10 წუთზე არაჩვეულებრივი კრება დაიხურა.

№ 70.

ჩვეულებრივი საზოგადო კრება.

1918 წელს, მარტის 5-ს.

კრება გაიხსნა სალამოს 8¹/₂ საათზე, ე. თაყაიშვილის თავმჯდომარეობით, თავად-აზნაურთა დეპუტატების საკრებულო დარბაზში (ბელინ-

სკის ქ № 2). დაესწრნენ შემდეგი ნამდვილი წევრები: კოსტ. ყიფიანი, გრ. ვაბაშვილი, გ. მუსხელიშვილი, მ. ჯანაშვილი, ი. სონლულაშვილი, ალ. ყიფშიძე, მიხ. გედევანიშვილი, შ. ქარუმიძე, ალ. მირიანაშვილი, გრ. ბურჭულაძე, გ. ჯავახიშვილი, ი. აბულაძე, ს. გორგაძე და გარე-შე საზოგადოება.

I. პირველათ კრებამ მოისმინა და დაამტკიცა წინა კრებათა ოქმები (№ № 68 და 69).

II. შემდეგ მოხსენება წაიკითხა ალ. სვანიძემ: „ძველი თქმულებანი ამაზონებზე და არგონავტებზე და მათი ისტორიული სარჩული“. რეფერენტმა პირველათ გააცნო კრებას არსებულ თქმულებათა შინაარსი, შემდეგ ევროპელ მეცნიერთა აზრი ამ თქმულებათა შესახებ და, ბოლოს, საკუთარი დასკვნაც გამოიტანა. ა) მოხსენების დასკვნანი ამაზონთა შესახებ ასეთი იყო: 1) ამაზონები ისტორიულ სინამდვილეს წარმოადგენდნენ, სახელდობრ იგინი ეკუთვნოდნენ ძლიერს ერს, რომელშიაც დედაკაცები მამაკაცებთან ერთათ გამოდიოდნენ ხოლმე საომრად ბრძოლის ველზე; 2) ეს ერი ცხოვრობდა თერმოდონის ხეობაში (ლალიზის მდ., ანუ ახლანდელი კიზილ-ირმაკი) და ჩამომავლობით ინდო-ევროპელთა ოჯახს არ ეკუთვნოდა; 3) გარეგნობით ეს ერი იყო ლამაზი, იცოდა ცხენოსნობა და ომში რკინის იარაღით შეჭურვილი გამოდიოდა; 4) საფიქრებელია, რომ ეს ერი უნდა ყოფილიყო ერთ-ერთი ქართველთა მონათესავე ტომი, სახელდობრ, ხე ტ ე ლ ე ბ ი, რომელნიც მართლაც ძლიერს ერს წარმოადგენდნენ იმ პერიოდში და არემარეში, რომელსაც ამაზონების შესახები ბერძნული „მითი“ გულისხმობს.—ბ) არგონავტების შესახებ რეფერენტმა ის დასკვნა გამოიტანა, რომ ამ თქმულებაშიაც თავს იფარავს ნამდვილი ისტორიული ურთიერთობა საბერძნეთსა და კოლხიდის ერთა შორის, სახელდობრ „მითი“ შეეხება იმ ხანას, როდესაც ამიერ-კავკასია ინდოეთის სავაჭრო გზის ერთ-ერთ ყურეს წარმოადგენდა და, კერძოთ, კოლხიდაში დიდძალი ლითონი და სიმდიდრე ტრიალობდა, რის გამოც ეს მხარე მუდამ იზიდავდა საბერძნეთის ვაჭრებსა და მეზღვაურებს.

მოხსენებამ აზრთა ცხოველი გაზიარება გამოიწვია.

მ. ჯანაშვილი ჰფიქრობს, რომ ამაზონების შესახებ თქმულებაში ის ხანა უნდა იყოს გამოხატული, როდესაც ამიერ-კავკასიაში და,

კერძოთ, ჩვენს ერში მატრიარქალური, ე. ი. დედათ-მთავრული წყობი-
ლება არსებულია. სიტყვა „ამაზონი“ შესაძლოა ლინგვისტიურათ „არმა-
ზონ“-თან იყოს დაკავშირებული, ე. ი., შესაძლოა ქართველებს ჰყოლო-
დეთ არმაზის კერპისადმი შეწირული ქალწული ქალები („არმაზონები“),
რომელთა სახელიც ცოტაოდენის ცვლილებით შემდეგ ბერძნულ მითში
გადასულა.

შ. ქ ა რ უ მ ი ძ ე ამბობს, რომ იმგვარი კლევეა, როგორსაც დღე-
ვანდელი რეფერატი წარმოადგენს, საჭიროა ჩვენი ისტორიისათვის; მაგ-
რამ როცა ისეთს თქმულებას შევხებით, როგორიც, მაგალითად, ამა-
ზონთა შესახები „მითია“, დიდი სიფრთხილე გვმართებს, რათა უცხო
ერთა ფანტაზიით შექმნილ მითიურ გმირების ნაციონალიზაციით უფრო
მეტათ არ დავშორდეთ ჩვენს მშობლიურს საისტორიო სინამდვილეს.

თავმჯდომარეს ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ს დიდათ საჭიროდ და სასარ-
გებლოდ მიაჩნია, რომ ევროპაში მოსწავლე და ევროპულ ენათა მცოდ-
ნე ჩვენი ახალგაზდანი დრო და დრო გაგვაცნობდენ ხოლმე, რასა სწე-
რენ და იკვლევენ ჩვენი წარსულის შესახებ ევროპელი მეცნიერნი. თუ
ჩვენთ, ადგილობრივ მომუშავე, მკვლევართ ეცოდინებათ ევროპელ მეც-
ნიერთა აზრი ამა თუ იმ საკითხის შესახებ, ადვილ შესაძლოა ჩვენთ
მკვლევართ რაიმე ახალი მასალა მიაწოდონ ევროპელ სპეციალისტებს ან
ფაქტიური რამ შესწორება შეიტანონ მათს დასკვნაში. ამ მხრით დღე-
ვანდელი მოხსენება ფრიად საინტერესოა, რამდენათაც იგი გვაცნობს ევ-
როპელ მეცნიერთა აზრს ადრულ საკითხის შესახებ (ამაზონებზე და არ-
გონაეტებზე).—თავმჯდომარეს ძლიერ გაბედულათ მიაჩნია მხოლოდ მო-
ხსენების ის ადგილი, სადაც რეფერენტი ამაზონებს ხეთელებთან ახლო-
ვებს და ეს უკანასკნელნიც ქართველ ტომად ჰყავს მიღებული. ხეთელე-
ბის ქართველობა ჯერ-ჯერობით დამტკიცებული არაა მეცნიერებაში და,
ამიტომ, არ შეიძლება ამ საგანზე ისე კათეგორიულათ ლაპარაკი, რო-
გორსაც დღევანდელს რეფერატში ვხვდებით.

ს. გ ო რ გ ა ძ ე მხარს უჭერს არგონაეტთა „მითის“ იმგვარს გან-
მარტებას, როგორსაც რეფერენტი იძლევა. ეს განმარტება საფუძველს
ჰპოვებს ისეთს სარწმუნო ფაქტიურს მასალებში, როგორსაც იძლევა
უშუველესი ბერძენი გეოგრაფი სტრაბონი.—სარწმუნოა, აგრეთვე, ის

განმარტება, რომელსაც რეფერენტი იძლევა ამჟონთა „მითის“ შესახებ, ვეროვლ მეცნიერთა თანახმად.

სალამოს 10¹/₂ საათზე თავმჯდომარემ ჩვეულებრივი კრება დახურა.

№ 71.

არაჩვეულებრივი საზოგადო კრება.

1913 წელს, მარტის 5-ს.

კრება გაიხსნა სალამოს 10¹/₂ საათზე ე. თაყაიშვილის თავმჯდომარეობით და იმავე წევრთა დასწრებით, როპელნიც წინა ოქმში არიან მოხსენებულნი.

ირ. სონღულაშვილისა და ს. გორგაძის წინადადებით კრებამ აირჩია შემდეგი ხუთი ახალი წამდვილი წევრი: მიხეილ მათეს ძე მირიანაშვილი, ელიზბარ ვასილის ძე კარბელაშვილი, თამარ ვასილის ასული კარბელაშვილისა, ექიმი გრიგოლ მიხეილის ძე მუხაძე, პეტრე ჰაველეს ძე გელეიშვილი.

სალამოს 11 საათზე კრება დაიხურა.

№ 72.

ჩვეულებრივი საზოგადო კრება.

1913 წელს, მაისის 15-ს.

კრება დაიწყო სალამოს 8¹/₄ საათზე თავაღ-აზნაურთა დეპუტატების საკრებულო დარბაზში (ბელინსკის ქ. № 2), ე. ს. თაყაიშვილის თავმჯდომარეობით. დაესწრნენ წამდვილი წევრები: ალ. ივ. სარაჯიშვილი, ირ. სონღულაშვილი, ს. გორგაძე, ალ. მირიანაშვილი, გიორგი რომანოზ. მრეკლიშვილი, ან. კაპანაძისა, გრ. ყიფშიძე, მღვდ. ვასილ კარბელაშვილი, დეკანოზი ნიკ. თალაქვაძე.

I. პირველათ კრებამ მოაზრინა და დაამტკიცა წინა კრებათა ოქმები (№ 70 და 71).

II. შემდეგ ალ. ს ვ ა ნ ი ძ ე მ წააკითხა 2 მოხსენება:

ა) „ასურული ღვრამული წარწერანი ქართულ ტაძრთა შესახებ და მათი განმარტება“. მომხსენებელს მოჰყავს აღნიშნული წარწერანი

(ქართული თარგმანით), მე-XII საუკუნიდან მე-VII საუკუნემდე ქრ. წინ, შესახებ ხეტრებისა, მუსკებისა ანუ მესხებისა, ტაბალისა და კასკებისა ანუ კოლხებისა, უჩვენებს მათს ბინადრობას და სოციალ-კულტურულსა და პოლიტიკურს ვითარებას. კერძოთ, მესხების შესახებ დაასკვნის, რომ მე-XII საუკუნის ნახევრამდე ეს ტომი უძლეველი ყოფილა წინა აზიაში; მას სპერია თითქმის მთელი მცირე აზია და პოლიტიკური მემკვიდრე გამხდარა ხეტრელებისა; მესხთა ტომი, ისე როგორც სხვა ტომებიც (ტაბალი, კასკი და სხვ.), წვრილ-წვრილ, პატარ-პატარა, სამთავროებად ყოფილა დანაწილებული, რომელთა მთავარნი თვის შორის სცნობდნენ ერთს მეფეს, რომელიც, ალბათ, ითვლებოდა პირველად თანასწორთა შორის=*primus inter pares*, და გარეშე, საზოგადო მტრის შემოსევის დროს ერთათ გადიოდნენ ბრძოლის ველზე, ზოგჯერ, სხვა ქართველ ტომებთან ერთათ. ივ. ჯავახიშვილის მოსაზრების წინააღმდეგ, ბ-ნი მომხსენებელი ჰფიქრობს, რომ ქართველი ტომები და, კერძოთ, მესხ-ურარტელები უნდა ჩაითვალოს არა სამხრეთიდან მომავალ ხალხად, არამედ, პირიქით, ჩრდილოეთიდან—სამხრეთისაკენ, სადაც მათი მკვლელობა შეჩერებულ იქმნა სემიტების მეოხებით.

ბ) „ქართული ისტორიის ერთი პრობლემის გამო“. ამ მოხსენებაში ბ-ნი სვანიძე შეეხზა საკითხს შესახებ სახელწოდებისა «იბერია» ანუ «იბერია», სახელდობრ შეეცადა გამოერკვია, თუ რა სახელით იყვნენ თვით იბერები და მათი ქვეყანა ცნობილნი პირველ საუკუნემდე ქრ. წინ (პომპეუსის შემოსევამდე), როცა პირველათ გვხვდება აღნიშნული სახელწოდება: „იბერია“. აკადემიკოსის ნ. მარრის ფილოლოგიური კვლევის თანახმათ, მომხსენებელი ჰფიქრობს, რომ სიტყვები: ი ბ ე რ ი ა და ს ა ს პ ე რ ი (ანუ სპერი, ჰპერი, ჰბერი, ჰიბერი, იბერი) ერთის ძირისანი არიან და სინონიმებად უნდა ჩაითვალოს, ორნივე ერთსა და იმავეს აღნიშნავენ, სახელდობრ: ჰ პ ე რ ე ბ ი ს ანუ ი ბ ე რ ე ბ ი ს მიწა-წყალს („სა-სპერი-ი“: „სა“—ქართული თავსართია). შემდეგ მომხსენებელს მოჰყავს ბერძნის ისტორიკოსთა მოწმობა, რომ სასპერიანი ბინადრობდნენ კოლხებსა და მედიელებს შუაო, სახელდობრ სპარსეთის ზღვიდან (=უბიდან) რომ შავი ზღვისაკენ წასულიყავით, ჯერ გაივლიდით მედიელების ქვეყანას, მერე სასპერიებისას და შემდეგ კოლხებისას. კიპერტის რუქისა და რაულსონის აზრის მიხედვით, მომხსენებელი მიდის

იმ დასკვნამდე, რომ ძველებური სასპეირების მიწა-წყალი უღრიდა შემდეგი დროის ჩრდილო სომხეთს, ალბანიასა და ივერია-საო, ე. ი. დაახლოებით იმ ტერიტორიას, რომელიც მდებარეობს კასპის ზღვასა და შავს ზღვას შორის, კოლხიდის გამოკლებით. აი ეს ტერიტორია სპერიათ ივერებს ანუ იბერებს I-ელ საუკუნის წინ (ქრ. დაბადებამდე), მაგრამ მაშინ იგინი ცნობილი ყოფილან სახელწოდებით ჰპერი (=სპერი ანუ ჰიბერი=იბერი=ივერი), ხოლო მათს ქვეყანას რქმევია სა-სპერი, ე. ი. სპერების ქვეყანა ანუ შემდეგი დროის «ივერია» (+ ალბანია და ჩრდილო ნაწილი არმენიისა, ე. ი. სომხეთისა).

აზრთა მცირე გაცვლა-გამოცვლის შემდეგ, თავმჯდომარემ მომხსენებელს მადლობა გადაუხადა და ჩვეულებრივი კრება დახურა ღამის 10¹/₂ საათზე.

№ 73.

აბაჩვეულეზივი საზოგადო კრება.

1913 წელს, მაისის 15-ს.

კრება გაიხსნა საღამოს 10¹/₂ საათზე ე. თაყაიშვილის თავმჯდომარეობით და იმავე ნამდვილ წევრთა დასწრებით, რომელნიც წინა ოქმში არიან მოხსენებულნი.

ირ. სონღულაშვილისა და ან. კაპანაძის წინადადებით კრებამ აირჩია შემდეგი ახალი ნამდვილი წევრები: ნინო სვიმონის ასული რცხილადისა, ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე ტარსაიძე, გიორგი იოსების ძე ყავრი-შვილი, გრიგოლ მიხეილის ძე დოლაბერიძე.

საღამოს 11 საათზე კრება დაიშალა.

№ 74.

წლიური კრება.

1913 წელს, ივლისის 2-ს.

კრება გაიხსნა საღამოს 8¹/₂ საათზე, ე. ს. თაყაიშვილის თავმჯდომარეობით, თავდაზნაურთა დეპუტატების საკრებულო დარბაზში (ბელინსკის ქ. № 2). დაეწრნენ შემდეგი ნამდვილი წევრები: სპ. ბაქრაძე,

გრ. გაბაშვილი, ს. გორგაძე, ირ. სონღულაშვილი, იასონ ციციშვილი, ირაკლი რამიშვილი, ალექს. ციციშვილი, აბ. იაშვილი, დეკ. კორნ. კეკელიძე, დეკ. ნიკ. თალაქვაძე, ივ. გ. რატიშვილი, დავ. გ. კარიჭაშვილი, ალ. ივ. სარაჯიშვილი, ალ. თ. ყიფშიძე, ლიუბოვ კ. ეგაძისა, არჩილ ავალიშვილი, გრ. თ. ყიფშიძე, ივ. თიკანაძე, პ. იაკ. იზაშვილი (იეზოვი), ი. ი. აბულაძე, მღვდ. ვას. კარბელაშვილი, ი. ზედგინძე, გრ. ბურჭულაძე, შ. დედაბრიშვილი, ნინო სვ. რცხილაძისა, გრ. სვ. რცხილაძე, ალ ბ. მღივანი და გარეშე საზოგადოება.

I. პირველათ, თავმჯდომარის წინადადებით, კრებამ ზეზე ადგომით პატივი სცა საზოგადოების ახლად-გარდაცვალებულ წევრთა—ოლღა ილიას ასულის გრუზინსკისა და ივანე სულხანის ძის ჭავჭავაძის—ხსოვნას.

II. შემდეგ მოხსენება წაიკითხა თვით თავმჯდომარემ: „ბორჩალოს მაზრის ქართული ნაშთები და მათი წარწერანი“. ეს მაზრა ბ-ნს მომხსენებელს მიმოუვლია წარსული საუკუნის 90-იან წლებში და დაწვრილებით შეუსწავლია წალკისა და თრიალეთის ნაშთები. თვის მოხსენებაში იგი ჩამოთვლის ამ ნაშთებს, მოკლეთ აღწერს მათს მდგომარეობას, წარწერების მიხედვით არკვევს მათი აშენების დროს, ასწორებს ბროსსეს და სხვათა შეცდომებს ამ ნაშთთა წარწერების კითხვაში და ბოლოს დაასკვნის, რომ საქართველოს ამ კუთხისათვის არქიტექტურის მხრივ საუკეთესო ხანა ყოფილა XI—XIV საუკუნეები, როცა მეფეთა და ერისთავთა (ორბელიანთა) მეოხებით ხუროთმოძღვრებას აქ თვისი განვითარების უმაღლეს წერტილამდე მიუწევია. ამ ნაშთთაგან ზოგი შენახულა, ბევრი ახლა ინგრევა და ბევრიც დანგრეულია და გადაკეთებული. ძვირფასს წარწერიანსა და ჩუქურთმიანს ქვებს ამ მაზრის დღევანდელი მცხოვრებლები (ბერძნები, სომხები, გერმანელები და სხვანი) ხიდებისა და კერძო სახლების მასალად ხმარობენ. და ჩვენს ახალგაზდა „საზოგადოებას“ ვალად აძევს, ამ კუთხის ნაშთებს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს, რათა ის მაინც დაიცვას განადგურებისაგან, რაც დღემდე კაცის ხელსა და სტიქიონს გადაარჩენია.

III. შემდეგ კრებამ დაამტკიცა საზოგადოების ორი წლის (1911-ისა და 1912 წლის) მოქმედებისა და შემოსავალ-გასავლის ანგარიშები, რომელთანაც ერთათ მოისმინა სარევიზიო კომისიის აქტიც.—განხილდა 1913 წლის სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვა და მცირეოდენის შესწორებით

დაამტკიცა იგიც. შესწორება შეეხება შემოსავლის მე-5 მუხლს და გასავლის მე-8 მუხლს; ამ მუხლებში აღნიშნულს ჯამს კრებამ ჩამოაკლო 1200 მანათი, რომელსაც თავად-აზნაურობისაგან ჩვენი საზოგადოება მიიღებს არა უდრეს 1914 წლისა; ეს მუხლები ასე შეიცვალა: „5. თავად-აზნაურობის შემწეობა—6800 მანეთი; 8. ფრესკების გადმოღება—1800 მან.“ ამის კვალობაზე ბიუჯეტის საზოგადო ჯამსაც ჩამოაკლდა 1200 მანეთი, ე. ი. 10.518 მან. 22 კაპეიკის მაგივრად—დარჩა: 9318 მან. და 22 კაპეიკი.

IV. შემდეგ კრებამ განიხილა „წერა-კითხვის საზოგადოებისა“ და „საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების“ მუზეუმ-ბიბლიოთეკათა შეერთების საკითხი. სანამ კამათს შეუდგებოდნენ, კრებას მოხსენდა „წერა-კითხვის საზოგადოების“ წარსული წლის 15 ივნისის წლიური კრების დადგენილება ამავე საგნის შესახებ და თვით ჩვენი საზოგადოების საბჭოს მიერ შემუშავებული (1912 წლის 10 ოქტომბრის სხდომაზე, ჟურნალი № 71, მუხლი I-ელი) პირობები მუზეუმ-ბიბლიოთეკათა შეერთებისა. კამათის დროს სამი აზრი გამოითქვა: უმრავლესობა მხარს უჭერდა ჩვენი საზოგადოების საბჭოს წინადადებას, ზოგნი მომხრენი იყვნენ „წერა-კითხვის საზოგადოების“ ფორმულისა, ხოლო მესამე ჯგუფი იმ აზრისა იყო, რომ წ.-კ. საზოგადოების მუზეუმ-ბიბლიოთეკა სრულ საკუთრებად უნდა გადმოეცეს ჩვენს საზოგადოებასაო. როცა ხანგრძლივი კამათის შემდეგ საკითხი გამოირკვა, თავმჯდომარემ კენჭი უყარა პირველათ წერა-კითხვის საზოგადოების 1912 წლის 15 ივნისის დადგენილებას; ამ დადგენილების მომხრე აღმოჩნდა ხუთი (5), ხოლო წინააღმდეგი—18 (თვრამეტი); ორმა პირმა კი (იასონ ციციშვილმა და დავით კარიჭაშვილმა) განაცხადა, რომ იგინი მხარს დაუჭერენ ორივე საზოგადოების მიერ წამოყენებულს ფორმულას შეერთებისას. შემდეგ კენჭი ეყარა ჩვენი საზოგადოების საბჭოს წინადადებას, რომლის მომხრე აღმოჩნდა თხუთმეტი (15), ხოლო მოწინააღმდეგე—რვა (8); ამ რვა კაცში სამი (გრ. გაბაშვილი, გრ. ყიფშიძე და ლიუბოვ ეგაძისა) იმ აზრისა იყო, რომ წ.-კ. საზოგადოების მუზეუმ-ბიბლიოთეკა სრულ საკუთრებად უნდა გადმოეცეს ჩვენს საზოგადოებას. —ამგვარათ: 18 ხმით 5-ის წინააღმდეგ უარყოფილ იქმნა წ.-კ. საზოგადოების წლიური კრების მიერ მოწონებული ფორმულა მუზეუმ-ბიბლიოთე-

კათა შეერთებისა; ხოლო 15 ხმით 8 ხმის წინააღმდეგ მიღებულ იქმნა ჩვენი საზოგადოების საბჭოს მიერ წამოყენებული პირობები შეერთებისა; აი ეს პირობები:

„1. საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება ჩაიბარებს შესანახად, მოსაელელად და შესასწავლად ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების ყოველგვარს სამუხეუმო ნიეთს, ყველა ნაბეჭდსა და ხელთნაწერ წიგნს, სიგელ-გუჯარს, სურათსა და ნუმიზმატიკურს კოლექციას.

„2. ყველა ზემო ჩამოთვლილი საგანი და სამუხეუმო ავეჯი, რომელთაც საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება წერა-კითხვის საზოგადოებისაგან ჩაიბარებს, აღნუსხული იქმნება საისტორიო საზოგადოების მიერ როგორც საერთო, ისე ცალკე დავთრებში და კატალოგებში.

„3. თანხა, თუ რამ მოეპოება მუხეუმ-ბიბლიოთეკისათვის წერა-კითხვის საზოგადოებას, გადმოეცემა საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას.

„4. მთელს მობარებულს ქონებას წერა-კითხვის საზოგადოებისას განაგებს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების საბჭო, წერა-კითხვის საზოგადოების სამი წარმომადგენლის თანდასწრებით (რომელთაც ეძლევათ სრული ხმა); ამ სამ პირს ეძლევა უფლება, უკეთე თანახმანი არ იქნებიან საბჭოს რომლისამე დადგენილებისა მობარებული ქონების შესახებ, აღძრან კითხვა წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობაში, და საცილობელ კითხვებს გადასწყვეტს ორთავე საზოგადოებათა გამგეობისა და საბჭოს შეერთებული კრება“.

V. შემდეგ კრებამ მოისმინა საბჭოს მიერ წარმოდგენილი წინადადება შესახებ ვაკის მამულის (თუმანიშვილისეული 1 დესეტინა, ქართული გიმნაზიის ახლო) გაყიდვისა. ეს მამული თავის დროს ნაყიდი 28800 მანათად; დაგირავებულია სათავად-ახნაურო ბანკში 12000 მანათად; ამ ვალის სარგებელს (800 მანათამდე) ყოველ წლივ იხდის მისი შემომწირველი თავ. პავლე თუმანიშვილი. ახლა გამოჩნდა მყიდველი, ბინის დამქირავებელთა და იაფფასიან ბინათა პატრონების თბილისის საზოგადოება», რომელიც იძლევა ამ მამულში 28.800 მანათს (ამაში შედის ბანკის ვალიც), მხოლოდ თხოულობს დანარჩენი ფულის გადახდა სამ ვადაზე იქნეს განაწილებული: ერთი მესამედი გადახდილ იქმნება

ნასყიდობის ქალაღდის შესრულებისათანავე, მეორე მესამედი—წლის თავზე, ხოლო დანარჩენი მესამედი ორი წლის შემდეგ (დღიდან ნასყიდობის ქალაღდის მიღებისა); სარგებელს იძლევიან 6⁰/₆-ს წლიურად და ჩვენსავე საზოგადოებას დაუგირავებენ (ვალის უზრუნველსაყოფად) იმავე მამულს (იხ. იმ საზოგადოების საბჭოს ქალაღდი 1913 წ. ივნისის 26-ის რიცხვით № 273). ხანგრძლივი კამათის შემდეგ 18 ხმით, 3-ის წინააღმდეგ, კრებამ მიიღო შემდეგი დადგენილება: „მიეცეს საბჭოს სრული უფლება გაჰყიდოს აღნიშნული მამული, როცა საუმჯობესოდ დაინახავს, არა ნაკლებ 28.800 მანათისა“.

VI. შემდეგ, საბჭოს წინადადების თანახმად, კრებამ ერთხმით აირჩია ყოველად სამღვდელო ეპისკოპოსი კირიონი საზოგადოების საპატრიო წევრად.—ხოლო ორი წევრის (ირ. სონღულაშვილისა და აღ. სარაჯიშვილის) წინადადებით, არჩეულ იქმნენ ნამდვილ წევრებად შემდეგი პირები: 1. გაბაშვილი გიორგი სოლომონის ძე, გაბაშვილი ივანე სოლომონის ძე, სიორიძე იასონ ნიკოლოზის ძე, ბენეშევიჩი ვლადიმერ ნიკოლოზის ძე, ნ. მელიქსეტ-ბეკოვი ლეონ მელიქსეტის ძე, ევაძისა ევგენია კონსტანტინეს ასული, ჩიგოგიძე ნიკოლოზ ნოეს ძე, ბარათაშვილი იოსებ ალექსანდრეს ძე, ბრეგვაძისა ბარბარე, 10. ექიმო გრიგოლ გრიგოლის ძე მაღალაშვილი.

VII. დასასრულ, მოხდა საბჭოს წევრთა, მათი კანდიდატებისა და სარევიზიო კომისიის წევრთა არჩევა. არჩეულ იქმნენ ერთხმად:

ს ა ბ ჭ ო შ ი :

1. თავმჯდომარედ—ე. ს. თაყაიშვილი.
2. მის ამხანაგად—დ. გ. კარიჭაშვილი.
3. ხაზინდარად და მუხეუმ-ბიბლიოთეკის გამგედ—აღ. ივ. სარაჯიშვილი.
4. მდიუნად—ს. რ. გორგაძე.

წევრებად:

აღ. თ. ყიფშიძე.

დგკ. კ. კეკელიძე.

ი. ი. აბულაძე.

შალვა ქართუმიძე.

იროდ. სონღულაშვილი.

კანდიდატებად:

დავ. კილოსანიძე.

გრიგ. ნათაძე.

გერ. სოფრ. იმნაიშვილი.

სარევიზიო კომისიაში:

1. თავ. ივანე აფხაზი.

2. გრ. თედ. ყიფშიძე.

3. კოსტ. ზაქ. მაყაშვილი.

ლამის 12 საათზე თავმჯდომარემ კრება დახურა.

№ 75.

ჩვეულებრივი საზოგადო კრება.

1913 წელს, სექტემბრის 20-ს.

კრება გაიხსნა საღამოს 8¹/₂ საათზე, თავად-აზნაურთა დეპუტატების საკრებულოში (ბელინსკის ქ. 2), ე. ს. თაყაიშვილის თავმჯდომარეობით. დაესწრნენ შემდეგი წამდელი წევრები: გ. მრეელიშვილი, შ. ქარუმიძე, ალ. ივ. სარაჯიშვილი, მღვდ. პოლ. კარბელაშვილი, ექიმი გრ. გაბაშვილი, არქიმანდრიტი ნაზარი (ლეყავა), ექიმი აბ. იაშვილი, გერ. იმნაიშვილი, ი. ი. აბულაძე, ტარასი რცხილაძე, ბარბარე ბრეგვაძისა, ანასტასია თუმანიშვილი-წერეთლისა, დავ. კარიჭაშვილი, ანა კაპანაძისა, ზ. ჩხიკვაძე, ირ. სონღულაშვილი, დეკანოზი კ. კეკელიძე, მის. ვახტ. მაჩაბელი, ექიმი ელიაშვილი, გრ. ბურჭულაძე, ს. გორგაძე, ექიმი ახვლედიანი და გარეშე საზოგადოება.

I. პირველათ კრებამ მოისმინა წარსული (წლიური) კრების ოქმი (№ 74), რომელიც უცვლელად დაამტკიცა.

II. შემდეგ მოხსენება წაიკითხა ს. რ. გორგაძემ: „იოვანე პეტრიწი და მის მიერ ნათარგმნი თხზულება ნემესიოსისა—ბუნებისათვის კაცისა. მომხსენებელი მოკლეთ შეეხო ნემესიოსის ვინაობასა და მისი ტრაქტატის შინაარსს; აღნიშნა მისი ზოგადი მნიშვნელობა და შემდეგ გადავიდა იოვანე პეტრიწის ცხოვრებისა და სამწერლო მოღვაწეობის დროის გამორკვევაზე, დაარღვია ის აზრი, ვითომც იოვანე პეტრიწი ეფრემ მცირის მოძღვარი (მასწავლებელი) ყოფილიყოს და და-

ამტიცა, რომ ეფრემი იყო იოვანე პეტრიწის უფროსი თანამედროვე, რომლის ცხოვრებაც ეკუთვნის მე-XI საუკუნის მეორე ნახევარს (რუისურბნისის კრების დროს, 1103 წელს, ეფრემ მცირე ცოცხალი აღარ ყოფილა); იოვანე პეტრიწი კი დავით აღმაშენებელის ძის დიმიტრის მეფობასაც (1125—1154 წწ.) მოსწრებია. ამასთან ერთათ მომხსენებელმა დაახლოებით აღნიშნა დრო იოვანე პეტრიწის მიერ ნემსიოსის თხზულების გადმოთარგმნისა: მე-XII საუკუნის პირველი მეოთხედი. დასასრულ მომხსენებელმა გამოარკვია აღნიშნული თარგმანის საისტორიო და სამედროვეო თეორეტიულ-პრაქტიკული მნიშვნელობა. —აღნიშნული თხზულება მომხსენებელს უკვე გამოსაცემად ჰქონია დამზადებული.

მომხსენებას კამათი არ გამოუწვევია. დამსწრე წევრებმა გამოსთქვეს სურვილი გამოიცეს იოვანე პეტრიწის სხვა თარგმანები და ნაწერებიც.

სალამოს 10 საათზე თავმჯდომარემ დახურა ჩვეულებრივი კრება და გახსნა არაჩვეულებრივი.

№ 76

არაჩვეულებრივი საზოგადო კრება.

1913 წელს, სექტემბრის 20-ს.

კრება გაიხსნა, ე. თაყაიშვილის თავმჯდომარეობით და იმავე ნამდვილ წევრთა თანადსწრებით, რომელნიც წინა ოქმში არიან მოხსენებულნი.

I. პირველათ, საბჭოს წინადადებით, კრებამ ერთხმათ აირჩია საზოგადოების საპატიო წევრად აკადემიკოსი ნიკოლოზ იაკობის ძე მარჩი.

II. შემდეგ, ალ. სარაჯიშვილისა და ირ. სონღულაშვილის წინადადებით, არჩეულ იქმნენ საზოგადოების ნამდვილ წევრებად: მღვდელი დიმიტრი ვარდიაშვილი, ივანე ჩხეიძე, ბარბარე ივანეს ასული ბერიშვილისა, ექიმი-მღვდელი სამსონ ლევაჟა, მოსე ანთიმოზის ძე კალანდარიშვილი, კოსტანტინე (კოწია) ჩითანის ძე თავართქილაძე.

სალამოს 10¹/₂ საათზე კრება დაიხურა.

№ 77

ჩვეულებრივი საზოგადო კრება

1913 წელს, ოქტომბრის 16-ს.

კრება გაიხსნა საღამოს 8¹/₂ საათზე, ე. ს. თაყაიშვილის თავმჯდომარეობით, დეკრეტთა საკრებულოს დარბაზში (ბელინსკის ქ. 2). დაესწრნენ: ალ. სარაჯიშვილი, მ. ჯანაშვილი, გ. იმნაიშვილი, ექ. გრ. გაბაშვილი, ირ. სონღულაშვილი, ნინო ს. რცხილაძისა, ბ. ბერიშვილისა, ბ. ბრეგვაძისა, ზ. ჩხიკვაძე, გ. მრეველიშვილი, შ. ქარუმიძე, ს. გორგაძე და გარეშე საზოგადოება.

I. პირველათ, კრებამ მოისმინა და დაამტკიცა წინა კრებათა ოქმები (№-ს 75 და 76).

II. შემდეგ, მ. გ. ჯანაშვილმა წაიკითხა მოხსენება: „არაგვის ხეობა“ (ისტორიულ-ეთნოგრაფიული და პოლიტიკური მიმოხილვა), შემდეგის პროგრამით: ხეობის საზოგადო განხილვა. დარიელის ყელი. მყინვარი და თერგი. მცხეთა—ფუჟე ქართველობისა და ქრისტიანობისა. მოკლე აღწერა ბახალეთისა, გუდამაყრისა, მთიულეთისა და ხევისა. ცნობები გიორგი ბრწყინვალის „ძეგლის დებიდან“, ვახუშტის გეოგრაფიიდან და ბატონიშვილის ვახტანგ ირაკლის ძის განჩინებიდან. უმთავრესი დაბასოფლები. აქაური მწერლები. ქრისთავეები არაგვისა და მათი დინასტიები. მწერალი მიტროპოლიტი რომანოზ ერისთავი და მისი „წინწილი ლალადებისა“. დასკვნა. მოხსენებასთან ერთათ ბ-ნმა ჯანაშვილმა დაძმწრე საზოგადოებას წარმოუდგინა სურათები ერისთავის ვამეყისა და მისი მეუღლის დულარდუბტ-დომნესა და მწერლის მიტროპოლიტის რომანოზისა.

მოხსენებას კამათი არ გამოუწვევია.

საღამოს 10 საათზე თავმჯდომარემ ჩვეულებრივი კრება დახურულად გამოაცხადა.

№ 78

არაჩვეულებრივი საზოგადო კრება.

1913 წელს, ოქტომბრის 16-ს.

კრება გაიხსნა ე. თაყაიშვილისავე თავმჯდომარეობით და იმავე წვერთა თანადასწრებით, რომელნიც წინა ოქმში არიან მოხსენებულნი.

ალ. სარაჯიშვილისა და ირ. სონღულაშვილის წინადადებით კრებამ აირჩია შემდეგი ახალი წევრები: ნაფიცი ვეჭილი ვასილ მიხეილის ძე ქიქოძე, სოფიო ჩიჯავაძისა, ბლალაჩინი მღვდ. ფილიმონ მატკაეა, დეკანოზი ანტონ კეკელია, მღვდელი სტეფანე კურუა.

სალამოს 10¹/₂ საათზე კრება დაიხურა.

№ 79

ჩვეულებრივი საზოგადო კრება.

1913 წელს, დეკემბრის 26-ს.

კრება გაიხსნა სალამოს 9 საათზე, ე. თაყაიშვილის თავმჯდომარეობით, დეპუტატთა საკრებულოს დარბაზში (ბელინსკის ქ. № 2). დაესწრნენ: დავ. კარიკაშვილი, ს. გორგაძე, ექ. იაშვილი, გერ. იმნაიშვილი, ირ. სონღულაშვილი, ნინო რცხილაძისა და სხვანი.

წინა კრებათა ოქმების (№ № 77 და 78) მოსმენისა და დამტკიცების შემდგომ კრებამ მოისმინა ექიმის ა. ბ. ი ა შ ვ ი ლ ი ს მოხსენება: „ქართული კარაბადინის ხელთნაწერები“. პირველათ მომხსენებელი შეეცადა გამოერკვია ეთიმოლოგია სიტყვისა „კარაბადინ“; შემდეგ აღნიშნა კარაბადინის უძველესი ხელთნაწერები, რომელთაგან ერთი მე-XIII-ე საუკუნის დასაწყისში ყოფილა გადმოთარგმნილი არაბულიდან ვინმე ხოჯაყოფილის მიერ. მომხსენებელის აზრით თვით არაბული დედანი ამ კარაბადინისა შედგენილი უნდა იყოს მე-VII-ე საუკუნეზე უად-

რეს, სანამ არაბები ისლამს მიიღებდნენ. თვით არაბ ავტორს უსარგებ-
ლნია უმთავრესათ ძველი ბერძნის მეცნიერ ექიმის ლაღინოსისა (გალე-
ნის) და იპპოკრატის თხზულებებით, რომელნიც ქართულ კარაბადინში
წოდებულნი არიან „ჯალინოზად“ და „ბაგრატად“; პირველს ხალხი
იცნობს „ჯაინოზის“ (გურიაში) და „ჯანაოზის“ სახელითაც. რეფე-
რენტმა მოხსენება დაამთავრა კარაბადინის შინაარსის მოკლე ანალიზით.

მცირეოდენ აზრთა გაზიარების შემდგომ, რომელშიაც მონაწილე-
ობა მიიღეს ე. თაყაიშვილმა და დ. კარიჭაშვილმა, ჩვეულებრივი კრება
დაიხურა. თაყაიშვილმა შენიშნა რეფერენტს, რომ არაბული კარაბადი-
ნის შედგენა ბერძნულ და ლათინურ წყაროების მიხედვით ყოველად შე-
უძლებელია მომხდარიყოს ისე ადრე, როგორც რეფერენტი ჰფიქრობს:
ეს შეიძლებოდა მომხდარიყო მხოლოდ მას შემდეგ, როცა არაბებმა შე-
ითვისეს ბერძნული მეცნიერება და ფილოსოფია, ე. ი. არა უადრეს მე-
VII—VIII საუკუნისაო.

№ 80

არაჩვეულებრივი საზოგადო კრება

1913 წელს, დეკემბრის 26-ს.

კრება გაიხსნა საღამოს 10 საათზე ე თაყაიშვილის თავმჯდომე-
რეობით და იმავე ნამდვილ წევრთა დასწრებით, რომელნიც წინა ოქმში
არიან მოხსენებულნი.

ირ. სონდულაშვილის და ს. გორგაძის წინადადებით კრებამ აირ-
ჩია შექმდევი ახალი წევრები: ლუარსაბ გიორგის ძე თულაშვილი, მი-
ხეილ მახარობლის ძე სიხარულიძე, გრიგოლ შვილევნი, აკაკი შანიძე.

საღამოს 10 საათზე და 10 წუთზე კრება დაიხურა.

ს ნ გ ა რ ი უ ი

საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მოქმედებისა 1913 წელს.

(მე-7-ე წელი)

I. საზოგადოების უძღვენილობა: წიგნთა რიცხვი, საბჭო და აგენტიები.

ა) საანგარიშო წლის დამდევს საზოგადოებას ჰყავდა: ერთი მზრუნველი, ორი საპატიო და 371 ნამდვილი, სულ 374 წევრი; წლის განმელობაში საზოგადოებამ შეიძინა 43 ნამდვილი წევრი, ხოლო დაჰკარგა 3 წევრი; ამას გარდა ორი ნამდვილი წევრთაგანი არჩეულ იქმნა საზოგადოების საპატიო წევრად (იხ. საზოგ. კრებათა ოქმები №№ 74, 76). 1914 წლის 1-ელი იანვრისათვის საზოგადოებას ჰყავდა: 1 მზრუნველი, 4 საპატიო და 409 ნამდვილი, სულ 414 წევრი.

ბ) 1913 წლის ივლისის 2-მდე საზოგადოების საქმეებს განაგებდა საბჭო იმავე უძღვენილობით, როგორც 1912 წელს (იხ. ანგარიში); 1913 წლის ივლისის 2-ს მოხდა ახალი არჩევნები და საბჭოში არჩეულ იქმნენ: 1. თავმჯდომარედ საბჭოსი და საზოგადოებისა ე. ს. თაყაიშვილი, 2. მის ამხანაგად დ. გ. კარიჭაშვილი, 3. ხაზინადრად და მუხეუმბიბლიოთეკის გამგედ ალ. ი. სარაჯიშვილი, 4. მდივნად ს. რ. გორგაძე, 5—9. წევრებად: დეკანოზი კორნ. კეკელიძე, ალ. თ. ყიფშიძე, ი. ი. აბულაძე, შალვა ალ. ქარუმიძე და ირ. თ. სონლულაშვილი (იხ. ოქმი № 74). საანგარიშო წელს საბჭოს ჰქონდა 16 სხდომა.

გ) საზოგადოებას წევრ-აგენტებად ჰყავდა: 1. მოსკოვში—ალ. ნიკ. ჯავახიშვილი, 2. ქუთაისში—რ. ყ. დათეშიძე, 3. ბაქოში—ივ. სპ. ელიაშვილი და 4 ტფილისში ვახტ. დავ. ლამბაშიძე, ალ. ლევ. ჯორჯაძე და იოსებ მერკვილაძე, რომელთაც ჩაბარებული ჰქონდათ საკვიტანციო წიგნაკები საწევრო ფულის შესაგროვებლად.

II. საზოგადოების მოძმედება: საზოგადო კრებანი, მო- ხმენიანი, მოგზაურობანი და გამოცემანი.

ა) საანგარიშო წლის განმავლობაში საზოგადოებას ჰქონდა 7 ჩვე-
ულებრივი, 7 არაჩვეულებრივი და ერთი წლიური, სულ 15 კრება.

ბ) ამ კრებებზე მოხსენებანი წაიკითხეს:

1. ალ. ივ. სარაჯიშვილმა: «ერთი გლეხის ოჯახის თავ-
გადასავალი მე-18 საუკუნეში» (იხ. ოქმი № 66).

2. ს. რ. გოგაძემ შესახებ თვისი მოგზაურობისა 1912 წ.
მდ. ყვირილის ხეობაში (იხ. ოქმი № 66).

3. პავლე ინგოროყვამ შესახებ თვისი მუშაობისა დასაე-
ლეთ საქართველოს სამონასტრო წიგნთსაცავებში 1912 წლის დეკემბერს
(ოქმი № 68).

4. ალ. სვანიძემ: «ძველი თქულებანი ამზონებზე და არგო-
ნავტებზე და მათი ისტორიული სარჩული» (ოქმი № 70).

5. მანვე: «ასურული ლურსმული წარწერანი ქართველ ტომთა
შესახებ და მათი განმარტება» და «ქართული ისტორიის ერთი პრობ-
ლემის გამო» (ოქმი № 72).

6. ე. ს. თაყაიშვილმა: «ბორჩალოს მაზრის ქართული ნაშ-
თები და მათი წარწერანი» (ოქმი № 74).

7. ს. გოგაძემ: «იოვანე პეტრიწი და მის მიერ ნათარგმნი
თხზულება ნემესიოსისა «ბუნებისა-თვს კაცისა»» (ოქმი № 75; ეს მოხსე-
ნება დაიბეჭდა წინასიტყვაობად აღნიშნული თხზულებისა, იხ. ნემესიოს
ემესელი—«ბუნებისა-თვს კაცისა», 1914 წ. ტფილისი, გვ. III—XXII).

8. მოსე ჯანაშვილმა: «არაგვის ხეობა» (ოქმი № 77).

და მ. ექიმმა აბ. იაშვილმა: «ქართული კარაბადინის ხელთნა-
წერები» (ოქმი № 79).

გ) ამავე წელს, საზოგადოების საბჭოს მონდობილობით, თავმჯდო-
მარემ ე. ს. თაყაიშვილმა და საბჭოს მიერ საგანგებოდ მოწვეულმა მხა-
ტვარ-ფოტოგრაფმა კუნემ იმოგზაურეს გურია-სამეგრელოს და იმერეთის
ეპარქიის სხვა და სხვა კუთხეში, დაათვალიერეს მონასტრები: შემოქმე-
დისა, ვანის ეკლესია, ხონისა, მარტვილისა, კადარისა, სეფიეთისა, ხობი-
სა, ცაიშისა, წალენჯიხისა, სუჯუნისა, გულეკარისა, ტყვირისა და კორ-
ცხელისა, სადაც გადმოიღეს ფოტოგრაფიული სურათები ნივთებისა, ფრე-
სკებისა და ეკლესიის გეგმები; ამ მოგზაურობის დროს გადმოღებული

მართო ფოტოგრაფიული სურათების რიცხვი 45(1) აღმაცება. ამავე მოგზაურობამ შეგვიძინა ოციოდე ხელთნაწერი და რამოდენიმე საყურადღებო არქეოლოგიური ნივთი. იმავე პირთ, მდივნის ს. გორგაძის თანხლებით, დაწერილებით დაათვლიერეს შიომღვივის მონასტერი, სადაც მხატვარ-ფოტოგრაფმა გადმოიღო საინტერესო ნაშთთა სურათები და შიომღვიმელის საფლავზე აგებულ ტაძრის სრული გეგმა. ამას გარდა, თვით თავმჯდომარემ, საზოგადოების წევრ არქიმანდრიტ ნაზარისთან (ლევაჟა) ერთათ, დაათვალიერა იოანე ნათლის მცემლისა და დავით გარესჯის მონასტრები (გარეკახეთში), სადაც აღნიშნა ნაშთები, რომელნიც უნდა გადმოღებულ იქმნან სპეციალისტ მხატვარ-ფოტოგრაფის მიერ 1914 წელს. ამას გარდა, მდივანმა ს. გორგაძემ, ახალგაზდა მხატვრის გიორგი ხმალაძის თანხლებით, განმეორებით ინახულა ტაბაკინის მონასტერი (შორაპნის მაზრაში), რომლის კედლიდანაც მხატვარმა გადმოიღო საზოგადოების მუზეუმისათვის კუთვალე მიტროპოლიტის გერასიმე ჩხეტიძის (ტაძრის განუახლებელი) სურათის პირი; ხოლო საბჭოს წევრმა ირ. სონდულაშვილმა, ნორვეგიელ მხატვარ ქრისტ. კრონთან ერთათ, ინახულა ბეთანიის მონასტერი (ტფილისის მაზლობლად), რომლის კედლიდანაც მხატვარმა გადმოიღო ცნობილი ჯგუფი: თამარ დედოფალი, მისი მამა და ძე ლაშა გიორგი და რამოდენიმე სხვა სურათიც (წმ. მარიამ მეგვიპტელი და წმ. ზოსიმე; აღმაშენებელი ეკლესიისა; ნაწილი განკითხვის დღისა). იმავე კრონმა გადმოიღო მუზეუმისათვის მცხეთის ტაძრის კედლიდან „სამაია“ და საფარის მონასტრის მხატვრობა: ათაბაგები სამცხისა¹⁾ და ძმანი ლასურდიენი²⁾ და აგრეთვე ჯვარცმა. საბჭოსავე მონდობილობით, ახალგაზდა მხატვარმა დავ. კაკაბაძემ ნაყურალეშის ეკლესიის (ლეჩხუმი) კედლებიდან გადმოიღო ორი დიდი მხატვრობა ჩიქოვანთა (დადიანთა) წინაპრებისა. იმავე დროს მხატვარი მოსე თოიძე მოგზაურობდა საქართველოს სხვა და სხვა კუთხეში საზოგადოების მუზეუმისთვის საეთნოგრაფიო სურათების დასამზადებლად. ბოლო დროს ე. თაყაიშვილი გაემგზავრა ქუთაისში, საიდანაც მოიტანა საყურადღებო საარქეოლოგიო და საეთნოგრაფიო ნივთები.

დ) საანგარიშო წელს საბჭომ დაურიგა საზოგადოების წევრებს «ძველი საქართველოს» მე-II ტომი და განაგრძო მე-III ტომის ბეჭედა; აგრეთვე დაბეჭდა უდიდესი ნაწილი «საქართველოს სიძველენის» მე-IV ტომისა, რომელშიაც იბეჭდება „როსტომიანი“ ი. აბულაძის რედაქტორობით. ამასთანავე საბჭომ დაადგინა შეერთებულის ძალით გამოსცეს აფეხის ტყაოსნის» სრული ტექსტი ყველა ვარიანტის ჩვენებით (საბჭოს ოქმი № 76).

¹⁾ საბას მონასტრიდან; ²⁾ წმ. მარინეს ეკლესიიდან.

III. საზოგადოების ქონება: მუზეუმი, წიგნთსაცავი და საწყობი.

ა) საზოგადოების მუზეუმში საანგარიშო წლის დამდევს იყო:

1. საარქეოლოგიო და საეთნოგრაფიო ნივთი—1048, წლის განმავლობაში შემოვიდა—392, გახდა 1430;

2. ქსოვილები იყო—302, შემოვიდა—94, გახდა 396;

3. საისტორიო და საეთნოგრაფიო მხატვრობა იყო 272, შემოვიდა 110, გახდა 382;

4. საარქეოლოგიო და საეთნოგრაფიო ალბომი იყო 42, შემოვიდა 4, გახდა 46.

ამას გარდა საანგარიშო წელს მუზეუმში შესამჩნევათ იმატა ძველბურთი ფულების რიცხვმა, რომელთა რაოდენობა ჯერ-ჯერობით ცნობაში მოყვანილი არაა.

ბ) შესამჩნევათ იმატა საანგარიშო წელს საზოგადოების წიგნთსაცავს. წლის დამდევს წიგნთ-საცავში იყო:

1. ხელთნაწერი წიგნი 926, წლის განმავლობაში შემოვიდა 143, გახდა 1069;

2. ნაბეჭდი წიგნი იყო 3568 ტომი, შემოვიდა 2404, გახდა 5972 ტომი (წლის განმავლობაში შემოწირულ წიგნთა შორის 1477 ტ. კირიონ ეპისკოპოსის შემოწირულია).

3. ამას გარდა ბიბლიოთეკაში ამ უამად დიდძალი სიგელ-გუჯარია, რომელთა რაოდენობა ჯერ კიდევ არაა ცნობაში მოყვანილი.

გ) საზოგადოების საწყობში 1914 წლის 1-ელ იანვრისათვის იყო:

1. «ძველი საქართველო» ტ. I	160 ცალი.
2. " " " II	730 "
3. «საქართველოს სიძველენი» II	424 "
4. " " " III	509 "
5. პალეოგრაფიული ალბომი .	480 "
6. «თიმსარიანი» . . .	406 "
7. «ათაბაგნი ბექა და ალბულა» .	45 "
8. «ისტორია კათოლიკობისა საქართველოში»	90 "
9. «პასუხად სომხის მწერლებს» .	138 "
10. საბა-სულხან ორბელიანის პორტრეტები .	75 "

საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების 1913 წ. შემოსავალ-გასავლის ანგარიში.

I. კ ა ს ა

1 იანვარს 1913 წ. იყო	44 32	
1913 წ. შემოვიდა	13991 89	14036 21
„ გავიდა		13561 73
1 იანვარს 1914 წ. დარჩა		474 48

II. სახელდახელო ანგარიში

1 იანვარს 1913 წ. სამეურნეო ბანკში იყო	860 97	
1913 წ. მიემატა	5100 „	
ზედ შეეკეცა სარგებელი (4%)	38 67	5999 64
წლის განმავლობაში გამოტანილია		5797 „
1 იანვარს 1914 წ. დარჩა		202 64

III. %-იანი ქაღალდები

1 იანვარს 1913 წ. იყო:

1) 5500 მანეთის 5%-იანი გირავენობის ფურცელი ტფ. სათ.-აზნ. ბანკისა, ღირებული	4518 30	
2) ნ. ბ. ლოლობერიძის ნაანდერძევი სხვა და სხვა ღირებულების %-იანი ქაღალდები, ნომინალური.	5200 „	9718 30
1 იანვარს 1914 წ. არის		9718 30

IV. %-იანი ქაღალდების კუპონები

1 იანვარს 1913 წ. კუპონებისა იყო მისაღები	130 62	
იმევე წელს მიემატა	261 24	391 86
მიღებულია წლის განმავლობაში		261 24
1 იანვარს 1914 წ. დარჩა მისაღები		130 62

V. წიგნების გაცემა

1 იანვარს 1913 წ. წიგნების ბეჭდვაზე დახარ- ჯული იყო	2357 06	
წლის განმავლობაში დაიხარჯა	1005 23	3362 29
მიღებულია 1050 ც. „ბველი საქართველოსი“, II ტ.		1260 „
მისაღებია წიგნები		2102 29

VI. უ მ მ ო ს ა ვ ა ლ 'ი

თანხების სარგებელი		299 91
წლიური საწევრო გადასახადი		837 „
შემოწირულობა: ფულად	487 50	
„ ინვენტარად	1360 „	1847 50
თავად-აზნაურობის შემწეობა		6800 „
ლექციები		83 35
ფოტოგრაფია		30 „
წიგნების მოგება		114 73
დაბრუნებული ხარჯი (საფოსტო)		20 04
მუზეუმის დათვალეურების გადასახადი		41 35
		10073 88

VII. გ ა ს ა ვ ა ლ 'ი

საკანცელარიო ხარჯი	25 47
საფოსტო „	128 80
საექსკურსიო „	429 87
ბიბლიოთეკა	630 29
მუზეუმი	4315 52
1/6-იანი ქალაქების შენახვა	7 „
ინვენტარი	307 15
მდივნისა და საქმის-მწარმოებლის ჯამაგირი	910 „
მოსამსახურეების გასამრჯელო	42 30
ფოტოგრაფია	943 99

მიეცა აგენტებს საკომისიოდ (20% დათ-
მობით):

„საქართველოს სიძველენი“ II ტ. 5 ც.	14	„
„ „ „ III ტ. 5 ც.	14	„
„ძველი საქართველო“ I ტ. 5 ც.	14	„
„ „ „ II ტ. 5 ც.	16	„
„თიმსარიანი“ 40 ც.	12	80
„ათაბეგები ბეჟა და ალბულა“ 10 ც.	4	„
„ისტორია კათოლიკობისა“ 25 ც.	40	„
„პასუხად სომხის მწერლებს“ 40 ც.	16	„
გაიყიდა საწყობში: „ძვ. საქართველო“ I ტ. 1 ც.	3	50
„ „ „ II ტ. 3 ც.	12	„
„თიმსარიანი“ 1 ც.	40	637 40
1 იანვარს 1914 წ. დარჩა 2502 ც. ღირებული		2636 52

X. ა გ ე ნ ტ ე ბ ე

1 იანვარს 1913 წ. იყო აგენტებზე	77	19
წლის განმავლობაში მიემატა	130	80
იმავე ხანში აგენტებისაგან შემოვიდა		103 86
1 იანვარს 1914 წ. დარჩა აგენტებზე		104 13

XI. კ რ ე დ ი ტ ო რ ა ე ბ ი

1 იანვარს 1913 წ. წ.-კ. საზოგადოებისა გვე- მართა	563	25
წლის განმავლობაში გადახდილია (წიგნებით)	63	„
1 იანვარს 1914 წ. დარჩა	500	25

XII. ბ ა რ დ ა მ ა მ ა ვ ა ლ ი ფ უ ლ ი ლ ე ა მ ი თ

მიეცა ავანსად საექსკურსიო და ფრესკებისა	941	45
დაბრუნებულია	430	„
1 იანვარს 1914 წ. დარჩა	511	45

XIII. გარდასავალი ფული კრედიტით

1 იანვარს 1913 წ. იყო ნ. ბ. დოლობერიძის ნაანდერძევი:		
0/0-იანი ქალაქები	5200	„
ნაღდი ფული	264	07
0/0-იანი ქალაქების კუპონებისა	139	65
წლის განმავლობაში მიემატა კუპონებისა		139 65
1 იანვარს 1914 წ. არის		<u>5743 37</u>

XIV. ერთდროული საწიგრო გადასახადი

1 იანვარს 1913 წ. იყო	2910	„
წლის განმავლობაში მიემატა	270	„
1 იანვარს 1914 წ. არის		<u>3180</u> „

XV. შენახული ფული

1 იანვარს 1913 წ. იყო სამეურნეო ბანკში	5592	70
წლის განმავლობაში შეეკეცა სარგებელი (6%)	322	18
1 იანვარს 1914 წ. არის		<u>5914 88</u>

XVI. საგანგებო თანხა

1 იანვარს 1913 წ. იყო მრეველიშვილის ფონ- დისა	5592	70
წლის განმავლობაში შეეკეცა სარგებელი (6%)	322	18
1 იანვარს 1914 წ. არის		<u>5914 88</u>

XVII. უძრავი ძონება

1 იანვარს 1913 წ. იყო I დესეტინა მიწა „ვაკეზე“	24000 „
1 იანვარს 1914 წ. არის	24000 „

XVIII. სახარჯო თანხა

1 იანვარს 1913 წ. იყო	31491 46
წლის განმავლობაში მიემატა	1729 68
1 იანვარს 1914 წ. არის	33221 14

XIX. ბ ა ლ ა ნ ს ი

ა ქ ტ ი ვ ი	კ ა ს ი ვ ი		
კასა	474 48	კრედიტორები	500 25
სახელდახელო ანგარიში	202 64	გარდამავალი ფული კრე-	
0/0-იანი ქალაღები	9718 30	დიტით	5743 37
0/0/0 გირაენობის ფუ-		საგანგებო თანხა	5914 88
რცლებისა	130 62	ერთდროული საწვერო	
წიგნების ბეჭდვა	2102 29	გადასახადი	3180 „
ინვენტარი	2764 33	სახარჯო თანხა	33221 14
წიგნები	2696 52		
აგენტები	104 13		
უძრავი ქონება	24000 „		
შენახული ფული	5914 88		
გარდამავალი ფული დე-			
ბეტიტ	511 45		
	48559 64		48559 64

1914 წლის მოსალოდნელი შემოსავალი და
გასავალი

შემოსავალი		გასავალი	
1913 წ. დანარჩენი	677 12	საკანცელარიო ხარჯი .	30 "
თანხების სარგებელი .	710 "	საფოსტო " .	200 "
საწევრო გადასახადი .	800 "	საექსკურსიო " .	500 "
შემოწირულობა .	1800 "	ბიბლიოთეკა .	600 "
თავ.-აზნაურობის შემწე- ობა 1913 წ. .	1200 "	მუზეუმი .	3000 "
თავ.-აზნაურობის შემწე- ობა 1914 წ. .	5000 "	ფრესკებისა გემართებს 1913 წლისა .	1275 "
წიგნების მოგება .	100 "	ფოტოგრაფია და ფრე- სკები .	2000 "
ლექციები .	200 "	წიგნების ბეჭდვა .	600 "
		ჯამაგირი მდივანს და სა- ქმის მწარმოებელს .	1020 "
		ინვენტარი .	300 "
		მოსამსახურეს ჯამაგირი	200 "
		‰-იანი ქალაქების შე- ძენა .	570 "
		სამი მოგებიანი ბილეთის დაზღვევა .	80 "
		წერილმანი ხარჯი .	112 12
	10487 12		10487 12

განხილულია საბჭოს მიერ და დამტკიცებული 1914 წელს, აპრი-
ლის 5-ს, საბჭოს სხდომის ეურნალი № 93, მუხლი 1.

სარევიზიო კომისიის აქტი

1914 წელსა, მაისის 4-სა დღესა, ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერთა, სარევიზიო კომისიის წევრებმა, საზოგადოების საბჭოს მოწვევით, განვიხილეთ:

1. საზოგადოების 1913 წლის მოქმედების ანგარიში,
2. იმავე წლის შემოსავალ-გასავლის ანგარიში,
3. შემოსავალ-გასავლის წიგნები და საბუთები და თანხები,
4. 1914 წლის სავარაუდო ანგარიში,
5. წიგნთსაცავი და მისი კატალოგები,
6. მუზეუმი და მისი კატალოგები,
7. გამოცემათა საწყობი და თვით გამოცემანი,—

და ვპოვეთ:

1. ანგარიშები და საანგარიშო წიგნები წესიერათ ნაწარმოებნი,
2. თანხები სრულიად დაკულნი,
3. სავარაუდო ანგარიში წესიერათ შედგენილი,
4. საარქეოლოგია ნივთები და წიგნები წესიერათ დაკულ-აღნუსაულნი*),
5. საწყობის დავთარიც წესიერათ ნაწარმოები და ქონება დაკული.

*) გარდა ეპ. კირიონისა, პავ. თუმანიშვილისა და მიქ. თამარაშვილის მემკვიდრეების მიერ შემოწირულის წიგნებისა, რომელნიც ჯერჯერობით ჩატანილნი არ არიან საზოგადო კატალოგში.

სარევიზიო კომისიის წევრნი

}	<p>ივ. აფხაზი, კ. მაყაშვილი, გრ. უიფშიძე.</p>
---	---

ფასი 2 მ. 50 კ.

საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების კამიკემანი:

საქართველოს სიძველენი, პალეოგრაფიული ალბომით, ტ. II, I ^o შწ. გვ. I+600	3 მ. 50 კ.
ძველი საქართველო, საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების კრებული, ტ. I. 1909 წ. გვ. XXII+500	3 „ 50 „
საქართველოს სიძველენი, ტ. III, 1910 წ. გვ. XXXII+612	3 „ 50 „
ძველი საქართველო, საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების კრებული, ტ. II, 1911—1913 წ. გვ. XXX+740	4 „ —
ძველი საქართველო, საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების კრებული, ტ. III, 1913—1914 წ. გვ. IV+881	4 „ —

საზოგადოების წიგნთ-საწყობში იყიდება:

ნ. ურბნელი (ხიზანაშვილი), ათაბაგნი ბექა და აბულა და მათი სამართავი. 1892 წ. გვ. 411	50 კ.
თეიმურაზ მეფე, თიმსარიანი, ნათარქანი სპარსულიდან. 1903 წ. გვ. 112	40 „
მ. თამარაშვილი, ისტორიკ კათოლიკოსის ქართველთა შორის ნამდვილის საბუთების შემოღება და განმარტებით XIII საუკუნიდან ვიდრე XX საუკუნეამდე ავტორის პორტრეტით. 1902 წ. გვ. 855+XII	2 მ.
მისივე, პასუხად სომხის მწერლებს, რომლებიც უარყოფენ ქართველ კათოლიკოსას. 1904 წ. გვ. 264	50 „
ე. იაყობაშვილი, არხეოლოგიური მოგზაურებანი და შენიშვნანი. წიგნი მე-2. 1914 წ. გვ. IV+3	1 „ 50 „
მისივე, საისტორიო მასალანი, წიგნაკი 1-ელი. 1913 წ. გვ. 74+VI	30 „
მისივე, დავთარი ქუთათისის სუდრის გამოსავალი ბეგრისა, შედგენილი 1578 წ. 1915 წ. გვ. 72.	20 „